



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ქართულ-თურქული სამეცნიერო კონფერენცია

12-13 დეკემბერი, 2014, გორი, საქართველო

GORI STATE TEACHING UNIVERSITY

Georgian-Turkish Scientific Conference

December 12-13, 2014, Gori, Georgia



წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2014 წლის 12-13 დეკემბერს ჩატარებულ ქართულ-თურქულ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

The Collection covers the scientific works presented at Georgian-Turkish Scientific Conference at Gori State Teaching University held on December 12-13, 2014.

საორგანიზაციო კოლეგია:

ხელმძღვანელი: პროფესორი **გიორგი სოსიაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

წევრები:

ნუგზარ ჩიტაია - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, უმაღლესის განათლების განვითარების სამმართველო

პროფ. დოქტორი **ჰუსეინ ქარამანი** - რიზეს რეჯუკ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის რექტორი

პროფ. დოქტორი **ილიას ჩილოღლუ** - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი

ზექერია გიულთეჟინი - იუნუს ემრეს სახელობის თურქული კულტურის ცენტრი

საორგანიზაციო კომიტეტი:

ხელმძღვანელი: **გიორგი ხორბალაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი

წევრები:

ლევან მიდოდაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ანა იმნაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სტრატეგიული განვითარების, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

გივი გაგნიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სამეურნეო სამსახურის უფროსი

აფრია აფრიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი

ბეჟან რომელაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი

პროგრამული კომიტეტი:

ხელმძღვანელი: პროფესორი **ალექსანდრე მღებრიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რექტორის მოადგილე

წევრები:

პროფ. **ზურაბ ჩხიკვაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, უცხო ენების კათედრის ხელმძღვანელი

ივანე ბალახაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პრაქტიკული სამართლის კლინიკისა და სოციალურ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი

პროფ. **ნელი ჭამპურიძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პედაგოგიკისა და მეთოდის კათედრის ხელმძღვანელი

პროფ. **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი

პროფ. **ელდარ მამისთვალიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი

პროფ. **თეა ხორგუაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი

სარედაქციო კომისია:

წევრები:

პროფ. თამარ გოგოლაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროფ. ელენე ხოჯევანიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროფ. მარიამ კობერიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროფ. მარინე შერაზადიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროფ. მარინე ცერცვაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროფ. ზურაბ ჩხიკვაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, უცხო ენების კათედრის ხელმძღვანელი

მარიამ ზარხოზაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, უცხო ენების კათედრა

ტექნიკური რედაქტორი:

გიორგი ყაზიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამეცნიერო მიმართულების მთავარი სპეციალისტი

ORGANIZATION BOARD:

Head: Prof. **Giorgi Sosiashvili**, Rector of Gori State Teaching University

Members:

Nugzar Chitaia, Ministry of Education and Science of Georgia, Higher Education Development Division

Prof. Dr. Huseyin Karaman, Rector of Recep Tayyip Erdoğan University

Prof. Dr. Ilyas Ciloglu, Rector of International Black Sea University

Zekeriya Gültekin, Yunus Emre Turkish Cultural Center

ORGANIZATIONAL COMMITTEE:

Head: **Giorgi Khorbaladze**, Gori State Teaching University, Head of Administration, Associate Professor

Members:

Levan Midodashvili, Gori State Teaching University, Head of Quality Assurance Service

Ana Imnadze, Gori State Teaching University, Head of Strategic Development, International and Public Relations Service

Givi Gagnidze, Gori State Teaching University, Head of Economic Service

Apria Apriamashvili, Gori State Teaching University, Head of Budgeting and Purchasing Service

Bezhan Romelashvili, Gori State Teaching University, Head of Service of Information Technologies

PROGRAMME COMMITTEE:

Head: Prof. **Aleksandre Mghebrishvili**, Gori State Teaching University, Deputy Rector

Members:

Prof. **Zurab Chkhikvadze**, Gori State Teaching University, Head of Foreign Language Faculty

Ivane Balakhashvili, Gori State Teaching University, Head of Practical Law Clinic and Faculty of Social Sciences

Prof. **Neli Champuridze**, Gori State Teaching University, Head of Faculty of Pedagogics and Methodology

Prof. **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Head of the Educational Scientific Centre of Georgian Language and Literature

Prof. **Eldar Mamisvalishvili**, Gori State Teaching University, Head of the Educational Scientific Centre of History and Archaeology

Prof. **Tea Khorguashvili**, Gori State Teaching University, Head of Business Administration Faculty

EDITORIAL BOARD:**Members:**

Prof. **Tamar Gogoladze**, Gori State Teaching University

Prof. **Elene Khojevanishvili**, Gori State Teaching University

Prof. **Mariam Koberidze**, Gori State Teaching University

Prof. **Mariam Sherazadishvili**, Gori State Teaching University

Prof. **Marine Tsertsvadze**, Gori State Teaching University

Prof. **Zurab Chkhikvadze**, Gori State Teaching University, Head of Foreign Language Faculty

Mariam Zarkhozashvili, Gori State Teaching University, Foreign Language Faculty

TECHNICAL EDITOR:

Giorgi Kazishvili, Gori State Teaching University, Chief Specialist of Scientific Direction of Quality Assurance Service

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჰუმანიტარული მეცნიერებები

- იოსებ ალიშვარაშვილი – გურჯიზადეს და ქუჩუკ ჩელები ზადეს ცნობათა მნიშვნელობა ატენის (გუფთას) ბრძოლის დეტალების და ზუსტების თვალსაზრისით – 7
- აბდულმელიქ ალქანი – თურქეთში ქართველი იმიგრანტების დასახლების ზოგადი შეფასება რუსულ-თურქულ ომის დროს (1877-78) (ინგლისურ ენაზე) – 12
- დავით ახლოური – ქსნის საერისთავოს ურთიერთობა ოსმალეთთან – 15
- გიორგი ბაღათურია, თამთა ცხოვრებამე – მეორე მსოფლიო ომის დროინდელი თურქეთის რესპუბლიკის დიპლომატიის ძირითადი ასპექტები – 18
- თამარ გოგოლაძე – ლეილისა და მაჯუნის ამბავი და ორჰან ფამუქის „უმანკოების მუზეუმი“ – 23
- მარიამ კობერიძე – სიტყვათა რიგის ტიპოლოგია ქართულსა და თურქულში – 27
- ნესტან ლომია – ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და კონსტანტინოპოლის პატრიარქები – 30
- ემზარ მაკარაძე – თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები 1991-2010 წლებში – 34
- ელდარ მამისთვალაშვილი – ოსმალეთის სულთნების ფირმანები იერუსალიმის ქართული მონასტრების შესახებ (XVII ს.) – 38
- მანანა მიჩიტაშვილი – საციციანო ოსმალეთის პერიოდში (1723-1735 წწ.) ქართული და ოსმალური წყაროების მიხედვით – 43
- ნიკოლოზ ოთინაშვილი – ლიახვის ხეობის ტოპონიმები და ანთროპონიმები 1728 წლის თურქული აღწერის მიხედვით – 49
- გიორგი სოსიაშვილი – სამაჩაბლო „ოსმალეთის“ პერიოდში – 51
- ზურაბ სულაბერიძე – ფოთის ციხის პრობლემა 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში – 56
- ილიას უსტუნიერი – ქართველების წარმომავლობა აჰმეტ ჰამდი ტანპინარის ნარკვევების მიხედვით (თურქულ ენაზე) – 60
- მუჰამედ ქარაბაირი – თურქული ტელესერიალების საქართველოში მაუწყებლობის შეფასება: მისი გავლენა თურქულ ენასა და თურქულ კულტურაზე (ინგლისურ ენაზე) – 62
- ჰარუნ ჩიმიქე – ქალი ქართული და თურქული ანდაზების მიხედვით – 68
- მარინე ცერცვაძე – ქართველი ემიგრანტების რთული გზა თურქეთიდან ამერიკის კონტინენტამდე – 74
- ნაზი ხელაია, თენგიზ გუმბერიძე – ორჰან ფამუქის რომანები „თოვლი“ და „მე წითელი მქვია“ ქართულ ლიტერატურულ სივრცეში – 77

სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებები

- გიული გიგუაშვილი – თურქეთი > საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი – 81
- ლეილა მამულაშვილი – პირდაპირი თურქული ინვესტიციები საქართველოში – 85
- ნიკა ჩიტაძე – საქართველო-თურქეთის თანამშრომლობა როგორც შავი ზღვის რეგიონის მეგობრული ურთიერთობის მაგალითი (ინგლისურ ენაზე) – 89

CONTENTS

Humanities

- Ioseb Alimbarashvili** – *THE IMPORTANCE OF GURJIZADE AND KUCHUK CHELEBI ZADES NOTES TO SPECIFY THE DETAILS OF ATENI (GUPTA) BATTLE* – 7
- Abdulmelik Alkan** – *GENERAL ASSESSMENT OF GEORGIAN IMMIGRANTS' SETTLEMENT IN TURKEY WITH SPECIAL REFERENCE TO THE RUSSO-TURKISH WAR (1877-78)* (in English) – 12
- David Akhlouri** – *KSANI REALM RELATIONS WITH THE OTTOMAN EMPIRE* – 15
- Giorgi Baghaturia, Tamta Tskhovrebadze** – *MAIN ASPECTS OF THE DIPLOMACY OF REPUBLIC OF TURKEY DURING WORLD WAR II* – 18
- Tamar Gogoladze** – *THE STORY OF LEILI AND MAJNUN AND “THE MUSEUM OF INNOCENCE” BY ORHAN PAMUK* – 23
- Mariam Koberidze** – *TPOLOGY OF WORD ORDER IN GEORGIAN AND TURKISH LANGUAGES* – 27
- Nestan Lomaia** – *GEORGIAN ORTHODOX CHURCH AND PATRIARCHS OF CONSTANTINOPLE* – 30
- Emzar Makaradze** – *TURKEY-GEORGIA RELATIONSHIPS IN 1991-2010* – 34
- Eldar Mamistvalishvili** – *FIRMANS ISSUED BY OTTOMAN SULTANS ABOUT THE GEORGIAN MONASTERIES IN JERUSALEM (XVII C.)* – 38
- Manana Michitashvili** – *SATSITSIANO IN THE PERIOD OF OTTOMAN TURKEY (1723-1735) ON THE BASES OF GEORGIAN AND OTTOMAN SOURCES* – 43
- Nikoloz Otinashvili** – *TOPONYMS AND ANTHROPONYMS OF LIAKHVI GORGE ACCORDING TO RECORDS OF 1728* – 49
- Giorgi Sosiashvili** – *SAMACHABLO DURING THE OTTOMAN PERIOD* – 51
- Zurab Sulaberidze** – *THE PROBLEM OF THE POTI TOWER IN THE RUSSIAN-TURKEY WAR OF 1768-1774* – 56
- Ilyas Ustunyer** – *GEORGIANS IN AHMET HAMDİ TANPINAR'S WORKS IN TERMS OF LINEAGE* (in Turkish) – 60
- Muhammet Karabayir** – *EVALUATION OF THE TURKISH TV SERIES BROADCASTING IN GEORGIA: ITS EFFECTS ON TURKISH LANGUAGE AND TURKISH CULTURE* (in English) – 62
- Harun Chimke** > *WOMEN CHARACTERS IN GEORGIAN AND TURKISH PROVERBS* – 68
- Marine Tsertsvadze** – *DIFFICULT WAY OF THE GEORGIAN EMIGRANTS FROM TURKEY TO THE CONTINENT OF AMERICA* – 74
- Nazi Khelaia, Tengiz Gumberidze** – *NOVELS “SNOW” AND “ MY NAME IS RED “ BY ORHAN PAMUK IN GEORGIAN LITERATURE* – 77

Social and Economic Sciences

- Giuli Giguashvili** – *TURKEY - GEORGIA'S LARGEST TRADING PARTNER* – 81
- Leila Mamulashvili** – *DIRECT TURKISH INVESTMENTS IN GEORGIA* – 85
- Nika Chitadze** – *GEORGIA-TURKEY COOPERATION AS AN EXAMPLE OF THE FRIENDSHIP RELATIONS IN THE BLACK SEA REGION* (in English) – 89

ჰუმანიტარული მეცნიერებები

გურჯიზადეს და ქუჩუკ ჩელები ზადეს ცნობათა მნიშვნელობა ატენის (გუფთას) ბრძოლის დეტალების დაზუსტების თვალსაზრისით

იოსებ ალიმბარაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ატენის (გუფთას) ანუ ზედაველას ბრძოლა იმ ტრაგიკული ბრძოლების რიცხვს ეკუთვნის, რომლის ორივე მხარეს ქართველები იდგნენ. ამჯერად ქართლში გაბატონება კახეთის მეფე მაჰმადყული-ხანსა და იესე-მუსტაფას დაპირისპირებას უნდა გადაეწყვიტა.

აქვე შევნიშნავთ, რომ „ზედაველას“ სახელით ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია ორი ბრძოლა: ერთი მათგანი მოხდა XVIII ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში ხიდისთავ-ატენის გასაყართან, ხოლო მეორე 1789 წელს ყარაღაჯთან. ამჯერად ჩვენ პირველ მათგანზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ზედაველას, ანუ ატენის ბრძოლის აღწერას თავიანთ ნაწარმოებებში გარკვეულ ადგილს უთმობენ ვახუშტი ბატონიშვილი, დავით გურამიშვილი, იესე ტლაშაძე, თედო ჟორდანიას, ვარლამ დონდუა, ელდარ მამისთვალიშვილი, ნოდარ შენგელია, მიხეილ სვანიძე, გიორგი ნატროშვილი და სხვები. ზედაველას ბრძოლას ჩვენც სპეციალური გამოკვლევა მივუძღვენით **[1,2008:153-162]**. ამის მიუხედავად, ბრძოლის თარიღთან დაკავშირებით, ასევე ლოკალიზაციის თვალსაზრისით, დღემდე მკვლევართა შორის ერთიანი მიდგომა არ არსებობს და ოსმალთა ავტორების - გურჯიზადესა და ქუჩუკ ჩელები ზადეს - ცნობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ძალზე ცოტა რამ ვიცით გურჯიზადეს შესახებ. ცნობილია, რომ იგი წარმომავლობით ქართველია და მის ნაშრომს ჰქვია: „თბილისის დაპყრობის წიგნი, ქნილება გურჯიზადეს კალმისა, დაიწერა და შედგა ალექს ვალის რეჯებ ფაშასათვის“ და ჩვენამდე ორი ხელნაწერთაა მოღწეული. ერთი დაცულია სტამბოლში, სულეიმანის მეჩეთში, ესად ეფენდის ბიბლიოთეკაში, ხოლო მეორე – ბრიტანეთის მუზეუმში. „თბილისის დაპყრობის წიგნი“ ქართულად თარგმნა და 1975 წელს გამოსცა ცისანა აბულაძემ **[9,1975:5-83]** და მაშინვე იქცა ქართული ისტორიოგრაფიისათვის რეზონანსულ ნაშრომად **[22,1975:221-222; 27,1978:156-160; 19,1978:160-164]**. 2012 წელს სტამბოლში მურად ქასაბის (ქასაყაშვილის) მიერ გამოცემულ ნაშრომში „ოსმალეთის ქართველები“, გურჯიზადეს სახელით ეთნიკურად ქართველი რამდენიმე ოსმალთა მოხელეა მოხსენიებული **[23,2012:134-135; 142; 161-162; 164; 210]**. მათგან ჩვენს ყურადღებას ჰაალილ ფაშა (გურჯიზადე) იპყრობს, რომელიც XVIII ს-ის 60-იან წლებში მოღვაწეობს და შთამომავლობითაც ქართველია **[23,2012:134]**. შესაძლოა სწორედ მათგან მომდინარეობდეს „თბილისის დაპყრობის წიგნის“ ავტორი.

გურჯიზადეს სპარსული განათლება ჰქონდა მიღებული. გიორგი ფუთურიძე მიიჩნევს, რომ იგი ადრე სპარსელების სამსახურში იმყოფებოდა და მხოლოდ ქართლში „ოსმალეთის“ დამყარების შემდეგ გადავიდა გამარჯვებული ოსმალების მხარეს და რეჯებ ფაშას ხელქვეითი გახდა. ამიტომაც მხოლოდ მას უწოდებს „ჩვენს ბატონს“. აქედან მომდინარეობს მისი კარგი ცოდნა სპარსეთისა და ქართლის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების შესახებ **[22,1975:222]**.

გურჯიზადე აღწერილი მოვლენების თანამედროვე და თვითმხილველია. დეტალებში გადმოგვცემს 1723-1724 წლებში ოსმალთაგან ქართლის დაპყრობის ისტორიას, იბრაჰიმ, აჰმედ, რეჯებ და მუსტაფა ფაშას ქართლში შემოსვლას, ლეკებთან დაპირისპირებას დილომთან, შამშადილუსა და ყარსის აღებას, ახასიათებს თრიალეთს, საბარათიანოს, ქსნის საერისთავოს. იცის თემურ-ლენგის მიერ საქართველოს აოხრების შესახებ და ა. შ.

„თბილისის დაპყრობის წიგნის“ წერას გურჯიზადე შესდგომია ზედაველას ბრძოლიდან ერთი წლის თავზე, ჰიჯრით 1138, ანუ, 1725-1726 წელს. როგორც ჩანს, ნაშრომი მას ზემდგომთა დავალებით დაუწერია, როგორც თვითონ ამბობს თხზულების ბოლოს, ამ წიგნის „დაწერა მიბრძანესო“ **[9,1975:46]**.

რაც შეეხება ქუჩუკ ჩელები ზადეს, მისი სრული სახელია ჩელები ზადე ისმაილ ასიმ ეფენდი. იგი 1722-1729 წლებში „ბრწყინვალე პორტას“ კანცელარიას ხელმძღვანელობდა და ოფიციალურად ევალეზოდა ყველა მნიშვნელოვანი ფაქტისა და მოვლენის რეგისტრაცია **[25,1974:108-111]**. იგი ვრცლად გადმოგვცემს თბილისისა და გორის ციხეების დაპყრობას ოსმალთა მიერ.

როგორც ითქვა, ზედაველასთან დაპირისპირება ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია ატენის [18,1979; 11,1959], ან გუფთას [2,1973; 24,III,1967; 21,1962; 15,1976,1] ბრძოლის სახელით. ვახუშტი ბატონიშვილი გუფთას მიუთითებს დიდი ლიახვის ხეობაში, მის მარჯვენა მხარეს, ფაწას შესართავთან [2,1973:371] (კეხვის მახლობლად - ი. ა.). იგივეს ადასტურებს ი. გიულდენშტედტიც [6,I,1962:101; 277; 279]. ამავე დასახელების სოფელი დღესაც არსებობს ლიახვის ხეობაში, რომელსაც, რა თქმა უნდა, საერთო არაფერი აქვს ზედაველას ბრძოლასთან.

ძველი საისტორიო საბუთების მიხედვით, „გუფთა“ მდებარეობდა სოფელს ხიდისთავს „ქვეით“ [7,№9435:1], (ანუ აღმოსავლეთით), და, სავარაუდოდ, მდ. მტკვრის მახლობლად, რადგან 1539 წლის დოკუმენტში მითითებულია ხიდისთავში „გუფთას ჭაობი“ [16,№1451,1-2], რომელიც ამ მდინარის ზემოქმედებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ბრძოლის აღწერისას ამ ფაქტს გარკვევით მიანიშნებენ ქუჩუქ ჩელები ზადე და გურჯიზადეც. ჩელები ზადე ერთგან წერს: „მოედნის შუაგულში დარჩენილ ქვეითთაგან ...ვინ მტკვარში ჩაყარეს და მტკვარმა დაახრჩო“ [9,1975:55], ხოლო გურჯიზადე ქართველთა მხრიდან მსხვერპლის რაოდენობის აღნიშვნისას, „მტკვრის წილ ხვდომილ 300-400 ცხენოსანს“ ასახელებს [9,1975:39].

თვით ბრძოლას რაც შეეხება, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, მაჰმადყული-ხანი გორის ჩრდილო-აღმოსავლეთით, თედოწმინდასთან, იყო გამაგრებული და მას შემდეგ, რაც გორის ციხეში გამაგრებული იესეს დასახმარებლად თბილისიდან ოსმალთა წამოსვლის ამბავი შეიტყო, მტრის ძალებისათვის შეერთების საშუალება რომ არ მიეცა, მტკვარი გადალახა და ატენთან, გუფთასთან შეება მტერს [2,1973:508]. პროფ. ე. მამისთვალის მიხედვით კიდეც უფრო აკონკრეტებს პირველი ბრძოლის ადგილს და ატენის ბოლოს საარწივეს ქედს მიუთითებს [13,I,1994:89-90]. თავდაპირველად კონსტანტინეს ჯარმა გაიმარჯვა, მაგრამ შემდგომ, შინაღალატის წყალობით, დამარცხდა [21,1962:35; 8,VIII,1984:397].

ბრძოლის პირველ ეტაპზე გურჯიზადეც მიანიშნებს, მაგრამ მისი ცნობით, ქართველებმა ამ დროს დაამარცხეს არა მთელი ლაშქარი, არამედ ოსმალთა მეწინავე რაზმი: „მათ (კონსტანტინეს ჯარმა - ი. ა.) შენიშნეს, რომ ლაშქარზე ადრე მოსული გულოვანი ვაჟკაცები მცირერიცხოვანნი არიან. ...ერთხელ დაუპირისპირდნენ და უკან დაახევინეს, მათ შორის მდებარე მთის მწვერვალამდე მირეკეს“ [9,1975:39].

მალე ზედაველაზე ოსმალთა ძირითადი ჯარიც მივიდა, რის შემდეგ, კონსტანტინეს ჯარმა ჭარბი ძალების შემოტევას ვეღარ გაუძლო და უკუიქცა. ამ ფაქტს გურჯიზადე შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს: „მხედრებმა გაქცევით უშველეს თავს და სამშვიდობოს გავიდნენ. ქვეითებმა როცა დაინახეს, რომ ცხენოსნებმა ზურგი შეაქციეს ხალიჩების ხელში ჭერის ძალაც კი წაერთვათ, რომ აუცილებელი ლოცვა აღესრულებინათ.

... მხედრებს დაედევნენ (ოსმალები - ი. ა.), ფონის მიდგომამდე არც კი მიაღწევინეს, მტკვარში ყველაზე ღრმა წყალში შერეკეს. გზაში, ვიდრე მდინარის ნაპირს მიაღწევდნენ, სულ ხოცავდნენ, წყალში შეყრილების ბედი კი მდინარე მტკვარმა განსაჯა. იქიდან გამობრუნდნენ და გაშლილ ველზე მიმოვანტული ურიცხვი ქვეითი ისე ჩეხეს ხმლით, რომ ცაში მარხის გამოცდილ თვალსაც კი სისხლის ასეთი ოხშივარი არ უნახავსო“ [9,1975:39].

ბრძოლის ფინალურ სცენას ავსებს ქუჩუქ ჩელები ზადე: „მთებში მხედრები დაბინავდნენ და მთის ძირას და ფერდობებზე კი ქვეითები (საუბარია კონსტანტინეს ჯარზე - ი. ა.). გასასვლელელებში, როგორც წინ, ასევე უკან მეთოფეები ჩააყენეს ...ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ცხენოსნებმა, გაძლიერების მიზნით ქვეითებთან შეერთება მოინდომეს, მაგრამ ავღანმა მეთოფეებმა გზა გადაუჭრეს. იძულებულნი გახდნენ (კონსტანტინეს მხედრებს - ი. ა.) აღვირი მოებრუნებინათ და მთებში გაქცეულიყვნენ ...მოედნის შუაგულში დარჩენილ ქვეითთაგან ვის ხმლით შეუნგრიეს მკერდი, ვინ მტკვარში ჩაყარეს და მტკვარმა დაახრჩო“ [9,1975:55].

როგორც ვხედავთ, ორივე ოსმალთა ისტორიკოსი საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას იძლევა ზედაველას ბრძოლის პერიპეტეების შესახებ. ე. ი. კონსტანტინეს ჯარის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ ქვეითები, რომელიც კონსტანტინემ ზედაველას გაშლილ ველზე განალაგა (იხ: დანართი № 1), ხოლო მხედრები თბილისიდან მომავალ ოსმალებს ატენის ვიწროებში დაახვედრა, რათა გორის ციხეში თავშეფარებულ იესესთან შეერთების შესაძლებლობა მოესპო. კონსტანტინეს მხედრებმა მართლაც დაამარცხეს მტრის ავანგარდი, მაგრამ ძირითადი ჯარის შემოტევას ვეღარ გაუძლეს და პირი იბრუნეს.

მოცემული ცნობების მიხედვით, კონსტანტინეს მხედრებმა ზედაველადან პირი ჩრდილო-დასავლეთით იბრუნეს. მართლაც, სხვადასხვა ცნობებიდან ჩანს, რომ უკანდახეული კონსტანტინე მტკვრის მარჯვენა ნაპირს აუყვა, ხვედურეთისაკენ გაიქცა, სამწვერვისის ფონს გავიდა და მზის ჩასვლისას უკვე კახეთში იყო [21,1962:24].

ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მაჰმადყული ხანის ქვეითები. ისინი ზედაველადან დღევანდელი ხიდისთავის მიმართულებით დაემუნენ იმ იმედით, რომ მტკვრის ფონს გადალახავდნენ და გორი-კვერნაქის ქედით სამშვიდობოს გავიდოდნენ, მაგრამ მდინარის ფონს ვეღარ მიაღწიეს, როდესაც

მტერმა მოუსწრო. ამიტომ იყო, რომ კონსტანტინეს მხარეს მებრძოლ დაღუპულთა უმრავლესობა ქვეითი იყო.

მნიშვნელოვანია გურჯიზადესა და ქუჩუქ ჩელები ზადეს ცნობები ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მონაწილის, გივი ამილახვრის, პოზიციის შესახებ, რომელიც ზედაველაზე კონსტანტინეს მხარეს იბრძოდა და ბრძოლის ველი მასთან ერთად მიატოვა. ზოგიერთი ქართველი ავტორი მიიჩნევს, რომ ამილახვარი მყარად იდგა ქართულ პოზიციაზე და კონსტანტინეს განდგომამდე მეთაურობდა კიდევ ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყებას [25,1974:212; 15,I,1976:146-147], მაგრამ ზედაველადან მისი გაქცევა შემთხვევითი არ უნდა იყოს. გურჯიზადეს მიხედვით, გივი ამილახვარი ოსმალებს კონსტანტინეს მიერ გორის ციხეზე შესაძლო შეტევის შესახებ წინასწარ ატყობინებდა და შესაბამისი ზომების მიღებას სთხოვდა: „ამილახვრის შვილი გივი ბეგის აზრით, თხოვნითა და წერილებით მაცნეები მოვიდნენ და კვნესითა და ტირილით თავიანთი უმწეო მდგომარეობა მოახსენეს და დახმარება ითხოვეს - უსჯულოთა ტომი ურიცხვი ლაშქრით ყარაყალკანისა და ქსნის მთებიდან ჩამოვიდა. გზად რაც კი შეხვდათ - სოფელი და დაბა დაწვეს და გაანადგურეს ...ხვალ თუ არა ზეგ გორის ციხეს ალყა უნდა შემოარტყან ...გორის ციხის რაბათში თავიანთი დამპყრობი ფეხი ერთხელ თუ შედგეს, ხსენებული ციხიდან ხეირი აღარ იქნებაო“ [9,1975:36].

საგულისხმოა, რომ 1724 წელსვე ოსმალეთის სულთანმა გივი ამილახვარს საგანგებო ფირმანით უბოძა: „სახელო მამისა, ყმა და მამული“ [17,1980:57], ამ ამბებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, 1727 წელს - ზემო ქართლი, ხოლო 1728 წელს `თბილისის სანჯაყსა და გორის ნაჰიეში მდებარე სოფ. სინვალი (ცხინვალი - ი. ა.) 66 832 ახჩის შემოსავლით“, რაშიც ხაზს უსვამდა ამილახვრის დამსახურებას: `გივი ამილახორ-ოღლი ერთგულად გვემსახურა, მას დიდი შრომა აქვს გაწეული ლეკების შემოსევისას გორის ციხის დაცვაშიო [25,1974:222].

ეს ფაქტი კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს, რომ ზედაველაზე ამილახვარი ოსმალებთან ალიანსში იყო. სხვა შემთხვევაში მათ წინააღმდეგ მებრძოლ გავლენიან თავადს ასეთ წყალობას, ბუნებრივია, სულთანნი არ უბოძებდა.

გურჯიზადესა და ქუჩუქ ჩელები ზადეს ცნობები ასევე ავსებს ქართულ წყაროებს ზედაველაზე საბრძოლო ძალთა რაოდენობისა და განლაგების შესახებ.

ქართველთა ჯარის რაოდენობას ზოგადად გვამცნობს გურჯიზადე: „...მოლაშქრებმა (ოსმალებმა - ი. ა.) დაინახეს, რომ წინ მდებარე მთები და ხევები - მთელი მიდამო - ავისილია ავბედითი ლაშქრის (იგულისხმება კონსტანტინეს ჯარი - ი. ა.) გმირობით“ [9,1975:39].

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, კონსტანტინეს ჯარს შეადგენდნენ: კახელები, თუშები და „ფშაველ-ჭვესურნი“. მუხრანში კონსტანტინეს მიგებებიან „არაგუ-ქსნის ერისთავნი“, ხოლო თედოწმინდაში „მუნ მოერთუნენ ზემოქართლ-საციციანონი სრულიად“ [2,1973:508; 622-623]. იესე ტლაშამე ამ ჩამონათვალს დიდოელებსაც უმატებს [21,1962:19]. ქუჩუქ ჩელები ზადეს თქმით, კონსტანტინეს ჯარში იყვნენ ყარაყალკანისა (არაგვის) და ქსნის ერისთავები 10 ათასზე მეტი მოლაშქრით [9,1975:54].

ვარლამ დონდუა, ეყრდნობა რა ი. ჰამერის ცნობას, განმარტავს, რომ ქართველების გარდა, კონსტანტინეს დროშის ქვეშ იბრძოდნენ განჯის, შამშადილუს და ლეკთა დაქირავებული რაზმები, მის მხარეზე უნდა ებრძოლათ ასევე სომხებსაც, რადგან კონსტანტინე ერევნის ბატონიც იყო [11,1959:106].

იგივე ავტორი იესეს ჯარს განსაზღვრავს საბარათიანოს, რეჯებ-ფაშას (თბილისის), იუსუფ ფაშას (გორის) და ისაყ ფაშას (ჩილდირის) რაზმებით [11,1959:107], თუმცა, გურჯიზადეს ცნობით, რეჯებ ფაშას ზედაველას ომში მონაწილეობა არ დასტურდება. მან იესეს ოსმალთა ჯარი კი გაუზზავნა, მაგრამ თავად თბილისთან ელოდებოდა მას .

ქუჩუქ ჩელები ზადეს ცნობით, იესეს ჯარში იბრძოდნენ ჩორუმის ბეგლარბეგი ალი ფაშა და ავღანელი მეთოფეები [9,1975:55]. გ. ნატროშვილი, ფრანგი ისტორიკოსის - კლერაკის ცნობაზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ რეჯებ ფაშას მიერ გორში გამოგზავნილ ოსმალთა რიცხვი 6000-ს უდრიდა, ამას ემატებოდა იესე მუსტაფას, ერასტი ყაფლანიშვილის და საბარათიანოს ჯარები [15,I,1976:152].

უნდა ვივარაუდოთ, რომ როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს იბრძოლებდა ადგილობრივი მოსახლეობაც, რასაც იასე ტლაშამის გარდა, ადასტურებს ამ ამბიდან რამდენიმე წლის შემდეგ ქართლის მმართველ - ისაყ ფაშას როინ ჯავახიშვილისადმი მიწერილი წერილიც: `მანდ ნიკოლოზ რომ ატენის ომში მოკლეს, მისი მამულის გარდა, რაც მანდ მამული, სახლი, გლეხი გა[ს]ყიდულა ...შენ გებარებოდესო“ [10,I,1965:207].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ორივე მხრიდან ამ ბრძოლაში მონაწილეობა მინიმუმ 25 - 30 ათას კაცს მაინც უნდა მიეღო.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, რომელსაც გურჯიზადე აზუსტებს, ისაა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა კონსტანტინეს არ თანაუგრძნობდა. მოსახლეობის ამ ნაწილში იგი გორელ სომხებს

გულისხმობს. ბრძოლის დამთავრების შემდეგ, გორელი „ღარიბი სომხები თვითონ ანთებდნენ სახლებში ჩირაღდანს და ისე მომეტებულად მხიარულობდნენ და ზეიმობდნენ, რომ აღწერა შეუძლებელიაო“ [9,1975:40].

კონსტანტინე მაჰმადყული ხანს რომ ქართლელები არ თანაუგრძნობდნენ, ქართველი მემკვიდრეების ცნობებიდანაც დასტურდება. ვახუშტის ის ფრაზა, რომ „ეზრახნენ ქართველნი მაჰმადყული-ხანს, რათა მივიდეს სპითა კახეთისათა, განაძონ ოსმალნი და იყოს მეფედ მათდაო“ [2,1973:622], სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართლელები მას მეფედ იწვევდნენ. შესაძლოა კახეთის ხანს ქართლის დაუფლების სურვილი მართლაც ჰქონოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ზედაველაზე მას ქართლელ-კახელთა ჯარის საერთო მეთაურობაც კი არ ჩააბარეს [14,1,2007:71].

ბრძოლის მიმდინარეობა გვიჩვენებს, რომ ჯარის მეთაურობად ზედაველაზე კონსტანტინე მაჰმადყული-ხანთან ერთად გივი ამილახვარი და ოთარ არაგვის ერისთავი არიან.

ადგილობრივი მოსახლეობაც ძალეუბს არათანაბრად აფასებდა და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის გამართვას მიზანშეუწონლად მიიჩნევდა. ბრძოლის წინ ქართლელთა განწყობილებას იესე ტლაშაძე შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს:

„არ მოიწონებს ამასა კაცი ჭკვიანი, ბრძენია,
ჩვენ რომ ვჰმალე ვკრათ ხვანთქარსა, მოგონდეს საქმე ძველია,
ვერას დავაკლებთ კეისარს, არტყია ვჰმალე გმელია,
და ქართლს ააოკრებს ერთპირად, არ მორჩეს მამა ძენია“ [21,1962:21].

ქართლელებს არც კონსტანტინეს მიერ ზედაველაზე მოყვანილი თუშების ეიმედებოდათ, რადგან ბრძოლის წინ მათი მოტივაცია დაბალი („ჩვენ თუშთ აყოლა რას გვარგებს, წავლენ ზურგს შემოგვაქცევენ“) იყო [21,1962:21].

რაც შეეხება ზედაველას ბრძოლის თარიღს, თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ მიხედვით, იგი უნდა მომხდარიყო 1724 წლის 15 ოქტომბერს [24,III,1967:93]. თარიღის გარეშე, 1724 წლის ოქტომბერს მხარს უჭერს მარი ბროსეც, ოღონდ ზედაველას ნაცვლად, იგი თედოწმინდასთან ბრძოლას ასახელებს [5,II,1900:64-65]. ნ. ბერძენიშვილი, თ. ბოცვაძე და გ. მასისურაძე ამ ბრძოლას 1725 წლით ათარიღებენ [3,II,1965:162; 4,1990:165; 12,1982:230]., ვ. დონდუა და ე. მამისთვალიშვილი 1724 წელს მხარს უჭერენ, მაგრამ თარიღს არ აკონკრეტებენ [11,1959:105; 13,1,1996:88]. ამ საკითხში შედარებით მეტი სიცხადე შეიტანა მ. სვანიძემ. მან სხვადასხვა ცნობებზე დაყრდნობით დაასაბუთა, რომ იგი უნდა მომხდარიყო 1724 წლის 23 სექტემბერს, ან ორი-სამი დღის შემდეგ [20,1990:344-345].

დავიწყოთ იმით, რომ ზედაველას ბრძოლა არაუადრეს 1724 წლის 15 ივლისისა და არაუგვიანეს - ოქტომბრისა უნდა მომხდარიყო, რადგან, 15 ივლისამდე ვახტანგ VI აუცილებლად მიიღებდა მასში მონაწილეობას, რაც წყაროებით არ დასტურდება. უფრო მეტიც, ვახუშტი ბატონიშვილი მკაფიოდ განმარტავს, რომ კონსტანტინე ქართლელებმა ვახტანგის რუსეთში წასვლის შემდეგ მიიწვიეს, რადგან უმეფოდ დარჩნენ და ოსმალთა ბატონობა დამყარდა („შემდგომად ვახტანგ მეფის წარსვლისა რუსეთს ეზრახნენ ქართველნი მაჰმად-ყულიხანს, რათა მივიდეს მათთაო“).

გარდა ამისა, შიდა ქართლში ოქტომბრის მეორე ნახევრიდან ხანგრძლივი წვიმები იწყება და, ვინც ზედაველას თიხიან ნიადაგს მეტ-ნაკლებად იცნობს, არათუ მაშინ, თანამედროვე პირობებშიც კი, წვიმიან ამინდში მასზე გადაადგილება თითქმის შეუძლებელია, ამდენად, ატალახებულ ზედაველაზე ბრძოლის გამართვა ორივე მხარისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხელახლა გაქრისტიანებული კონსტანტინე იესე-მუსტაფასთან ურთიერთობის გარკვევას დიდხანს არ დააყოვნებდა, ბრძოლის სავარაუდო თარიღი შეიძლება კიდევ უფრო დაზუსტდეს.

გურჯიზაძეს მიხედვით, ოსმალთა ლაშქარი თბილისიდან გამოვიდა ასოცდაჩვიდმეტი წლის მუჰარემის დასაწყისში, კვირა დღეს და მეორე დილას უკვე გორში, მტკვრის პირას იდგა [9,1975:37-38]. ასოცდაჩვიდმეტი წლის მუჰარემის დასაწყისი, მაჰმადიანური კალენდრის მიხედვით, 1724 წლის სექტემბრის ბოლო დეკადაა.

1724 წელი ნაკიანია, აქედან გამომდინარე, აღნიშნული თვის ბოლო კვირა დღე უწევს 25 სექტემბერს, ე. ი. ოსმალთა ლაშქარი გორში მოსულა 26 სექტემბერს, ორშაბათს. გურჯიზაძეს თქმით, ისინი მაშინვე ჩაბმულან ბრძოლაში და კონსტანტინეს ჯარის დამარცხების შემდეგ, „გამარჯვებულმა და ძლევამოსილმა მუსლიმმა გმირებმა გორის ციხეს მიაღწიეს, ის ღამე ციხის წინ გაათენეს და მეორე დღეს ზემოხსენებულ მის აღმატებულებასთან (იგულისხმება რეჯებ ფაშა – ი. ა.) გამობრუნდნენ“ [9,1975:38-40]. ქუჩუქ ჩელები ზადე შენიშნავს, რომ ქართლში გამარჯვების ამბავი, „რომელსაც კვალდაკვალ მოჰყვა ერევნის ადების სამახარობლო ცნობა, საფარის თვის დასაწყისში¹ მოვიდა (სტამბოლში – ი. ა.) და მთელი

¹ იგულისხმება 1724 წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვები.

მორწმუნე ხალხი ტკბილმოუბარი ერთი მადლობას სწირავდა და ლოცვა კურთხევას უგზავნიდა რეჯებ ვაშასო“ [9,1975:55].

სომხური წყაროებით, ოსმალებმა ერევანი 1724 წლის 28 სექტემბერს აიღეს [28,1988:17-18], რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს თვალსაზრისს ქართლში ბრძოლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში (28 სექტემბრამდე) გამართვის შესახებ, მაგრამ ერევანთან გამარჯვების ამბავი „პორტას“ დედაქალაქში მხოლოდ ოქტომბრის ბოლოს მისულა.

როგორც ვხედავთ, გურჯიზადე და ქუჩუქ ჩელები ზადე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან და ავსებენ ქართულ წყაროებს XVIII საუკუნის 20-იან წლებში ზედაველაზე გამართული ერთი ბრძოლისა, და, ზოგადად, ქართლში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

მიუხედავად წარმომავლობისა, გურჯიზადე მაინც ოსმალთა ისტორიკოსია. მთელ რიგ შემთხვევებში მას ობიექტურობის განცდა ღალატობს და ცდილობს ფაქტები „პატრონისათვის“ სასიამოვნოდ წარმოაჩინოს. მაგ., იგი ბევრად კეთილგანწყობილია ლეკებისადმი, სანამ ისინი „პორტას“ მეტოქე სპარსეთს და მის მოკავშირე ქართლსა და კახეთს არბევენ, მაგრამ, როგორც კი 1723 წლიდან ქართლი სულთნის ქვეშევრდომი ხდება, ლეკები „დიდი და პატარა, ყველა ავაზაკი და ბოროტმზრახველია“ [27, №186, 1978:156-160]. ზედაველას ბრძოლის მონაწილე დავით გურამიშვილისა და იესე ტლაშაძის ცნობებთან შედარებით, გურჯიზადე ძალზე აზვიადებს ბრძოლაში მეტოქე მსხვერპლის რაოდენობას [1, №5-6, 2008:156]. მეორეგან ასევე მაღალფარდოვნად წერს, რომ „კარის მცველმა 300-400-მდე ფალავანმა მთელი ძალით დაარტყა იმ უკიდევანო ზღვა ლაშქარს და უკან დაახევინესო“ [9, 1975:39]. სხვაგან აღნიშნავს: „წარმართთა ხროვამ მოულოდნელად დაინახა, რომ მეწინავე მამაცი მეომრები ისე იყვნენ მოფენილი, როგორც ძლიერი ქარისაგან გაფანტული ხმელი ტოტები, ისლამის ლაშქრის შემოტევას ვერ გაუმკლავდნენ. პირდაპირ მათკენ წავიდნენ, მაგრამ ყველა დამარცხდა და პირი იბრუნაო“ [9, 1975:39]. თუმცა, არც ქართველთა თავდადებული ბრძოლის ეპიზოდები რჩება ყურადღების მიღმა და მათ შესახებ მიუთითებს: „დათვის თანავარსკვლავედამდე წევდნენ მაღლა მემამბოხე თავებსო“, „იყვნენ ურჩები და ფანატიკურად ქედუხრელნიო“, „აღვივებდნენ ეროვნულ ნაპერწკალსო“ [19, №2, 1978:160-164] და ა. შ.

დამოწმებანი:

1. ალიმბარაშვილი ს., „ზედაველას ბრძოლები“, ჟურნ. „განთიადი“, ქუთაისი, 2008, #5-6.
2. ბატონიშვილი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.
3. ბერძენიშვილი ნ., XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები ტ. II, თბ., 1965.
4. ბოცვაძე თ., ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში XV-XVIII ს.ს., თბ., 1990.
5. ბროსე მ., საქართველოს ისტორია, თარგმნილი და განმარტებული სიმონ ლოლობერიძის მიერ, ნაწ. II, ტფ., 1900.
6. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962.
7. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გიემ) ფონდი: „წერილები და საბუთები“. №9435, 1.
8. გურამიშვილი დ., დავითიანი, ქართული მწერლობა, ტ. VII, თბ., 1984.
9. გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1975.
10. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I. (XV-XVIII ს.ს.), ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1965.
11. დონდუა ვ., დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია, თბ., 1959.
12. მაისურაძე გ., ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII ს.ს., თბ., 1982.
13. მამისთვალისძე ე., გორის ისტორია, ტ. I, თბ., 1994.
14. მოსია ტ., ერთი პერსონაჟის წარმოსახვისათვის „ქართლის ჭირში“, სოხუმის უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, თბ., 2007.
15. ნატროშვილი გ., ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი. ჟურნ. „მნათობი“ 1976 წ. №1.
16. საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფონდი 1451. დავთარი. 1. წიგნი 2ა. საქმე. 1.
17. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVI-XIX ს.ს., ტექსტი, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები ავთანდილ იოსელიანის, თბ., 1980.
18. სვანიძე მ., ატენის ბრძოლის ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის, თურქული წყაროების მიხედვით, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი II, თბ., 1979.

19. სვანიძე მ., გურჯიზადე - თბილისის დაპყრობის წიგნი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე., ენისა და ლიტერატურის სერია, № 2, თბ., 1978.
20. სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.), თბ., 1990.
21. ტლაშაძე ი., ბაქარიანი, გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა. თბ., 1962.
22. ფუთურიძე გ., XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის ახალი თურქული წყარო, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, №165, თბ., 1975.
23. ქასაბი მ., ოსმალეთის ქართველები, სტამბოლი, 2012.
24. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი III (1700 წლიდან XIX ს-ის 60-იან წლებამდე), გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967.
25. შენგელია ნ., XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974.
26. შენგელია ნ., ოსმალთა ისტორიკოსი ჩელები ზადე თბილისისა და გორის ციხეების დაპყრობის შესახებ, აკად. ს. ჯიქიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III, თბ., 1973.
27. ჩოჩიევი გ., გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, №186 (აღმოსავლეთმცოდნეობა), თბ., 1978.
28. 1722-1736 1988. ელ. რესურსი:
<http://www.vostlit.info/>

THE IMPORTANCE OF GURJIZADE AND KUCHUK CHELEBI ZADES NOTES TO SPECIFY THE DETAILS OF ATENI (GUPTA) BATTLE
Ioseb Alimbarashvili, Gori State Teaching University, Associate Professor
RESUME

The abstract discusses an important battle, known as the battle of Zedavela, Ateni, Gupta in the historiography, was held between the King of Kakheti -Mohammed Quli Khan and Jesse (Ali-Quli Khan, Mustafa Pasha) King of Kartli in the early 20-ies of the XVIII century in Kartli.

An important part of the abstract is based on the notes of the Ottoman historians Gurjizade and Küçük Çelebi-zade and presumably they were participants of the battle.

The author of the abstract follows on the Georgian and foreign sources of Gurjizade and Küçük Çelebi-zade and specifies date of the battle, place, number of participants, the identity and etc.

GENERAL ASSESSMENT OF GEORGIAN IMMIGRANTS' SETTLEMENT IN TURKEY WITH SPECIAL REFERENCE TO THE RUSSO-TURKISH WAR (1877-78)¹

Abdumelik Alkan, International Black Sea University, Lecturer

The purpose of this research is to outline the main features Georgian immigrants in Turkey. I will use two major research strategies: comparative analysis and a mixed method of qualitative and quantitative research based on the available data, reports from official institutions, and published literature concerning the field of study. The first phase of the research gives a brief overview of historical immigration agreements between both countries and mainly examines the settlements of Georgian immigrants in Turkey starting from nineteenth century. The second phase of the study examines the incentives behind the immigration concerned as well as the disadvantages. Factors such as the role of historical ties, geographic proximity, geopolitical transit and destinations, and bilateral economic agreements behind the flow of immigration are mentioned.

Keywords: Immigration, Georgia, History, Settlements, Turkey

Introduction

When Georgia experienced difficulties in the past, Turkey was always there for Georgians and Georgia's relationship with Turkey was basically different than that between Turkey and Azerbaijan or Armenia. For Georgians, Turkey has

¹Called the "93 War" in Turkey and Ottoman Empire territories.

been a destination for mass immigration caused by political and other factors through history (Putkaradze, 1995). Historian Murat Kasap's *OsmanlıGürcüleri (Ottoman Georgians, 2012)* presents the responsibilities and accomplishments of 1200 Georgians during the Ottoman Empire and gives an impression of the overall relationship of Georgia to Turkey over many centuries, including Georgian mothers of Ottoman grand viziers. The migration relationship continued in a looser sense after Russia acquired Batum and Çürüksu in the aftermath of the Russo-Turkish War of 1877-1878, known as "The War of 93" among Georgians and beyond. This was a tradeoff for some of the war's indemnity enforced upon the Ottoman Empire being defeated elsewhere in the region. There had been an ebb and flow of people from Ajara previously. The Ajaria, who fought with the Ottomans against Russian forces in 1877-1878, were Georgian-speaking Muslims who lived in the regions of Batum and Çürüksu, coastal southwest Georgia.

Another of the autochthon people living on the Black Sea Coast were named Abkhazians who were closely related to the Adyges and the Ubkys inhabited in the territory of the Georgia. Due to the Russian expansionist ambitions ended up annexation of the Georgia in 1801 and Abkhazian lands were occupied by Russian and Abkhazians revolt against the tsarist expansionist rule. After that incident nearly two hundred thousand Abkhazians which constituted the half of the populations were subjected and forced to immigrate to the Ottoman Empire in 1860. (Dzidzariya, p.157.) Abkhazian settlement mainly was implemented and determined to be in Eastern Marmara region and they were treated as the same way as Adyges which was another ethnically close to the Abkhazians.

These and other peoples were coming and going as they liked during the Ottoman Empire and 200,000 fled their homelands and entered some of the remaining parts of the empire rather live under Russian rule (Özel, n.d.). The Batum immigration that started during the war had two main destinations. The first was the Black Sea coast, which shared the climate of Ajara. Those immigrants were settled along the coast at nearly every district from Artvin to Sinop. The second destination was Gemlik and negöl in Hüdâvendigâr Province. About 50 Batum immigrant villages are located there. According to the Hüdâvendigâr Salnâme (The Yearbook of the Hüdâvendigâr Province) the population of these villages was 3,775.

After the collapse of the Soviet Union, economic migration from Georgia to Russia and Turkey advanced and Turkey continues to be a major destination absorbing 32% of Georgian emigration followed by Russia (29%) and Greece (13%). This involves mostly people of lesser education and skills, where the more educated and skilled more often go to the United States, Italy, and Germany (DRC and ICMPD, 2013)

What do we know about the history of the emigrating Ajaria during and after the War of 93?

As mentioned above, 200,000 (or well more) Ajaria fled Georgia during and after the War of 93. Ajaria and other groups continued their migrant streams to Turkey up to World War II due, especially, to their status as Muslims with Russian overlords. But little has been published about how the Ottoman administration may have been involved in selecting destinations for them or facilitating their integration into those destinations. Social, economic, and political issues that resulted from the 1877-78 war between the Ottomans and Russia led to continuing emigration from the North and South of Caucasus which continued until World War II in 1940. The present study seeks to characterize the initial period and discover where and why the refugees from the War of 93 settled where they did and the extent to which Turkey's government was involved.

There had been a previous period of substantial migration from Georgia to Turkey associated with the Russo-Turkish War (1828-29). In both cases elevated emigration occurred during the war and became the head of migrant streams that continued after the war due to their lands falling into the hands of Russia. So, too, would be the case in 1921 when other sectors of the region were ceded to the Soviet Union and elevated emigration resulted.

The author's present work has been focused on the migrant streams associated with and after the War of 93. There is some hope of finding a bit of detail about the character of the streams that developed 1828-1829 and thereafter. But there is also the reality that more records for 1877-1878 and thereafter are likely to exist for comparison to a third period of emigration from 1921 onwards. This was occasioned upon negotiation of the Treaty of Kars with the Soviet Union whereby Turkey abandoned the last of its claims to parts of Georgia.

Were these three periods of exodus to Turkey managed in the same way by the Turkish governments of the time? Were the migrants involved specifically directed to existing Ajaria settlements? What then became of them over time? The first stage of research is simply to be clear about where the migrants settled and then in each case to be as clear as possible about how that came to be.

Experiences of the Ajaria under Russian suzerainty during and after the War of 93

Emigration from Ajara and the south Caucasus occurred at the onset of Russian atrocities and hard power policies in the region and Russia's special ambition to get the ethnic minorities under control. Social, economic, and political issues that emerged during the 1877-1878 war between the Ottomans and Russia led to a wave of emigration to Turkey that continued until World War II in 1940. Russian and Ottoman competitive politics over the Caucasus was the main motive for emigration in the areas where Russia held sway. Emigration is the common human response to displacement or when unable to suffer the violence or simply the indignities of conquest (Saydam, 1997). In the present study, immigration from Northern and Southern Caucasus to Anatolia is to be examined and characterized.

Ten thousand years of the settlement history of Anatolia are known to varying degrees and involve very rich and different migration experiences resulting in a situation today where cultural diversity is taken for granted. İlhan Tekeli (2008) in his book *Migration and Beyond* notes that "Anatolia with 10,000 years of immigration became a haven to diverse communities and a hub or center for cultural diversity which is today owed to those historical waves of immigration." Compared to the world in general and Europe in its specifics, nothing like the sort of immigration Asia

Minor has experienced for thousands of years emerged until well after World War II. There were the displaced people after World War II but the more profound and lasting sort of immigration transforming Europe today involves low birth rates of the established populations and immigrants from regions of higher birth rates, lower per capita income, or collapsing economies in the face of globalization.

So Europe today is somewhat more like the Ottoman heartland when it was more of a magnet for peoples of its empire than Europe ever was before. There was immigration during the British and French imperial periods, to be sure, but the present decades are redefining the “face” of Europe at a scale similar to what the Ottoman Empire experienced for centuries. See Erin (1966) for some insightful predictions. Colonialism allowed a certain amount of immigration and the right to migrate to the mother nation was granted, for instance, to the native people of its colonies in the French constitution of 1789 (Erin, 1966). But the floodgates opened in the post-colonial period as much due to the small postwar family size around much of Europe, creating a vacuum in the labor supply that was filled by immigrants from less developed countries and countries in economic transition after generations of communism. The sources of migration to Ottoman Turkey were relatively larger and lasted relatively longer. And it was those open doors through which the Ajaria fled at times, especially, of wars and their aftermath.

Immigration policy during the Ottoman Empire

From the time of the establishment of the Ottoman Empire there were many administrative plans for stable demographic inlets and outlets. Officials often did the census of both the general population and the military to plan and sustain an ethnic balance. There was also a land census when the population census was taken. The main immigration strategy of the Ottoman Empire was not only to ensure its sovereignty and it should not be thought that the process of settlement of the Georgian immigrants in the region took its natural course without the involvement of the Ottoman government. It is known from earlier instances of migration that the Ottoman administration attempted to organize the process directly by issuing detailed regulations concerning the settlement of refugees. It established an institutional body, generally called the “Commission for the Settlement of Immigrants (IskanMuhaciriKomisyonu)”, and appointed officials to run and oversee the settlement process. However, the situation in the Ordu region was somewhat unusual in that the government and the Commission appear to have appointed (Curuksulu Ali Pasha) as the Commissioner for the settlement of the Georgian immigrants (Özel, 2010:477).

In general, settlement was from Ordu to Samsun in the central Black Sea region and was similar to the immigration pattern among other ethnic groups. Transferred to temporary centers five years apart, they were soon accommodated by other Muslim families until allocated parcels of land of their own eventually establishing new villages with other immigrant Georgians (Özel, 2010:477).

Özel (2010:478) found that third generation Georgian immigrants related a story of their grandparents coming to a particular area, Ordu, on the central Black Sea coast and to the nearby districts of Fatsa and Unye after the ‘93 Harbi’. There was push and there was pull. The Russians encouraged them to leave and the Ottoman administration encouraged them to immigrate. One area where they were eventually assigned land was at Ordu, their first landing after a difficult sea voyage. Other land had been set aside for them by Ottoman officials but they refused to go further and were ultimately allowed to stay in Ordu as they requested (Özel, 2010:478). Özel (2010:479) relates other details of a general situation in which as many as 150,000 Georgians may have migrated by 1883 or 1884 during the five years or so after the 1878 Treaty of Berlin that ended the war, going mainly “further west to Samsun (including Terme, kars, carsamba and Bafra districts), Sinop, Kocaeli, Adapazarı, Inegol and Bursa while a few smaller groups were settled in the interior of the Black Sea region, in districts such as Sivas, Tokat and Amasya.” 1,034 immigrant families comprised of 4,254 individuals established 26 new villages. The highest concentration of immigrants in the Sancak was Ünye district. 3,900 Georgian immigrants were settled in the district; only 389 were recorded as not yet settled. The situation was similar in other districts. For example, 82 people from Çürüksu were settled in the Dü ünük village. While in the Terme district, 77 Adjarians were settled in the village of Me eli. 243 immigrants from Batum were settled in Çar amba Kumköy.

Consequently, the settlement policies of the Ottoman Empire were conducted by the special and careful commission that was called the commission of the emigration. The settlements in which Georgian immigration was placed were not randomly chosen or determined by Ottoman settlement commissions rather immigrants were settled due to the concerns of strategically interests. We also understand that the major conflicts such as 93’ war between Russian and Turkey and other conflicts in the Caucasus region caused the wave of the immigrations and Ottoman Empire’s willingness to accept immigrations and accept them as quest made the process go smoothly for settlement. Presumably, the future study will focus on the relatives and kinship if Russian, Georgian and Turkey archives meticulously examined with more empirical and qualitative research.

REFERENCES:

Caucasus Research Resource Centre (CRRC), Migration and return to Georgia: Trends, Assessments, and Potential, 2010, <http://www.crrc.ge/research/projects/?id=32>.

Dzidzariya G.A., Makhadjirstvo i problemyi istorii Abkhazii XIX stoletii (Sukhumi, 1982).

Eren, Cevat Ahmet (1966) Türkiye’de Göç ve Göçmen Meseleleri: Tanzimat Devri ilk Kurulan Göçmen Komisyonu Çıkarılan Tüzlükler. Nurgök Matbaası, İstanbul

Özel, Oktay (2010), *Migration and Power Politics: The Settlement of Georgian*

Saydam, Abdullah (1997). *Kırım ve Kafkas Göçleri (1856-1876)*, Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara

Tekeli, İlhan (2008), *Migration and Beyond*, History Foundation Yurt Publishing

ქსნის საერისთავოს ურთიერთობა ოსმალეთთან

დავით ახლოური, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: davit.akhlouri@mail.ru

ქსნის საერისთავო, საუკუნეების მანძილზე, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. ქსნის ერისთავთა რეზიდენციის ახალგორში გადმოტანისა და საერისთავოს საზღვრების სამხრეთით გავრცობის პარალელურად, ახალგორის, როგორც საერისთავოს პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. აქ არაერთხელ შემუშავებულა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გეგმები, მათ შორის ბახტრიონის ცნობილი აჯანყების (1660 წ.) წინ და შანშე ერისთავის მმართველობის პერიოდში, როცა ჯერ ოსმალებმა, შემდეგ კი ყიზილბაშებმა, ქსნის საერისთავოში რამდენჯერმე ილაშქრეს.

უფრო მეტი ცნობები ქსნის საერისთავოსა და ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ შანშეს ერისთავობის პერიოდიდან გვაქვს. თუმცა, ქსნის ერისთავების ოსმალეთთან ურთიერთობაზე საუბრისას უნდა გავიხსენოთ XVII საუკუნეში მოღვაწე შალვა ქსნის ერისთავი. იგი მოხსენიებულია 1609 წელს ცხირეთის მიდამოებში, თემძის ხეობაში მიმდინარე ბრძოლასთან დაკავშირებით. თურქ-ოსმალთა განზრახვას - მოულოდნელი თავდასხმით ხელში ჩაეგდოთ მეფე ლუარსაბ II, რომელსაც ისინი ირანული ორიენტაციის გამტარებლად მიიჩნევდნენ, თევდორეს თავდადებამ შეუშალა ხელი. ტაშისკართან გადამწყვეტი ბრძოლის დროს მოიხსენიება სწორედ შალვა, რომელმაც მომხდურთ ახალციხისკენ გასასვლელი გზა ჩაუკეტა (ღუნაშვილი, 23). შალვას შემდგომ მის ადგილს იესე იკავებს, რომელიც 1614 წელს ქსნის ერისთავად შაჰ-აბასს უნდა დაემტკიცებინა (ჯავახიშვილი, IV, 264). ვ. ღუნაშვილის გამოკვლევით, იესე ქსნის ერისთავად მოჩანს 1614-1626, 1632-1637 წლებში (ღუნაშვილი, 49). იესე გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ. როგორც შაჰ-აბასისაგან ხელდასხმული, სავარაუდოა, ერისთავობის პირველ წლებში ირანული ორიენტაციის ყოფილიყო. ქსნის ერისთავის პოლიტიკური ორიენტაცია გარკვეულწილად დამოკიდებული უნდა ყოფილიყო გიორგი სააკაძეზე. გიორგი იესეს სიმამრი იყო. სააკაძის ქალიშვილს როდამი რქმევია და იესესთან შესძენია ორი ვაჟი - იესე და ზაალი (ახლოური, 80). მოგვიანებით, იესე ყიზილბაშთა წინააღმდეგ იბრძვის, იგი აქტიურად მონაწილეობს 1625 წელს, მარაბდის ბრძოლის შემდეგ, ქსანზე ქარჩოხთან მომხდარ ბრძოლაში. ბრძოლის ადგილი ერისთავის საგანმგებლო ტერიტორია იყო და პარტიზანულ ბრძოლას მისი სიმამრი ხელმძღვანელობდა. ბაზალეთის ომში იესე კვლავ გიორგის მხარდამხარ იბრძვის თეიმურაზ I-ის წინააღმდეგ. როგორც ვიცით, დამარცხებული გიორგი სააკაძე ოსმალეთში გადაიხვეწა. იოსებ თბილელის ცნობით, ოსმალეთში გადახვეწილ სააკაძესთან და ქაიხოსრო მუხრან-ბატონთან ერთად უნდა ყოფილიყო იესე ქსნის ერისთავიც (ქართული მწერლობა, ტ. 6, 668). ვ. ხოცუაშვილი შენიშნავს: იესე „საკაძის ერთგული დარჩა ბოლომდე და მასთან ერთად დაილუპა შორეულ ოსმალეთში“ (ვ. ხოცუაშვილი, 4). ვერ დავეთანხმებით მკვლევარს, როგორც ცნობილია, იესე ქსნის ერისთავმა მოახერხა სამშობლოში დაბრუნება და 1632-1637 წლებში კვლავ საერისთავოს გამგებლად გვევლინება. შემდგომ პერიოდში ქსნის საერისთავოს, ძირითადად, ირანთან უხდება ურთიერთობა. ოსმალეთთან ურთიერთობის განახლება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის I ნახევარს უკავშირდება, შანშე ერისთავის ხანას. შანშე დათუნა ერისთავის შვილი იყო, რომელიც დ. გვრიტიშვილის დასკვნით, როგორც მისი წინამორბედი იესე ქსნის ერისთავი, კლასობრივ ბრძოლას შეეწირა (გვრიტიშვილი, ნარკვევები, II, 112). დათუნას გარდაცვალების შემდეგ, 1717 წელს „მენი მისნი წარვიდნენ კახეთს და დაიპყრა მამული მისი ვახუშტიმ. არამედ შანშე, ძე დათუნასი წარვიდა წინაშე ყეენისა ყაზიმის და მეფე ვახტანგა მოუწოდა მუნ წინაშე თვისსა. თავრიზიდან შთასრული შანშე ითხოვა მეფემან ვახტანგ ყეენისაგან, მოსცა და პატიმრად წარმოუგზავნა ბაქარს, ძესა თვისსა“ (ვახუშტი, 596-497). პატიმარყოფილი შანშე ქალაქიდან გაქცევას ახერხებს და თავის მამულში ბრუნდება. „მცირეს ჟამსა ქალაქიდან გაიპარა ერისთავისშვილი შანშე და მოვიდა თვისსა მამულსა“. (სენია ჩხეიძე, 329). როგორც ჩანს, ახალგორი, კარგად უნდა ყოფილიყო ამ დროისათვის გამაგრებული. სწორედ აქ აფარებს თავს პატიმარყოფილი შანშე, რომელიც 1718 წლიდან ქსნის ერისთავად გვევლინება.

ერისთავობის პირველ წლებში შანშე ვახტანგ VI-ის ოპოზიციონერია. პატიმრობიდან თავდადებული, თავდაცვის მიზნით, ამაგრებს ქსნის საერისთავოს ცენტრს ახალგორს და აჯანყებისათვის ემზადება. ურჩი ერისთავი ორჯერ აუჯანყდა მეფეს, მაგრამ ორჯერვე დამარცხდა. მიუხედავად ამისა, ვახტანგი, შანშეს, შემორიგების მიზნით ერისთავობასა და მამულებს ხელუხლებლად უტოვებს, რის

შემდეგაც შანშეს მეფისთვის აღარ უორგულია. იგი ბოლომდე ვახტანგ VI-ისა და მისი მემკვიდრეების თანამდგომად გვევლინება.

კახეთის მეფის კონსტანტინესა და ვახტანგ VI-ს შორის გამწვავებული ურთიერთობების დროს შანშე ვახტანგ VI-ის მომხრეთა ბანაკშია და მხარს უჭერს ქვეყნის პროგრესულ ძალებს, ეს წერილებიდანაც ჩანს, რომელსაც შანშე უკვე რუსეთში გადახვეწილ მეფეს წერდა (დ. ახლოური, 96). ვახტანგი კონსტანტინესთან ბრძოლაში დამარცხდა. 1723 წელს, ვახტანგის ამ მარცხის შემდეგ, ოსმალები ქართლში შეიჭრნენ, კონსტანტინეს წყალობით თბილისი აიღეს და ქვეყანაში თავიანთი წესრიგის დამყარება დაიწყეს (პაიჭაძე, 420). ეს პერიოდი (1723-1735) „ოსმალობის“ ხანადაა წოდებული.

„ოსმალობის“ წინააღმდეგ ამხედრებული ქართველი საზოგადოების ერთ-ერთ წინამძღოლად შანშე ერისთავი გვევლინება. იგი თავდაპირველად ოსმალებთან ურთიერთობის მოგვარებას ცდილობდა, მაგრამ ვერ შეძლო და მოგვიანებით, რუსეთში მყოფ ვახტანგ VI-ს სთხოვდა ბაქარის ქართლში გამოგზავნას და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას (გვრიტიშვილი, 319, ცინცაძე, 11). 1724 წლის 9 ნოემბერს შანშე ვახტანგისთვის გაგზავნილ ბარათში აღნიშნავს: „თქვენი ძმა ალი-ყულხან საქართველოს არ მოასვენებს და არც დააყენებს, არც ჩვენ დაგვაყენებს, ამიტომ რომ შენი და შენი შვილის ერთგულებას მწამობსო; შენი ვინმე ამ ქვეყანას რომ იყოს, ეგება ღმერთმა შენც მოგიმართოს ხელი და იმასაც, თორემ, თუ შენი შვილი ამ ქვეყანას არ არის, შენთვისაც დავიკარგებით და შენი შვილისთვისაც. ნუ გვიზამ, ბაქარი დააბრუნე, სულ ნუ დააგდებთ ამ ქვეყანას. არ გიჯობთ, დამიჯერეთ“ (Впросе, Переписка, 174).

ჩვენთვის საინტერესო ცნობას შეიცავს 1733 წელს შანშეს ვახტანგისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც ქსნის ერისთავი კახთა მეფის და თურქების მიერ მის მამულში ორგზის ლაშქრობაზე მიგვანიშნებს: „თათრები და კახთ ბატონი, ქართველნი, ლეკნი ჩამომადგნენ, ჯერ ახალგორს მობრძანდა კახი ბატონი და იქ ვერა გაარიგარა, მას უკან ლიახვზედა მომადგნენ. მღვთით და თქვენის დოვლათით ვერცრა იქიდან გაარიგეს. დიდი ჯარი იყო, თორმეტი ათასი იყო თათარი, ლეკი, ქართველი და კახნი“ (Впросе, Переписка, 201). მართალია, შანშე აღნიშნავს, მომხდურთ „ვერა გაარიგესო“, მაგრამ ოსმალთა ლაშქრობას მძიმე შედეგები მოჰყოლია. „სტყუენვიდიან მამულსა შანშესასა ოსმალნი“ - გვამცნობს ვახუშტი (ვახუშტი, 508). შანშე იძულებულია, დაუზავდეს მტერს. თუმცა მათთან შერიგებას ნაწილობრივ კიდევ „ნეტავ მოვეკალ და არ შევრიგებოდი, დამიწყეს ლაპარაკი, შევრიგდი, ორმოცი ქისა გამომართვეს“ (Впросе, Переписка, 205). ოსმალთა ამ ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობს ვახუშტიც. „კულადა განდგა ქსნის ერისთავი შანშე და თეიმურაზ არაგვის ერისთავიცა განამეს ოსმალთა და დასუეს რევაზ; და ეს რევაზცა არა ერჩდათ ოსმალთა, ამისთვის უბრძანა ისაყ ფაშამ მაჰმად-ყულხანს და წარმოავლინა ახალციხის სპანი. მოვიდნენ ესენი, განამეს რევაზ და დასუეს პაპუა ზურაბის ძე. მერმე მოვიდნენ, კსანი მოარბიეს და მოადგნენ ვანათს ციხესა და ქუაბიდან მოსვრიდნენ მრავალთა ოსმალთა, არამედ ღამესა მას განივლტვენ ქუაბიდან; იხილა შანშემ, მისცა ქრთამი ოსმალთა, ზავ-ჰყო მათ თანა“ (ვახუშტი, 510-511). როგორც ვხედავთ, შანშემ ოსმალებთან შერიგება და ერისთავობის შენარჩუნება მოახერხა გარკვეული თანხის გაღების საფასურად.

როცა შანშეს აღნიშნულ განდგომაზე ვსაუბრობთ, საყურადღებოა გავიხსენოთ პროფესორ ნ. შენგელიას მიერ სტამბოლის არქივში მიკვლეული თურქული დოკუმენტი - თბილისის ლივის სამეფო ხასები“, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ახალგორი გივი ამილახვარს ექვემდებარებოდა (1730-1732 წლებით დათარიღებული სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის, 410). შესაძლებელია შანშეს ოსმალებთან დაპირისპირება ახალგორის ამილახვრისთვის გადაცემის გამოც მოხდა. შანშემ ახალგორის დაბრუნება, როგორც ჩანს, გარკვეული საჩუქრის გაღების შემდეგ მოახერხა.

„ოსმალობის“ პირველ წლებში, როგორც დ. მეგრელაძე აღნიშნავს: ქართველი ფეოდალები, მათ შორის ქსნის ერისთავი, ოსმალეთის სამსახურში იდგნენ. ვახტანგ VI-ის რენეგატი ძმის იესეს გარდაცვალების შემდეგ (1727 წ.), რომელსაც ერთგული სამსახურისთვის ოსმალებმა მეფობა უბოძეს, თურქებმა „ქართლი 6 ნაწილად დაყვეს და ქართველ ფეოდალებს ჩააბარეს: სომხით-საზარათიანო - ერასტი ყაფლანიშვილს, ზემო ქართლი - გივი ამილახვორს, მუხრანი - მუხრანბატონს, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, მცხეთას ზევით - ბაგრატ ციციშვილს, ხოლო არაგვისა და ქსნის საერისთავოები - ძველ ერისთავებს (ხაზგასმა ჩვენია - დ.ა.). ეს ფეოდალები ოსმალეთის სამსახურში მყოფი პირები იყვნენ (დ. მეგრელაძე, 436), ისინი თავიანთი ყმა-მამულის მფლობელობის უფლებას ოსმალთა ხელისუფლებისაგან იღებდნენ, ოსმალო მოხელეების გულის მოგების მიზნით კი დიდი ხარჯის გაწევა უწევდათ, რაც შანშეს მაგალითმაც დაგვანახა. ოსმალები ურჩობისათვის სასჯელის სხვადასხვა ზომას მიმართავდნენ „დიდძალი ვერცხლის“ გადახდას ჯარიმის სახით და უარეს შემთხვევაში ხდებოდა ძელზე გასმა ან „ჩამოარჩვიან ანძასა“. შანშეს „ვერცხლის“ გაღება მოუწია, განსხვავებით დიმიტრი ამილახვრისა და მისი ორი მსახურისა, რომლებიც ოსმალებმა „ანძაზე ჩამოაცვეს“.

სახელისუფლებო ტერიტორიების შენარჩუნების მიზნით გასაღები თანხისათვის ქართველ დიდგვაროვნებს ზოგჯერ მამულების გაყიდვა, გაგირავება ან ყმების გაყიდვა უწევდათ. 1726 წელს ზაზა რატიშვილმა (ქსნის ხეობაში მცხოვრები აზნაური) ქსნის ერისთავს ყმა მიყიდა, რისი მიზეზიც

„ოსმალობა“ იყო. „თათრობა იყო, დაგვეჭირა და მოგყიდეთო“ - აღნიშნავს იგი ერისთავისადმი გაცემულ სიგელში (დოკუმენტები, I, 222).

რაც შეეხება ქსნის ხეობის რიგით მოსახლეობას, თუ რა გადასახადი დაეკისრათ, ამის შესახებ აღნიშნულია „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარში“ (ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009). აღნიშნული დავთრის მიხედვით ქსნის საერისთავოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრში, ახალგორში 50 კაცს უცხოვრია, 67 ოჯახით. პროფ. გ. სოსიაშვილის გამოთვლით 1728 წლისთვის ახალგორში 455 მოსახლე უნდა ყოფილიყო (სოსიაშვილი, 49). მათ გადასახადს შეადგენდა ჯამში 2040 ახჩა, უმაღლესი ხარისხის თურქული ვერცხლის ფული. დაბეგრული იყო სოფლის მეურნეობის ყველა დარგი. იხდიდნენ გადასახადს ხილზე, ველზე, თივაზე, იხდიდნენ სამხედრო ხარაჯას, მიწის გადასახადს, ველზე დაწესებულ გადასახადს... ოსმალებს ქსნის საერისთავოში შემოსავალი ჰქონდათ საქორწინო გადასახადისა და დამნაშავეების ფულადი ჯარიმის სახითაც (გორგაძე, 424-426). ამ დროისათვის ახალგორში და, საერთოდ, ქსნის საერისთავოში ერთ-ერთი წამყვანი დარგი მესაქონლეობა იყო, რადგან მოსახლეობა ერბოზეც იხდიდა ბეგარას, ასევე ახალგორელები ოსმალთა სასარგებლოდ იხდიდნენ გადასახადს ცხვარსა და ღორზე (სოსიაშვილი, 50-51). ოსმალების დროს ქართული საბატონყმო ურთიერთობა უცვლელი იყო. მას „თავისი მებატონისთვისაც“ უნდა გაეღო ბეგარა და ოსმალური გადასახადებიც გადაეხადა, რაც ორმაგ ექსპლუატაციას იწვევდა. „ქართული ფეოდალური ურთიერთობისათვის ურჩეულო გარემოება იყო აგრეთვე, რომ ეს ოსმალური გადასახადები მწარმოებელი მოსახლეობის ყველა ფენას აწვა. ოსმალობა არ ცნობდა თარხანს, აზატს, რომელიც ქართული ფეოდალური წყობილების მიხედვით სავსებით ან ნაწილობრივ თავისუფალი იყო სხვადასხვა გადასახადისაგან. არ არჩევდა ნასყიდს უსყიდისაგან, ყველა და ყველაფერი დაბეგრული იყო მძიმე გადასახადებით“ (ბერძენიშვილი, I, 179).

1735 წელს „ოსმალობა“ „ციზილბაშობით“ შეიცვალა, შანშე ქსნის ერისთავი, არც ციზილბაშთა ქართლში მოძალეხას შერიგებია. უფრო მეტიც, იგი მომხდურთა წინააღმდეგ მებრძოლთა მედრომედ გვევლინება.

მძიმე შედეგები მოჰყვა შანშეს შეურიგებელ ბრძოლას ოსმალთა და ციზილბაშთა წინააღმდეგ. ოსმალო-ციზილბაშ-ლეკთა განუწყვეტელმა ლაშქრობებმა მძიმე დალი დაამჩნიეს ქსნის საერისთავოს, რომელიც ბოლოს ნადირ-შაჰმა ერთგული სამსახურისთვის და ქსნისხველთა დასასჯელად ველურ ავღანელებს გადასცა მოსაოხრებლად და გასაძარცვავად.

წყაროები და ლიტერატურა:

1. ახლოური დ., ახალგორის ისტორია, თბ., 2006.
2. ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1973.
3. ბერძენიშვილი ნ., XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მსკი, ნაკვ. I, 1944.
4. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1956.
5. გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, 1965.
6. გორგაძე ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი ქსნისა და არაგვის ხეობაში „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის (1728 წ.) მიხედვით, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 12, თბ., 2005.
7. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940.
8. მეგრელაძე დ., ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
9. პაიჭაძე დ., ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან XVIII საუკუნის 20-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
10. სოსიაშვილი გ., ახალგორი „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, ქართულ-თურქული მულტიდისციპლინარული სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული, გორი, 2013.
11. სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732), თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბ., 2008.
12. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009.

13. ქართული მწერლობა, ტ. 6, 1989.
14. ღუნაშვილი ვ., ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან, II, 2001.
15. ჩხეიძე სეხნია, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854.
16. ცინცაძე ი., რამდენიმე ახალი ცნობა XVIII საუკუნის ქართლის ისტორიისათვის, მსკი, ნაკვ. IV, 1942.
17. ხოცუაშვილი ვ., „ახალგორი“, „ლენინელი“, №4, 9, I, 1988.
18. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, 1967.
19. Вроссе М., Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государями от 1639 по 1770 г. СПб, 1861.

KSANI REALM RELATIONS WITH THE OTTOMAN EMPIRE
David Akhlouri, Gori State Teaching University, Associate Professor
RESUME

Ksani Noble was one of the strong and significant role in the political life of the East Eristavis visited, often, were conducting the royal state as an independent political course of other Realms , as well as foreign countries. The paper is about the 17th - 18th centuries working rulers, their contemporary Ksani Realm and Ottoman relations. Especially focuses on the Ottoman period (1723-1735 years), about attitude between Shanshe Eristavi and Ottoman Georgian and Turkish sources, are showing what kind of benefit payments were under the Ottoman Ksani population, the situation in the Realm of demographic, social and economic point of view. The results are analyzed in Georgia and, in particular, what in the Ksani., Ottoman "period followed.

**მეორე მსოფლიო ომის დროინდელი თურქეთის რესპუბლიკის დიპლომატიის
 ძირითადი ასპექტები**

გიორგი ზაღატურია, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
 E-mail: gbagaturia@ibsu.edu.ge

თამთა ცხოვრებაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, დოქტორანტი
 E-mail: ttskhovrebadze@ibsu.edu.ge

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერია სასტიკად დამარცხდა, დაკარგა თავისი ტერიტორიების უდიდესი ნაწილი და ქვეყანა საბოლოო განადგურებისა და მოკავშირეთა შორის განაწილების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მაინც, თურქმა ხალხმა ქემალ ათათურქის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და მე-20 საუკუნის დასაწყისში შექმნილი თურქეთის რესპუბლიკა კვლავ ანგარიშგასაწევი ძალა გახდა იმდროინდელ პოლიტიკურ სივრცეში და სერიოზული სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. მაგრამ, მე-2 მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად, თურქეთს კვლავ დაემუქრა მომავდინებელი საფრთხე. სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო თურქეთი ადვილად მოექცა მეორე მსოფლიო ომში ჩართული სახელმწიფოების ინტერესის სფეროში. 1939 წლის გაზაფხულიდან, გერმანია აქტიურად ემზადებოდა ახალი ომისათვის, ხოლო დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ცდილობდნენ გერმანიის აგრესიის აცილებას და მისი საბჭოთა კავშირისაკენ მიმართვას, რაც ახალ საფრთხეებს ქმნიდა სამხედრო თვალსაზრისით ჯერ კიდევ სუსტი თურქეთის რესპუბლიკისთვის. მე-2 მსოფლიო ომის განმავლობაში თურქეთმა მოახერხა თავიდან აცილებინა ომში ჩართვა, რამაც იგი გადაარჩინა ახალი სისხლისღვრისა და არაპროგნოზირებადი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ზეგავლენისგან.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდი უდავოდ წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდს თანამედროვე თურქეთის დიპლომატიის ისტორიაში, რაზეც ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ თურქეთმა მოახერხა ქვეყნის საგარეო კურსის სწორი მიმართულებით წარმართვა და მანევრირება

ინგლისთან „ურთიერთდახმარების შეთანხმებისა“ და გერმანიასთან „მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ“ ხელშეკრულებების არსებობის პირობებში.

თურქეთის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ისიც მოწმობს, რომ ჰიტლერმა 1939 წელს აპრილში ანკარაში საგანგებოდ მიავიღა გერმანიის ელჩი ფონ პაპენი, რომელსაც დავალებული ჰქონდა თურქეთის ჩათრევა ღერძის (იგივე ფაშისტური ქვეყნების ალიანსის - გერმანია, იტალია, იაპონია) სახელმწიფოების ბლოკში. თავის მხრივ, ინგლისი და საფრანგეთიც დაინტერესებულნი იყვნენ თურქეთის სტრატეგიული მდებარეობით, რესურსებითა და სამხედრო პოტენციალით და აქტიურად აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი და თურქეთი

მუსტაფა ქემალ ათათურქმა და მისმა მიმდევრებმა იცოდნენ, რომ თურქეთი დამოუკიდებლობის ომის შემდეგ (1919-22) იყო დასუსტებული და ღარიბი სახელმწიფო. ქვეყნისათვის აუცილებელი იყო ხანგრძლივი მშვიდობის პერიოდი ძალების მოსაკრებად და კვლავ ასაღორძინებლად, ამიტომაც მათ საშინაო და საგარეო პოლიტიკა ააგეს მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ დაფუძნებულ პრინციპზე „მშვიდობა შინ, მშვიდობა მსოფლიოში“. ¹

ათათურქი დარწმუნებული იყო რომ დაიწყებოდა მსოფლიო ომი და გაცილებით ადრე აფრთხილებდა თურქეთის მთავრობას გამოეჩინა წინდახედულობა, იგი წერდა: „კაცობრიობა მალე აღმოჩნდება ჩათრეული მსოფლიო ომში. რამდენიმე ავანტიურისტი, როგორებიც არიან მუსოლინი და ჰიტლერი, ამ ქვეყანაზე გამოიწვევენ ცეცხლსა და სისხლის ღვრას. ამ ომში ძალთა ბალანსი შეიცვლება, თურქეთმა არ უნდა დაუშვას არავითარი შეცდომა“ (სვანაძე, 2007).

ომის დაწყების წინ, ჯერ კიდევ არ იყო მმართველ წრეებში ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და ორიენტაცია, საბოლოოდ სასწორი ინგლის-საფრანგეთის ბლოკის მომხრეებისკენ გადაიხარა. ათათურქის გარდაცვალების შემდეგ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა ისმეთ ინონუ. ის და საგარეო საქმეთა მინისტრი სარაჯოღლუ მკვეთრად პრაგმატულ კურსს მიჰყვებოდნენ საგარეო პოლიტიკის ანალიზისა და დანერგვის პროცესში. ინონუ ამბობდა: „გვექონდა შესაძლებლობა ინგლისთან, საფრანგეთთან და საბჭოთა კავშირთან შეგვექმნა ალიანსი. შედეგად შესაძლებელი იყო ერთ მხარეს გვებრძოლა. თავდაპირველად მე მივიჩნევდი, რომ ეს გზა იქნებოდა ყველაზე მცირე ზიანის მომტანი ჩვენი ინტერესებისათვის... თუმცა შემდეგ განვითარებული მოვლენები გასცდა ჩვენი წინასწარი ვარაუდების საზღვრებს. უნდა მიგველო უსაფრთხოების ზომები დროისა და საჭიროებების შესაბამისად.“ (დერინგილ)

1939 წლის 12 მაისს ინგლისმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს წინასწარ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ომის დაწყების შემთხვევაში ინგლისისა და თურქეთის მთავრობები აქტიურად ითანამშრომლებდნენ და აღმოუჩენდნენ ერთმანეთს ყოველგვარ დახმარებას. ეს შეთანხმება არ იქნებოდა ეფექტური და ნაყოფიერი ხმელთაშუაზღვის რეგიონში საფრანგეთის მონაწილეობის გარეშე. ინგლისის რჩევით საფრანგეთი წავიდა თურქეთის წინაშე დათმობაზე. ამ დროს თურქეთი დაჟინებით ითხოვდა ალექსანდრეტას (ჰატაი) სანჯაყის მისთვის გადაცემას.

1939 წლის მაისის დასაწყისში საბჭოთა მთავრობამ ანკარაში გაგზავნა საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე ე. პატიომკინი. მან საბჭოთა მთავრობას შესთავაზა დადებულიყო საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ფრონტის ჩარჩოებში. თურქეთის მთავრობამ საბჭოთა კავშირის ამ წინადადებას არ გასცა გარკვეული პასუხი.

1939 წლის 1 სექტემბრის ბოლოს მოსკოვში ჩავიდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სარაჯოღლუ. მოლაპარაკებების დროს მან საბჭოთა კავშირს შესთავაზა დადებულიყო ურთიერთდახმარების პაქტი, რომელიც გავრცელდებოდა სრუტეებსა და ბალკანეთზე. მალევე გაირკვა, რომ თურქეთი ანალოგიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ინგლისთან და საფრანგეთთან, ამიტომ საბჭოთა კავშირმა უარი თქვა სარაჯოღლუს მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე. ამრიგად, თურქეთი მიემხრო ინგლის-საფრანგეთის ბლოკს.

თურქეთის პოლიტიკა

თურქეთის ფრთხილმა პოლიტიკამ და მოლაპარაკებების წარმოების ტექნიკამ დიდი გავლენა იქონია თურქეთის რესპუბლიკის ომის შემდგომი ბედ-იღბალის გადაწყვეტაზე.

მიუხედავად ინგლის-საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულებისა, თურქეთი არ აპირებდა მონაწილეობა მიეღო ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ ომში. ამ ხელშეკრულებით თურქეთი მიზნად ისახავდა ინგლის-საფრანგეთისგან მიეღო მაქსიმალური მატერიალური სარგებელი. მართლაც,

¹Synopsis of the Turkish Foreign Policy, <http://www.mfa.gov.tr/synopsis-of-the-turkish-foreign-policy.en.mfa>

თურქეთმა დიდი ბრიტანეთისგან 4395 მლნ. გირვანქა სტერლინგის ოდენობით სესხები და კრედიტები მიიღო, 1939 წლის ბოლოსთვის კი ინგლისმა პირველი ადგილი დაიკავა თურქეთთან ვაჭრობაში. (სვანაძე, 2007)

1940 წელს, როდესაც იტალიამ ომი გამოუცხადა საფრანგეთს, თურქეთმა გონივრული პოლიტიკის წყალობით კვლავ მოახერხა ომში ჩაბმის აუცილებლობის თავიდან აცილება და მიუხედავად საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულებისა, მან თავი შეიკავა ომში მონაწილეობისაგან. თურქეთმა კვლავ პასიური პოზიცია დაიკავა, როდესაც იტალია და შემდეგ გერმანია თავს დაესხა საბერძნეთს.

1941 წლის დასაწყისში, როდესაც ფაშისტების არმია დასავლეთ თურქეთის საზღვრებს იყო მომდგარი, პრეზიდენტი ინონუ ხედავდა ორ შესაძლებლობას ჰიტლერისათვის: მიემართა თავისი ძალები ახლო აღმოსავლეთისკენ თურქეთის დაპყრობის გზით ან დასავლეთიდან შეეტია საბჭოთა კავშირისათვის. ყოველივე ზემოხსენებულმა მიიყვანა თურქეთის მთავრობა საჭირო გადაწყვეტილების მიღებამდე. 1941 წლის აპრილში, ერაყის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა რაშიდ ალი ალ-გაილანმა¹, მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება და მოვიდა ქვეყნის სათავეში (თუმცა მხოლოდ მცირე ხნით 3 აპრილი, 1941 – 29 მაისი, 1941). ამან გაცილებით გააძლიერა გერმანიის ზეწოლა თურქეთზე, რათა აღმოსავლეთ ანატოლიის გავლით აეღო გეზი ერაყისაკენ და დახმარებოდა თავის მოკავშირეებს. (Hakki, 2007)

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი სამი მხრიდან გარშემორტყმული აღმოჩნდა გერმანიის ჯარების მიერ, გერმანიამ თურქეთთან დაიწყო მოლაპარაკებები მისი ტერიტორიების სატრანზიტოდ (სამხედრო ნაწილები, აღჭურვილობა და ტექნიკა) გამოყენებასთან დაკავშირებით. თურქეთმა კატეგორიული უარი განაცხადა წასულიყო ამგვარ დათმობაზე, ვინაიდან სრულად გაანალიზა ის საფრთხე, რაც შეიძლებოდა დამუქრებოდა გერმანიის ფაშისტური რეჟიმის მხრიდან (ინონუ, 1945). ამ და სხვა მიზეზების გამო გერმანიას განზრახული ჰქონდა თურქეთზე თავდასხმა, რაც მაშინ ვერ განხორციელდა ერთი მხრივ, რუსეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარების მზარდი წინააღმდეგობის გამო, რაც გერმანელთა მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვდა, და, მეორე მხრივ, ერაყში პოლიტიკური ვითარების ცვლილების გამო. მიუხედავად ამისა, თურქეთი მაინც რჩებოდა გერმანიის თავდასხმის გეგმაში, რაც გარკვეული დროით გადაიდო.

1941 წლის ივნისში, როდესაც გერმანია შეიჭრა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სარაჯოღლუმ და გერმანიის ელჩმა ფონ პაპენმა ხელი მოაწერეს თურქეთ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ორივე მხარე იღებდა ვალდებულებას არ გაეტარებინათ ურთიერთსაწინააღმდეგო სამხედრო პოლიტიკა და შეენარჩუნებინათ მეგობრული ურთიერთობები.

პრო-გერმანული ნეიტრალიტეტი

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თურქეთის პოლიტიკა ნეიტრალიტეტის პერიოდში, თუ როგორ მოახერხა მან შეენარჩუნებინა გერმანია მის საზღვრებს მიღმა პრო-გერმანული ნეიტრალური პოლიტიკის გატარებით 1941 -1943 წლებში.

1941 წლის 25 ივნისს თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, მაგრამ ამავდროულად, არ შეუწყვეტია გერმანიასთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო თანამშრომლობა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ ნაცისტურმა გერმანიამ მიაღწია მიზანს და 1941 წლის 18 ივნისს ხელი მოეწერა თურქო-გერმანულ ნეიტრალიტეტის პაქტს. ამასთან, 1941 წლის ოქტომბერში დაიდო თურქეთ-გერმანიის ახალი სავაჭრო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც 1943 წლის 31 მარტამდე უნდა გაზრდილიყო ექსპორტი (ქრომის) და იმპორტი 96 მლნ. ლირამდე. გერმანიისთვის მიწოდებული ნედლეულის სანაცვლოდ, გერმანია მოამარაგებდა თურქეთს სამხედრო მასალითა და შეიარაღებით. 1942 წლის შემოდგომაზე თურქეთ-გერმანიას შორის დაიდო სპეციალური ხელშეკრულება, რომლითაც გერმანიამ მიიღო უფლება 1943-44 წლებში შეესყიდა 180 ათასი ტონა ქრომის მადანი. 1944 წლის გაზაფხულზე, როდესაც მკვეთრად გაუარესდა გერმანიის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა ქრომის მიწოდების შეწყვეტა (სვანაძე, 2007).

ამ პერიოდის განმავლობაში თურქი პოლიტიკოსებისა და საზოგადოების დამოკიდებულება გერმანიასთან მიმართებაში არაერთგვაროვანი იყო. ზოგიერთი გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა (მაგალითად, შუქრუ სარაჯოღლუ) მიიჩნევდა, რომ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თურქეთი გერმანიის მხარეს უნდა ყოფილიყო. ეს პოლიტიკოსები მოელოდნენ საბჭოთა კავშირის სრულ

¹ Rashid Ali al-Gaylani, 1892 – 1965, ერაყის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, 3-ჯერ იყო ერაყის პრემიერ-მინისტრი, ემხრობოდა ნაცისტურ გერმანიას ბრიტანეთის იმპერიის ერაყში გავლენის შემცირების მიზნით.

განადგურებას და ამავდროულად ცდილობდნენ გერმანიასთან პარტნიორობის ახალი მიმართულებით წარმართვას, რათა თურქეთს სრულად გამოეყენებინა მისი უნიკალური სტრატეგიული პოზიცია ახალი ევროპული ბალანსის დამყარებაში. თურქეთში იყო ზოგადი განწყობა, რომ ინგლისის დასუსტება სულაც არ იქნებოდა ისეთი ზიანის მომტანი, როგორც მანამდე წარმოედგინათ. რაც მეტად დასუსტდებოდა ინგლისი, მით უფრო დაცულად იგრძნობდა თავს თურქეთიც, ვინაიდან მოკავშირეთა უპირობო გამარჯვების მოპოვების შემთხვევაში თურქეთის უსაფრთხოებაც საფრთხის ქვეშ დადგებოდა. თუ ინგლისი დასუსტდებოდა, მას დასჭირდებოდა თურქეთის სამხედრო დახმარება. მიუხედავად ამისა, ისმათ ინონუს არ ხიზლავდა ასეთი „სამხედრო თავგადასავლების“ იდეა საზღვარგარეთ, ძირითადად პირველი მსოფლიო ომის გამოცდილებიდან გამომდინარე.

ომის დასასრული

1943 წელს თეირანში ჩატარდა სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურების შეხვედრა. კონფერენციაზე გადაწყვიტეს მიემართათ თურქეთისათვის ჩაბმულიყო ომში არაუგვიანეს 1944 წლის 15 თებერვლისა. 1943 წელს კაიროში ჩერჩილი და რუზველტი შეხვდნენ თურქეთის პრეზიდენტს ინონუს. მათ შეახსენეს თურქეთის პრეზიდენტს მისი ვალდებულების შესახებ, ჩამდგარიყო ანტიგერმანული კოალიციის რიგებში. ინონუმ ომში მონაწილეობის საფასურად მოითხოვა თვითმფრინავების, ტანკებისა და სამხედრო აღჭურვილობის ისეთი რაოდენობა, რომ მისი დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ 2-3 წლის განმავლობაში.

კაიროს შეხვედრის შემდეგ, თურქეთის მთავრობა ძალიან ნელა და ფრთხილად მოქმედებდა და არ აპირებდა გერმანიასთან კავშირის გაწყვეტას, ამიტომ ინგლის-თურქეთის მოლაპარაკება 1944 წლის თებერვალში შეწყდა. 1944 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ ფაშისტურ გერმანიაზე საბოლოოდ გადაწყვიტა ომის ბედი, გერმანია გარდაუვალი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ამ მოვლენებმა მთლიანად შეცვალა თურქეთის მმართველი წრეების პოზიცია. 1944 წლის 2 აგვისტოს თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ იგი წყვეტს დიპლომატიურ და ეკონომიკურ ურთიერთობას გერმანიასთან. თურქეთის ეს ნაბიჯი, უპირველეს ყოვლისა, ნაკარნახევი იყო იმ საშიშროებით რომ ომის შემდეგ პოლიტიკურ იზოლაციაში არ აღმოჩენილიყო. თუმცა ამის შემდეგაც თურქეთი არ წყვეტდა გერმანიასთან დიპლომატიურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას. მხოლოდ ექვსი თვის გასვლის შემდეგ, 1945 წლის 23 თებერვალს, როდესაც ომის ბედი უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო, თურქეთის მთავრობამ ფორმალურად ომი გამოუცხადა გერმანიასა და იაპონიას, რათა, როგორც მეომარ სახელმწიფოს, მონაწილეობა მიეღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში.

თურქეთის რესპუბლიკის მეთაურთა მოქნილი და მოხერხებული პოლიტიკისა და სათანადო დიპლომატიის წყალობით, რაც გამოვლინდა თურქეთის ფრთხილი ბალანსირებით ორი საბედისწერო საშიშროების ზღვარზე, თურქეთმა შეინარჩუნა ძალთა ბალანსი და გადაარჩინა ქვეყანა ომის კატასტროფულ შედეგებს.¹

ომის შემდგომი პერიოდი - თურქეთი, საქართველო და საბჭოთა საფრთხე

ამრიგად, თურქეთის ბალანსირების პოლიტიკამ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დიდი გავლენა იქონია თურქეთის ბედზე, თურქეთმა დაიცვა ნეიტრალიტეტი და შემლო თავიდან აეცილებინა ომში ჩართვის აუცილებლობით გამოწვეული შესაძლო დანაკარგები. თუმცა ომის შემდგომ თურქეთი ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ამჯერად უკვე საბჭოთა კავშირის მხრიდან.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ახლებურად გადანაწილდა, აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში აღმოჩნდა, აზიაში შეიქმნა კომუნისტური სახელმწიფო - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, კომუნისტური გავლენა გავრცელდა ვიეტნამსა და კორეაზე. რუსეთის იმპერიის საუკუნოვანი ოცნება გახლდათ ბატონობა შავი ზღვის სრუტეებზე, უფრო მეტიც - სტამბოლის დაუფლება. მეორე მსოფლიო ომში ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ შესაძლებელი ჩანდა ამ ოცნების ნაწილობრივ აღსრულება, საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროს გავრცელება თურქეთზე.

¹ თურქეთის ერთ-ერთ სოფელში ყოფნისას პრეზიდენტ ინონუს უკმაყოფილო მოსახლეობა დახვდა. ერთ-ერთმა მათგანმა სიღარიბისა და იმ დროს გამეფებული სიძვირის გამო დაიჩილა - მცირეწლოვანი გოგონასთვის ცოტაოდენი რძის შესაძენადაც კი 5 ლირის გადახდა მიწევსო. პრეზიდენტმა ინონუმ უპასუხა: „მაგრამ მე არ დამიტოვებია თქვენი ქალიშვილი მამის გარეშე...“ (Hakki, 2007)

მოკავშირეთა შეხვედრაზე იალტის კონფერენციაზე¹ გადაწყდა თურქეთის გაეროში გაწევრიანების საკითხი². ამავე დროს სტალინმა მოითხოვა თურქეთთან ადრე დადებული შეთანხმებების გადახედვა, რომლებიც, როგორც აღინიშნა „აღარ შეესაბამებოდა ახალ პირობებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა“. საბჭოთა პრესაში, რადიოში დაიწყო ანტითურქული პროპაგანდისტული მასალების გამოქვეყნება, ვრცელდებოდა ხმები საბჭოთა კავშირის თურქეთისადმი არსებული ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ. მალე (1945 წ. 7 ივნისს) სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრმა მოლოტოვმა თურქეთის ელჩ სელიმ სარპერთან საუბარში მოითხოვა ყარსისა და არდაჰანის მხარეების საბჭოთა კავშირისთვის დაბრუნება და სამხედრო ბაზების შექმნა სრუტეებზე სრუტეების ერთობლივი დაცვის მიზნით. თურქეთმა უარი განაცხადა ამ მოთხოვნათა შესრულებაზე. ეს მოთხოვნა უკვე სტალინმა გაიმეორა პოტსდამის კონფერენციაზე³. დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის მეთაურები, პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი და პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი დაეთანხმნენ სტალინს, რომ სრუტეებში საბჭოთა ხომალდებს (როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო) ყოველთვის უნდა ჰქონდეს გავლის უფლება, მაგრამ წინააღმდეგობა გაუწიეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ პრეტენზიებს და სრუტეებზე განსაკუთრებული პრივილეგიების მოთხოვნებს.

ამავე დროს საბჭოთა მედიაში დაიწყო ე.წ. საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, განსაკუთრებული აჟიოტაჟი სუფევდა საქართველოში. ცნობილი მეცნიერები და მწერლები ასაბუთებდნენ ზემოაღნიშნულ ტერიტორიულ პრეტენზიებს, როგორც ქართველი ხალხის კანონიერ მოთხოვნებს „დაებრუნებინა თურქეთის მიერ წართმეული ძველისძველი მიწა-წყალი“ (ჯანაშია, ბერძენიშვილი, 1945). ცხადია, რომ წერილი დაიწერა უმაღლესი ხელისუფლების მოთხოვნითა და მითითებით. იმ დროის საქართველოში საზოგადოებას არავინ ეკითხებოდა ასეთი სახის პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტას. ეს წერილი გამოქვეყნდა აგრეთვე საბჭოთა კავშირის ცენტრალურ პრესაში, უმაღლესი ხელისუფლების ოფიციალურ ორგანოებში - „პრავდასა“ და „იზვესტიაში“. სათანადო პროპაგანდა მიმდინარეობდა აგრეთვე მოსკოვის რადიოთი (ბაქრაძე, 2010). სხვა გაზეთებშიც ქვეყნდებოდა პატრიოტული წერილები, მოწოდებები, ლექსები (გრიგოლ აბაშიძე, 1949).

დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს კატეგორიული წინააღმდეგობის შედეგად ეს „პროექტი“ ვერ განხორციელდა. 1946 წელს საბჭოთა კავშირში თანდათან შენედა პატრიოტული პროპაგანდა, თუმცა ქართული მხატვრული შემოქმედება დიდხანს ვერ შეელა ამ ოცნებას.

ბუნებრივია, რომ თურქეთის მთავრობა და საზოგადოება უარყოფითად აღიქვამდა საბჭოთა კავშირის იმდროინდელ პრეტენზიებს და საკმაოდ რეალურად აფასებდა მოსალოდნელ საფრთხეებს, რის გამოც საზღვრისპირა რეგიონებში თურქეთსა და საბჭოთა კავშირში (საქართველოსა და სომხეთში) ტარდებოდა გარკვეული ტიპის პრევენციული ღონისძიებები. საბოლოოდ, თურქეთი გადაურჩა ამ საფრთხესაც დასავლეთის, ძირითადად აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარების მეშვეობით. აშშ, ჰარი ტრუმენის დოქტრინის შესაბამისად, უზრუნველყოფდა თურქეთს ფინანსური და სამხედრო დახმარებით, რათა იგი არ აღმოჩენილიყო კომუნისტური გავლენის სფეროში. ამერიკისა და საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებამ გზა გაუკვლია თურქეთს ნატოს წევრობისაკენ. 1952 წელს თურქეთი ნატოს წევრი გახდა. ამით დასრულდა თურქეთის გადასვლა დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური მფარველობის ქვეშ, რამაც თურქეთი საბოლოოდ დაიცვა საბჭოთა კავშირის მხრიდან ექსპანსიისგან.

თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა კი სერიოზულად გაუარესდა. მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ დაიწყო ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ - ეკონომიკურ ურთიერთობათა გაუმჯობესება, 1953 წლის 30 მაისის ნოტაში მითითებული იყო, რომ „საბჭოთა კავშირს არა აქვს არანაირი ტერიტორიული პრეტენზია თურქეთის მიმართ“. მაინც „პერესტროიკამდე“ ეს ურთიერთობები მეტ-ნაკლებად მტრულ ხასიათს ატარებდა.

უნდა ითქვას, რომ საქართველოც გადარჩა. არავინ იცის რა მოჰყვებოდა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ კიდევ ერთ სამხედრო-პოლიტიკურ კონფლიქტს, რომელშიც აუცილებლად იქნებოდნენ ჩართულნი თურქეთი და საქართველო ამ ტერიტორიების გამო. საქართველო, სავარაუდოდ,

¹ იალტის კონფერენცია, იგივე ყირიმის კონფერენცია (კოდური დასახელება - არგონავტა კონფერენცია) - მოკავშირე სახელმწიფოთა (აშშ, დიდი ბრიტანეთი და სსრკ) მეთაურების ომისდროინდელი შეხვედრა შედგა 1945 წლის 4-11 თებერვალს იალტაში.

² თურქეთი გაეროში მიიღეს 1945 წლის 24 ოქტომბერს სხვა პირველ 50 წევრთან ერთად. 24 ოქტომბერს აღინიშნება გაეროს დღე United Nations Day.

³ პოტსდამის კონფერენცია, იგივე „ბერლინის სამი სახელმწიფოს კონფერენცია“ - მოკავშირე სახელმწიფოთა (აშშ, დიდი ბრიტანეთი და სსრკ) მეთაურების შეხვედრა შედგა პოტსდამში, 1945 წლის 17 ივლისი - 2 აგვისტოს განმავლობაში, რომელზეც გადაწყდა მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის ძირითადი საკითხები და შეთანხმდა სამომავლო მოქმედებების გეგმა.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სისხლისღვრასთან ერთად მიიღებდა კიდევ ერთ, გაცილებით მძიმე დარტყმას, რომელშიც შესაძლოა ჩათრეული ყოფილიყო მთელი სამხრეთ საქართველო აჭარასა და მარნეულის რაიონებთან ერთად. თუ გავანალიზებთ 1989-92 წლების საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, იმ კატასტროფულ შედეგებს რაც მოუტანა საქართველოს იმ პერიოდის უგუნურმა პოლიტიკამ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო შესაძლოა აღმოჩენილიყო სასიკვდილო საფრთხის წინაშე.

დღეს თურქეთის რესპუბლიკა, თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურად და პოლიტიკურად წარმატებული ქვეყანა, გახლავთ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, რაც რეგიონში მშვიდობისა და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი საწინდარია.

ბიბლიოგრაფია:

- აბაშიძე გრ. „ტაო“ (1949), კრებული „სამხრეთ საზღვარზე“, გამომცემლობა „კომუნისტი“, თბილისი
- ბაქრაძე ლ. (2010) ოცნება ტრაპიზონის ოლქოში. თურქეთი-საქართველო: 1945/1946 http://www.iliauni.edu.ge/files/PDF3/L.Baqradze_%282%29.pdf
- დერინგილ, ს. (n.d.). თურქეთის საგარეო პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის დროს: "აქტიური" ნეიტრალიტეტი. კემბრიჯი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ინონუ, ი. (1945, 11 1). თურქეთი მეორე მსოფლიო ომში: თურქეთის პოზიციის მიმოხილვა. თურქეთი.
- სვანაძე, მ. (2007). თურქეთის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა არტანუჯი.
- ჯანაშია ს., ბერძენიშვილი ნ. (1945) „წერილი რედაქციის მიმართ: თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, გაზეთი „კომუნისტი“, 1945 წლის 14 დეკემბერი, თბილისი.
- Hakki, M. M. (2007). Surviving the pressure of the superpowers: an analysis of turkish neutrality during the second world war. Center for Middle Eastern Studies, Harvard University, 44 – 62.

MAIN ASPECTS OF THE DIPLOMACY OF REPUBLIC OF TURKEY DURING WORLD WAR II

Giorgi Baghaturia, International Black Sea University, Associate Professor

Tamta Tskhovrebadze, International Black Sea University, PhD Student

RESUME

This paper examines main aspects of the diplomacy of the Republic of Turkey during WW2. Article shows how Turkish authorities and diplomatic service of that time managed to prevent threat of the engagement in WW2 and preserved neutrality. Turkish authority foresaw that its involvement in the war could cause inconceivable losses for both antagonist sides - Nazi Germany and the Allied forces, and analyzed the threat of annihilation of the Republic of Turkey by adverse forces. Once and for all, Turkey not only managed to survive, but also joined in the war on the side of Allied forces. This encouraged Turkey to join NATO and defended itself from the perceived threat -The Union of Soviet Socialist Republics(USSR). Under the assistance of the United States and the shelter of NATO, Turkey attained successful and peaceful economic development. That is among the vital determinants of Turkey's prominent economic and political progress.

Key Words: Diplomacy of The Republic of Turkey, World War II, Pro-German Neutrality, New European Balance, Cautious balance of the Republic of Turkey, Territorial claims.

ლეილისა და მაჯნუნის ამბავი და ორჰან ფამუქის „უმანკობის მუზეუმი“

თამარ გოგოლაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

ტექსტისქმნადობის პროცესი ცივილიზაციის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, თუმცა განსხვავებული ფორმებით წარმოგვიდგება, სიუჟეტის დახვეწისას მაინც ემორჩილება ერთგვარ კანონიკას: რეალური ამბიდან გამოგონილამდე, ან ნასესხები ტექსტიდან ახალ ტექსტამდე ან ავტორის გამონაგონიდან ახალრეალობადქცეულ ტექსტამდე. ამას, ჩვენი აზრით, შეიძლება დაემატოს სხვადასხვა თაობაში გაჯერებული ამბის ინიციაციები, რომლებიც ქვეცნობიერში მკვიდრდება და ავტორის

ფანტაზიაში, ნაფიქრში იდებს სათავეს. დღემდე უცნობია, საიდან აიღო ჭეშმარიტი ამბები უილიამ შექსპირმა თავისი ტრაგედიებისათვის. მკვლევარნი ხშირად მთარეულ სიუჟეტებს (უფრო ზუსტად „ამბებს“) მოიხმობენ, შედარებით-ისტორიულ ტიპოლოგიასაც მიმართავენ, რათა ახსნან, როგორ იქცა ესა თუ ის ამბავი სხვა ერისა და სხვა პერიოდის მხატვრულ ტექსტებში სიუჟეტის წყაროდ. თუმცა, აშკარაა, რომ იგი შეიძლება ქვეცნობიერადაც ბუდობდეს ადამიანის მხატვრულ წარმოსახვაში. ასეთ მაგალითად მივიჩნით ცნობილი თურქი მწერლის ორჰან ფამუქის რომანი „უმანკოების მუზეუმი“ (2008 წ.) რომანს მსოფლიო მასშტაბით უამრავი მკითხველი ჰყავს. არადა XX საუკუნის 70-80-იანი წლების სტამბოლის მკვიდრდთა სატრფიალო ისტორია შეიძლება ნაკლებსაინტერესო ყოფილიყო სექსის, ბილწისტიყვაობისა და თანამედროვე მწერლობაში დამკვიდრებული სხვადასხვა ხერხების გარეშე. მაშ რამ მისცა „უმანკოების მუზეუმს“ ასეთი პოპულარობა? თავად რომანის სათაურიც არცთუ ისე სწორადაა თარგმნილი სხვადასხვა ენებზე. „უმანკოების მუზეუმი“ არ უნდა ნიშნავდეს ქალწულებრივ სიწმინდეს. იგი ეტიმოლოგიურად უკავშირდება კიდევ მას. მაგრამ, რომანის შინაარსიდან გამომდინარე, უფრო სიწმინდეების, ანუ რელიქვიად ქცეული მოგონებებთან ინტუიციურად დაკავშირებული ფაქტ-მოვლენების, მუზეუმი. და, თუმცა თავად ფამუქმა იგი მაინც საგნებს დაუკავშირა, რომელთა განთავსებაც რომანზე მუშაობის პროცესში ჯერ ავტორის ფანტაზიას, შემდგომად კი მკითხველის ფანტაზიას აცხოველებს, დამაჯერებელსა და ცოცხალს ქმნის, გათანამედროვეებულ ავტორში საუკუნეთა მიღმა სხვადასხვა პლასტებად დალექილ ამბავს უნდა წარმოადგენდეს, რომლის ძალა მარადიულია, ფაბულური სქემა მარადთანადროული და სადღესოდაც ძალზე მომხიბლავი. ამიტომ, უპირველესად, როგორც მკითხველს ისე და შემდგომად მკვლევარს, თვალში გვეცა თითქმის უძველესი ხანიდან მისტიკურ-სუფისტურ ასპექტში გარდასახული ლეილისა და მაჯუნის (ყაისის) ისტორია. ჩვენი მიზანი არაა მაინცდამაინც ეს ისტორია დავსახოთ ო. ფამუქის რომანისათვის ამბად, უბრალოდ, ვცადოთ გამოვკვეთოთ, რამდენად კოდირებულია ესა თუ ის (კონკრეტულ შემთხვევაში, არაბულ სამყაროში აღმოცენებული ამბავი) ამბავი წყაროდ ახალი რომანისათვის.

ორჰან ფამუქის რომანი ჟანრობრივად ახალია ლეილისა და მაჯუნის (ყაისის) ამბის ახალი ინტერპრეტაციისათვის. ახალგაზრდა მდიდარი ქემალი ცხოვრობს თავისი დროის მოთხოვნების დონეზე: ისწავლა უცხოეთში, პატივს სცემს ოჯახურ ტრადიციებს, ჰყავს ასევე წარმატებული ოჯახის შვილი, საცოლე სიბელი და მასთანაც ეწევა სექსუალურ ცხოვრებას. თუმცა, უცერად, სრულიად შემთხვევით შეხვდება რაღაც ნათესაურ-ახლობლური წრიდან გამოსულ ახალგაზრდა ქალს, ფუსუნს, და ურთიერთობა მასთან ყველანაირი ასპექტებით ისე ძლიერ ცვლის გმირის ცხოვრების პროცესს, რომ თვითონაც და საზოგადოებაც ვერ პოულობენ ახსნას, თუ რა მოხდა. წლები გრძელდება ეს პროცესი, რაც მკითხველში თითქოს მოწყენასაც ბადებს (მაგრამ, აშკარაა, ავტორს სურს მკითხველმაც განიცადოს ამ საოცარი სიყვარულის პერიპეტები), რომანის უკანასკნელი თავები სრულიად საპირისპიროდ გააოგნებს მკითხველს: ბედნიერებასმიღწეული წყვილიდან ფუსუნი კვდება, ქემალი კი მთელ თავის სიცოცხლეს მაინც მასზე მოგონებებს, სიწმინდეებს, მუზეუმში დაბუდებულ საგნებთან სიახლოვეს უკავშირებს. თანამედროვეობაში წარმოდგენილი გრძნობა ისევ იმ უძლიერეს განცდას უკავშირდება, რომელსაც **სიყვარული** ჰქვია. მისტიკურ-სუფისტური, პლატონური სიყვარულის ისტორია (წარმოშობილი, მკვლევართა აზრით VII საუკუნეში) სწორედ ამ განცდის მარადიულობის ნიშანი ხდება შუა საუკუნეებში: „შუა საუკუნეებში დასავლეთსა და აღმოსავლეთში ახალი ძვრები ხდება ცხოვრებაში და, შესაბამისად, ლიტერატურაში. IX-XII საუკუნეებში დაედო საფუძველი კლასიკურ არაბულ სატრფიალო ლირიკას. ამ მოვლენას დროში მოსდევდა საგმირო ლირიკის შექმნა XII-XIII საუკუნეების დასავლეთ ევროპაში (პროვანსალელი ტრუბადურები და გერმანელი მინეზინგერები). XI-XIII საუკუნეებით თარიღდება „სამიჯნურო ეპოსის“ ჩამოყალიბება ლიტერატურაში.

... სამიჯნურო და ფსიქოლოგიური კონფლიქტები უკვე საგრძნობლადაა წინ წამოწეული, რაც სიახლეა. ნიშანი განჯელის, ირანულენოვანი პოეტის შემოქმედებაში სიყვარული ყოვლისმომცველია, სიცოცხლის ძალის მომცემ-წამრთმევეა და განაპირობებს ადამიანის ყოველგვარ ქმედებას. ეს ეტყობა, ემოციურად უფრო თავისუფალი, აღმოსავლური ნიშანია ევროპულთან შედარებით. სხვათა შორის „ლეილი და მაჯუნის“ საფუძველშიც, არაბულ ლეგენდაშიც, ისეთი ძლიერია სიყვარულის ძალა, რომ მიჯნურთან შეერთების ბედნიერებას მოკლებული კაისი* კვდება“ (ქურდოვანიძე, 2001:255-256). ყოველივე ამას მკვლევარნი ხსნიან სიყვარულის გრძნობის წინწამოწევით როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ლიტერატურაში.

ცივილიზაციის განვითარების პროცესში ორი სამყაროს - დასავლეთისა და აღმოსავლეთის არსებობამ ერთგვარად განსაზღვრა მათი კულტურა და ტრადიციებიც. და, თუმცა XXI საუკუნე, თავისი შინაარსით, ფორმით, მოთხოვნებითა და ასახვის საშუალებებით კარდინალურად განსხვავდება 1000-ზე

* შეყვარებული ყმაწვილის სახელი გვხვდება მაჯუნად, ყაისად, კაისად.

მეტი წლის წინანდელი ეპოქებისაგან, არსებობს ერთგვარი მითოლოგემა, რომელიც თითქმის მარადიულია და თავისი მახასიათებლებით სტანდარტულიც კი ადამიანის უმადლესი სულიერი განცდის - სიყვარულის მხატვრული ასახვისათვის ლიტერატურულ ტექსტებში.

თუ დასავლურ კულტურაში ერთგვარად დამკვიდრდა ტრისტანისა და იზოლდას სიყვარულის მითოლოგემა, აღმოსავლურში, კერძოდ არაბულ ლიტერატურაში, აღმოცენებული ლეილისა და მაჯნუნის სატრფიალო ისტორია ძალზე სიცოცხლისუნარიანი და, სიუჟეტის თვალსაზრისით, არამომბეზრებელი აღმოჩნდა.

Bards, minstrels, folk-narrators and folktale – tellers have played very important and great role for the spreading out of the stories and folk narratives regarding Layla and Majnun in Turkey, Caucasus and Balkans.” (Ahmet Ali Arslan of “A Comparative Study on Romeo and Juliet of Shakespeare and Leila and Majnun Mohammed Fusuli: Was Romeo and Juliet original”?)

ჩვენი ყურადღება სწორედ ლეილისა და მაჯნუნის ამბავზე ჩერდება. „არაბეთის ცხელ უდაბნოში, ნეჯდის მთის მახლობლად მოსახლე ბანუ ამირის ტომის ბედუინებს შორის წარმოიშვა მაჯნუნისა და ლეილის პლატონური სიყვარულის სევდიანი თქმულება, რომლის სათავეებს VII საუკუნემდე მივყავართ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ბევრი გადმოცემა დაივიწყეს, ბევრი თქმულება წაიღო ჟამთა გრიგალმა, მაგრამ მაჯნუნისა და ლეილის წარმტაცი ამბავი უჭკნობი დარჩა. ის კი არ მიწედა, არამედ კიდევ უფრო გაცხოველდა და განვითარდა“. (კობიძე, 1975:302). ლეილისა და მაჯნუნის ამბავი ასეთია: კაის იბნ ალმულლაჟაბ იბნ მუზახიმმა, ახალგაზრდა პოეტმა ბედუინმა, ბანუ-ამირის ტომიდან შეიყვარა გოგონა თანატომელი გოგონა ლეილ ალ-ამირია. კაისი უძღვნიდა სატრფოს ლექსებსა და სიმღერებს, მაგრამ მამამისს რომ სთხოვა მისი ხელი, უარი მიიღო, რადგან ეს ტომის წეს-ჩვეულებას არ ესადაგებოდა. მალე ლეილ გაჰყვა სხვა მამაკაცს. როდესაც ეს ამბავი გაიგო კაისმა, დატოვა ტომი და უდაბნოში გაიხიზნა. მშობლები ეხვეწებოდნენ შინ დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. ლეილა ქმართან ერთად ერაყში გადავიდა, სადაც ავად გახდა და გარდაიცვალა. რამდენიმე წლის შემდეგ კი იპოვეს კაისი ვიღაც უცნობი ქალის საფლავის გვერდით, რომელზედაც ამოკვეთილი იყო მისი უკანასკნელი ლექსის სტრიქონები. მკვლევარნი ცდილობენ იპოვონ ამ ამბის წყაროები არაბულ ლიტერატურაში (ალ-ვალიბი, იბნ-კუტუბი, აბუ-ლ-ფარაჯ ისპანელი) თვით ბაბილონურ, სოლემბრივი დამწერლობის ფირფიტებში და სხვ. ლეილისა და მაჯნუნის პლატონური სიყვარულის ისტორია X საუკუნის დასაწყისიდან აბასიანთა ეპოქის კარზე დიდ ინტერესს იწვევს. ნიზამი განჯელის (1141-1209) ცნობილი პოემის „ლეილისა და მაჯნუნის“ შემდგომ უამრავი მიმბამველი გამოჩნდა (ხოსრო ლეჰელიის, ქათიბი თურშიზის, აშრაფის, ნიზამ ედ-დინ აჰმედ სუჰეილის, მექთები შირზეს, მასალი ქაშანის, იმად ლარის) სახით. XV საუკუნეში აღნიშნულ სიუჟეტზე პოემის შექმნის მცდელობა პიკს აღწევს. მარტო სპარსულ ენაზე 50-ზე მეტი პოემა დაიწერა. უზბეკურ ლიტერატურაში მიბამვის სათავედ ალიშერ ნავოის პოემა ითვლება თურქულ ლიტერატურაში ფუზულიმ შექმნა შესანიშნავი პოემა.

ქართულ ლიტერატურაში აღსანიშნავია თეიმურაზ I (1589-1663) „ლეილმაჯნუნიანი“, რომელიც საკმაოდ პოპულარული იყო საუკუნეების მანძილზე. ლეილისა და მაჯნუნის (ყაისის) ამბავში ძირითადი ღერძი სიყვარულისა და მოქმედებისა შემდეგშია: ლეილსა და ყაისს შეუყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ლეილის მშობლების მიზეზით ვერ შედგა მათი ქორწინება, ლეილი სხვას მიათხოვეს, ყაისი უდაბნოში გაიჭრა. ლეილის სიკვდილს მოჰყვა ყაისის გარდაცვალებაც.

იგივე სქემა მიახლოებით ვითარდება ორჰან ფამუქის რომანში: ფუსუნსა და ქემალს შეუყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ქემალი დანიშნულია, ფუსუნი თხოვდება სხვაზე. ქემალი წლებს ატარებს ფუსუნზე ოცნებასა და მის სიახლოვეს ტრიალში, ბოლოს ორივე თავისუფალია და ერთად ყოფნით ბედნიერი. ამ ზღვარზე მყოფი ფუსუნი მოულოდნელად ქემალთან ერთად ავარიში მოხვდება და კვდება. დარჩენილ ცხოვრებას ქემალი მოგზაურობასა და სატრფოს ხსოვნის სიწმინდეების მუზეუმის შევსებაში ატარებს.

ასეთი სიუჟეტი შეიძლება განვითარებულიყო ნებისმიერ ნაწარმოებში, აღმოსავლურ თუ დასავლურ ლიტერატურაში, მაგრამ რა არის ლეილისა და „მაჯნუნის“ (ყაისის) ამბისა და „უმანკოების მუზეუმის“ სიუჟეტისათვის საერთო და რატომ? სიყვარული, რომელიც მიუხედავად წინააღმდეგობისა გრძელდება წლების მანძილზე, არ ნელდება, ხოლო ერთად შეყრისას (ლეილი და მაჯნუნი - საიქოს) ბედნიერების უმადლეს მწვერვალს მიახლოებიან (ფუსუნი და ქემალი - სააქას).

რა შეიძლება ვიფიქროთ? ამბავი, ერთი შეხედვით მარტივია, სიუჟეტი კი, განვითარებული საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა მხატვრულ ტექსტებში, თითქმის ერთი და იგივე, და ამავე დროს საინტერესო, მისაღები მკითხველისათვის. ხოლო 1000 წლის შემდეგ შექმნილ ეპიკურ ნაწარმოებში თანამედროვე შეყვარებულებზე და ესეც ძალიან მიმზიდველი და დამაინტრიგებელი. არის აქ ამბის უბრალო გამოყენება, სესხება თუ გავლენა?

რუსთველოლოგები წლების მანძილზე ეძებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ამბავს, რისი პოვნაც შეუძლებელი აღმოჩნდა დღემდე. არადა თავად ავტორი პოემისა მინიშნებს მკითხველს უცხოურ ისტორიაზე, ანუ ამბავზე.

7 საუკუნის შემდეგ ცნობილი ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა კვლავ მსჯელობს. „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობაზე და აკეთებს საინტერესო დასკვნებს გავლენის შესახებ: „თუ უნდა პოეტს, რომ ლეგენდიდან ხელოვნური ნაწარმოები შექმნას, ლეგენდა უსათუოდ თავისებურად უნდა შეიმუშავოს, თავისი გრძობა-გონების საკუთრებად გახადოს, გადააქციოს.. ავიღოთ მაგალითი. განა ლეგენდას ფაუსტზე ცოტა ავტორები ჰყავდნენ? ცოტა კი არა, ძალიან ბევრი: ასობით იყვნენ მწერალნი ფაუსტის ლეგენდისა, მაგრამ იმათ ნაწერებზე მხოლოდ ის ვიცით, რომ დაწერდეს და კითხვით კი აღარავინა კითხულობს, ვერ შეძლეს, გრძობა-გონების, ნიჭის უძღურებისა გამო, მისი შესისხლხორცება, შეგნება, შემუშავება. ლეგენდა, ზღაპარი თესლია მხოლოდ და, მამ მარტო თესლშია ძალა და ის აღარ უნდა ვიკითხოთ, როგორს ნიადაგზე ითესება ეს თესლი? ნიადაგი პოეტია,, რომელმაც ერთი მარცვალი უნდა ათასად აქციოს. ყველას არ შეუძლიან ესა და იმიტომ უნიჭოების ნაწერები ქარწყლდება, ინთქმევა, დავიწყების მორევში...“

... ლეგენდაც, რა თქმა უნდა, როგორც მასალა, საჭირო იყო პოეტისათვის, მაგრამ რა უფლება გაქვთ არ დამეთანხმოთ, რომ თუ გიოტე არ ყოფილიყო, არც დღევანდელი, „ფაუსტი“ ექნებოდა კაცობრიობას?! მაშასადამე, თავი და თავი ავტორი ყოფილა და არა ლეგენდა. ეს ლეგენდაც რომ არ ყოფილიყო, ის აზრი და გრძობა, რაც „ფაუსტშია“ გამოთქმული გამოსახული, მაინც გამოითქმებოდა გიოტეს კალმის წყალობით, თუმცა შეიძლება სხვა რამ სახელი რქმეოდა, ან სხვა ფორმით დაწერილიყო“ (ვაჟა-ფშაველა, 1964:307-308).

ლეგენდა ანუ (ამ შემთხვევაში) საწყისი ამბავი სწორედ რომ ძირია, ფუძეა დიდი ნაწარმოების შესაქმნელად. მაგრამ ამ შემთხვევაში გავლენაზე, მთარულ ამბავზე ლაპარაკი ზედმეტია. ორჰან ფამუქი აქ ის ავტორია, რომელსაც XX საუკუნის მეორე ნახევრის ადამიანთა გრძობა-განცდებზე ოსტატური მსჯელობა სურს. რადგან რომანი თავად ქემალის პირით მიმდინარეობს, ავტორმა თავისი თავი ჩართო სიყვარულის ამბავზე რომანის შექმნის იდეით. და აქ დამაინტრიგებელი სწორედ რომ იმ „სიწმინდეების მუზეუმის“ დაარსებაა, რომელიც ავტორმა არნახული უცნობი ხერხის გამოყენებით შეძლო.

მუზეუმი თვით ავტორის ფანტაზიაში იქმნებოდა და იბადებოდა. თუ რომანის მთავარი გმირისათვის, ქემალისათვის, მუზეუმის შექმნა ფუსუნისადმი სიყვარულის სიწმინდეების შეგროვებით გატაცებად იქცევა, ო. ფამუქი ჯერ იძიებს და პოულობს საგნებს, რომლებსაც „ათავსებს“ თავის რომანში: „დიდი ხანია, სტამბოლში მუზეუმის დაარსება მინდოდა, ამ მიზნით ათი წლის წინ ჩუკურკუმში, ჩემი სახელოსნოს ახლოს, ერთი მიტოვებული შენობა ვიყიდე... ისეთ ნივთებს ვეძებდი, რომლებიც ჩემი რომანის გმირებს შეიძლებოდა ჰქონოდათ... მინდოდა ეს ნივთები ჩემი რომანის შემადგენელ ნაწილებად მექცია, ამიტომაც ვიგონებდი სცენებს, მომენტებს, გარემოებებს. ბევრი მათგანი (მაგალითად ხილის საწური) საგანგებოდ ამ მიზნით შევიძინე. ასე გადავაწყდი მაღაზიებში ხეტიალისას კაბას, ფორთოხლისფერი ვარდებითა და მწვანე ფოთლებით. ვიფიქრე, რომ იგი ჩემი გმირის, ფუსუნისათვის, ზედგამოჭრილი იქნებოდა და ვიყიდე. კაბა წინ მედო, როცა ამ ეპიზოდს ვწერდი, სადაც ფუსუნი მანქანის ტარებას სწავლობს და თან ფორთოხლისფერი კაბა აცვია“. (ფამუქი 2013: 113-114). ე.ი. ჯერ ფანტაზიაში დაბადებული საგნების ძიება, შემდეგ საგნები და ბოლოს თავად ტექსტია. ე.ი. აქ მთავარი მაინც ავტორისათვის მკითხველის დაინტერესებაა, ამისათვის ფანტაზიის წიაღში მოძიება და ტექსტად ქცევა, „რომანის გაგებისათვის ყველაზე რთული მწერლის ზრახვებისა და მკითხველის რეაქციის გამოცნობა როდია. ყველაზე რთულია იმის განსაზღვრა, რას გვეუბნება ტექსტი, გვახსოვდეს, რომ მწერალი რომანს შესაძლო ინტერპრეტაციების გათვალისწინებით წერს. არც მკითხველს ავიწყდება, რომ მწერალი სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით ქმნის თავის ნაშრომს. გარდა ამისა, მწერლები წინასწარჭვრეტენ მკითხველის სურვილს, თავი რომანის ავტორად წარმოიდგინონ, ანდა მწერალს უბედური და უარყოფილი ადამიანის განცდა მოასხან“. (ფამუქი 2013:132).

აქ უკვე აშკარა ხდება, რომ ავტორი სწორედ ფანტაზიაში და მკითხველთან მოსალოდნელი შეხვედრის განცდაში ბადებს სიუჟეტს, რომლის ქარგა-ამბად შეიძლება კოდირებული ტექსტი იყოს ლეილისა და მაჯუნისა, გაუცნობიერებული და ამავე დროს საუკუნეთა მანძილზე თაობათა შორის ერთმანეთში გარდასახულ-გაცნობიერებული.

რა ხერხს მიმართავს მწერალი, რომელშიც ხან „სენტიმენტალური რომანისტი“ დომინირებს, ხან „გულუბრყვილო რომანისტი“?

აშკარაა მწერლის ფანტაზიაში მწიფდებოდა სიყვარულის ისტორია, რომელიც XX საუკუნის 70-80-იან წლების სტამბოლის ფონზე გაიშლებოდა, მაგრამ ეს იქნებოდა არაორიგინალური, ტიპური და სწორედ ახალი რეალობის შემოტანამ, „სიყვარულის სიწმინდეების შეგროვებამ“ და სატრფოს გარდაცვალების შემდეგ მათი მუზეუმში განთავსებამ აქცია იგი განსაკუთრებულად. ამბავი ანუ ფაბულა

ბველი, ადმოსავლურ ტექსტებში ძალზე პოპულარულია და ფორმა სიყვარულისა სიუჟეტში სიწმინდეებთან დაკავშირებული. საგნები თავისთავად ქმნიან ახალ რეალობას მკითხველში, რომელიც ერთგვარი გაგრძელებაა ქემალის ისტორიისა.

ამიტომ შეიძლება მივიჩნიოთ ო. ფამუქის „უმანკოების მუზეუმი“ საოცარ სიახლედ ლიტერატურაში და, ამავედროულად, ლეილისა და მაჯუნის ამბის კოდირებული ტექსტის გახსნად XX საუკუნეში მომხდარი მოვლენების ფონზე, რისი გარკვევის მცდელობაც იყო წარმოდგენილი წინამდებარე სტატიაში.

ლიტერატურა:

- ქურდოვანიძე, 2001: ქურდოვანიძე თ., „ქართული ფოლკლორი“, თბილისი, 2001;
ფამუქი, 2011: ფამუქი ო., „უმანკოების მუზეუმი“, თბილისი, „დიოგენე“, 2011;
ფამუქი 2013: ფამუქი ო., „გულუბრყვილო და სენტიმენტალური რომანისტი“, თბილისი, „დიოგენე“, 2013;
კობიძე 1975: კობიძე დ., „სპარსული ლიტერატურის ისტორია“, თბილისი, თსუ, 1975;
ვაჟა-ფშაველა, 1964: ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ. ტ. IX, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1964.

THE STORY OF LEILI AND MAJNUN AND “THE MUSEUM OF INNOCENCE” BY ORHAN PAMUK

Tamar Gogoladze, Gori State Teaching University, Professor

RESUME

Plot of a fiction mainly is based on a real story. The way from the story to the subject plot varies with different authors. Often a writer gives new fiction form to this story, sometimes adds new details and in some cases turns the story to a new reality for a reader. In this case this or that text becomes a type of code text which lives in the imagination of a writer and he creates new world for his characters and in this way makes the story interesting for his readers.

Our concern is that the story of Leili and Majnun (Kaisi), originated in the VII century in Arabia and widespread in oriental world, had gone such way till it became the plot of a popular novel “The Museum of Innocence” by a modern Turkish writer Orhan Pamuk.

The coded lace-frame of a love story of Leili and Majnun, inhabited in the imagination of the author, transformed into a fiction plot by introducing an important element-the museum of innocence and love and created new reality for future readers.

სიტყვათა რიგის ტიპოლოგია ქართულსა და თურქულში

მარიამ კობერიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

ენათა სტრუქტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და არსებითია ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია. ამ რელევანტურ ნიშანთა ერთობლიობა განსაზღვრავს საზოგადოდ ენის, როგორც ფენომენის, არსს. ტიპოლოგიური ენათმეცნიერება ანუ ლინგვისტური ტიპოლოგია ადგენს ენობრივ სისტემებს შორის იზომორფიზმსა და ალომორფიზმს, ანუ, სხვაგვარად, ენათა შორის იგივეობასა და განსხვავებულობის გამოვლენა, ტიპოლოგიური კვლევა-ძიება ნათელყოფს, რომ ენობრივ სისტემებს შორის არ არსებობს პრინციპული განსხვავება; ისინი რაღაც ერთიანი, ზოგადი, უნივერსალური მოდელის კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენენ. ამავე დროს ენები კიდევაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ყოველი ენა განსაკუთრებული, სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩევა ყველა სხვა ენისაგან. ამგვარი მსგავსება-განსხვავებულობა განსაზღვრავს შესაბამისად იზომორფიზმისა და ალომორფიზმის მიმართებებს ენებს შორის. ტიპოლოგიური კლასი შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთობლიობა ენებისა, რომლებიც ერთი და იმავე სტრუქტურული ნიშნებით გამოირჩევა (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003: 400).

ლინგვისტური ტიპოლოგიის უპირველეს ამოცანას შეადგენს უნივერსალიების გამოვლენა. უნივერსალია ისეთი სტრუქტურული ნიშან-თვისება, რომელიც დამახასიათებელია უკლებლივ ყველა ენის ან ენათა დიდი უმრავლესობისათვის მაინც.

უნივერსალიებს განარჩევენ ობიექტის, ფორმისა და მტკიცების ხასიათის მიხედვით. ობიექტის მიხედვით უნივერსალია შეიძლება იყოს ფონოლოგიური, გრამატიკული ან სემანტიკური. ფორმის მიხედვით უნივერსალია შეიძლება იყოს ელემენტარული ანუ უპირებო, ან იმპლიკაციური ანუ პირობითი. მტკიცების ხასიათის მიხედვით უნივერსალია შეიძლება იყოს აბსოლუტური ან სტატისტიკური, დედუქციური ან ინდუქციური.

ტიპოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ვლინდება ენობრივ სისტემათა უზოგადესი საერთო მახასიათებლები, რომელთა ერთობლიობა განსაზღვრავს ენის, როგორც განსაკუთრებული ფენომენის, არსს. ენათა ტიპოლოგიური შესწავლა წარმოაჩენს უნივერსალურ მახასიათებლებს, უზოგადეს კანონზომიერებებსა და პრინციპებს, რომელთა ერთობლიობა საფუძვლად უდევს კონკრეტულ ენობრივ სისტემებს.

თანამედროვე ტიპოლოგიის ძირითადი დასკვნა ასეთია: ყველა ენას საფუძვლად უდევს გარკვეული უნივერსალური ნიშან-თვისებით განსაზღვრული ზოგადი მოდელი, რომელიც სხვადასხვაგვარად გამოვლინდება კონკრეტულ ენობრივ სისტემაში (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003: 400).

სიტყვათა განლაგების (რიგის) მიხედვით ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ამ მხრივ, ჩვეულებრივ ენათა ორ წყებას გამოყოფენ: ენები, რომლებშიც სიტყვათა განლაგება თავისუფალია, და ენები, რომელთაც სიტყვათა მყარი განლაგება ახასიათებს. განსხვავებას ქმნის ენის მორფოლოგიური ტიპი: უაფიქსო ენებში სიტყვათა ურთიერთობას ძირითადად სიტყვათა ადგილმდებარეობა განსაზღვრავს, აფიქსიან ენებში სიტყვათა ურთიერთობისათვის მთავარია გრამატიკული ფორმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიტყვათა განლაგების მიხედვით ენათა ორ დასახელებულ ჯგუფად დაყოფა რამდენადმე მაინც პირობითია: არ არსებობს ენა, რომელშიც სიტყვათა განლაგება აბსოლიტურად თავისუფალი იყოს, ანდა მყარი (კვაჭაძე, 1998:214-215).

სინტაქსური უნივერსალიების დადგენა არსებითად სამი სახის კრიტერიუმს ემყარება: 1. წინდებულის ან თანდებულის არსებობა (ისინი შესაბამისად აღინიშნებიან Pr და Po). 2. სუბიექტის (S), ზმნის (V) და ობიექტის (O) რიგი თხრობით წინადადებებში სახელური სუბიექტითა და სახელური ობიექტით.

3. თვისების აღმნიშვნელი მსაზღვრელი ზედსართავი სახელის პოზიცია არსებითი სახელის მიმართ: არსებობს დომინანტური რიგი ზედსართავი სახელით არსებითი სახელის წინ: AN და დომინანტური რიგი ინვერსიული (შებრუნებული) წყობით, ზედსართავი სახელით არსებითი სახელის მომდევნოდ NA (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003: 422).

მეორე კრიტერიუმთან დაკავშირებით, ლოგიკურად არსებობს რიგის ექვსი შესაძლებელი ტიპი: SVO, SOV, VSO, VOS, OSV და OVS. მათგან მხოლოდ სამი გვხვდება როგორც დომინანტური ტიპი. დანარჩენი სამი ან სულ არ გვხვდება, ან მეტისმეტად იშვიათია: ასეთია VOS, OSV და OVS. რჩება სამი იშვიათი ტიპი: VSO, SVO და SOV, რომლებშიც სუბიექტი ყოველთვის წინ უსწრებს ობიექტს.

ქართულისა და თურქულის სიტყვათა რიგის ტიპოლოგიის საფუძველზე შესაძლოა დავადგინოთ სინტაქსური უნივერსალიები.

ქართული ენა მდიდარია სადერივაციო აფიქსებით ე.ი. ისეთი აფიქსებით, რომელთა მეშვეობითაც გარკვეული მიმართება მყარდება სიტყვებით აღნიშნულ საგნებსა და მოვლენებს შორის. ამითაა გამოწვეული, რომ ქართულში (და საერთოდ, აფიქსებიან ენებში) სიტყვათა მყარი განლაგების საჭიროება არ არის, როგორც ამას ადგილი აქვს უაფიქსო ენებში. სიტყვათა განლაგება ქართულში შედარებით თავისუფალია. ეს კი, თავის მხრივ, წინადადებაში სიტყვებისათვის ადგილების შეცვლის დიდ შესაძლებლობას იძლევა, რაც ფართოდ შეიძლება გამოვიყენოთ სტილისტიკური მიზნებისათვის, აზრის სხვადასხვა ნიუანსის გადმოსაცემად.

სიტყვათა განლაგება ქართულ წინადადებაში შედარებით თავისუფალია, მაგრამ აბსოლუტურად თავისუფალი მაინც არ არის: ხშირად ამა თუ იმ წინადადებაში წარმოდგენილ სიტყვათა განლაგების ყველა შესაძლო ვარიანტი ერთნაირი ღირებულებისა არ არის. ზოგი ბუნებრივია, ჩვეულებრივ, საყოველთაოდ ხმარებული, ზოგიც - ხელოვნური, ნაძალადევი თუ ნაკლებ ბუნებრივი, ან კიდევ სრულიად მიუღებელი .

წინადადების წევრთა თანამიმდევრობის მიხედვით თურქულის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი ისაა, რომ მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს ფართო გაგებით, ე. ი. სუბიექტისა და პრედიკატის დამოკიდებულებასაც მოიცავს. წინადადების რა წევრიც არ უნდა იყოს საზღვრული, მსაზღვრელი მის წინ დგება.

თურქულ წინადადებაში სიტყვათა წყობის შემდეგი კონსტრუქციული სქემა მოქმედი: ქვემდებარე, დროის გარემოება, სხვა გარემოებები, ირიბი დამატება, პირდაპირი დამატება, შემასმენელი; ირიბი და პირდაპირი დამატებების წინ თავსდება განსაზღვრება (ჯიქია, 2003: 262).

განვიხილოთ მარტივი თხრობითი წინადადების მაგალითზე:

თუ ზმნა-შემასმენელი ერთპირიანი ზმნით არის გადმოცემული ე. ი. წინადადება ორწევრიანია (მხოლოდ მთავარი წევრებია) ქართულ ენაში -- სიტყვათა განლაგების ორი ვარიანტი გვხვდება, თურქულ ენაში - ერთი ვარიანტი. მაგ.: ekmek var (**SV- ქვემდებარე -- შემასმენელი**) - 1. პური არის (**SV ქვემდებარე-შემასმენელი**); 2. არის პური (**VS შემასმენელი -- ქვემდებარე**).

იგივე მდგომარეობა გვაქვს, როდესაც უარყოფითი ნაწილაკი ახლავს ზმნა-შემასმენელს: ekmek yok- 1. პური არ არის; 2. არ არის პური.

კითხვითი წინადადება:

ekmek var mi? (**SV- ქვემდებარე -- შემასმენელი - mi**) - პური არის? (**SV- ქვემდებარე- შემასმენელი**); **არის პური?**

ekmek yok- 1. პური არ არის; 2. არ არის პური(**VS შემასმენელი -- ქვემდებარე**).

თუ შემასმენელი ორპირიანი გარდაუვალი ზმნით არის გადმოცემული, ქართულ ენაში სიტყვათა განლაგების ექვსი ვარიანტი გვაქვს, თურქულ ენაში- ერთი. მაგ.: **Benim Karde im var-** 1. მე ძმა მყავს (**OSV- ირიბი დამატება-ქვემდებარე-შემასმენელი**); 2. მე მყავს ძმა (**OVS- ირიბი დამატება-ზმნა-ქვემდებარე**); 3. ძმა მე მყავს (**SOV- ქვემდებარე-ირიბი დამატება-შემასმენელი**); 4. ძმა მყავს მე (**SVO - ქვემდებარე-შემასმენელი - ირიბი დამატება**); 5. მყავს ძმა მე (**VSO-შემასმენელი-ქვემდებარე-ირიბი დამატება**); 6. მყავს მე ძმა (**VOS-შემასმენელი-ირიბი დამატება- ქვემდებარე**). ქართულ ენაში ამ ექვსი შესაძლო ვარიანტიდან უფრო გავრცელებულია **OVS** და **SVO** ვარიანტები.

სამწევრიან წინადადებებში, სადაც უსულო საგნის მქონებლობაზეა საუბარი, თურქულ ენაში ერთი ვარიანტი გამოიყოფა: **Bende kelem var** (**OSV**); ქართულ ენაში ჩვეულებრივ ექვსი ვარიანტი (**OSV, OVS, OVS, SVO, VSO, VOS**)-1. მე მაქვს კალამი; 2. მე კალამი მაქვს; 3. კალამი მაქვს მე; 4. კალამი მე მაქვს; 5. მაქვს მე კალამი; 6. მაქვს კალამი მე. უფრო გავრცელებულია პირველი -ოთხი ვარიანტი, ნაკლებად გავრცელებულია მეხუთე - მეექვსე ვარიანტი.

განვიხილოთ ისეთი წინადადება, სადაც მთავარ წევრებთან გვხვდება არამთავარი წევრებიც.

1. **Masada kitap yok** (ადგილის გარემოება- ქვემდებარე-შემასმენელი)- 1. მაგიდაზე წიგნი არ არის (ადგ. გარემოება-ქვემდებარე- შემასმენელი); 2. წიგნი მაგიდაზე არ არის (ქვემდებარე - ადგ. გარემოება-შემასმენელი); 3. არ არის მაგიდაზე წიგნი (შემასმენელი- ადგ. გარემოება-ქვემდებარე).

2. **Bahçede iki araba var** (ადგ. გარემოება-განსაზღვრება-ქვემდებარე-შემასმენელი)- 1. ბაღში ორი მანქანა არის (ადგ. გარემოება- განსაზღვრება - ქვემდებარე-შემასმენელი); 2. ორი მანქანა ბაღში არის (განსაზღვრება-ქვემდებარე-ადგ. გარემოება).

3. **Onlar her gece kitap okurlar** (ქვემდებარე-განსაზღვრება-გარემოება-პირდაპირი დამატება-შემასმენელი) - 1. ისინი ყოველ ღამით წიგნს კითხულობენ (ქვემდებარე-განსაზღვრება-გარემოება-პირდაპირი დამატება-შემასმენელი); 2. ყოველ ღამით ისინი წიგნს კითხულობენ (განსაზღვრება-გარემოება-ქვემდებარე-პირდაპირი დამატება-შემასმენელი); 3. წიგნს ისინი კითხულობენ ყოველ ღამით (პირდაპირი დამატება - ქვემდებარე - შემასმენელი- განსაზღვრება-გარემოება); 4. ყოველ ღამით წიგნს კითხულობენ ისინი (განსაზღვრება-გარემოება-პირდაპირი დამატება-შემასმენელი-ქვემდებარე); 5. კითხულობენ ისინი წიგნს ყოველ ღამით (შემასმენელი-ქვემდებარე- პირდაპირი დამატება-განსაზღვრება-გარემოება); 6. წიგნს კითხულობენ ისინი ყოველ ღამით (დამატება- შემასმენელი-ქვემდებარე-განსაზღვრება-გარემოება).

ქართულში ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ერთ-ერთს ეძლევა უპირატესობა: სტილისტიკურად ეს შემთხვევები ერთნაირი ღირებულებისა არ არის, ისინი სხვადასხვა ნიუანსს გადმოსცემენ

სიტყვათა რიგის ვარიაციები თურქულში არ უნდა არღვევდეს არც მსაზღვრელ-საზღვრულის პოზიციურ კანონს და არც კონსტრუქციული სქემის ძირითად ხაზს - სუბიექტი ყველგან პრედიკატის წინ უნდა იყოს, მაგრამ ეს კანონი უნდა განიხილებოდეს უმთავრესად წერით მეტყველებაში, ხოლო სასაუბრო ენა წერითთან შედარებით განსაზღვრება რამდენიმე ექსტრალინგვისტური ფაქტორით, როგორცაა სიტუაციური შეპირობება, მოუმზადებლობა და სხვა ფაქტორები (ჯიქია, 2003: 263).

სიტყვათა რიგი თვით თურქულშიც ხშირად არ ემთხვევა კონსტრუქციულ სიტყვათგანლაგებას, რაც აიხსნება სასაუბრო ენის ნორმების შედრწევით სალიტერატუროში. ამის გამო დომინირებული აღმოჩნდა მეტყველის საკომუნიკაციო ამოცანა, რასაც დაექვემდებარა სიტყვათა რიგის გრამატიკული ორგანიზაცია. სასაუბრო ენას ინვერტირებული სიტყვათგანლაგება კი არ განუვითარდა ან შეეძინა, არამედ სულ მუდამ ჰქონდა, ოღონდ სხვადასხვა პერიოდის ლიტერატურაში სალაპარაკო ენის

მდგომარეობა განსხვავებულად იყო ასახული. თანამედროვე თურქული ლიტერატურა კი უმთავრესად სწორედ ხალხური მეტყველების, სასაუბრო ენის მონაცემებს ეყრდნობა (ჯიქია, 2003, 268).

ამრიგად, როგორც ზემოთ განხილული შემთხვევებიდან ჩანს, ქართულში სიტყვათა მყარი რიგი არა გვაქვს, მაგრამ შეინიშნება წინადადების უფრო გავრცელებული და ბუნებრივი განლაგება: შემასმენელი მეტწილად ბოლოშია (უფრო იშვიათად შუაში და მით უმეტეს თავში), ვითარების გარემოება შემასმენლის წინ დგას, ადგილისა და დროის გარემოება იწყებს წინადადებას ან შემასმენლის წინ ექცევა და სხვა. სიტყვათა სხვადასხვა განლაგებით სხვადასხვა ნიუანსია გადმოცემული. დიდ როლს ამ მხრივ ლოგიკური მახვილი ასრულებს. თურქულ წინადადებაში სიტყვათა წყობის შემდეგი კონსტრუქციული სქემაა: ქვემდებარე, დროის გარემოება, ირიბი დამატება, პირდაპირი დამატება, შემასმენელი.

ლიტერატურა:

1. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
2. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988.
3. ქაშუშაძე გ., იანეთში რეპატრიირებული მოსახლეობის თურქული მეტყველების თავისებურებანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2006.
4. ჯიქია მ., სიტყვათა განლაგება თურქულში (თხრობითი წინადადების მაგალითზე), აღმოსავლეთმცოდნეობის მესამე საერთაშორისო კონფერენცია, ქუთ., 2003.

TYPOLOGY OF WORD ORDER IN GEORGIAN AND TURKISH LANGUAGES

Mariam Koberidze, Gori State Teaching University, Professor

RESUME

We do not have strong order of words in Georgian, but more splendid and natural lineup of the sentence: predicate is mostly at the end (more seldom in the middle and mostly in the beginning), adverbial modifiers mostly stand before the predicate, adverbial modifiers of place and time mostly start the sentence or stand in front of the predicate and etc. Different nuances are given from different word order. Logical stress plays great role here. There is the following construction scheme of the word order in Turkish sentence: subject, adverbial modifier of the time, indirect object, direct object, predicate.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და კონსტანტინეპოლის პატრიარქები

ნესტან ლომაია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ქრისტიანობის ისტორია უძველესი მეცნიერებაა, შესაბამისად მის კვლევასა და სწავლებას მრავალსაუკუნოვანი სამეცნიერო გამოცდილება გააჩნია. ქრისტიანობის ისტორიის, როგორც დარგის განსაკუთრებული განვითარება უკავშირდება იმ ეთნოსებს, რომელთა სახელმწიფოებრივი ისტორია, კულტურა და ეროვნული ღირებულებები ქრისტიანულ სარწმუნოებაზე დაყრდნობით აღმოცენდა და განვითარდა. თავის მხრივ, მსოფლიოს ეთნიკურ-კულტურულმა მრავალფეროვნებამ განსაზღვრა ქრისტიანობის სწავლებისა და მეცნიერული შესწავლის მეთოდოლოგიური სხვაობითობა, პრობლემატიკის მრავალსახეობა და შესაბამისი მეცნიერული ტენდენციები.

თანამედროვე სამყაროში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებმა მოითხოვა რელიგიის საკითხისადმი განსაკუთრებული მიდგომა, გლობალური სამყაროს ფორმირების მიმართულებით მუშაობამ მსოფლიოში არსებულ რელიგიათა შორის გამორჩეული ადგილი მიაკუთვნა ქრისტიანობას, როგორც მსოფლიოს ძლიერი ქვეყნების ისტორიულ აღმსარებლობას. ანტიგლობალიზაციური პროცესებით შექმნილი სირთულეების დარეგულირებისა და მშვიდობის პრობლემის გადაჭრის საქმეში თანამედროვე საზოგადოებამ აქტიურად ჩართო ქრისტიანული სარწმუნოება და მისი ეკლესია. ყოველივემ, თავის მხრივ, მოითხოვა ქრისტიანობის, როგორც დარგის სიღრმისეული გააზრება, მისი ისტორიის შესწავლა.

თანამედროვე მსოფლიოში ამ მიმართულებით ფართო მუშაობა მიმდინარეობს, რათა განზოგადდეს, მეცნიერული შეფასება მიეცეს და გადაიჭრას ისეთი პრობლემატური საკითხები, როგორცაა ეკლესიათა გაერთიანების საკითხი, თანამედროვე მშვიდობისა და მისიონერული იმპერატივის პრობლემა, მსოფლიო ეკლესიებისა და კონფესიონალიზმის საკითხი, ეკუმენური მოძრაობის რაობა და მისი მნიშვნელობა, რელიგიური თავისუფლება. ქრისტიანობის ურთიერთმიმართების საკითხი ტრადიციულ და არატრადიციულ რელიგიებთან.

ცივილიზაციათა გზაგასაყარზე მდებარე საქართველო ოდითგან ეთნიკური და კონფესიური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა და ქრისტიანობაც აქ მრავალმიმართულებითი სახით იყო წარმოდგენილი. მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, სომხურ-გრიგორიანული ქრისტიანობა, მაგრამ ქართველთა ისტორიული სარწმუნოება ძველთაგანვე მართლმადიდებლობა იყო, რომელმაც განსაზღვრა ქართული სახელმწიფოებრიობა, ეროვნული კულტურა და ფასეულობები.

მსოფლიოს მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის საქართველოს სამოციქულო ეკლესიას განსაკუთრებული ადგილი უკავია, რომელიც საქართველოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სახელს უკავშირდება. მისი თაოსნობით საქართველოს ეკლესიამ მიზანს მიაღწია, 1990 წელს მისი ავტოკეფალიების უძველესობა წერილობითი დოკუმენტით სცნო კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ და მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოს I-მა. მანვე აღიარა საქართველოს ეკლესიის მამამთავრის პატრიარქის წოდება. ფაქტი იყო, რომ საქართველოს ეკლესიის მონაწილეობამ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში დადებითი შედეგი გამოიღო, საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ საქართველომ აღიდგინა კუთვნილი ადგილი მსოფლიო საქრისტიანოში.

რელიგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მსოფლიო პატრიარქის მდგომარეობა კონსტანტინოპოლში თურქეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში. თურქები მოქმედებდნენ აღმოსავლეთის თეოკრატიული პრინციპებით და დაპყრობილ მართლმადიდებელ ტერიტორიებზე არ გამიჯნეს ერთმანეთისაგან სასულიერო და საერო ხელისუფლება, თურქეთის სულთანმა იმთავითვე აღიარა პატრიარქი გერმანე, როგორც ეკლესიის, ისე მთელი ერის თავად. შემდგომშიც თურქეთის ხელისუფლება ქრისტიანებს არ განასხვავებდა ნაციონალური ნიშნით. თურქეთის მთავრობისათვის ქრისტიანები ერთ სარწმუნოებას აღიარებდნენ და აქედან გამომდინარე ერთი ერი იყვნენ. სულთანმა, კონსტანტინეპოლის პატრიარქს მიანიჭა „სილეო შაშის“ (ნაციის თავი) წოდება და ამით მის ქვეშევრდომობაში მყოფი ერთმორწმუნენი სამოქალაქო კუთხითაც პატრიარქს დაუქვემდებარა.

საეკლესიო თვალსაზრისით, პატრიარქს ისეთივე უფლებები ჰქონდა, როგორც ბიზანტიის იმპერატორობის დროს. პატრიარქი იყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოზე დამოკიდებული მართლმადიდებელი ქრისტიანობის უმაღლესი სასულიერო ხელმძღვანელი. პატრიარქს ტახტი გარდაცვალებამდე ეკავა უწმინდესი სინოდის დადგენილებისა და თურქეთის მთავრობის მტკიცებულების საფუძველზე, მისი ტახტიდან გადაყენება კატეგორიულად იკრძალებოდა. ტახტიდან გადაყენების მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მის მიერ მეფის ღირსების შეზღავანა, სარწმუნოებრივი დოგმების უარყოფა და უწესრიგო მმართველობის სისტემის დამკვიდრება.

როგორც უმაღლესი სასულიერო იერარქი – პატრიარქი საპატრიარქოს მართავდა მასზე დაქვემდებარებული იერარქიების მეშვეობით. ისინი პასუხისმგებელი იყვნენ პატრიარქის წინაშე ეკლესია – მონასტრების მდგომარეობაზე. პატრიარქი თავისი სურვილით ნიშნავდა თანამდებობაზე სასულიერო დასიდან სასურველ პირებს (მიტროპოლიტებს ეპისკოპოსებს და სხვა), რომელთაც ამტკიცებდა თურქეთის მთავრობა. პატრიარქის ფუნქციებში შედიოდა სასულიერო დასზე ზედამხედველობა, საეკლესიო სამართლით მათი განსჯა დამნაშავეთათვის სასულიერო ხარისხის ჩამორთმევა. საერო ხელისუფლება უფლებად იტოვებდა, რომ სასულიერო პირებზე ჩივილის შემთხვევაში, ისინი დაეპატიმრებინა და მათი საკითხი პატრიარქისა და მაღალი იერარქიების თანდასწრებით განეხილა. პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდა უმაღლესი საეკლესიო სასამართლო, რომელიც ასამართლებდა, როგორც სამღვდელოებს, ისე მრევლს, მაგრამ ამ უკანასკნელის დასჯა მხოლოდ ეკლესიიდან განკვეთით შეეძლო და ბოლოს, მხოლოდ პატრიარქის უფლება იყო სინოდის მოწვევა და მისი სხდომების თავმჯდომარეობა.

კონსტანტინეპოლის პატრიარქის სამოქალაქო უფლებები ახალი მოვლენა იყო აღმოსავლეთის ეკლესიაში, რომელსაც ანალოგი დასავლეთის ეკლესიაში ისტორიული პაპობის ინსტიტუტში მოიძებნება. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ პატრიარქის სამოქალაქო უფლებები ბევრად აღემატებოდა საეკლესიო უფლებამოსილებას; პატრიარქი, როგორც ნაციის ხელმძღვანელი, თავისი მრევლის სამოქალაქო სფეროს მმართველიც იყო. აქედან გამომდინარე, მას თავის ქვეშევრდომ არქიელებთან ერთად ევალებოდა სრულად თურქეთის ქრისტიანთა ზედამხედველობა ხელისუფლებასთან მორჩილების საქმეში. ის პასუხისმგებელი იყო სულთნის წინაშე ქრისტიანთა მიერ სამთავრობო დადგენილებების შესრულებაზე. დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში (საზოგადოებრივი წესრიგის

დარღვევა, მარცვა – ქურდობა და ა.შ.) პატრიარქი უფლებამოსილი იყო, დამნაშავე თავის სასამართლოში გაესამართლებინა და განაჩენიც გამოეტანა.

პატრიარქის კომპეტენციაში შედიოდა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეები, მაგ., ქონების გაყოფა–დამტკიცება, მემკვიდრეობითი საკითხები და სხვა. ყველა ამ საკითხზე პატრიარქის გადაწყვეტილებებს სავალდებულო ძალა ჰქონდა და მას თურქეთის ხელისუფლება აღიარებდა. პატრიარქი ყველა საკითხს წმინდა სინოდის დახმარებით იხილავდა და წყვეტდა.

კონსტანტინოპოლის პატრიარქს კვლავინდებურად დარჩა ისტორიული პრივილეგიები და უფლებები. ის კონსტანტინოპოლის უწმინდეს მთავარეპისკოპოსად იწოდებოდა.

ამრიგად, თურქეთის ბატონობის პერიოდში კონსტანტინოპოლის პატრიარქის მაღალი უფლებამოსილება მომხიბლავი აღმოჩნდა ზოგიერთი პატივმოყვარე სასულიერო პირისათვის.

თურქთა ბატონობის ხანაში პირველი პატრიარქი გახლდათ გენადი (1453-1459).

პატრიარქ გენადის შემდგომ, მეოთხე პატრიარქის მარკოზის (1469) დროს, პატრიარქის ტახტის მამიებელი იყო ტრაპეზუნტელი ბერი სვიმეონი. სულთან მუჰამედ II-ის მიერ ტრაპეზუნტის აღების დროს ბერი სვიმეონი და მისი თანამემამულენი კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ; ისარგებლეს პატრიარქ მარკოზით უკმაყოფილო სასულიერო პირებით, გადაიბირეს ისინი და სულთანმა პატრიარქის წინააღმდეგ წააქეზეს, ტრაპეზუნტელი ბერები სულთანისაგან ითხოვდნენ პატრიარქ მარკოზის გადაყენებას და მის ადგილზე სვიმეონის აღსაყდრებას. სვიმეონს დიდხანს არ უპატრიარქია. მას არქიელები აუჯანყდნენ. სულთან მუჰამედის დედინაცვალმა, ქრისტიანმა მარიამმა ჩააქრო ამბოხება და პატრიარქის ტახტზე აიყვანა თავისი მოძღვარი, მიტროპოლიტი დიონისე (1470-1474). 1475 წელს ის შეცვალა სერბმა რაფაელმა.

მაქსიმე (1476-1483) ღრმად განსწავლულობის გამო ქრისტიანობის ისტორიაში ფილოსოფოსის სახელით შევიდა. იყო შესანიშნავი ორატორი და მოძღვარი. მთელი მისი შემოქმედება მიმართული იყო მრევლის ზნეობრივი ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ, რისთვისაც ის მოხერხებულად იყენებდა ქადაგებას.

იერემია I (1520-1544) ეკლესიის მართვის საქმეში გამოირჩეოდა დიდი სიბრძნით, სარგებლობდა მაღალი ავტორიტეტითა და სიყვარულით საზოგადოებაში. მას სულიმან I მხარდაჭერა და თანადგომა დაიმსახურა.

იოსაფატ II (1552-1564) პატრიარქის ტიტულში დაჰყო გარკვეული პერიოდი, მაგრამ მისი მაღალი ზნეობის გამო იგი გადააყენეს მღვდელ–მსახურებმა.

იერემია II 1572 წელს აირჩიეს პატრიარქად და ტახტი 1579 წლის ბოლომდე ეკავა. იგი განათლებული სამართლიანი და შეუპოვარი მოძღვარი იყო. იცავდა მართლმადიდებლობას, სხვა აღმსარებლობისაგან, საპატრიარქოში შემოსულ თანხებს სრულად ახმარდა ეკლესიას. მან საპატრიარქო რეზიდენციას ახალი შენობები შესძინა. 1570 წელს იგი გადააყენეს და ტახტზე აღსაყდრებულ იქნა მიტროფანე. მალე იერემია მეორედ აკურთხეს კონსტანტინოპოლის პატრიარქად. 1594 წელს პატრიარქი იერემია II აღესრულა პატრიარქის ხარისხში.

კირილე ლუკარისი 1621-1638. იგი ერთ–ერთი შესანიშნავი პატრიარქია, მორწმუნე, განსწავლული, კეთილშობილი, წმინდანებს შორის გამორჩეული. იგი ხუთჯერ იაყვანეს ტახტზე და ოთხჯერ გადააყენეს, ბოლოს 1638 წელს აღესრულა წამებით.

პაისი II-ემ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტი 1726 წლიდან ოთხჯერ დაიკავა. მისი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვითაც სამღვდლო ხარისხში აიყვანებოდა მხოლოდ განათლებული და კეთილშობილი ბუნების სასულიერო პირი. დადგენილების დარღვევისათვის დაწესებული იყო საგანგებო სასჯელიც.

პატრიარქი სამუილ I – 1764 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქად იქნა აღსაყდრებული. მან გაატარა მთელი რიგი რეფორმები. თურქეთის ხელისუფლების ხელშეწყობით 1767 წელს სამუილმა დაიქვემდებარა თურქეთის ავტოკეფალური იპეტსკის საარქიეპისკოპო, 1767 წელს ოხრიდის ეკლესია ბულგარეთში. 1772 წელს სამუილმა ხელმეორედ დაიკავა ტახტი მაგრამ 1 წლის შემდეგ გადააყენეს

გრიგოლ V პატრიარქის ტახტზე 1798 წელს ავიდა და სულ წელიწად–ნახევრის მანძილზე მართავდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. გრიგოლი შესანიშნავი მოძღვარი იყო, იცავდა მკაცრ ასკეტურ ცხოვრებას. მოაწყო საპატრიარქოს ტიპოგრაფია, გამოსცა შესანიშნავი ლიტერატურა. 1821 წლის 10 აპრილს იგი სიკვდილით დასაჯეს. 1856 წელს სულთანმა გამოსცა ცნობილი გათი–გუმაიონი, რომელიც ქრისტიანებს რეფორმებს ჰპირდებოდა. რეფორმები ითვალისწინებდა ეკლესიის იერარქიული წყობის გაუმჯობესების საკითხსაც. შეიქმნა კომისია, რომელმაც შეიმუშავა შემდეგი სახის წესები: საარჩევნო კომისია უნდა შემდგარიყო, როგორც სასულიერო და საერო წევრებისაგან.

ახალი საარჩევნო სისტემა 1860 წელს ამოქმედდა. ამ წელს პატრიარქის ტახტზე უარი განაცხადა პატრიარქმა კირილე VI-ემ (1855-1860). სინოდმა ახალი წესის თანახმად აირჩია პატრიარქი იოაკიმე II (1860-1863). მისი მემკვიდრე გახდა სოფრონ III (1863-1867) შემდეგ მათ მოჰყვნენ: გრიგოლ V (1867-1871)

ანჟიმ VI (1871-1873) იოაკიმე II (მეორედ გახდა პატრიარქი 1878წ.) იოაკიმე III (1878-1884) ყველა ისინი ახალი საარჩევნო წესის თანახმად იქნენ არჩეულნი. ამრიგად, პატრიარქის არჩევა გადავიდა სამღვდელთა და საეროთა ხელში ანუ სრულიად სახალხო არჩევნებად ჩამოყალიბდა. პატრიარქის უფლებამოსილებანი უცვლელი დარჩა, შეიცვალა მხოლოდ პატრიარქთა ხელისუფლების მმართველობის ფორმა.

XX საუკუნის პირველი ნახევარი ქრისტიანული სარწმუნოებისათვის რთული პერიოდი, როდესაც ის მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში აქტიურ დევნას განიცდის. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ და ათეიზმის ხანის დამკვიდრებამ, რუსეთის მასშტაბით ქრისტიანულ რელიგიასა და მის მრევლს ტრაგიკული პროცესები მოუტანა.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპულ მოაზროვნეთა შემოქმედებაში ღვთისმეტყველებამ ახალი მძლავრი აღმავლობა დაიწყო.

ერთიანობისაკენ ლტოლვის ტენდენციები შეინიშნებოდა ინსტიტუციონალურ დონეზეც. დაიწყო ურთიერთობის აღდგენა კონსტანტინეპოლის პატრიარქ აფინაგორსა და რომის პაპ პავლე VI-ეს შორის. 1965 წლის 7 დეკემბერს რომმა და კონსტანტინოპოლმა ერთდროულად გამოაქვეყნა განცხადება 1054 წლის მოვლენის დავიწყებასა და ეკლესიათაშორის თანამშრომლობის და მეგობრობის აღდგენის შესახებ.

XXI საუკუნე მოგვხსენებთ ხასიათდება გლობალიზაციის სწრაფი განვითარებით. მსოფლიო საზოგადოება საკუთარი აღმსარებლობის სხვადასხვა ხასიათით ურთიერთობს ერთმანეთთან. ისინი დაკავშირებულნი არიან პოლიტიკურად, ეკონომიკურად, და კულტურული ფესვებით. ამ შემთხვევაში გვინდოდა აქცენტი თურქეთთან მიმართებაში გაგვეკეთებინა, რამეთუ იგი ერთ-ერთი ახლო მეზობელი სახელმწიფოა. მართალია თურქეთი, მუსულმანური ქვეყანაა, მაგრამ მას ძალიან ახლო მეგობრული კავშირი აქვს საქართველოსთან, ეს კავშირები სულ უფრო ღრმავდება და ფართოვდება. 1992 წლის ივლისში თბილისში ყოფნისას თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა განაცხადა: „თურქეთში მცხოვრები ქართული წარმომობის მოსახლეობა აშენებს იმ ხიდს, რომელმაც უნდა დააკავშიროს ჩვენი ქვეყნები. ეს ქართული წარმომობის პიროვნებები – ჩვენი თანამემამულეები, სწორედ ის სანდო ხალხია, რომელთაც შეიძლება მივანდოთ ეს საქმე“.

ძალზე ძნელია სტატიაში დეტალურად განიხილო, ის პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობები, რომლითაც დაკავშირებულია ერთმანეთთან საქართველო და თურქეთი. ჩვენ ძალიან მოკლედ და ლაკონურად გადმოვეცით მხოლოდ ერთი ნაწილი ურთიერთობებისა, რომელიც რელიგიას ეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მართლმადიდებლური ქვეყანაა, ხოლო თურქეთი მუსულმანური, მათ მაინც აკავშირებთ ამ კუთხით ის ეკლესია – მონასტრები, რომლებიც საქართველოსა და თურქეთში საუკუნეებს ითვლის. ამის დასტურად წმინდა სოფიის ტაძრის არსებობაც კმარა ქალაქ სტამბულში, რომელიც ქრისტიანობისა სიამაყე და სიმბოლოა. ანალოგიურად საყურადღებოა მეჩეთი ახალციხეში, რომლის სარესტავრაციო სამუშაოებიც მიმდინარეობს. ამასთანავე, თურქეთი იღებს ვალდებულებას აღადგინოს ქრისტიანული ძეგლები: ოშკი და იშხანი. საქართველოს პატრიარქი და ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ყველაფერს იღონებს ამ საკითხების დადებითად გადაწყვეტაში, თურქეთის მხარის თანადგომითა და მხარდაჭერით.

ლიტერატურა:

1. პავლიაშვილი ქეთევანი, ქრისტიანობის ისტორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2010.
2. სვანიძე მიხეილი, თურქეთის ისტორია, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2007.
3. თევზაძე გურამი, ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1995.
4. თევზაძე გურამი, ცოდნა და რწმენა ფილოსოფიაში, ჟურნალი „რელიგია“, თბ., №10 1992.
5. ჭელიძე მერი, გვიან ელინისტური ხანის ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1992.
6. ჭელიძე მერი, ელინიზმის ფილოსოფია, თბ., 1991.
7. Титхомиров Л.А., Христианство и политика, М., 2002.

GEORGIAN ORTHODOX CHURCH AND PATRIARCHS OF CONSTANTINOPLE

Nestan Lomaia, Sokhumi State University, Associate Professor

RESUME

This paper deals with the important moments, which passed the Georgian Orthodox Church, by the leadership of Catholicos-Patriarch of Georgia Ilia II, in particular the Georgian Church reached the goal and in 1990 the oldness of its autocephaly was recognized by the written document by the Patriarchate of Constantinople and the World Patriarch

Dimitrios I. We also talk about Ilya II-s merits, not only within the Orthodox Church, but also for his tolerant attitude towards other religions and faiths.

The paper highlights the fall of Constantinople (1453), the period of Turkish supremacy, and patriarchs' work is chronologically sorted.

Despite religious differences, we believe that the existence of the patriarchy of Constantinople directed Turkey towards the European civilization; thereby Turkey did not transformed into advanced Islamic state, but it became one of the leading Muslim countries which is candidates for EU membership. Turkey's Islamic religion does not prevent our country to have good-neighborly, cultural, economic and friendly relations.

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები 1991-2010 წლებში

ემზარ მაკარაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

თურქეთი ზღვითაც და ხმელეთითაც საქართველოს უშუალო მეზობელია. არა მხოლოდ ჩვენ ვჭირდება თურქეთი, არამედ ჩვენც არანაკლებ ვჭირდებით ამ ქვეყანას. თურქეთზე გადის გზები, რომლებიც საქართველოს აკავშირებს ევროპასთან. საქართველოთი კი თურქეთს უადვილდება ურთიერთობა კავკასიასთან, რუსეთთან და ცენტრალურ აზიასთან.¹

საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობას დიდი ხნის, ზოგჯერ დრამატიზმით აღსავსე ვრცელი ისტორია აქვს. თანამედროვე ეტაპზე, როგორც იუწყება თურქული პრესა „ერთმანეთის მიმართ უნდობლობამ ადგილი დაუთმო ურთიერთგაგებას.“² ამას ხელს უწყობს ორივე სახელმწიფოს მთავრობების პოლიტიკური კურსი, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა სფეროში ნაყოფიერი კავშირების მაქსიმალურ ზრდას. თურქეთი უკვე ის აღარ არის, რაც წინათ იყო, იგი საოცრად გარდაიქმნა, გადასხვაფერდა. თურქეთი შეიცვალა საქართველოსათვის. თურქეთის პრეზიდენტმა სულიმან დემირელმა (1993–2000) აღნიშნა: „საქართველო არა მარტო მეზობელია, არამედ მეგობარიცაა.“³ ეს ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენა და ნიშანსვეტია ქართველი და თურქი ხალხების ურთიერთობის ისტორიაში.

თურქეთი არის ის ქვეყანა, რომელმაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოში გამოცხადებული დამოუკიდებლობის შემდეგ, 1991 წლის 16 დეკემბერს პირველმა სცნო მისი დამოუკიდებლობა.

ორ ქვეყანას შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობები სათავეს იღებს 1992 წლის 21 მაისიდან, როდესაც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰიქმეთ ჩეთინის თბილისში ვიზიტის დროს გაფორმდა რამდენიმე შეთანხმება.⁴

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის საქმიანი ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყო 1992 წლის 30 ივლისს, როდესაც ამ ორ სახელმწიფოს შორის დაიდო „მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.“⁵

ამ მნიშვნელოვანი ხელშეკრულების ხელმოწერას წინ უსწრებდა დიდი მოსამზადებელი სამუშაო. უპირველესად აღსანიშნავია სტამბოლში შავიზღვისპირეთის ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების თავყრილობაზე ე. შევარდნაძისა და ს. დემირელის შეხვედრები, აგრეთვე ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში მსოფლიოს ამ ორ გამოჩენილ პოლიტიკოსს შორის გამართული საუბრები.

1992 წლის 30 ივლისს თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ს. დემირელი, მას ახლდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. ჩეთინი, სახელმწიფო მინისტრი ჯ. ჩალღანი და თურქეთის ეროვნული მეჯლისის დეპუტატები.

¹ კომახიძე ნ., „მეზობელი კარისაო“, თბილისი, 1994. გვ. 4.

² „Gümhuriyet“ 15.10.1992.

³ მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური პრობლემები, ბათუმი, 2000. გვ. 65.

⁴ erafettin Turan, Türk Devrim Tarihi, Ankara, Bilgi Yaymevi, 1994, s. 46.

⁵ საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულება. საქართველო, თბილისი, 30 ივლისი, 1992.

თურქეთის რესპუბლიკის პრემიერის ჩამოსვლა ნიშანსვეტი გახდა საქართველო - თურქეთის ურთიერთობის ისტორიაში. „გამარჯობა“ – პირველი სიტყვა, რომელიც ბატონმა დემირელმა ქართულად წარმოთქვა, როცა ფეხი დაადგა საქართველოს მიწას. „ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში ჩამოვედი – მიმართა მან დამსწრეთ. მე ჩამოვედი, რათა განვიხილოთ ჩვენს მეზობელ ქვეყნებს შორის ფართო თანამშრომლობის გზები. საქართველო დემოკრატიის გზას ადგას, ეს ძნელი გზაა, მაგრამ არ უნდა მივეცეთ პესიმიზმს. წინ კიდევ მრავალი დაბრკოლება გაქვთ. დარწმუნებული ვარ, თქვენ მას დაძლევეთ. ადგიქვამთ, რომ თურქეთი ყოველთვის თავისი მეზობლის გვერდით იქნება. ჩვენ ერთი საზღვარი, ერთი ზღვა, ერთი ინტერესი გვაქვს. ჩვენი გზა, მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თანამშრომლობის გზაა.“

1992 წლის 28 სექტემბერს თურქეთის რესპუბლიკის ეროვნულმა მეჯლისმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე. ანალოგიური დადგენილება მიიღო საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა 1993 წლის 25 მარტს.

მყარი საფუძველი ჩაეყარა და ფართო გასაქანი მიეცა ვაჭრობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ენერჯისისტიკის, კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობის გაღრმავება - გაფართოებას, დაიწყო სტუდენტების, მეცნიერების, დოქტორანტების, მოსწავლე - ახალგაზრდობის მივლინებები თურქეთისა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლებლად. სისტემატიური ხასიათი შეიძინა ხელოვნების ოსტატთა, აგრეთვე თვითმემოქმედებითი მხატვრული კოლექტივების გაცვლამ.

ხელშეკრულების მე-6 მე-7 მუხლით ორივე ქვეყანაში დამკვიდრებული ცხოვრების წესის უფრო სრულყოფილად გაცნობის მიზნით მხარეები ხელს შეუწყობენ მათ მოქალაქეთა პირად კონტაქტებს, განავითარებენ უშუალო თანამშრომლობას, კულტურისა და ხელოვნების დარგში. ამ შეთანხმებების საფუძველზეც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ახალი ეტაპი დაიწყო, რის შესახებაც თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნოდარ კომახიძე წერდა: „საქართველო-თურქეთის ურთიერთობებს დიდი პერსპექტივები აქვს. საქმე ეხება მჭიდრო, თანასწორუფლებიან, მზარდ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტსაც, რომ საქართველო თავისი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მდებარეობით რეგიონის მნიშვნელოვანი ქვეყანაა და შეუძლია შეასრულოს ხიდის როლი დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის“.¹

ნოდარ კომახიძის ეს შეხედულება დღესაც აქტუალურია მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ რეგიონში არსებულ მდგომარეობას, ყარაბახის კონფლიქტი, სომხეთ-თურქეთის შორის გაწყვეტილი ურთიერთობა, ირანის რადიკალიზმი. ეს ყოველივე ზრდის საქართველოს როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლს და ერთ-ერთი პოტენციური მარშრუტის ფუნქციას ანიჭებს.

ამდენად, თურქეთის რესპუბლიკის კეთილგანწყობა საქართველოს მიმართ გარკვეულწილად ზემოთ აღნიშნულითაც არის განპირობებული.

1996 წლის 4 აპრილს თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას სამხედრო წვრთნის, ტექნიკისა და მეცნიერების სფეროში ურთიერთანამშრომლობის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების შემდეგ სამხედრო სფეროში თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები მრავალი ასპექტით ვითარდება, რაც გამოიხატება მატერიალურ - ტექნიკურ დახმარებაში, კადრების მომზადებაში, ასევე სამხედრო პროგრამების განხორციელებაში და სხვა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის რეფორმა, კოსოვოში თურქეთის სამშვიდობო ბატალიონში ქართული ოცეულის მონაწილეობა, ასევე მნიშვნელოვანია თურქეთის გრანტის პროგრამა საქართველოსათვის სამხედრო სფეროში და მისი მხარდაჭერა ევრო - ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის გზაზე და სხვა.

თურქეთის რესპუბლიკა სისტემატურად უწევს სამხედრო დახმარებას საქართველოს. ბოლო 10-15 წლის განმავლობაში თურქეთის მიერ ქართული არმიისათვის გაწეული დახმარება დაახლოებით 37 მლნ. დოლარზე მეტია. თურქი ინსტრუქტორების დახმარებით მომზადდა კოჯრის სპეციალური დანიშნულების სამხედრო ბრიგადა. შეკეთდა და უახლესი ტექნიკით აღიჭურვა რამოდენიმე სამხედრო ბაზა.

საქართველოსთან ურთიერთობები პრეზიდენტი სულეიმან დემირელის პერიოდში უფრო დაჩქარდა და გაღვივდა, როგორც ეკონომიკური ასევე სამხედრო ურთიერთობები.

1998 წლის დეკემბერში თურქეთმა საქართველოს სამხედრო სფეროს განვითარებისათვის 5,5 მილიონი დოლარი დახმარება გამოუყო, ხოლო 1999 წელს 3,8 მილიონ დოლარი.² 2000 წლის 15 იანვარს

¹ კომახიძე ნ., „მეზობლო კარისაო“, თბილისი, 1994. გვ., 23.

² ბატიაშვილი ზ., „თურქეთის შეიარაღებული ძალები“, თბილისი, 2000. გვ. 45.

ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი სამხედრო პილოტების თურქეთში მომზადებას. 2000 წლის 29 სექტემბერს 3 დანაყოფის ქვეშ მყოფი ფოცხოვსა და არდაჰანზე დამოკიდებული სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე არალეგალური გადაკვეთის აღსაკვეთად თურქეთ-საქართველოს მესაზღვრეებმა ერთობლივი სამხედრო მომზადება გაიარეს. 2000 წელს თურქეთ-საქართველოს მარნეულის სამხედრო აეროპორტის მოდერნიზებისათვის შეთანხმება შედგა. ამ შეთანხმებით თურქეთმა დაახლოებით 1,5 მილიონი დოლარი დახმარება გაუწია, რათა მომხდარიყო შენობა-ნაგებობების გარემონტება, 2001 წელს კი თურქეთის თავდაცვის მინისტრი საბაჰათინ ჩაქმაქოღლის მონაწილეობით აეროპორტი ექსპლუატაციაში შევიდა.

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ენერგოპროექტების განხორციელებას. სწორედ ბაქო - თბილისი - ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო - თბილისი - ერზურუმის გაზსადენის საკითხები წარმოადგენდა ყოფილი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აბდულაჰ გულის 2002 წელს ვიზიტის ძირითად მიზანს საქართველოში. ამასთან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის საკითხს, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს აზიისა და ევროპის ბაზრებს.

2004 წლის თებერვალში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თედო ჯავარიძის ანკარაში ვიზიტის დროს მხარეებმა განიხილეს ბაქო - თბილისი - ჯეიჰანის პარალელური მილსადენის მშენებლობის საკითხი, რომელიც რუსული ნავთობის ტრანსპორტირებას ევროპისაკენ უზრუნველყოფს. ამის შესახებ 2004 წელს თურქეთში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი ამბობდა: „საქართველო თურქეთისათვის კავკასიისა და შუა აზიის კარია, თურქეთი კი საქართველოსათვის ევროპაში გასასვლელი“.¹

2006 წლის მარტში საქართველოში ვიზიტად იმყოფებოდა თურქეთის პრეზიდენტი აჰმედ ნეჯდეთ სეზერი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ორ ქვეყანას შორის მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა. თურქეთის პრეზიდენტმა მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს მთავრობის ინიციატივას ნატო-ში გაწევრიანების თაობაზე: „მხარს ვუჭერ საქართველოს ინიციატივას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით და ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს საქართველოს მიერ ამ კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს“.²

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან წარმატებით ვითარდება საქართველო-თურქეთის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები. 1992 წლიდან ფუნქციონირებს თურქეთ-საქართველოს ბიზნეს საბჭო, რომელიც მოწოდებულია ხელი შეეწყოს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის განვითარებას. საქართველოში არაერთი თურქული ფირმა მოღვაწეობს (დაახლოებით ოთხ ასეულზე მეტი) და სხვა. უაღრესად დიდია სარფის სასაზღვრო კარის მნიშვნელობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში. ამ გზით თურქეთი დაკავშირებულია კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებთან.

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობებია. 2004 წლისათვის სავაჭრო ბრუნვა 300 მლნ. დოლარს შეადგენდა. ხოლო აქ ჩადებული თურქული კაპიტალის მოცულობა 100 მლნ. დოლარისაა.³

2005 წელს თურქეთმა ქართული ეკონომიკური სექტორის აღორძინებისათვის 160 მილიონიანი კრედიტი გამოყო.

თურქეთსა და საქართველოს შორის საგანმანათლებლო-სამეცნიერო კონტაქტების, მრავალსაუკუნოვანი ქართულ - აღმოსავლური ურთიერთობების შემდგომი გაფართოების თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1994 წელს ხელმოწერილი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება „საქართველოში აღმოსავლური ენების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

საინტერესოდ ვითარდება ურთიერთობები განათლების სფეროში. მიმდინარეობს მეცნიერ - თანამშრომლებისა და სტუდენტთა გაცვლა. ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები, იმართება ერთობლივი კონფერენციები. საქართველოში შპს „ჩაღლარის“ თაოსნობით გახსნილია თურქული სასწავლო დაწესებულებები: თბილისში დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. ბათუმში რ. შაჰინის სახელობის მეგობრობის ლიცეუმი, დემირელის სახელობის დაწესებულებები სკოლა. ქუთაისში ნ. ნიკოლაძის სახელობის სკოლა ლიცეუმი და სხვა.⁴

მნიშვნელოვანია კულტურული კავშირები. ყოველწლიურად თურქეთის სხვადასხვა ქალაქში ჩადიან ქართველ მომღერალთა ჯგუფები. კულტურულ პროგრამებს ახორციელებენ ქართული ხალხური

1. ჟ. ახალი ხიდი, 2004, № 2, გვ., 10.

2 გაზ., 24 საათი, 2006 ., 14 მარტი - 31 მარტი.

3 სვანიძე მ., თურქეთის ისტორია. თბილისი, 2007. გვ., 245.

⁴ საქართველო-თურქეთის მეგობრობის ხიდი, თბ., 2001. გვ., 23.

ცეკვის ანსამბლები. თავად თურქეთის ქალაქებსა და სოფლებში შექმნილია ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები. მათ შორის გამოირჩევა „იბერი“, 1987 წელს ქ. ბურსაში იბერია მელაშვილის (ოზკანი) ხელმძღვანელობით დაარსებული. საქართველოში ჩამოდიან ქართული კულტურის ქომაგი თურქი მოქალაქეები, მათთან ერთად ქართული წარმოშობის თურქებიც.

ბოლო წლებია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ინიციატივით საქართველოში ჩამოდიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველები, მათ შორის თურქეთიდანაც და ტარდება კულტურული ღონისძიებები. საინტერესოა და ემოციურია მათი ზედწოდება „ჩვენებურები“, რომელიც კარგად დამკვიდრდა ქართულ საზოგადოებაში. თურქეთიდან სტუმრად ჩამოსული ქართველებიდან ყველაზე მეტად ქართულ საზოგადოებას თავი შეაყვარა ლაზური წარმოშობის თურქეთის მოქალაქე ბაიარ შაჰინმა (გუნდარიძემ). მის „გელინოს“ (თურქ. Gelin - პატარძალი) დიდი სიყვარულითა და სითბოთი ისმენს ყველა ქართველი.

თურქეთის რესპუბლიკაში დაახლოებით 1,5 მილიონი ქართული წარმოშობის ადამიანი ცხოვრობს, ამათგან მხოლოდ 25 პროცენტი საუბრობს ქართულ ენაზე. თურქეთში მცხოვრები ქართველების ერთი ნაწილი თურქეთში მიგრაციის გზით არის გადმოსახლებული, ხოლო მეორე ნაწილი ოდითგანვე ცხოვრობდა იმ ტერიტორიაზე. ადგილობრივი ქართველები ძირითადად საქართველოს სახელმწიფო საზღვართან ახლოს მდებარე ართვინის, შავშეთის, ბორჩხის, არტანუჯის, არდაჰანის, ხოფის, არხავის და რიზეს რაიონებში ცხოვრობენ.¹

თურქეთში მცხოვრები ქართველები წარმატებით მოღვაწეობენ ბიზნესის, განათლების, მეცნიერების, პოლიტიკის სფეროში, შექმნილი აქვთ თავიანთი ასოციაციები და ისინი ცდილობენ თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაში შეიტანონ თავიანთი მოკრძალებული წვლილი. თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში გახსნილია ქართული სათვისტომოები.

ქართველი წარმოშობის თურქეთის მოქალაქეებთან თანამშრომლობასა და კონტაქტებს დიდი მნიშვნელობა აქვს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის საქმეში.

ს. დემირელმა ქართული დიასპორის არსებობას თურქეთში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების საიმედო ხიდი უწოდა. საქართველოს საპატიო მოქალაქის ორდენით დაჯილდოებულია თურქეთის არაერთი მოქალაქე.

კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორი ქვეყნის ურთიერთობებში. საქართველოში უკვე დიდი ხანია წარმატებით მუშაობს თურქოლოგიური სკოლა. მას საფუძველი ჩაუყარეს ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა სერგი ჯიქიამ და ვალერიან გაბაშვილმა. მათ დაწესებულ საქმეს წარმატებით გააგრძელეს ქართველმა თურქოლოგებმა ო. გიგინეიშვილმა, მ. სვანიძემ, ნ. შენგელიამ, ნ. ჯანაშიამ, ც. აბულაძემ, ლ. ჩლაიძემ, გ. ანთელავამ, მ. ჯიქიამ, ი. გოცირიძემ, ე. მაკარაძემ, ზ. შაშიკაძემ, მ. მახარაძემ, ელ. მაჩიტაძემ და სხვებმა.

მნიშვნელოვანია ქართულ - თურქული ურთიერთობების ამსახველი პერიოდული გამოცემების არსებობა, ასეთებია: „ახალი ხიდი“, „თურქეთის ცნობები“, „გულანი“, თურქეთში გამოდის ჟურნალი „ჩვენებური“ (Cveneburi), „ფიროსმანი“ (firosmani) და სხვა.

სტამბოლში არსებობს ქართული კათოლიკური ეკლესია, სადაც თავის დროზე მოღვაწეობდა უდიდესი ქართველი მეცნიერი მ. თამარაშვილი. ამ ცენტრს ამჟამად სათავეში უდგას წარმოშობით ქართველი, წარმატებული ბიზნესმენი ს. ზაზაძე.

ქართულ - თურქული ურთიერთობების გაღმავებისათვის ეწყობა ფორუმები, მიმდინარეობს ინფორმაციის ინტენსიური გაცვლა. მჭიდრო თანამშრომლობის კიდევ ერთი კარგი მაგალითი იყო 2006 წლის 10 თებერვლიდან თურქეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმება. უკვე მუშაობს სარფისა და ვალეს სასაზღვრო - გამშვები პუნქტები.

2006 წლის 14 მარტს საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ბათუმის აეროპორტის ერთობლივი გამოყენების შესახებ. ბათუმის აეროპორტის სტატუსი თურქეთის შიდა აეროპორტის ანალოგიურია.

ორ ქვეყანას შორის სამთვიანი სავიზო რეჟიმის შემოღება, შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადის გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმების გაფორმება (2007 წლის 11 ნოემბერი) ბოლო პერიოდის ის მნიშვნელოვანი მოვლენებია, რომლებიც ხელს უწყობს საქართველო თურქეთს შორის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას.

საქართველო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს თურქეთთან თანამშრომლობას. ორ ქვეყანას შორის არსებული დინამიური და ნაყოფიერი ურთიერთობები ხელს უწყობს რეგიონულ მშვიდობასა და სტაბილურობას. მნიშვნელოვანია თურქეთის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში, ისევე როგორც მისი როლი სამხედრო აღმშენებლობის პროცესში. საგარეო უწყება

1 Uludağ, M. B. (1998) „Gürcistan Dışındaki Gürcüler“, Çveneburi, Sayı:27, Ocak-Mart, s. 33.

მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავს თურქეთთან ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებისაკენ, განსაკუთრებით ვაჭრობის და ტრანსპორტის სფეროებში. სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ენერგეტიკულ თანამშრომლობას, რაც ხელს უწყობს არა მხოლოდ ორი ქვეყნის, არამედ მთლიანად ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას.

საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმებული „მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულებით დაიწყო ახალი ეტაპი ორი ქვეყნის ცხოვრებაში.

ლიტერატურა:

1. ბატიაშვილი ზ., „თურქეთის შეიარაღებული ძალები,“ თბილისი, 2000.
2. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური პრობლემები, ბათუმი, 2000.
3. კომახიძე ნ., „მეზობლო კარისაო“, თბილისი, 1994.
4. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია, თბილისი, 2007.
5. საქართველო-თურქეთის მეგობრობის ხიდი, თბილისი, 2001.
6. საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულება. საქართველო, თბილისი, 30 ივლისი, 1992.
7. Uludağ, M. B., „Gürcistan Dışındaki Gürcüler“, Çvneburu, Sayı:27, Ocak-Mart.1998.
8. ჟ. ახალი ხიდი, 2004, № 2.
9. erafettin Turan, Türk Devrim Tarihi, Ankara, Bilgi Yaymevi, 1994.
10. „Gümhuriyet“.15.10.1992.

TURKEY-GEORGIA RELATIONSHIPS IN 1991-2010 **Emzar Makaradze, Batumi Shota Rustaveli State University, Professor** **RESUME**

Turkey is an immediate neighbor of Georgia both from the sea and the land. Not only we need Turkey, but this country also needs Georgia. On one hand, the roads, which connect Georgia with Europe, are located in Turkey. On the other hand, Georgia helps Turkey easier communicate with the Caucasus, Russia and the Central Asia.

Georgia and Turkey relationships have a long, sometimes dramatic history. On the modern period a mutual mistrust of these countries has been changed by mutual understanding. It is achieved through the political course of the both states, which provides for a maximum increase of fruitful relations in various fields. Turkey is not the same as before, it has been transformed, altered. Turkey has changed for Georgia too. The ex-president of Turkey Suleyman Demirel (1993-2000) declared: „ Georgia is not only our neighbor, but also our friend“. This is a truly historic event and an enlightenment in the history of the relationships between Georgian and Turkish people.

Turkey is the first country that recognized the independence of Georgia in December 16,1991 after declaring Georgia independent itself in April 9, 1991.

The diplomatic relationships between the two countries have dated since May 21, 1992, when the Minister of Foreign Affairs of Turkey Hikmet Chetin signed several agreements during his visit in Tbilisi.

A new stage in business relationships between Georgia and Turkey began in July 30, 1992, when the two countries signed „Good Neighborhood and Cooperation Agreement“.

ოსმალეთის სულთნების ფირმანები იერუსალიმის ქართული მონასტრების შესახებ **(XVII ს.)**

ელდარ მამისთვალიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

საკვლევ პერიოდში ქართველებისა და ფრანცისკანელების მეტოქეობა გოლგოთას გამო, იმდენად მწვავე ხასიათისა და საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ შემდგომი პერიოდის ადგილობრივ (იერუსალიმის) და ქართულ ზეპირ და წერილობით წყაროებში აისახა. ის დაუკავშირეს ოსმალების მიერ იერუსალიმის დაპყრობას, თითქოს ქართველები მათ დაეხმარნენ იმ მოტივით, რომ წმინდა ქალაქიდან ფრანგების გარეკვა სურდათ.

გადმოცემის მიხედვით, რომელიც ტიმოთე გაბაშვილს თავის “მიმოსლვაში” შეუტანია, „1529, ჟამსა დავითის მეფის ძისა გიორგისასა, ქართველთ მეფისასა, წარმოავლინა ხონთქარმა სულიმან ელჩი და მოსწერა, ვითარმედ არს იერუსალიმი ქალაქი სჯულისა თქვენისა, განყარენით ფრანგნი მუნით და დაიპყრენით, რამეთუ სამკვიდროცა არს თქვენი, პირველისა ვახტანგ გორგასლანის დაჭერის გამო. ვინცა ფრიად სთნდა მეფესა ესე და შემოიკრიბნა ლაშქარი და ათაბაგი ყვარყვარე და წარვიდა იერუსალიმს და აღიღო იერუსალიმი და დაიმკვიდრეს. და გაწმინდეს ეკლესია და საფლავი უფლისა და გოლგოთა და მონასტერნი, და ეპყრათ ორმოცდარვა წელი ქართველთა კუალად”¹.

ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობის აღწერიდან მოყვანილ ციტატაში გადმოცემული ამბავი დიდი ხანია საკამათოა, რადგან იგი სხვა წერილობითი ცნობებით თითქოს არ დასტურდება². მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ მოყვანილი ციტატის ადგილას ტიმოთე გაბაშვილს თავდაპირველად სულ სხვა რამ ეწერა: “ხოლო ოდეს სულთან სელიმ მისირ-ეგვიპტე აღიღო, თან ახლდაო, იტყვიან, ქართველთა ბატონი გიორგი, და სულთანი მადლობას უბრძანებდა ქართველთა და ეტყოდა: რა გნებავს ჩემგან? მაშინ ქართველი ბატონი მოახსენებდა, ვითარმედ: წყალობა გვიყავ სამკვიდროსა ჩემისა იერუსალიმისა. მაშინ სულთანმან კითხა, ვითარმედ ძველისა ანუ ახლისა მთხოვნელი ხარ? ძველად ტამარი სოლომონისა ითქმოდა. მაშინ მიუგეს ქართველთ, ვითარმედ: ახალი გვიბოძეთ. და მოსცეს ახლად იერუსალიმი”³.

უკანასკნელ ცნობაში არის სინამდვილის ელემენტი, კერძოდ, ის რომ ქართველები მონაწილეობდნენ სულთან სელიმის პალესტინაში ლაშქრობაში. ეს აისახა ფრანგულ დოკუმენტურ წყაროებში. მაგრამ იქ ლაპარაკია არა ქართველთა მეფე გიორგიზე (იგულისხმება ქართლის მეფე გიორგი IX, 1525-1527), არამედ სამცხის ათაბაგობის მოსურნე მანუჩარზე (მანუჩარ I, 1516-1518)⁴.

ოსმალების მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგაც, გარკვეული დროის განმავლობაში, ქართველები პატივით და პრივილეგიებით სარგებლობდნენ წმინდა მიწაზე. ასეთი მდგომარეობა კარგად ჩანს სულიმან II კანუნის (1520-1566) მმართველობის დროს. ერთ-ერთი ბრძანებიდან ვიგებთ, რომ როდესაც სულთნის ულამაზესი მეუღლე როქსოლანა იერუსალიმში იმარეთს⁵ აშენებდა, სულთანმა ბრძანა ადღგომის ეკლესიის კარი ჩაეკეტათ და ყოველი გაღებისას მლოცველებისაგან ფული აეღოთ იმარეთის ასაგებად. სულთნის ბრძანებით განისაზღვრა გადასახადის სხვადასხვა ოდენობა სხვადასხვა აღმსარებლობისა და ტომის ადამიანებისათვის: ფრანკები როგორც უცხო მოსულნი იხდიდნენ 14 გროშს, სულთნის ქვეშევრდომი ბერძნები მხოლოდ ნახევარს, ყარამანიელი სომხები 5 გროშს, სირიელი და ეგვიპტელი მართლმადიდებელი არაბები და კოპტები 3 გროშს, ქართველები და აზისიელები კი, არაფერს. პატრიარქ დოსითეოს II-ის თქმით, გადასახადის ამგვარ განაწილებას XVII საუკუნის დასასრულსაც იცავდნენ⁶. თითქმის ყველა, ვინც აღნიშნული პერიოდის იერუსალიმის მართლმადიდებელთა მდგომარეობას ეხება, ერთხმად აღნიშნავს, რომ საერთო გაჭირვების დროს მხოლოდ ქართველები იცავდნენ და ინახავდნენ წმინდა ადგილებს.

1534-1540 წლებში ლათინები ქართველებს ედავებიან გოლგოთის თხემზე არსებული საკურთხეველის მფლობელობაში. ეს დავა, სავარაუდოა, დიდხანს გაგრძელდა. 1551 წ. ოსმალებმა ფრანცისკანელები გააძევეს სიონიდან⁷. 1558 წელს საფრანგეთის ელჩი ეწვია სულთან სულიმან

¹ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956, 79-80.

² მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1961, 84, №58..

³ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 79-80.

⁴ თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევისა და შენიშვნებით გამოსცა ვ. აბულაძემ, თბილისი, 1983, 11, 101; ჰასან რუმელუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურაძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბილისი, 1966, 20; ჩოჩიევი ვ., მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობა XVI-XVII საუკუნეებში (ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებების მიხედვით). (სადოქტორო დისერტაცია), თბილისი, 1972, 54-55; მამისთვალისძევილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I. (XV-XVI სს.), თბილისი, 2009, 127-128.

⁵ ღარიბთა და სწავლულთა შესანახი სახლი.

⁶ მამისთვალისძევილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბილისი, 2008, 161.

⁷ ჯვაროსნული ომების შემდეგ მხოლოდ 1333 წელს ფრანცისკანელები დაბრუნდნენ იერუსალიმში და ბინა დაიდეს იქ, სადაც გადმოცემის მიხედვით, საიდუმლო სერობის ოთახი და მეფე დავითის საფლავია. *общения православного палестинского общества*, 1899, 83.

კანუნის და დიდი თანხის გაღების ფასად მიიღო დაპირება, რომ ფრანცისკანელებისათვის შეარჩევდნენ რომელიმე მონასტერს. თავდაპირველად ფრანგ ბერებს შესთავაზეს ბეთლემი და წმინდა საფლავი. მაგრამ მათ ორივე შეთავაზებაზე უარი სთქვეს. ბეთლემი იმიტომ დაიწუნეს, რომ ის იერუსალიმიდან შორს იყო, ხოლო რაც შეეხება წმინდა საფლავს, საბოლოოდ ის თვით ოსმალებმა აღარ დასთმეს, რადგან იქიდან დიდ შემოსავალს იღებდნენ. ამ უკანასკნელ მომენტს ოსმალო ხელისუფალთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. საბოლოოდ არჩევანი ამუდის ანუ სვეტის ქართულ მონასტერზე შეაჩერეს. როგორ და რატომ შეირჩა ეს მონასტერი ფრანცისკანელებისათვის, ამის გასარკვევად გავეცნოთ სულთნის სიგელს გაცემულს 1558 წელს იერუსალიმის სანჯაყის მმართველისადმი: „ამას წინათ ჩემს უზენაეს კარზე წერილი გამოგზავნეთ, თქვენ იწერებით, რომ ადრე მიიღეთ ფირმანი, რომლითაც გებრძანათ ფრანცისკანელთა სამძოს, რომლებიც დავით წინასწარმეტყველის – ალაჰმა მიაგოს მშვიდობა – საფლავის მიდამოებში ცხოვრობენ, ამ წმინდა ადგილიდან გამოყვანა და აღნიშნულ მორწმუნეთა ბეთლემში და წმინდა საფლავთან ახლოს დასახლება“.

„ვითარების შესწავლის შემდეგ, აღმოჩნდა რომ დიდძალი ქონება შემოდიოდა წმინდა საფლავის მოსალოცად ჩამოსულ უსჯულოთაგან. იმ შემთხვევაში, თუ მორწმუნენი (ფრანცისკანელები - ვ. ა.) იქ დასახლდებიან, ფულს ვეღარ მივიღებთ, ბეთლემიც შორსაა ქალაქიდან. იქ ცხოვრება შეუძლებელია. როცა ქალაქში არსებული ეკლესიები დაათვალიერეს, აღმოჩნდა, რომ იქ მრავალი ეკლესია ქართველთა ხელშია. ერთი მათგანი ამუდის მონასტერია, სადაც მხოლოდ სამი უსჯულო (ქართველი - ე. მ.) ქალია. ყველა დანარჩენი კი ცარიელია... მაგრამ ქართველთა ტომი არ დათანხმდა. ისინი აღნიშნულ ეკლესიას არ უკარგავენ ქართველთა სამძოს სხვა უსჯულოებს. ამასთანავე ვაკუფს მათგან ქრთილიც (ასპრი) არ შემოსდის. ისინი არც გადასახადს იხდიან, მაშინ როდესაც ფრანცისკანელები ყოველწლიურად 30-40 ათას ასპრს იხდიან. ცხადია, ქართველებს გული არ უნდა დასწყდეთ ამ მონასტერში ზემოხსენებულ მორწმუნეთა ჩასახლების გამო. შესაბამისად წმინდა კანონისა მაჰმადიანი ხალხი არ უნდა დაზარალდეს, არავისთან ჰქონდეს სადაო და გასაყოფი.“

ამიტომ ვბრძანებ, რადგან დასახლებული ამუდის მონასტერი თქვენი თქმით უსჯულოებს (ქართველებს - ე. მ.) ეკუთვნის, მასში ფრანცისკანელი მორწმუნენი უნდა დაემკვიდრონ...“¹.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წაქეზებული იერუსალიმის მუსლიმი მოსახლეობა, ყოველწლიურად ცდილობდა ქართული თემის კუთვნილი მონასტრების შევიწროებას, თუ კი ამის შესაძლებლობა იქნებოდა. XVI საუკუნეში მუსლიმებმა წამოიწყეს მწვავე დავა ქართველთა უმთავრესი ჯვრის მონასტრის ბერების წინააღმდეგ. მომჩივანნი, რომლებმაც იერუსალიმის ყადის მიმართეს, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მონასტრის ტერიტორიაზე ოდესღაც იყო მინარეთიანი მეჩეთი, რომლის ნაშთებიც 50-60 წლის წინათ ჯერ კიდევ არსებობდა. ყადი სულთნის კარს აცნობებდა, რომ მან პირადად მოინახულა ჯვრის მონასტერი და იქ მეჩეთისა და მინარეთის ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინა. ყადის სიმართლეს ადასტურებდა მისი წინამორბედი ყადიების გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღეს მსგავსი საჩივრების გამო. ქართველებსაც ჰქონდათ იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ მათ მონასტრის ტერიტორიაზე მეჩეთი არ დაუნგრევიათ. ჯვრის მონასტრის ბერები მოითხოვდნენ საჩივრის განხილვა შეწყვეტილიყო მისი ხანდაზმულობის გამო და სულთნისათვის ნამდვილი ფაქტები წარედგინათ. 1564 წლის 30 დეკემბერს სულთანმა ყადის უბრძანა, რომ მას გაეუქმებინა მუსლიმთა საჩივარი და არავის ემოქმედა კანონის საწინააღმდეგოდ².

როგორც ჩანს, მუსლიმები 250 წლის წინათ ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე ძალადობით და უკანონოდ დაარსებული მეჩეთის აღდგენას ცდილობდნენ. ისინი სულთნის ბრძანებამ მხოლოდ დროებით შეაჩერა. მათ რამდენიმე წლის შემდეგ განაახლეს საჩივრები „დამნაშავე“ ჯვრის მონასტრის ბერების წინააღმდეგ. თუ როგორ განვითარდა მოვლენები, ამის შესახებ მოგვითხრობს 1571 წლის ჰუჯჯათი. სულთნის ბრძანებით, დამასკოს შარიათული სასამართლოს მსაჯულსა და მუფთის დაევალებათ გამოემივიანათ საქმე იმ მეჩეთისა, რომელიც ჯვრის მონასტრის კარიბჭესთან არსებობდა და ის ცვლილებები გამოერკვიათ, რომლებიც ქართველებმა მეჩეთის ძველ ნაგებობაში შეიტანეს. დამასკოდან ჩამოსული მსაჯული და მუფთი მივიდნენ იმ ადგილას, სადაც მეჩეთი უნდა ყოფილიყო. მათ თან ახლდნენ იერუსალიმის ლივის ამირა და მავლა. „მათთან ერთად იყო მუსლიმების დიდი ჯგუფი და მრავალრიცხოვანი კრებული ღვთისმოსავ მონოთეისტებისა“.

¹ აბულაძე ვ., სულიმან კანუნის ჰუქმები იერუსალიმის ერთი ქართული მონასტრის ფრანცისკანელებისათვის გადაცემის შესახებ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 2, 1986, 126-127.

² სალამე ო., გერშონ ბენ ორენი., ქართველები იერუსალიმში XVI საუკუნის სამი არაბული დოკუმენტის მიხედვით, თბილისი, 1991, 10-11.

მსაჯულსა და მუფთისთან მივიდა ჯგუფი მუსლიმებისა, რომლებმაც წარადგინეს სარჩელი. ისინი უჩიოდნენ ჯვრის მონასტრის ბერებს: ნაბა საბას ძეს, იოსებ სასარის ძეს, შილა დადას ძეს, მიჰრილ შალვას ძეს, ირსემა მიხეილის ძეს, დაშრი საბას ძეს, კალაჰბურ ხრისთავლურის ძეს, შალვა ვასაკის ძეს და იარქმა ჯაქმა კოსტას ძეს, იმის თაობაზე, რომ “ხსენებული ადგილი ძველი დროიდან იყო დიდებული მეჩეთი – ისლამური მიჰრაბით და მის [შენობის] ზევით კი – ისლამური მინარეთით, რომ მინარეთი დაინგრა, ხოლო მისი კვალი [ქრისტიანებმა] წარხოცეს და შეუცვალეს სახე მეჩეთს იმით, რომ ააგეს გამყოფი კედელი მის ორ კარებს შორის, რომლებიც მიმართულია ჩრდილოეთით, რომ შექმნილიყო ორი შენობის შთაბეჭდილება და რომ მათ გადააქციეს ის თავიანთ სატრაპეზო სახლად, რომლის შუაში თავიანთი ადათის შესაფერისი რამ ააგეს. ზემოხსენებულმა [ქართველ ქრისტიანთა] თემმა ეს მტკიცებანი არ მიიჩნია მართებულად”¹.

დასახელებულ ქართველებს შორის პირველი, ნაბა საბას ძე, ჯვარისმამა ბარნაბა თბილელი უნდა იყოს, რომელიც იმავდროულად თბილისის მთავარეპისკოპოსიც იყო. მის სახელთან დაკავშირებულია ჯვრის მონასტერში კულტურული საქმიანობის გამოცოცხლება².

მუსლიმებმა წარადგინეს „ასლი შარიათის დავთრისა“, რომელიც დათარიღებული იყო 1569 წლის თებერვლის შუა რიცხვებით. ამ საბუთის მიხედვით, „აღნიშნული ადგილი იყო ძველი მეჩეთი, ისლამური მიჰრაბითა და ისლამური მინარეთით“. ქართველებმა, როცა ეს საბუთიც უარყვეს, მაშინ მოსარჩლეებმა მოიყვანეს მოწმეები, რომლებმაც დაადასტურეს დავთრის ასლის სისწორე. შემდეგ „მეჩეთის უკანა ნაწილში აღმოჩნდა ძველი მიჰრაბი და ქვა, რომელზედაც ხსენებული მეჩეთის [აგების] თარიღია. [ქვა] ნამტვრევებად იყო ქცეული და მისი წარწერიდან არ ჩანდა რა გარდა ბასლამასი“³. მავლამ, მსაჯულმა და მუფთიმ ბრძანეს “მოშორება და დანგრევა ორ კარებს შორის არსებული კედლისა, რომელიც მაშინვე იქნა დანგრეული”⁴.

როგორც მოყვანილი საბუთის შინაარსიდან ჩანს, ქართველების არგუმენტებმა ბოლომდე ვერ გასჭრა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მართალია ჰუჯჯათში ნათქვამი არ არის, მაგრამ მათ ისეთი საბუთები წარადგინეს, რომ მუსლიმებმა ვერ გაბედეს ჯვრის მონასტრისათვის ხელი ეხლოთ, ისინი მხოლოდ რაღაც გაურკვეველი წარმომავლობისა და დანიშნულების კედლის დანგრევით დაკმაყოფილდნენ⁵.

იერუსალიმში სხვა ქრისტიანული თემების მიერ ქართული თემის შევიწროებამ სისტემატური ხასიათი მიიღო. რაც დრო გადიოდა, თავდაცვა მით უფრო ჭირდა. ლათინებს ზურგს უმაგრებდნენ დასავლეთი ევროპის ძლიერი სახელმწიფოები თავიანთი ფინანსებით, გაწაფული დიპლომატებით და შეიარაღებული ძალებით. სომხებს ეკონომიკურად ძლიერი დიასპორა ეხმარებოდა, ბერძნებს სულთანნი მფარველობდა, როგორც იმპერიის ქვეშევრდომებს. ქართველები იერუსალიმში ოზღეზივით იყვნენ და მათი ქონების დაუფლებისათვის დასახელებული ხალხები ერთმანეთს ეცილებოდნენ. იმპერიის ხელისუფლება, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, იერუსალიმში სხვადასხვა ქრისტიანულ თემებს შორის ძალთა თანასწორობის შენარჩუნების მიზნით, ზოგჯერ ქართველების დამცველად გამოდიოდა.

იერუსალიმში სხვადასხვა კონფესიებისაგან შევიწროებულმა ქართველმა სამღვდელოებამ, როგორც ჩანს, დახმარებისათვის მიმართა საქართველოს იმ პოლიტიკურ ერთეულთა ხელისუფალთ, რომლებიც ოსმალეთის სულთნის ვასალებად ითვლებოდნენ. სავარაუდოა, მათაც არ დააყოვნეს და სულთანს მიმართეს ფრანგებისა და სომხების მიერ იერუსალიმში არსებული ქართველთა სალოცავების მიტაცების გამო. სულთანმა (დოკუმენტში არ არის აღნიშნული სულთნის სახელი, მაგრამ თარიღის მიხედვით ის იყო მურად III – 1574-1595) გამოსცა „ბრძანება იერუსალიმის ყადის და სანჯაყბეგს. გურიისა და იმერეთის მთავრების ელჩებმა მაცნობეს, რომ იერუსალიმში არსებული ქართველთა სალოცავები, რომლებიც უძველესი დროიდან მათ საკუთრებაში იყო, ფრანგებმა და სომხებმა მიიტაცეს. ვბრძანებ, რომ: მოუხმეთ იერუსალიმის წარჩინებულები, გააცანით ვითარება და გაარკვიეთ, ეს სალოცავები ძველთაგან ნამდვილად ქართველებს ეკუთვნის თუ სხვებს? მხოლოდ თავდაპირველ მფლობელებს მიეცით საშუალება, რომ მოილოცონ ეს ადგილები, ხოლო დანარჩენებს აუკრძალეთ! შედეგი წერილობით წარმომიდგინეთ! 985 წლის 25 მუჰამერი / 1577 წლის 14 აპრილი“.

¹ იქვე, გვ. 19-20.

² იხ. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბილისი, 1980, 119-120.

³ ბასმა, თურქულად საღებავი, ჩვეულებრივ შავი.

⁴ სალამე ო., გერშონ ბენ-ორენ, ქართველებიო იერუსალიმში..., 21-22.

⁵ მუსლიმები მხოლოდ ქართველებს არ ედავებოდნენ წმინდა ადგილების გამო. 1585 წ. იერუსალიმის მუფთებმა გამოაცხადეს, რომ 1268 წ. აგებული ე.წ. ნახმანიდის სინაგოგის ადგილას ოდესღაც მეჩეთი იყო და ებრაელები აიძულეს ის მიეტოვებინათ , VIII, 1991, . 692, 697.

ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: როგორც ჩანს იერუსალიმელი ქართველებისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა მუსლიმანი მბრძანებლების მიერ გამოცემული ფირმანების დაცვა-შენახვა და მათი საჭიროების დროს გამოყენება. დოკუმენტების მოპარვა და გაყალბება შუა საუკუნეებში სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა. ამგვარი საშიშროების წინაშე ქართველებიც იდგნენ და ისინი შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ საიმედოდ დაეცვათ საბუთები.

მოღწეულია ერთი საინტერესო საბუთი 1585 წლის 12 აგვისტოსი, შედგენილი იერუსალიმის მსაჯულის კანცელარიაში: “მიზეზი საბუთის შედგენისა... [შემდეგია]: ჩვენს მავლასთან... მოვიდა იოვანე გიორგის ძე, ქრისტიანი ქართველი, ღვთისმეტყველი... ქრისტიან ქართველთა თემის [წარმომადგენელი] დიდებულ იერუსალიმში და წარმოადგინა მისი ხელით დიდებული ბრძანება სულთნისა, რომელსაც ღვთის შეწევნით სრული ძალა აქვს. [ბრძანების] მოკლე შინაარსი შემდეგია: ქართველ ქრისტიანთა თემი, რომელიც ცხოვრობს დიდებულ იერუსალიმში, ფლობს მიწებს, ზვრებს და მონასტრებს და რომ ზოგიერთი ალ-ლავანდიდა¹ ავიწროებს მათ, უკანონოდ იღებს მათგან ფულსა და სარჩოს, რომ სომეხთა, ფრანკთა და ნესტორიანთა ქრისტიანული თემები და დანარჩენი ქრისტიანული თემებიც თავს ესხმიან მათ და უკანონოდ იღებენ მათგან ფულს და რომ არ ეგების ვინმემ შეავიწროოს ისინი და არც რომ აიღოს მათგან რაიმე უკანონოდ. და როდესაც მონასტრებისაგან რაიმე ძველი ნაწილი დაინგრევა, აღდგეს დანგრეული ძველი [ნაწილი] იმის გარეშე, რომ აშენდეს რაიმე ახალი – შარიათის მსაჯულისთვის შეტყობინებით. [იოვანემ] თხოვა ჩვენს მავლას, ზემოხსენებულ მსაჯულს, რომ შეეტანა ეს [ბრძანება] სასამართლო დავთარში და ამოეწერა მისთვის ჰუჯჯათი, რომ არავის შეევიწროებინა ის, არ დასხმოდა მას თავზე – არც მუსლიმანი და არც ქრისტიანი და არვის გაეცა [მტრულად] ხმა მისი თემისთვის და არც რაიმე აელო მათგან უკანონოდ. ჩვენი მავლა, ხსენებული მსაჯული, დაემორჩილა დიდებულ ბრძანებას და შეიტანა ის სასამართლო დავთარში იმავე დღეს და დაწერა ეს, რათა იყოს ხელწერილი საჭიროების შემთხვევაში...”².

ქართველი სამღვდელოების შიში რომ უსაფუძვლო არ იყო, შეიძლება გავიხსენოთ ერთი შემთხვევა: 1633 წლის 16 ივნისს დიდ ვეზირთან შეიკრიბა დიდი საბჭო, რომელსაც ესწრებოდნენ საფრანგეთისა და ვენეციის ელჩები, იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქი, მისი მდივანი და ოთხი ბერი. საბჭო იხილავდა პატრიარქის საჩივარს ბეთლემის ტაძრის შესახებ, რომელიც უძველესი დროიდან მართლმადიდებლებს, ე. ი. ქართველებს ეკუთვნოდათ. ამის საპასუხოდ ფრანცისკანელებმა წარადგინეს დოკუმენტები, რომლებიც, როგორც გაირკვა ქართველებისა იყო. სულთანმა მურად IV-მ ბეთლემის ტაძარი მართლმადიდებლებს, მიაკუთვნა, მაგრამ სინამდვილეში მას ბერძნები დაეპატრონენ.

ბიბლიოგრაფია:

1. აბულაძე ც., სულიმან კანუნის ჰუკმები იერუსალიმის ერთი ქართული მონასტრის ფრანცისკანელებისათვის გადაცემის შესახებ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 2, 1986.
2. თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბილისი, 1983.
3. მამისთვალისძვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბილისი, 2008, 161.
4. მამისთვალისძვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I. (XV-XVI სს.), თბილისი, 2009.
5. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბილისი, 1980.
6. მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1961.
7. სალამე ო., გერშონ ბენ ორენი., ქართველები იერუსალიმში XVI საუკუნის სამი არაბული დოკუმენტის მიხედვით, თბილისი, 1991.
8. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956.
9. ჩოჩიევი ვ., მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობა XVI-XVII საუკუნეებში (ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებების მიხედვით). (სადოქტორო დისერტაცია), თბილისი, 1972.

¹ XVI საუკუნეში ამ ტერმინით აღინიშნებოდა ადგილობრივ ოსმალო მმართველთა პირადი ამაღის ჯარისკაცი.

² სალამე ო., გერშონ ბენ-ორენი, ქართველები იერუსალიმში..., გვ. 23-24.

10. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბილისი, 1966.
11. , VIII, 1991, . 692, 697.
12. , 1899.

FIRMANS ISSUED BY OTTOMAN SULTANS ABOUT THE GEORGIAN MONASTERIES IN JERUSALEM (XVII C.)

**Eldar Mamistvalishvili, Gori State Teaching University, Professor
RESUME**

Even after the Ottoman conquest of Jerusalem, during the certain period of time, the Georgians still enjoyed honor and privileges in the Holy Land. This fact is also indicated in the documents issued under the reign of Suleiman II (1520 – 1566).

საციციანო ოსმალობის პერიოდში (1723-1735 წწ.) ქართული და ოსმალური წყაროების მიხედვით

მანანა მიჩიტაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

XVIII საუკუნის დამდეგიდან ციციშვილები კვლავ წარჩინებულ საგვარეულოდ ითვლებოდა. სამეფო კარი სათანადოდ აფასებდა ციციშვილთა ერთგულებას და საკმაოდ დიდ მამულებსაც აძლევდნენ ერთგულების ნიშნად: „წიგნი დაგიწერეთ ჩვენ ბატონიშვილმან ლევან, შვილმან ჩვენმან ქაიხოსრომ, ვახტანგ, და დომენტიმ, იესემ, სვმონ, თეიმურაზ შვილთა და მომავალთა ...სახლთუხუცეს ბატონს ქაიხოსროს შვილთა...ბევრს გარჯილნი იყვენით...სადგერი მის გარშემო მრავალი ნასყიდობა გარჯილობა გექნათ...თქვენი სახლის კაცი ქართლში ჩამოსულიყვენ, მას აქეთ გუჯარეთი, ბაგინეთი... ძველთაგან თქვენი ყოფილიყო ჩვენც ხელი ავლევით და დაგანებეთ რომ ხელი აღარ გვქონდეს...“ [11:ფ.1449, საბ. # 2225]

ვახტანგ VI-ის ჯანიშინობის პერიოდში ციციშვილები კარგავენ ძალაუფლებას ქვემო საციციანოზე. ქართლის გამგებელ ბაქარ ბატონიშვილთან ზემო საციციანოს სიახლოვეზე კი მიგვანიშნებს 1717 წლის წყალობის წიგნი, ბოძებული სახლთუხუცეს ედიშერ ციციშვილისადმი: „...დიდგვარ თავადსა ზემო ციციშვილს ქაიხოსროს შვილს სახლთუხუცესს ედიშერს...კარალეთი თქვენთვინ სამკვიდროთ სამამულედ ეწერა, ამისთვინ ჩვენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენი სამკვიდრო სოფელი კარალეთი...“ [15:426]. ამავე დოკუმენტის სპარსულმა ტექსტმა მეტად საინტერესო ცნობა შემოგვინახა: „...გამოიჩინა წრფელი ერთგულება...მან იტვირთა ბრწყინვალე თავჯის მოტანა...მდიდარი ხალათების მორთმევა [შაჰისაგან] ამ საქებარი საქმეებით მან დაიმსახურა ბედნიერება და მეფესთან დაახლოებულ პირთა დასში ჩაირიცხა...ასეთი სამსახურის სანაცვლოდ ჩვენ გამოვარჩიეთ და განვადიდეთ ის ჩვენი კარისა და ქართლის ვექილობის და ციცი-შვილის დიდებული საპატიო სახელის [ბოძებით].“ [15:428,429]

ამდენად, სახლთუხუცესი ედიშერ ციციშვილი შაჰის კარზე მოლაპარაკებას აწარმოებდა ანტიქართული პოლიტიკის გამტარებელი იესეს (ალი ყული-ხანის) ნაცვლად, ბაქარ ბატონიშვილის ქართლის გამგებლობაზე (1716-1719 წწ) შესათანხმებლად. იმდენად წარმატებულად შეუსრულებია მისია, რომ შაჰისაგან ქართლის ვექილობაც დაუმსახურებია.

1719 წელს ქართლში დაბრუნებულ ვახტანგს, გამაჰმადიანებულ იესეს შეუვალობის უფლებებით განებივრებულ თავადთა ნაწილი მისადმი მტრულად განწყობილი დახვდა. მათ შორის ციციშვილებიც, თუმცა წყაროებმა მხოლოდ ვახტანგის ჯანიშინობის დროს რუისის მოურავობით ნაწყალობევი [11:1448, საბ.#345] ბაგრატ ციციშვილის სახელი შემოგვინახა: „...კულად ბაგრატ ციციშვილი...იქსნა კათალიკოზმან სიკუდილისაგან და განყიდეს ოსეთს თხებთა ზედა.“ [2:497] დაპირისპირებაზე მიანიშნებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა საციციანოს საზღვრების შესახებ: “ხვედურეთ ზეით, დამჩხერალომდე“. ე. ი. ხვედურეთის ხეობას, ძამის ხევს, გვერდისძირსა და გუჯარეთს, მხოლოდ ზემო

საციციანოს სთვლის სათავადოდ. რაც შეეხება ქვემო საციციანოს, მას მცხეთის აღწერაში ათავსებს. [7:132] სახელოვანი ისტორიკოსის ცნობებს ერთი ახსნა აქვს, სათავადოს სეპარატისტული მისწრაფებები, შაჰის კართან სიახლოვე, ამასთან ერთად საციციანოს სტრატეგიული მდებარეობა, ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერე მიუღებელი იყო ქვეყნის გაერთიანებისა და გათავისუფლების პოლიტიკური გეგმებისათვის. ამიტომ არ არის გამორიცხული ვახტანგის მიერ შევიწროებული, დასჯილი და ქვეყნიდან განდევნილი ციციშვილები კახეთის მეფე კონსტანტინესთან მისულიყვნენ „...გიორგი არაგვის ერისთავი, შანშე ქსნის ერისთავი, ბარათაშვილები, ციციშვილები კონსტანტინეს მიუვიდნენ, მხოლოდ ზემო ქართლი ერთგულობდა ვახტანგს“. [2:504] ასე აფასებს ვახუშტი სამეფო კარზე შექმნილ ვითარებას. ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს ამ დაპირისპირების მიზეზების კვლევა და მათი შეფასება. აღვნიშნავთ, მხოლოდ იმას, რომ გამწვავებული შიდადაპირისპირებით, ვახტანგ VI-ის მარცხიანი საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობით ისარგებლეს ოსმალებმა და 1723 წლის 11 ივნისს დედაქალაქი კახთა ბატონ კონსტანტინესგან [მაჰმად ყული-ხანი], უბრძოლველად ჩაიგდეს ხელთ. ბაქარი, როგორც ჩანს მამის რადიკალურ პოლიტიკას მთლიანად არ იზიარებდა“ ამისათვის მოუგზავნა, რათა წარუვლინოს ქრთამი ოსმალთა...“ [2:505] იბრაჰიმ ფაშასთან შეთანხმებას მალე მოჰყვა სულთან აჰმედ III-ის ფირმანი ბაქარის ქართლის გამგებლად დანიშვნის შესახებ. [19:278-284] ქართულ და ოსმალურ წყაროებში გამაჰმადიანებული ბაქარის-იბრაჰიმ ფაშას ოსმალთაგან განდგომის სხვადასხვა ვერსიების მიუხედავად [12:19; 5:18; 21: 63] აღვნიშნავთ, მთავარს რომ ბაქარ ბატონიშვილი ვერ შეეგუებოდა ოსმალთა ბატონობას და პირველი ჩაუდგა სათავეში განმათავისუფლებელ მოძრაობას, რაზეც ხაზგასმით მიუთითებს ოსმალური წყარო: „აწ ლტოლვილი ვახტანგის შვილს-შაჰნავაზს, მოსაჩვენებლად რომ ეზიარა ჭეშმარიტ სარწმუნოებას და განდიდდა, ოსმალეთის სახელმწიფომ ხანობასთან ერთად საგანგებოდ უბოძა ოჯაკლიკის (მუდმივი სამემკვიდრეო უფლებით ბოძებული სანჯაყი) წესით თბილისი...ხსენებული კი გაიქცა, რათა გულის სიღრმეში მინელებული სჯულგანდგომილების მწველი ცეცხლი გაეჩაღებინა.“ [5:18]

დედაქალაქიდან გამოქცეული ბაქარი საბოლოოდ ყველაზე დაცულ და სტრატეგიულ მხარეს საციციანოსა და გუჯარეთს აფარებს თავს. ამ ამბების თვითმხილველი მემატიანე არ ახსენებს საციციანოს, მაგრამ კარგად იცის, რომ, ოსმალების მხარდამჭერნი მხოლოდ საბარათიანოა: „კიდევ ერთი ნაჰიფა, საბარათიანოდ სახელდებული, რომელიც ყაფლანისშვილების საცხოვრებელი და ადგილსამყოფელია, ქალაქის სანახებთან ახლოს მდებარეობის გამო ლაშქრის ფეხის საცვეთ ადგილად რომ არ ქცეულიყო, ამიტომ შიშველი მორჩილების სამოსი ჩაიცვას და ...ნდობის ხალათში გამოწყობილებმა მოისვენეს.“ [5:21] რაც შეეხება საამილახვროს, მის წინამძღოლ, გივი ამილახვარს თურქი მემატიანე [5:67] და სხვა ოსმალური დოკუმენტები [1:296-299] მათ მხარდამჭერ პიროვნებად წარმოგვიდგენენ. [20:159] ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამილახვრის ერთგულება ოსმალებისადმი შეფასებულია მათთან ბრძოლისა და „ქართველობის დაცვის“ მოხერხებულ საშუალებად. [3:180] ასეთ შემთხვევაშიც კი ბაქარი ვერც საამილახვროს შეაფარებდა თავს.

ამდენად, ქართული და ოსმალური წყაროების შედარებითმა შესწავლამ ცხადყო, რომ ბაქარ ბატონიშვილის დაწყებული განმათავისუფლებელი ბრძოლების ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ძალა ზემო საციციანო და გუჯარეთია. სათავადოს 1723 წლის ბოლოსა და 1724 წლის დასასრულს მკვეთრად გამოხატული ანტიოსმალური პოზიცია აქვს. ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად ბაქარ ბატონიშვილმა ამჯობინა ძველი ცოდვები და ღალატი მიეტევებინა კახეთის მეფე კონსტანტინესთვის, რომელიც თავად ბაქარმა გააპარა თბილისის ციხიდან, [17:92] რათა შეთანხმებულად ებრძოლათ ოსმალების წინააღმდეგ.

1724 წლის იანვარში კახეთის მეფის ინიციატივით, მცხეთაში ბაქარისა და კონსტანტინეს შეხვედრაზე შეთანხმებას მიაღწიეს“...წარავლინა მაჰმად-ყული ხან თეიმურაზ ბაქარისა თანა, ვინაფთგან ეზრახოდნენ ურთიერთს, და შემდგომად მივიდა თვთვა მცხეთას, ჰყვეს პირი ერთობა-სიყვარულისა“. [2:622] როგორც ჩანს, აქვე შეთანხმეს არაგვის, ქსნის ერისთავების და საციციანოს მოკავშირეობა და ანტიოსმალური საბრძოლო გეგმები. აქვე აღვნიშნავთ, რომ საციციანოსა და არაგვის საერისთაოს „საუკუნოვან“ პოლიტიკურ კავშირს ამყარებდა ახლო ნათესაური ურთიერთობა, რასაც ადასტურებს 1701 წ. ყმის შეწირულების წიგნი მიცემული ოთარ არაგვის ერისთავის ასულის და ვახტანგ ციციშვილის მეუღლის თინათინის მიერ წმ. ნიკოლოზის ეკლესიისადმი. [6: 115]

ამ შეხვედრების შესახებ თურქი მემატიანე გურჯიზადეც მიუთითებს: „...არ წყვეტდა ხსენებულ მის აღმატებულებასთან მეგობრულ მიმოწერასა და პირად შეხვედრებს. ბატონი იგი, ყარაკალკანისა [არაგვის საერისთაო] და ქსნის ერისთავებთან ერთად, მაცდურად და ფარულად, დღენიდაგ აგებდა მზაკვრობისა და ღალატის შენობას...იყვნენ ურჩები და ფანატიკურად ქედუდრეკენი.“ [5:31] დედაქალაქში ოსმალთა მძიმე მდგომარეობის შესახებ გურჯიზადე დაუფარავად გადმოგვცემს: „...ქალაქი თბილისი ისე იყო გარშემორტყმული სარწმუნოების მტრებით...დანებების კეთილი სურვილი არც ქალაქიდან მოდიოდა და

არც ქალაქის კედლებს მიღმა იყო გადაწყვეტილი დამორჩილების საქმე [5:19] ავტორი 1723 წლის იბრაჰიმ ფაშას წარუმატებელი ლაშქრობებზე ამიერკავკასიაში, ოსმალების განჯასთან დამარცხებაზე და რუსეთის მიერ ბაქოს დაკავების შესახებ არ საუბრობს, თუმცა აშკარად მიანიშნებს: “უმჯობესი იყო მანამ ელონათ რამე, ვიდრე გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ.” [5:25-31] სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ის ფაქტი, რომ 1724 წლის მარტში რეჯეფ ფაშა დაინიშნა თბილისის მუჰაფიზად (კომენდანტად, სამხედრო ძალების უფროსი. წარმოშობით ალბანელი, დაქორწინებული იყო სულთან აჰმედ III-ის ასულზე, ემინე ხანუმზე) მის დამხმარედ ახალციხიდან იხმეს ისჰაკ-ფაშა: “რადგანაც იმ მიდამოების ვითარების სრულყოფილი ცოდნითა და იქ საქმეთა წარმართვით მან სახელი გაითქვა და მოიხვეჭა“ [5:52-53] როგორც ჩანს, ბაქარმა თბილისის გასათავისუფლებლად ძალების სიმცირის გამო ხელსაყრელი მომენტი ვერ ისარგებლა. ამიტომ გადაწყვიტა „ისლამის ლაშქრის შემოსასვლელ და გასასვლელ გზას“ [5:19], სომხით-საბარათიანოს გზებს, თვითონ დაუფლებოდა. გუჯარეთი, თრიალეთი და მანგლისი სტრატეგიული მნიშვნელობის ყველაზე მარჯვე და უმოკლესი გზა იყო, რომლითაც შიდა ქართლი ქვემო ქართლს და ჯავახეთს უკავშირდებოდა. აქედან ბაქარს ადვილად შეეძლო დაკავშირებოდა ყარაბაღ-ყაზახში მებრძოლ კონსტანტინეს, განჯა-ყარაბაღის გამგებელს და სომეხთა საბრძოლო გაერთიანებებს, რომელთანაც მას კავშირი ჰქონდა დამყარებული. [12:324] მეორე მხრივ, მთიანი და ვიწრო ხეობები ოსმალებთან ბრძოლის მოხერხებული პირობებით გამოირჩეოდა. რეჯეფ ფაშა ჩანაფიქრს მიუხვდა, ლაშქარი დაადევნა შიიტურიდან, სუნიტურ მაჰმადიანობაზე გადასული იესე-მუსტაფა ფაშას მეთაურობით, რათა არ მისცემოდა ბაქარს ანტიოსმალური ძალების გაერთიანებისა და დედაქალაქთან დამაკავშირებელი სტრატეგიული გზების ხელში ჩაგდების საშუალება. მტრის მრავალრიცხოვან ძალებთან ბრძოლას, ბაქარმა ამჯობინა ატენიდან სამხრეთ-დასავლეთ თრიალეთში გადასულიყო და იქიდან გაეგრძელებინა ბრძოლები ოსმალთა წინააღმდეგ. ბაქარის წარმატებული ბრძოლების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გურჯიზადე თავის საისტორიო თხზულების ცალკე თავში: „გუჯარეთის ხალხი...განაგრძობდნენ ურჩობას... როცა ორი ათასი თავდადებულის ქარავანი გაემურა არზრუმიდან ერევნისაკენ და სოფელ ფოკაში შეჩერდა...დაესხნენ თავს, ვაჭრები გამარცხეს... ათასეულში მყოფ ყველა თავდადებულ გმირს თავი წააგდებინეს.“ [5:30] ავტორი აღშფოთებას ვერ მალავს ბაქარის მიერ თრიალეთის მმართველის იბრაჰიმ ალას ტყვედ ხელში ჩაგდებისა და „მოწამებრივი“ სიკვდილის შესახებ. იმდენად საშიშ და სარისკოდ მიაჩნდა მტერს ამ მხარეში ბრძოლების გამართვა, რომ იძულებულნი გახდნენ საგანგებოდ მომზადებულიყვნენ. რეჯეფ ფაშას გაგზავნილმა მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა იესესა და ისჰაკ ფაშას სარდლობით სასტიკად დაამარცხეს ქართველები 1724 წლის აგვისტოს. [1:შენიშვნა #63-65]. სიამაყით გადმოგვცემს გურჯიზადე, რომ თემურლენგის შემოსევა და აოხრება ამ მხარისთვის სანატრელი გამხდარა: “..ეს იყო სანიშნოდ ჯოჯოხეთური ხეობა... ჯამბაზის სავალი თოკის მსგავსი აღმართები და დაღმართები ...მოსახლეობა ვისაც კი ბრძოლის და ომის ძალა შესწევდა, ყველა შურისძიების მახვილის ქვეშ გაატარეს. ცოლ-შვილი დაუტყვევეს და, სახლ-კარსა და მამულს ცეცხლი წაუკიდეს. ქვეყანა ისე დააქციეს და გაანადგურეს, რომ ამის შემდეგ თემურლენგის შემოსევა და აოხრება ამ მხარისთვის სანატრელი გახდა. ნაგებობათა ნაშთსაც კი ვერ აგნებდნენ...” [5:31]

ამდენად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავეთანხმებით სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ მოსაზრებას: „1723 წელს ოსმალთა დამყარდა და ოსმალთა ციციშვილებმა ერთი პირველთაგანებმა იცნეს“-ო. [4:446]

ბაქარის სასტიკად დამარცხებისა და მეფე ვახტანგთან ერთად რუსეთში წასვლის შემდეგ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში კახთა მეფე კონსტანტინე ჩაუდგა. აჯანყების მასშტაბების გამო თბილისის ციხის დამცველი ოსმალები პანიკაში ჩავარდნილან. ოსმალეთის ოფიციალური ისტორიკოსი ქუჩუქ ჩელები ზადე აჯანყებულთა შესახებ წერს:“...მასხარა ქართველები ოთხივე მხრიდან რომ გარს ედგნენ, მასთან მივიდნენ და კავშირი შეკრეს. ყარაკალკანისა და ქსნის ერისთავები 10 000-ზე მეტი მოლაშქრით ...გორის ციხის ასაღებად წამოვიდნენ. [18:47] თითქმის იდენტურია თურქი მემატიანის, გურჯიზადეს ცნობებიც:“ თბილისის აღარც მეციხოვნე ასქერებს და აღარც მცხოვრებლებს თავდაცვის იმედი აღარ შერჩათ, სულიერად დაეცნენ.“ [5:63] საგზლისა და სამხედრო საჭურვლის მდგომარეობა, ისეთი მცირე ყოფილა, რომ თუ გარემოცვა 3 დღის მანძილზე გაგრძელდებოდა, სურსათიც გათავდებოდა სამ დღეში. სომხურ წყაროს თუ დავუჯერებთ ოსმალებს გორში 15 - ზარბაზანი ჰქონიათ, დედაქალაქში კი მხოლოდ - 2. [22:103] სამწუხაროდ მათთვის არ იყო ცნობილი ოსმალთა მძიმე სამხედრო მდგომარეობა, ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს და ხელიდან გაუშვეს გამარჯვების შესაძლებლობა, თუმცა ფაქტიურად საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო რუსეთის თურქეთთან გარიგებით და 1724 წლის 12 ივლისის კონსტანტინოპოლის ხელშეკრულებით.

აჯანყებულებმა ამჯობინეს ოსმალთა წინააღმდეგ შეტევა გორის ციხის აღებით დაეწყოთ, რაც გამორიცხავდა ზურგიდან ოსმალთა თავდასხმის საშიშროებას. ამის შემდეგ, გაერთიანებული ძალებით დედაქალაქიდან განდევნიდნენ ოსმალებს. ვახუშტის ცნობით: “ეზრახნენ ქართველნი მაჰმად ყული-

ხანს...განადიონ ოსმალნი და იყოს მეფედ მათდა ...შეკრბენ ქართველნი, მოიყვანეს მაჰმადყულიხან კახით, თუშით, ფშაველ-ხევსურითა და დადგნენ თედოწმინდას.“ [2:506-508] რეჯეფ ფაშას ურჩევდნენ ლაშქრობაზე ხელი აელო, მაგრამ მან მტკიცედ გადაწყვიტა გორის ციხეში გამაგრებულ უსუფ-ფაშას დახმარებოდა. მისი ბრძანებით ლაშქრის სარდლებად ისკაკ ფაშა, ალი ფაშა [5:63] და გამაჰმადიანებული იესე დაინიშნა. 1724 წლის 22 სექტემბერს ოსმალები თბილისიდან გამოემართნენ და შედარებით მოხერხებული გზა აირჩიეს მანგლისის გზით ატენის ხეობა „...ატენის ხეობად წოდებულ ადგილს განლაგდნენ, სწორედ იქ, სადაც შაჰნავაზმა [ბაქარმა] გაქცევის ჟამს შეისვენა.“ [18:47]

კონსტანტინეს მებრძოლებს, კახელებსა და თუშებს მუხრანში შემოუერთდა ანანურიდან მისივე ძმა თეიმურაზი მთიულეების, ფშაველებისა და ხევსურების საბრძოლო რაზმებით, ასევე არაგვისა და ქსნის ერისთავები. შემთხვევითი არაა, რომ აჯანყებულები კონსტანტინეს მეთაურობით სოფელ ხელთუზნიდან, ციციშვილთა მამულში, კარაღეთთან ახლოს, თედოწმინდაში დაბანაკდნენ, სადაც შეუერთდნენ მებრძოლები საციციანოსა და შიდა ქართლიდან, ჩანს აქ მიიღეს ცნობა საციციანოში ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის გამოჩენის შესახებ, ამიტომ გორის ციხეზე შეტევის ნაცვლად კოწახურას ფონით გადალახეს მდინარე მტკვარი და ზედაველაზე ატენის ხეობის ბოლოს განლაგდნენ საბრძოლველად. ატენთან გადამწყვეტი ბრძოლის ადგილისა და დროის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული წყაროებსა [2:508;17:93] და სამეცნიერო ლიტერატურაში. [3:162] გ. ნატროშვილის მიერ თურქული და ქართული წყაროების ანალიზით და სავარაუდო ტერიტორიაზე სავლელ კვლევა-ძიებაზე დაყრდნობით გამოთქმული მოსაზრება დადებითად შეაფასა მ. სვანიძემ [13:125], რომელსაც სრულიად ვიზიარებთ. ბრძოლა მოხდა იმ ზედაველაზე, რომელიც ატენის ბოლოსა და ხიდისთავს შუა მდებარეობს 1724 წლის 23-24 სექტემბერს. [9:150-151] ამ ადგილზე მიანიშნებს აქაური მკვიდრის, იესე ტლაშაძის საყურადღებო ცნობებიც. [14:35]

პირველსავე შეტევისას ქართველებმა ოსმალეთის ავანგარდი დაამარცხეს და გააქციეს: „ქართველნი ეკვეთნენ და ივლტოდნენ ურუმნი“ [2:508], მაგრამ ოსმალთა დამხმარე ძალის მიღებამ, იესე-მუსტაფას და ერასტი ყაფლანიშვილის თავგანწირვამ, რომლებმაც მოაბრუნეს გაქცეული ოსმალთა მებრძოლები და შეტევა განაახლეს, მტერი დამარცხებას გადაარჩინა. „მოუკდა იესე, მოაქცია ოსმალნი, ეკუეთა კულად მოსრნა... რამეთუ თავნი ურუმებითა წარიღო ერასტი ყაფლანიშვილმან ტფილისს რაჯაბ ფაშასა, თანა“ [2:508] ომის მსვლელობას თურქი ისტორიკოსების ქუჩუქ ჩელები ზადეს და გურჯიზადეს ცნობები იდენტურად გვიხატავენ ატენის ბრძოლის მსვლელობას რიგ დეტალებში ერთმანეთს კიდევაც ავსებენ და სიღრმისეულად გადმოგვცემენ: “მთებში მხედრები დაბინავდნენ...ფერდობებზე კი-ქვეითები. გასასვლელელებში... მეთოფეები ჩააყენეს ...ცხენოსნები საძულველი ლაშქრის წინააღმდეგ გაემართნენ...ცხენოსნებმა ისლამის ფიცხ მხედრებს ვერ გაუძლეს და, ერთურთის გაძლიერების მიზნით, ქვეითებთან შეერთება მოინდომეს, მაგრამ ავღანელმა მეთოფებმა გზა გადაუჭრეს. იძულებული გახდნენ... მთებისაკენ გაქცეულიყვნენ. მაჰმადიანი მოსახლეობისათვის გამზადებული გასასვლელეები მათივე ყელსაბელი გახდა... ვინ მტკვარში ჩაყარეს და წყალმა დაახრჩო 3000 წყეული.... ამას მოჰყვა ერევნის ადების სასიხარულო ცნობა. [18:47] “ერევნის ციხის ადგა 29 სექტემბრით თარიღდება. სრულიად ლოგიკურია მკვლევარ, ც. აბულაძის ვარაუდი, რომ გამარჯვებული ოსმალების დედაქალაქში დაბრუნება უნდა მომხდარიყო 29 სექტემბრამდე, როგორც ჩანს ოსმალები თავს უსაფრთხოდ მაინც ვერ გრძნობდნენ, ღამე გორის ციხის წინ გაათიეს და თბილისში მეორე დღეს დაბრუნდნენ. ერასტი ყაფლანიშვილის მიერ მოკლულთა თავებით დატვირთული 50-60 ურემი თან წამოიღეს საჩუქრად რეჯეფ-ფაშასთვის. ვახუშტის ცნობით ფაშას 30 დრაჰკანითაც დაუჯილდოებია. [2:508] ატენის ომის მნიშვნელობა თვით სულთანმა საგანგებო ფირმანით შეაფასა “როგორც დიდი გამარჯვების დასაბამი“ და საგანგებო წყალობაც უბოძა“რეჯეფ-ფაშას 20 000ყურუმი, ისკაკ ფაშას 5000 ყურუმი და ას-სეიპ მუსტაფა ფაშას - 1000 ყურუმი“ [5:68-69] წყაროებიდან ჩანს, რომ ენით აუწერელი სისასტიკე თავს დაატყდა არა მარტო მებრძოლებს, არამედ საციციანოს ადგილობრივ მოსახლეობას. ფაქტიურად ეს იყო საციციანოს უკანასკნელი გაბრძოლება ოსმალთა წინააღმდეგ, სათავადო მხოლოდ 30-იანი წლების ბოლოს უერთდება გივი ამილახვრის დაწყებულ ანტიოსმალურ აჯანყებებს. [8:92-93]

ატენის ბრძოლა, მიუხედავად დამარცხებისა დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. უმეფოდ დარჩენილი ქართველი ხალხი განსხვავებული სოციალური მდგომარეობისა და ფეოდალური ინტერესებისა ანტიოსმალური განმათავისუფლებელ ბრძოლის იდეამ გააერთიანა. თურქი ისტორიკოსებიც ხაზგასმით აღნიშნავენ რომ მოღალატე ქართველთა დახმარების გარეშე გამარჯვებას ვერ აცნობებდნენ სულთნის კარს, ამიტომ ამჯობინეს 1727 წ. მეფობის გაუქმების ხარჯზე, ერთგვარი კომპრომისული პოლიტიკით ქართველთა გავლენიანი თავადების და ერისთავების გულის მოგება. ამის ერთი ნათელი მაგალითია მცხეთის სიონის ღვთისმშობლის ტაძრის მეჩეთად გადაკეთების მცდელობა, მაგრამ გივი ამილახვრისა და “ვინცა ვინ ქართველ დარბაისელნის“ [16:712] თხოვნით და საჩუქრებით ოსმალებს ამ სურვილზე ხელი აუღიათ. ქართლის თითოეული ნაჰიე

ქართველებს ჩააბარეს, მათ შორის საციციანოს ნაპიეს მმართველობა, მცხეთას ზევით ე.წ. „გაღმა მხარი“, რომელიც მოიცავდა მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს მცხეთიდან ტაშისკარამდე ბაგრატ ციციშვილს უბოძეს.

ომის მძიმე შედეგები ყველაზე მეტად სწორედ საციციანოზე აისახა, რასაც მოწმობს მკვლევარ ნ. შენგელიას მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში ახლად შემოტანილი წყარო „1728 წლის თბილისის ვილაიეთი დიდი დავთარი“. დავთარი ხაზგასმით მიუთითებს ოსმალური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას. აღწერა ტარდებოდა ფისკალური მიზნით. დავთრის მიხედვით საციციანოს ნაპიეში სულ 134 სოფელი შედიოდა. მათ შორის მოსახლეობისაგან დაცლილია - 19 სოფელი, ამ სოფლებზეც შეწერილია საკმაოდ მაღალი გადასახადები, რაც ნათლად მიგვითითებს, რომ აღნიშნული სოფლები ახალმითვლებული, გაუკაცრიელებულია და მხოლოდ სათესველად გადაქცეულა ოსმალთა ხელში. მოსახლეობისაგან დაცლილი სოფლების მიწებს მეზობელი სოფლებიდან მოსულნი დღიური თანამონაწილეობის საფუძველზე ამუშავებენ. მაგ., სოფელი მიჰათი, ცარიელია რეიასაგან და ხსენებული სოფლის ტერიტორიაზე ოხსელისა და თუსის სოფლების რეიას დაუწყია ამ ადგილების დამუშავება. [23:147] დავთარში რეგისტრირებული სათესველები, ბერხო, ბნავისი, დანასირი - სოფლებადაა მოხსენიებული კარგი მოსავლიანობის გამო. ამიტომ ხშირად სოფლებს სათესველებიც აქვს მითითებული. არის მცირეკომლიანი სოფლებიც: საჯიე - 1კომლი, 2-5 კომლიანი - 12 და 6-10 კომლიანი 22 სოფელია. არის გამონაკლისი როცა სოფლის ცალკეული უბანი სოფლად მოიხსენიება. მაგ. სოფ. ქონსხოს მოსდევს თელეუბანის დასახლება სოფელ ქონსხოში. [23:141-143] ვენახების მქონე სოფლის აღწერისას, ზუსტადაა აღწერილი ვენახის დღიური მფლობელის სახელები და გადასახადთა რაოდენობა. [23:154,158,172] ჩამოთვლილია თითოეული სოფლისა და დასახლებული პუნქტის მეურნეობის დარგები. დავთრიდან ადვილად შესამჩნევი ხდება, ოსმალთა შემოღებით როგორ ქრებოდა, ან იცვლებოდა, ისტორიული სოფლების სახელწოდებები და ქართული გვარ-სახელები.

ოსმალებმა თითოეულ კომლს დააკისრეს მძიმე ოსმალური გადასახადები: ისფენჯი, უშრის გადასახადი ხილზე, ვენახზე, ბოსტანზე; გადასახადები: ერბოზე, სკაზე, თივაზე, ღორზე, ცხვარზე, წისკვილზე, დემთიბანისა და მიწაზე თავუს გადასახადი, ბადიჰავას, რესში არუსანე, ჯურუმ ჯიბაიეთის, იავასა და კაჩკუნის, ბეთალმალის ამესა და ხასეს გადასახადი. მათი საგადასახადო სისტემის არსი მდგომარეობდა, იმაში რომ რაც შეიძლება მეტი გადასახადები ამოეღოთ დაპყრობილი მოსახლეობის მიერ წარმოებული მეურნეობის თითოეული დარგიდან.

დავთრის მიხედვით საციციანოს ნაპიეში 3224 კაცია, მათზე შეწერილი მთლიანი გადასახადების რაოდენობაა - 1325290 ახჩა, აქედან თითოეული საშუალოდ იხდიდა 411 070 ახჩას; გადასახადების სიმძიმით გამოწვეული მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახა ვახუშტი ბატონიშვილმა [2:508] და პაპუნა ორბელიანმა. [10:45-46]

ოსმალური დავთრის მიხედვით საციციანოს ნაპიეს დაკარგული აქვს სტრატეგიული მნიშვნელობის მხარეები და სოფლები. როგორც ჩანს, ნაპიებად დაყოფის პრინციპი ითვალისწინებდა არ დაეშვათ ანტიოსმალური ბრძოლების გაგრძელების შესაძლებლობა. სწორედ ამით აიხსნება, რომ ცალკე ნაპიედ გამოყვეს საციციანოს სამკვიდრო მამულები, განმათავისუფლებელი ბრძოლებით ცნობილი მხარე გომარეთი და გუჯარეთი. ჯავახეთ-თრიალეთიდან შიდა ქართლში გადმოსასვლელ გზაზე მდებარე საციციანოს სამკვიდრო მამული სადგერი [23:229-230] კი პეტრეს ნაპიეს მიაკუთვნეს. თრიალეთ მანგლისის მხარის და მთელი აღმოსავლეთ საქართველოს გზაჯვარედინზე მდებარე საციციანოს სოფელი თრიალეთის რეხი [11:ფ.1448, საბ.#5010-ა] საამილახვროს ნაპიეს მიაკუთვნეს. რაც შეეხება ნიჩბისს, არც ერთ ნაპიეში არ არის მოხსენიებული, სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ვფიქრობთ, ვაკუფია და ისპაჰ ფაშას დაქვემდებარებაშია. დაპყრობილი ქვეყნის აღწერა და მისი დავთრებში გატარება ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის გაუქმებას ნიშნავდა, ამიტომ ციციშვილები, ისევე როგორც ქართლის ფეოდალები მოვალენი იყვნენ თავიანთ მამულებზე მფლობელობის უფლება მიეღოთ ოსმალთა ხელისუფლებისაგან, მფლობელობის უფლების განახლება უზომო ხარჯებს ითვალისწინებდა. ფეოდალური სახლის გადატაკებული წევრები, ხშირად ჰკარგავდნენ საგვარეულო ქონებაში მონაწილეობის უფლებას, რაზეც ხაზგასმით მიუთითებენ თურქული დოკუმენტები. [20:185-188] დავთარი დიდი მეცნიერული ღირებულებისა და ბევრი საინტერესო ცნობების შემცველია, ოსმალურ დოკუმენტებთან ერთად მეტად მნიშვნელოვანი წყაროა ოსმალთა პერიოდის საციციანოს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიური, ისტორიულ-გეოგრაფიული და დემოგრაფიული მდგომარეობის შემდგომი კვლევისათვის.

ლიტერატურა:

1. აბულაძე ც., ოსმალთა ხანის სამი თურქული ფირმანი, აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბ. 1973;

2. ბატონიშვილი ვახუშტი., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV თბ. 1973 ;
3. ბერძენიშვილი ნ., XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, „საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II. თბ. 1965;
4. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, (ქართლის სათავადოები), თბ., 1955;
5. გურჯიზაძე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1975;
6. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს) ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940 წ. №152; №156 ; №121;
7. თაყაიშვილი ე., მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბ., 1907;
8. მამისთვლიშვილი ე., გორის ისტორია, I, თბ., 1994;
9. ნატროშვილი გ., ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი, „მნათობი“, #1, 1976;
10. ორბელიანი პ., ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981;
11. საისტორიო არქივი, ფ. 1449, აღწ. I, საბ. # 2225; ფ. 1448, აღწ. I, საბ. # 345; ფ. 1448, აღწ. I, საბ. # 5010-ბ;
12. სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990;
13. სვანიძე მ., ატენის ბრძოლის ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის თურქული წყაროების მიხედვით, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი II, თბ., 1979;
14. ტლაშაძე იესე, „ბაქარიანი“ მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა, თბ., 1963;
15. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო, ვ. ფუთურიძემ - 1955, დოკუმენტი, #161; #178; #192;
16. ქართული სამართლის ძეგლები საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX), 1970. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. III. თბ., 1970, დოკ. №228;
17. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებული, ქრონოლოგიურად, დაწყობილი და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ. ტ. III , ტფ., 1967;
18. ცნობები ქუჩუკ ჩელები ზადეს ისტორიიდან, თარგმანი ცისანა აბულაძისა, წიგნში გურჯიზაძე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თბ., 1975;
19. ჯიქია ს., აჰმედ III-ის ფირმანი ბაქარ ბაგრატიონს, ქართული წყაროთმცოდნეობა III, თბ., 1971;
20. ჯიქია ს., ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში, აღმოსავლური ფილოლოგია, I, თბ., 1969;
21. Peyssonel M., Essai sur les troubles actuels de Perse et de Georgie, Pariz, 1754.
22. - XVIII ,, , . II, ,2, . . . , 1964.
23. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ, თბ., 2009.

SATSITSIANO IN THE PERIOD OF OTTOMAN TURKEY (1723-1735) ON THE BASES OF GEORGIAN AND OTTOMAN SOURCES

Manana Michitashvili, Gori State Teaching University, Associate Professor

RESUME

The paper studies the history of Satsitsiano on the bases of Georgian and Ottoman sources in the period of reign of Ottoman Turkey. The studied material almost identically and chronologically describes distinctively anti-Ottoman position of Satsitsiano.

The information preserved in the Ottoman resources proves the biased nature of the evaluations made by the Tsitsishvili family that is widely covered in the scientific literature.

Through the comparative analysis of the Georgian and Ottoman resources the battles carried out in 1723-1724 on the land of this noble family are comprehensively presented. The negative results befallen upon the local population of the Tsitsishvilis' Satavado hindered socio-economic and political development of Satsitsiano.

ლიახვის ხეობის ტოპონიმები და ანთროპონიმები 1728 წლის თურქული აღწერის მიხედვით

ნიკოლოზ ოთინაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა ოსმალეთ-საქართველოს პოლიტიკურ, ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობაში. აქ ვეცნობით მთელ რიგ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება სამომავლოდ შესწავლილ იქნას. ესენია მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, გადასახადები და საგადასახადო სისტემა, რაც ჩვენი იმდროინდელი სინამდვილისათვის დიდად მნიშვნელოვანია.

დავთარში წარმოდგენილია საამილახვრო, რომელიც თითქმის ყველაზე დიდი ადმინისტრაციული ერთეულია დავთარში. ლიახვის ხეობა იმ დროს და შემდგომაც თავად მაჩაბელთა გამგებლობაში იყო, მაგრამ ცნობილ მაგნატს გივი ამილახვარს ემორჩილებოდა, როგორც ზემო ქართლის სადროშოს მეთაურს, თანაც ამ დროისათვის ამილახვარი ოსმალების მიერ ზემო ქართლის გამგებლად იყო დანიშნული და იმპერია მხარს უჭერდა. სწორედ ამით უნდა იყოს განპირობებული დავთარში ასეთი სახელწოდება.

ოსმალებმა დაწვრილებით აღწერეს როგორც სხვა, ისე დიდი ლიახვის ხეობა. აღწერაში ჩამოთვლილია ოსმალური გადასახადების სახეები: ისფენჯი, გადასახადები ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, სკაზე, ცხვარზე, ღორზე, ფეტვზე, წისქვილზე; ხსენებული გადასახადები თითქმის ყველაზეა შეწერილი და იგი მეორდება ყველა სოფლის ხსენებასთან ერთად.

დავთარის მიხედვით ყველა იმდროინდელი სოფლის ვალდებულება, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, სახელები საინტერესო საკვლევია. ამ სოფლებიდან წარმოვადგენთ წარის, დამპალეთის, თამარაშენის, პარსეთის, საბაწმინდის ანთროპონიმებს, რომლებიც საინტერესოა როგორც იმდროინდელი, ისე დღევანდელი თვალსაზრისით.

დავთარში აღწერილია მხოლოდ მამაკაცები, რომლებსაც გადასახადის გადახდა ევალებოდათ. აღწერილია ოსმალური წესებით: სახელითა და მამის სახელით, გვარის გარეშე.

თურქული აღწერით სოფელი წარი, რომელიც ცხინვალის დასავლეთით მდინარე ფრონეს წყალგამყოფზე, თიხრევის ხევის მარჯვენა მდებარეობდა, აღნიშნულია ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1745 წელს შედგენილ რუკაზე „წურის“ სახელწოდებით (ვახუშტი, 1977). ისტორიულ წარის სანახებშია ქვის დიდი კანიონი, რომელზეც ვახუშტი აღნიშნავს, რომ „თიხრევის შავი ქვა დუდეთს, რომლითა ბერვენ ეკლესიებთა“ (ვახუშტი, 1977).

სოფელი დიდი ყოფილა და ყველა იმ გადასახადის გადამხდელი იყო, რომელიც სხვა სოფლებისათვის იყო შეწერილი. თურქული აღწერის მიხედვით მოსახლეობა მთლიანად ქართულია და მათი წესით მხოლოდ საკუთარი სახელები აღიწერებოდა. მათი სახელებია: გიორგი ძე ბერისა, ოთარ ძე მისი, დათუნა, ძმა მისი, ბერიძე ბაბუნასი, ბასილა ძე მისი, დათუნა ძე ბერისა, ზაქარა ძე დათუნასი, სიმონ ძე მისი, პავლე ძმა მისი, ბასილა ძე გიორგისა, გიორგი ძმა ივანესი და სხვა.

სოფელი დამპალეთი, რომელიც თურქულ აღწერაშია მოცემული, მდებარეობდა ცხინვალის ჩრდილო-დასავლეთით და ექვემდებარებოდა ამილახვარს. იმ დროისათვის სოფელი მთლიანად ქართულია, ცხოვრობდნენ: ესტატე ძე ბერისა, ბერი ძმა მისი, დადუნა ძმა მისი, სეხნია ძე დუნისასი, თამაზა ძე ონიასი, ონია ძე მისი და სხვები.

სოფელი თამარაშენი დიდი ლიახვის ხეობის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა, ცხინვალის ჩრდილოეთით სამი კილომეტრის დაცილებით. თურქული აღწერით სოფელი დიდია, სადაც ძირითადი მოსახლეობა ქართველობაა, შემდეგ კი ებრაელობა. აღწერაში ქართველები და ებრაელები ცალ-ცალკე გამოყოფილი არ არის და ერთად არის მოცემული. ქართველებიდან საკუთარი სახელებია: ბერი ძე ონიასი, დათუნა ძმა მისი, დათუნა ძე მახარასი, ესტატე ძე გიორგისა, შიო ძე რამაზასი, შიო ძე მამუკასი, გიორგი ძე მისი, ხოსია ძე ბერისა, დათუნა ძმა მისი და სხვა.

ებრაელების საკუთარი სახელებია: ბაბუნა ძე კადინასი, მორდეხა ძმა მისი, კობა ძე ბაბუნასი, მოშია ძე მისი, დავით ძმა მისი, მორდეხა ძე მისი, შოშია ძე კოკიასი, მორდეხა ძე მასთვალისა, მორდეხა ძე იოსებისა, დანიელ ძე ისრაელისა, დანიელ ძე მირაქასი, მათვალ ძე კვესიტასი, მოშია ძე სურნიერისა, ისრაილ ძე შაბათასი და სხვა.

1728 წლის თურქული აღწერით სოფელ თამარაშენში მცხოვრები ებრაელების სახელები მეორდება მეთვრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში შიდა ქართლის მოსახლეობის აღწერის უთარილო დავთარში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd).

1728 წელს: დედია, მოშია, ისპაკა, დავით, შაბათა, 1780 წელს დედია მოშიაშვილისა, ისხაკა ნანიკაშვილი, აფშიკაშვილი დავითა, ბინიაშვილი შაბათა, იაკობა, ლეკიაშვილი იაკობა და სხვები.

წლების წინათ სოფელ თამარაშენში ჩაწერილი მასალების მიხედვით გასულ საუკუნის სამოცდაათიანი წლების ჩათვლით ებრაელებს ჯერ კიდევ ჰქონდათ მამულები სოფელ თამარაშენში და ამუშავებდნენ. ტოპონიმიკაში ჯერ კიდევ ჩანს მათი კვალი, ყველაფერ ამას კი შემდგომი კვლევა სჭირდება.

თურქული აღწერით სოფელი საბაწმინდაა დასახელებული, სადაც ცხოვრობდნენ გიგელა ძე ქრისტესიასი, დათუნა ძე მისი, შალიკა ძე თედორესი, გიორგი ძე მისი, დათუნა ძმა მისი, გიორგი ძე დათუნასი; ძველი მოსახლეობა სხვადასხვა ადგილებში გადასახლდა და საბაწმინდაში რაჭიდან ჩამოსული ხიდაშელის გვარის ხალხი დამკვიდრდა.

სოფელი „ზარსეთი“ აღნიშნულია თურქულ აღწერაში, სადაც ცხოვრობდნენ: იმედა ძე ბერისა, გარსევან ძე მისი, გიორგი ძე რამაზასი, კონსტანტინე ძმა მისი, ოთარა ძე გიორგისა, ოთარა ძე მისი, გიორგი ძე შიოსი და სხვა. როგორც ჩაწერილი მასალები გვიდასტურებს, აღნიშნული დასახლება არის სოფელი ძარწემიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ძველი პარსეთი, სადაც არის ვრცელი მინდორი, რომელიც ოთხ ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს და მის აღმოსავლეთით არის ტყეში ბაზილიკური ტიპის ეკლესია, რომელსაც აქვს ნუსხური წარწერები, შესასვლელი კარის თავზე მოთავსებულ თირის ქვაზე, რომელიც მეცხრე-მეათე საუკუნეებით თარიღდება. პარსეთის ძველი მცხოვრებლები ზემოხსენებულ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მეთვრამეტე საუკუნის უთარილო დავთრის მიხედვით ყოფილან: ელბაქიძე, ნებალიძე, ცინაძე, ჩოჩიელაშვილი, მაისურაძე, რომლებიც შემდგომ უფრო დაბლა, სოფელ ძარწემში ჩამოსახლდნენ. ადგილზე კი დარჩა ბაზილიკა და წყარო, რომელსაც ძველი მცხოვრებლები ყოველთვის აკითხავდნენ, უფრო რელიგიურ დღესასწაულებზე.

თურქული აღწერის მიხედვით ქურთა და ქუთახლისი სხვადასხვა სოფლებია, სადაც მხოლოდ ქართული სახელებია დაფიქსირებული: ივანე ძე სეხნიასი, სეხნია ძე მისი, ბერი ძე ზაქარასი, ნონია ძმა მისი, ონია ძე მამუკასი, ბერი ძე მისი და სხვა. აღწერით ქუთახლისში ცხოვრობდნენ: თავადი თეიმურაზ ძე ზურაბისა (რომელიც ცნობილი თეიმურაზ მაჩაბელია) და აზნაური ბექან ძე ბაჩყასი და სხვები. აღსანიშნავია, რომ ძველი ქურთა მდებარეობდა დღევანდელის დასავლეთით ზეგან ორმუხების ახოს ძირში, სადაც დღეს სოფლის სასაფლაოა მოწყობილი, ხოლო თურქულით მოცემული ქუთახლისი არის ქვემო ქურთა, სადაც სოფლის ცენტრში თავად მაჩაბლების თავადური სახლი და დამხმარე ნაგებობები ბოლომდე იდგა და სოფლის მოსახლეობა იყენებდა.

ქართული სახელი და შემდგომ გვარი მრავალი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა და სრულყოფილ ანთროპონიმად იქცეოდა. თურქული აღწერის ქართული საკუთარი სახელების შესწავლის დროს უნებურად დაისმის კითხვა, რას უნდა დაეფუძნოს მათი მეცნიერული ანალიზი, როგორია მათი ენობრივი ბუნება?

ცნობილია, რომ სიტყვა ფორმისა და შინაარსის მთლიანობაა, რომელიც რაღაც მნიშვნელობას აღნიშნავს. მნიშვნელობა კი კონტექსტის გარეშე შეუძლებელია, რომელიც მოქმედებს სიტყვაში შემავალ ფონემაზე.

ზემოხსენებულ თურქულ აღწერებში ძირითადი მოდელი, რომელიც ოსმალო აღმწერებმა დაადასტურეს, ქართულია და ეს მოდელი მათ კარგად დაიცვეს.

საკუთარ სახელებში ხშირად გვხვდება ია დაბოლოება, რაც სპეციფიკურია და კნინობით ელფერს ატარებს: ნონია, ონია, კოკია, ზადია, დუშია, ხოსია, სეხნია, შოშია, მადია, გელია, გონია და სხვა.

სახელებს ა სუფიქსი დაერთვის ხშირად, რაც სავარაუდებელია აღმოსავლეთ საქართველოსთვის. სუფიქსი ძირითადად ერთვის თანხმოვნით დასრულებულ ფუძეზე: შარლუნა, მამუკა, დათუნა, თამაზა, ნასყიდა, ხოსიტა, ბირა, ბედინა, თამაზა, თანდილა, ალხაზა, ლომისა, კათისა, ოთარა, ათანა, ზაქარა და სხვა.

საკმაოდ ხშირია უა სუფიქსიანი სახელებიც: ძაღლუა, ბაჩუა, ზაღლუა, გიგუა, ზათუა, ბერუა, ბაბუა და სხვები.

ხმოვნებიდან აღსანიშნავია უ-ზე დაბოლოებული სახელები: ესტატე, თედორე, ერეკლე, კონსტანტინე, ივანე, ფილიპე, იორდანე, მახარე...

ო-ზე დაბოლოებული სახელები: შიო, ჯუსო, ქაიხოსრო, ალო...

დასასრულ ვიტყვი, რომ ზემოხსენებული თურქული დავთარი დიდმნიშვნელოვანი მატიაწეა, რომელიც ბევრ საჭირობოროტო კითხვას გასცემს პასუხს.

ლიტერატურა:

1. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფესორმა ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009.

2. ვახუშტი ბაგრატიონის რუკები (1745 წ.).
3. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1977.
4. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd-1606.
5. ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1982.

TOPONYMS AND ANTHROPNYMS OF LIAKHVI GORGE ACCORDING TO RECORDS OF 1728

Nikoloz Otinashvili, Gori State Teaching University, Associate Professor
RESUME

The Tbilisi Vialieti big Records of 1728 is one of the best resource in terms of historic and political relations between Osmaleti and Georgia. The Osmalians precisely described the wjole Liakhvi Gorge. There is counted the kinds of taxes and their quantity are repeated with all the villages mentioned in it. We can represent toponyms and anthroponyms of the villages of Tsari, Dampaleti, Tamarasheni, Parseti, Sabatsminda which we find interesting in terms of old and modern points of view. According to the Turkish description the village of Tsari was situated on the bank of the river Pronse, on the west of Tskinal, Tsari is the same as Tsnuri, which was mentioned in his "Records" by Vakhushti Bagrationi.

According to the Turkish description there lived in the village the following families: Giorgi dze Berisa, Otar his son, Datuna his brother, etc. As we see there were described only men without surnames who were to pay taxes. And all these came from the Osmal rules.

The village of Dampaleti was situated on the morth-west of Tskhinval which according to the description was totally Gerogian.

The village of Tamarasheni was situated in the Gorge of Didi Liakhvi, near Tskhinvali where Georgians and Jews lived. In the village of Parseti there lived Georgians with the surnames of Nebalidze, Tsinaridze, Maisuradze, Chochielashvili, Elbakidze who were then settled in the village of Gartsemi. In the village of Kurta in the gorge of Didi Liakhvi aristocrats and peasants lived side by side according to the Turkish records.

Proper names are given with different forms, they are produced by a suffix. We can often meet names with the suffix ua or names ending by e.

The above mentioned document is very important to answer many complicated questions.

სამაჩაბლო „ოსმლობის“ პერიოდში

გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გაუარესებამ, კერძოდ, ოსმალთა ბატონობის დამყარებამ XVIII საუკუნის 20-იან წლებში თავისი დადი დაასვა სამაჩაბლოს პოლიტიკურ ცხოვრებას¹. „ოსმლობამ“ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ქართული სახელმწიფოებრიობას, ქვეყნის ტრადიციულ სოციალურ-ეკონომიკურ წყობას. როგორც ცნობილია, ოსმალებმა თავიანთი პოლიტიკის აქტიური მხარდაჭერის – იესე ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1727 წ. ქართლი 6 ნაწილად დაყვეს, რომელთაგან ერთ-ერთი, ზემო ქართლი, გივი ამილახვარს უბოძეს. ამილახვარი თავდაპირველად სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ოსმალებს. ერთ-ერთ ბრძოლაში, რომელიც სამაჩაბლოში, გუფთასთან, გაიმართა, მან სძლია კიდეც მტერს, მაგრამ მალე იძულებული გახდა ოსმალებთან კავშირი შეეკრა². ოსმალთა მიერ ქართლის განაწილების შესახებ ინფორმაციას გადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილი. მისი ცნობით: „მაშინ ისაყ ფაშამ განჰყო ქართლი. სომხით – საბარათიანო მისცა ერასტი ყაფლანიშვილს, მცხეთას ზეითი ბაგრატ ციციშვილს, ზემო ქართლი გივი ამილახვარს, მუხრანი და

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 434; ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკ. საქართველოს ისტორიიდან, მსკი, ნაკვ. 1, 1944, გვ. 179.

² დ. ვერიტიშვილი, ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან თურქი და სპარსი დამპყრობლების წინააღმდეგ XVIII ს. I ნახ. (გივი ამილახვრის აჯანყება), „მომომხილველი“, III, გვ. 110.

საერისთაონი მათთავე მთავართა და ამათ მიერ მოიღებდა ხარკსა და სხუათა რაი იგი უგმდათ, არამედ შურითა ურთიერთა ქართველთა იყო უუფროსესნი ჭირნი და ართმიდიან და მარცვიდიან ოსმალნი შესმენითა მათითა, კულად უმეტესად ოგრებითა ტყვეობითა ლეკათა.”¹ 1727 წელს ერთგულების სანაცვლოდ ოსმალთა სულთანმა გივი ამილახვარს ცხინვალის უბოძა.* გივი ამილახვარს ოსმალებმა მაჩაბელთა სათავადოს ზედამხედველობაც დაავალეს. ამას ადასტურებს XVIII საუკუნის 20-იან წლებში შედგენილი დოკუმენტი: “ბრძანება უსუფ-ფაშისა, მიწერილი დავით მაჩაბლისადმი”, სადაც ვკითხულობთ: “ვეზირი უსუფ-ფაშა გიბრძანებ მაჩაბელო დავით! შენი და შენის ბიძაშვილის ფარსადანის სახლ-კარი, მამულები თეიმურაზს (საუბარია თეიმურაზ მაჩაბელზე -- გ.ს.) სჭერია, ცოტა რამ თეთრიც მოუცია. ის გლეხები დაუყიდნია, ამდენი ხანი უჭამია. ის თეთრი რომ სამს იმდენად შექმნილა რას გემართლება. სადაც შენი მამული იყოს, ყველა შენთვის გვიბოძებია... ამილახვრო ბატონო გივი, ქრცხინვალის მოხელეებო, ეს მამულები, რაც ამათ სამკვიდრო იყოს, დააჭერინე, ნურავის შეაცილებთ.”² ოსმალებმა ქვეყანას მძიმე გადასახადები შეაწერეს. მაჩაბლები ოსმალურ გადასახადებს ვეღარ იხდიდნენ და იძულებულნი იყვნენ ყმები გაეყიდათ. ერთ-ერთი დოკუმენტის თანახმად ლევან მაჩაბელმა იმის გამო, რომ ოსმალთაგან დაკისრებულ გადასახადს ვეღარ იხდიდა, კუთვნილი ყმა-გლეხი გივი ამილახვარს მიჰყიდა. დოკუმენტი 1725 წლით არის დათარიღებული: “დაგვეჭირა და სათათროს სათხოვარისაგან დაიღ ძალი დაგვადგა და მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი ყმა, ჩემს ბარათში ნარგები და ბარათიც თქვენ მოგართვით წაკულთას ოვსი ნარიკაშვილი ვეფხიას საკვამლო მთასა და ბარში, რაც ალაგი ჰქონდეს და დიცს, რაც მამული აქუს.”³ გივი ამილახვარმა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ოსმალთა გამოყენება სცადა, მან სამაჩაბლოს ტერიტორიაზე არსებული ციხეები გაამაგრა. პაპუნა ორბელიანის ცნობით: „წამოვიდა ამილახვარი, კახთ ბატონს თავს დაესხმას უპირებდა. მიუვიდა კახ ბატონს, ეს ამბავი, იწყინა დიდად და მაშინვე წამობრძანდა ერეკლე ბატონიშვილი, კახთა ჯარით. მივიდნენ, მიადგნენ აჩაბეთის ციხესა, ნებით არ დამორჩილდნენ, დაიქვეითეს კახთა და თუშთა, რაც პირაქეთ ლეკნი დამორჩილებოდნენ, ამათი ჯარიც თან ახლდა. გარდაუცვივდნენ ციხეში, აიღეს ციხე, იავარჰყვეს საქონელი. ამა ამბავში მოვიდა ამილახვარი გივი ურუმის ჯარით და გარს შემოადგა ბატონიშვილს. გამოვიდნენ კახნი, დაუშინეს ერთმანეთსა, რომ თოფის ხმისგან ყურთა სმენა აღარ იყო, სძლიეს კახთა, გააქციეს ურუმნი...”⁴ ოსმალთა დამპყრობლების განუკითხავმა ბატონობამ ანტიოსმალურ აჯანყებებს შეუმზადა საფუძველი. აჯანყებამ იფეთქა ქსნისა და არაგვის საერისთავოებში და, აგრეთვე, სამაჩაბლოში. ვახუშტის ცნობით: „ხოლო მაჩაბელი თეიმურაზ არა ერჩდა ამილახვარს და სწყვეტდა ოსმალთ, სადა ვის მოიხელთდის.”⁵ ოსმალებმა აჯანყებულთა დამსჯელ ექსპედიციას გივი ამილახვარი ჩაუყენეს სათავეში. შანშე ქსნის ერისთავის სამფლობელოს იავარქმნის შემდეგ ამილახვარი სამაჩაბლოში შეიჭრა: „ხოლო ამილახვორმან წარმოიყვანა მაჰმად – ყულიხანითურთ ოსმალთა სპანი და დაესხა მაჩაბელს მუგუთს, შემუსრეს ციხე სვერისა, რომელი აღაშენა თეიმურაზ მაჩაბელმან, გარმა მუგუთს მოსრნეს მრავალნი ოსმალნი. შემდგომად მისჭირდა და განივლტო მაჩაბელი და მივიდა რაჭას ცოლშვილითა,”⁶ ეს ლაშქრობა, სხვა წყაროს თანახმად, 1729 წელს უნდა მომხდარიყო.⁷ ბრძოლა ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ კვლავ გრძელდებოდა. რაჭაში გახიზნული თეიმურაზ მაჩაბელი თავის საფეოდალოში დაბრუნდა და ქსნის ერისთავთან - შანშესთან - ერთად ანტიოსმალური ბრძოლა განაახლა. 1731 წელს, როგორც სეხნია ჩხეიძე

¹ ვახუშტი, აღწერა... ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 510.

² დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940, გვ. 201, №280.

³ იქვე, გვ. 215-216. როგორც ზემოთაც მივუთითებდით, რომ გივი ამილახვარი ერთი პერიოდი თურქებს ებრძოდა, ხოლო შემდეგ ოსმალურ ორიენტაციაზე დადგა. ამის შესახებ ცნობები არამარტო ქართულ, არამედ უცხოურ (თურქული) წყაროებშიც მოიპოვება. გურჯი ზადე წერს, რომ გივი ამილახვარი თურქებს ეხმარებოდა და მათ სხვადასხვა სახის ინფორმაციას აწვდიდა. გურჯი ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ცისანა აბულაძემ, თბ., 1975, გვ. 36; ამ ინფორმაციას ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილიც, იხ. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 508. 1727 წლით არის დათარიღებული ერთი თურქული დოკუმენტი, რომლის თანახმად ოსმალეთის სულთანმა გივი ამილახვარს თბილისის სანჯაყი და გორის ნაჰიეში მდებარე სოფ. სინვალი (იგივე ცხინვალი) უბოძა 66 832 ახჩის შემოსავლით. ნ. შენგელია, XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974, გვ. 222; ს. ჯიქია, ერთი თურქული საბუთი ცხინვალის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 116, 1965, გვ. 243-246.

⁴ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 72-73.

⁵ ვახუშტი, აღწერა... ქართლის ცხოვრება ტ. IV, გვ. 510.

⁶ იქვე, გვ. 511.

⁷ საქართველოს ისტორიის ქრონიკები, ა. იოსელიანის რედ., თბ., 1980, გვ. 61.

გვამცნობს, თეიმურაზ II ქართველ-ოსმალთა ჯარით შანშე ქსნის ერისთვისთვის სამფლობელო მთარბია, ხოლო შემდეგ სამაჩაბლოში გადავიდა და აიღო მუგუთისა და სვერის ციხეები, საცხენისი, ქვაბები...¹ ოსმალთა წინააღმდეგ იბრძოდა იასე მაჩაბელიც. იგი სათავეში ედგა თეიმურაზ II ინიციატივით იმერეთის მეფის ალექსანდრე V დასახმარებლად გაგზავნილ ლაშქარს. ალექსანდრეს თავისი უმცროსი ძმა-მამუკა უპირისპირდებოდა, რომელსაც მხარს ოსმალები უჭერდნენ. პაპუნა ორბელიანის ცნობით: “უთავეს ყაზახის სულთანნი სუფან-ვერდი-ბეგი ყიზილბაშის ჯარს და მაჩაბელი იასე ზემო ქართლის ჯარს და გაისტუმრეს იმერეთს.”² მამუკა ბატონიშვილს ოსმალები დაეხმარნენ და გადაწყვეტ მომენტში ქართლიდან გაგზავნილი ლაშქარი დაამარცხეს. იასე მაჩაბელი ოსმალებს ტყვედ ჩაუვარდა: “დაატყვევეს ყაზახის სულთანნი, მაჩაბელი იასე და ზოგნი ზემო ქართლის თავადიშვილნი ურუმთ და ახალციხეს დააპატიმრეს.”³ იასე მაჩაბელს თანხის გადახდის შემდეგ ტყვეობიდან თავი გამოუხსნია.⁴ როგორც აღვნიშნეთ, ოსმალებმა ქართლის დაპყრობის შემდეგ გივი ამილახვარს თბილისის სანჯაყი და გორის ნაჰიეში არსებული სოფლები უბოძეს. ოსმალეთის ხელისუფლებამ გივი ამილახვარს ჩააბარა მაჩაბელთა სათავადოში არსებული სოფლებიც. ამის შესახებ ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის “1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი.” დავთარში მაჩაბელთა კუთვნილი სოფლებიც იხსენიება. თურქულ დოკუმენტში სამაჩაბლოს ყველა სოფელი წარმოდგენილი არ არის. ზოგიერთი გამოტოვებულია, თუმცა უმეტესობა აღწერილია და გადასახადებიც შეწერილი აქვთ. დავთარში სამაჩაბლოს სოფლების გვერდით ბევრი ისეთი სოფელი იხსენიება, რომელთა სახელწოდების დადგენა თურქული დოკუმენტის მიხედვით ძნელდება. ეს სოფლები, შესაძლოა, იმ დროს არსებობდა და დავთრის შემდგენლებმა დამახინჯებით ჩაწერეს. მაგ. საბუთში იხსენიება სოფლები: ზარსეთი, ქუთახლისი, ზინჯხლისი, ჩალის უბნის დასახლება, სოფელი ბარდიზი. როგორც აღვნიშნა, ყველა ეს სოფელი მოხსენიებულია სამაჩაბლოს სოფლებთან ერთად, თუმცა მათი ლოკალიზება და სახელწოდების დადგენა ვერ ხერხდება. სავარაუდოდ ყველა მცირე კომლიანი სოფელი იყო და შემდეგ ნასოფლარად იქცა. მაგ.: სოფ. ზინჯხლისში აღწერის თანახმად სულ 5 კაცი სახლობდა, ბარდიზში მოხსენიებულია 2 კომლი. “1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში” სამაჩაბლოს არაერთი სოფელია აღწერილი. მათ შორის: ტბეთი, რუსთავი, მონასტერი, დამპალეთი, წარი (სავარაუდოდ უნდა იყოს ძარი),* როგორც აღვნიშნეთ, დავთარში სამაჩაბლოს რამდენიმე სოფელია აღწერილი. თურქული დოკუმენტი მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს: სამაჩაბლოს მოსახლეობის, მისი სამეურნეო საქმიანობის, ოსმალეთის ხელისუფლების მიერ მაჩაბელთა საფეოდალოში არსებულ მოსახლეობაზე დაკისრებული გადასახადების შესახებ. თითოეული სოფლის აღწერისას აღნიშნულია, რომ ის ექვემდებარება გივი ამილახვარს. როგორც ზემოთაც იყო მითითებული, მაჩაბელთა სათავადოში არსებული უთანხმოება ყმებისა და მამულის განაწილების საკითხში გივი ამილახვარი ოსმალების მითითებით მანამდეც ერეოდა, ხოლო შემდეგ რაც მაჩაბლებმა ირანულ ორიენტაციაზე დადგნენ, ოსმალებმა მათ სოფლები ჩამოართვეს და გივი ამილახვარს გადასცეს. როგორც აღვნიშნეთ, დავთარში სამაჩაბლოში შემავალი ყველა სოფელი არ არის აღწერილი, ისევე როგორც არ არის

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 335; ვახუშტი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., გვ. 511; მ. ცოტნიაშვილი, სვერის ციხე, ცხინვალის სახ. პედ. ინსტიტუტის პროფ. შ. ქურდაძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გორი, 1996, გვ. 20.*ქვაბები მდებარეობდა პატარა ლიახვის ხეობაში, სავარაუდოდ, ვანათთან და საცხენეთთან ახლოს. იგი იხსენიება 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში “ქუაბნის” სახელწოდებით. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970, გვ. 177. აღნიშნული სოფელი “ქუაბთას” სახელწოდებით იხსენიება 1720 წლის სვეტიცხოვლის და კათალიკოსის ყმების ნუსხაში. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940, გვ.184, №256. ტოპონიმი “ქვაფთა” პატარა ლიახვის ხეობაში გვხვდება XIX საუკუნის II ნახევარში. გ. სოსიაშვილი, ვირშას მონასტერი და ვირშელთა საგვარეულო, ხელნ. 2014, გვ. 2.

² პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 100.

³ იქვე, გვ. 100.

⁴ იქვე, გვ. 201.

* თურქულ დავთარში აღწერილია სოფელი ცხინვალი, რომელიც ასევე ოსმალების სამსახურში მყოფ გივი ამილახვარს ეკუთვნოდა. ცხინვალი სამაჩაბლოში არ შედიოდა, თუმცა აქ მაჩაბლებს თავიანთი მამულები ჰქონდათ. იხ. გ. სოსიაშვილი, ცხინვალი 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, წიგნში: შიდა ქართლის ისტორიის საკითხები, თბ., 2013, გვ. 42. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, გვ. 168; XVIII საუკუნის II ნახევარში ცხინვალში ყმები ჰყავდა სამეფო ხელისუფლებას, აგრეთვე სხვადასხვა ფეოდალურ საგვარეულოებს. იხ. ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი) თბ., 2013, გვ. 55-61. მ. ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986, გვ. 116.

შეტანილი პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთი სოფელი, თუ მცირე დასახლებული პუნქტი. საინტერესოა, რა მიზეზით არ შევიდა სამაჩაბლოს ზოგიერთი სოფელი ოსმალთა მიერ შედგენილ ფისკალურ დოკუმენტში. შეუძლებელია, რომ ოსმალებს თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფი რომელიმე სოფელი გამორჩენოდათ. ჩვენი აზრით, დავთრის შედგენის დროს ჯერ კიდევ არ იყო ბევრი სოფელი ოსმალ ხელისუფლების დაქვემდებარებაში. გივი ამილახვარი სწორედ ამიტომ ებრძოდა ქართლის ხელისუფლების მომხრე მაჩაბლებს, რომ ლიახვის ხეობაში არსებული სოფლები მთლიანად დაესაკუთრებინა. არ არის გამორიცხული, რომ საგადასახადო დოკუმენტი ოსმალებს ლიახვის ხეობის ნაწილობრივ დაპყრობამდე შეედგინათ და ამიტომაც ოსმალურ დოკუმენტში მაჩაბელთა ყველა სოფელი ვერ მოხვდა. ოსმალ მოხელეების მიერ ადგილობრივ მოსახლეობაზე არაერთი სახის გადასახადი იყო დაწესებული, მათ შორის გადასახადი ცხვარზე, ფუტკარზე, ღორზე. მოსახლეობა გადასახადს იხდიდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, როგორც იყო ერბო, ქერი, ჭვავი, თივა და სხვ. დოკუმენტში მოსახლეობაზე შეწერილი სხვა სახის გადასახადებიც გვხვდება. მაგ.: ბედიჰავას გადასახადი, ჯურუმ ჯიბაიეთ, იავა ვე კაჩკუნ, ბეთალმალი, ამევე ხასე, მალი, გაიფ მალი* მეფკუდ. ბადიჰავას გადასახადში, ისტორიკოსთა ერთი ნაწილის შეხედულებით, შედიოდა სხვადასხვა სახის ჯარიმა: საქორწინო გადასახადი, მიწის თაფუ და სხვ. ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ ბადიჰავას გადასახადი დამნაშავეების ფულად ჯარიმას წარმოადგენდა.¹ როგორც ნ. გორგოძე აღნიშნავს: „ბადიჰავა უნდა იყოს გადასახადების ერთი ჯგუფის საერთო სახელწოდება. ამის საფუძველს იძლევა კანუნ-ნამეები. წყაროებში ჯარიმები, „იავა, „კაჩკუნ“, „მალი გაიფ“ და სხვა ერთადაა დასახელებული. ამრიგად წყაროებიდან ჩანს, რომ ბადიჰავაში გაერთიანებული იყო რამდენიმე სახის გადასახადი, რომლის გადახდა მწარმოებელი საზოგადოების უშუალო ვალდებულებას წარმოადგენდა.“² დავთარში მოხსენიებული სხვა გადასახადები, რომლებიც ოსმალური ტერმინოლოგიით არის წარმოდგენილი (მაგ.: ჯურუმ ჯიბაიეთ), იგი შესაძლებელია წვრილმან გადასახადს წარმოადგენდა და „ბადიჰავას“ გადასახადების ჯგუფში შედიოდა. საინტერესოა ასევე დავთარში სამაჩაბლოს სოფლებზე დაწესებულ ერთ-ერთი გადასახადის აღმნიშვნელი ტერმინი „მეფკუდ“. როგორც ვ. გაბაშვილი განმარტავს: „ზოგიერთი გლეხი, მართალია, არ იყო მიწერილი სიფაჰიზე, მაგრამ ასეთად ჩანს უმიწაწყლო გლეხი, რომლის გადასახადებს, კერძოდ ბენაქს, მირის მოხელე („მეფკუფჩე“) კრებდა.“³ დავთარში მოხსენიებული ტერმინი მეფკუდ და მეფკუფჩე, მსგავსი ტერმინებია. ხომ არ ერქვა „მეფკუდ“ უმიწაწყლო გლეხთა გასადასახადს?

ოსმალ მოხელეების მიერ შედგენილი დოკუმენტის მიხედვით, სამაჩაბლოს სოფლებში სოფლის მეურნეობის არაერთი დარგი იყო განვითარებული, გადასახადი ცხვარზე, ერბოზე, ღორზე მესაქონლეობის განვითარებაზე მიუთითებს, რაც არა მარტო „თბილისის ვილაიეთის დავთრით“, არამედ უფრო გვიანდელი წყაროებითაც დასტურდება.⁴ მიწათმოქმედებისათვის სამაჩაბლოს სოფლებში ნაყოფიერი მიწები იყო, სამაჩაბლოს სოფლები დიდი ლიახვით ირწყვოდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „არამედ არს მდინარე ლიახვი სარგებლიანი, მრწყველი ველთა, იმიერ და ამიერ ლიახვისათა, ჩქარად მომდინარი და რიყიანი და ხმოვანი, სასმელად შემრგო და გემოიანი... რომელნი ველნი ირწყვიან ლიახვითა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი და გემოიანი და სპეტაკი.“⁵ სამაჩაბლოში სარწყავი სისტემა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მოქმედებდა.⁶ დიდი ლიახვის საირიგაციო სისტემა სამაჩაბლოს ხელსაყრელ მდგომარეობას უქმნიდა სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის გასავითარებლად. ამის შესახებ მითითებდა ასევე იოანე ბაგრატიონიც.⁷ ოსმალური დავთრის მიხედვით სამაჩაბლოს სოფლებში გვხვდება წისქვილებიც, რაც მარცვლეული კულტურების მოყვანის ტრადიციაზე

* ქართულ საგადასახადო სისტემაში მალი ითვლებოდა სულად გადასახადად, იხ. ვ. გაბაშვილი, ფეოდალური წყობილება საქართველოში, თბ., 1958, გვ. 199; მკვლევრის განმარტებით „სათათრო მალი“ უცხო დამპყრობთა სასარგებლოდ დაწესებულ ხარკს ეწოდებოდა. მალი საგადასახადო ტერმინის მნიშვნელობით, საქართველოში თათართა ბატონობის დროს ვრცელდებოდა.“ იქვე, გვ. 251. მკვლევრის აზრით, მალი უფრო გვიან სათათრო ელფერს კარგავს და სამეფო გადასახადებს შორის მთავარ ადგილს იჭერს... XVI-XVIII ს.ს. „მალი“ სათათრო ხარკს აღარ ნიშნავს.“ იქვე, გვ. 253. ამ მოსაზრებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით, რადგან 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში, მალი როგორც გადასახადი, წარმოდგენილია სხვა ოსმალური გადასახადების გვერდით.

¹ ნ. გორგოძე, ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი ქსნისა და არაგვის ხეობაში „თბილისის ვილაიეთის დიდ დავთრის მიხედვით“ (1728 წ.) მიხედვით, ქართული დიპლომატია, წელიწადური, ტ. 12, თბ., 2005, გვ. 426.

² ნ. გორგოძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 426.

³ ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

⁴ გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005, გვ. 86.

⁵ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 368.

⁶ ჯ. გვასალია, ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტ. გეოგრ. კრებული VI, თბ., 1982, გვ. 35.

⁷ იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძისა და გ. ბედომვილის რედ. თბ., 1986, გვ. 40-41.

მიუთითებს. სოფლის მეურნეობა მარცვლოვანი კულტურების გარდა სამაჩაბლოში წარმოდგენილი იყო მეფუტკრეობითაც.

როგორც აღვნიშნეთ, „თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“ სამაჩაბლოს რამდენიმე სოფელია აღწერილი. ეს დოკუმენტი მაჩაბელთა საფეოდალოში არსებული სოფლების ყველაზე უფრო ადრინდელი აღწერაა. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური წყაროების მიხედვით სამაჩაბლოში შემავალი სოფლები აღწერილია XVIII საუკუნის II ნახევრის ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების დავთრებში. ოსმალური დავთრის და XVIII საუკუნის II ნახევრის ქართული დავთრების შედარება გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ნახევარი საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე სამაჩაბლოს სოფლებში არსებული მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდ დავთრის“ მიხედვით სოფელ ტბეთში მოხსენიებულია 36 კაცი (იგივე ოჯახის თავი),* სახლი (ანუ კომლი) 22, სოფელ რუსთავში კაცი 18, სახლი 11, მონასტერში სახლი 19, კაცი 29, დამპალეთში კაცი 18, სახლი 13, წარში (შესაძლებელია აქ იგულისხმებოდეს სოფ. მარი, რომელიც დიდი ლიახვის ზეობის ზემო წელზე მდებარეობს) კაცი 29, სახლი 14, კეხვი კაცი 24, სახლი 11, აჩაბეთი კაცი 15, სახლი 8, ქურთა კაცი 18, სახლი 10, სვერი კაცი 19, სახლი 8, ქემერტი სახლი 22, კაცი 43, ზარსეთი (გაურკვეველია სად მდებარეობდა აღნიშნული სოფელი, მსგავსი სახელის მქონე დასახლება დიდი ლიახვის ხეობაში არ არის ცნობილი, ზარსეთი არც მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ლიახვის ხეობის სოფლების აღწერის დავთრებში გვხვდება. კაცი 14, სახლი 5, ქუთახლისი (გაურკვეველია აგრეთვე სად მდებარეობდა ქუთახლისი, შესაძლებელია აღნიშნული სოფელი „ოსმალის“ შემდეგ ნასოფლარად იქცა), კაცი 7, სახლი 3, ჭალის უბნის დასახლება (ტოპონიმი „ჭალა“ ლიახვის ხეობაში გავრცელებული იყო.¹ კაცი 4, სახლი 5, საბაწმინდა კაცი 8, სახლი 5, ბარდიზი (გაურკვეველია სად მდებარეობდა სოფ. ბარდიზი) კაცი 3, სახლი 2, ხეითი კაცი 4, სახლი 2. ოსმალურ დავთარში ჩამოთვლილი სოფლებიდან ზოგიერთი XVIII საუკუნის II ნახევრის დავთრებშიც გვხვდება, ზოგი კი საერთოდ არ იხსენიება. მაგ. დამპალეთი, ტბეთი, შესაძლებელია დავთრის შედგენის დროს ეს სოფლები დაცლილი იყო და ქართლ-კახეთის სამეფო კარის მიერ გაგზავნილმა მოხელეებმა „მდივან-ლაშქარნივისებმა“ ამიტომაც არ შეიტანეს აღწერებში. XVIII საუკუნის II ნახევრის ქართული დავთარში სამაჩაბლოს ის სოფლები, რომლებიც ოსმალურ დავთარშიც გვხვდება ასეა წარმოდგენილი: სვერი 15 კომლი, 24 ოჯახი (სვერის მოსახლეობა ნახევარი საუკუნის მანძილზე გაზრდილია 7) კომლით, ქემერტი 16 კომლი და 34 ოჯახი (ქემერტის მოსახლეობა შემცირებულია 6 კომლით), აჩაბეთი 6 კომლი და 10 ოჯახი (აჩაბეთის მოსახლეობა შემცირებულია 9 კომლით), რუსთავი 3 კომლი და 7 ოჯახი (რუსთავის მოსახლეობა შემცირებულია 16 კომლით), კეხვი 9 კომლი და 20 ოჯახი (კეხვის მოსახლეობა შემცირებულია 15 კომლით), ხეითი 30 კომლი და 51 ოჯახი (ხეითის მოსახლეობა გაზრდილია 26 კომლით), აღსანიშნავია, რომ ოსმალურ დავთარში ცალკეა აღწერილი სოფელი საბაწმინდა, რომელიც არ გვხვდება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ დავთარში. ერეკლე მეორის მორიგე ჯარის შესახებ არსებულ საბუთებში ხეითი და საბაწმინდა ერთად იხსენიება.² ამრიგად, ქართლში ოსმალთა ბატონობის დამყარების შემდეგ ოსმალებმა სამაჩაბლოს მოსახლეობას მთელი რიგი გადასახადები დააკისრეს, რაც გაწერილი იყო “1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში”. სამაჩაბლოს სოფლები ოსმალთაგან გივი ამილახვარს გადაეცა. ზოგიერთი სოფელი თურქულ დავთარში ვერ მოხვდა. ჩვენი ვარაუდით, ეს სოფლები ოსმალეთის ხელისუფლების მიერ ჯერ კიდევ ვერ კონტროლდებოდა და პროირანულ ორიენტაციაზე მყოფი მაჩაბლების ხელში იყო. ოსმალების მიერ შედგენილი დოკუმენტი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს სამაჩაბლოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის, სოციალური მდგომარეობისა და სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

* XVIII საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში გამოიყენებოდა ტერმინი ”თავი”, რომელსაც აკად. ივ. ჯავახიშვილი კომლში ოჯახის უფროსად მიიჩნევდა. მისი აზრით, კომლში შესაძლებელია რამდენიმე ოჯახი ყოფილიყო და თითოეული ოჯახის სათავეში ”თავი” იდგა. ივ. ჯავახიშვილი, ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში, ჟურნ. “მოამბე”, IV, 1901, გვ. 10-11. ჩვენი აზრით, დავთარში მოხსენიებული ”კაცი”, XVIII საუკუნის მოსახლეობის აღწერებში გავრცელებული ”თავის” იდენტურია. იხ. გ. სოსიაშვილი, ახალგორი “1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის” მიხედვით, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქართულ-თურქული მულტიდისციპლინარული სამეცნიერო კონფერენცია, კონფერენციის მასალები, 2014, გვ. 49.

¹ იხ. ნ. ოთინაშვილი, ლიახვის ხეობის ონომასტიკა, თბ., 2002, გვ. 209-213.

² იხ. ი. ლორთქიფანიძე, საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV, B, 1947, გვ. 296.

SAMACHABLO DURING THE OTTOMAN PERIOD
Giorgi Sosiashvili, Gori State Teaching University, Professor
RESUME

During the Ottoman period, the villages existing in Machabeli suzerainty were given to Givi Amilakhvari by the ottoman authorities in return for his devotion. Several members of Machabeli families were against the Ottomans; among them were Teimuraz and Iase Machabeli. The Ottomans taxed villages of Samachablo. These taxations and commitments were written in “The Big Register Book of Tbilisi Vilaieti of the year 1728” which contained important information about the social conditions and agricultural issues about people living in Samachablo during the Ottoman period.

ფოთის ციხის პრობლემა 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში

ზურაბ სულაბერიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი;
ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი, მეცნიერ-თანამშრომელი

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია ყურადღებას იმსახურებს საქართველოს პოლიტიკური ერთეულების პრობლემა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურობას იძენს 1768-1774 წლების ომის დროს.

ზემოაღნიშნულ პერიოდში დასავლეთ საქართველოს შავი ზღვისპირეთში განლაგებული თურქული ციხე-სიმაგრეებიდან, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიები განსაკუთრებულ ინტერესს ფოთის მიმართ ავლენდნენ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ 1771-1772 წლების ფოთის ციხის ბრძოლის ისტორიაში იკვეთება არა მხოლოდ რუსეთსა და ოსმალეთს შორის არსებული დაპირისპირება რეგიონზე საკუთარი გავლენის დასამყარებლად, არამედ ქართული ფეოდალური ელიტის განსხვავებული ხედვა ამ ორ შესახელმწიფოსთან დამოკიდებულების საკითხში.

საქართველოდან გენერალ ტოტლებენის გაწვევის შემდეგ, 1771 წლის ზამთარში კავკასიის ფრონტზე რუსეთის ჯარების სარდლად გენერალი სუხოტინი იქნა გამოგზავნილი¹.

1771 წლის 13 მაისს სუხოტინი ქუთაისში ჩავიდა². იმავე წლის ივნისში იმერეთის მეფე სოლომონი და გენერალი სუხოტინი ქართლში გადავიდნენ. 15 ივნისს ხელთუბანში ერეკლესთან შეხვედრისას რუსმა გენერალმა სოლომონ მეფის მხარდაჭერით შეადგინა სამხედრო ოპერაციის გეგმა, რომელიც პროფ. იასე ცინცაძის განმარტებით, ემსახურებოდა უშუალოდ ფოთის ციხის აღებას³.

გეგმის მიხედვით, ერეკლე მეფეს, 14300 კაცი უნდა გამოეყვანა, აქედან 2000 კაცი უნდა დაეყენებინა ბორჩალოს, 2000 – კახეთს, 3000 – გორს. ამ ჯარს ქვეყანა უნდა დაეცვა ლეკებისაგან. თვით ქართლ-კახეთის მეფე 10000-იანი კორპუსით ახალქალაქ-ახალციხე-ყარსის მიმართულებით უნდა შეჭრილიყო, თავდასხმებით თურქები შეეწუხებინა რათა მათ არ მისცემოდათ საშუალება იმისა, რომ მიშველებოდნენ ფოთის ციხეში მდგარ იანიჩრებს. სოლომონ მეფეს 6000-იანი ჯარით ახალციხიდან ბაღდათისაკენ მიმავალი ხეობები უნდა შეეკრა, გურიელს კი ტრაპიზონიდან მიმავალი გზა ზღვისპირეთამდე. ამასთან ერთად, გურიელსავე უნდა დაეცვა ქუთაისიდან კომუნიკაციები და უშუალოდ დაეფარა კორპუსი⁴.

სუხოტინმა შეცდომა დაუშვა. მან არ გაითვალისწინა ადგილობრივი კლიმატური პირობები და ისიც, რომ ფოთის ციხის ასაღებად საჭირო იყო სააღყო ქვემეხები. ამასთანავე რუსი გენერალი ქართველ მეფეებს არ უცხადებდა ნდობას. ჯარის ფაქტობრივმა მდგომარეობამ და ეკატერინე მეორის მიერ მიცემულმა ინსტრუქციებმა დააბნია ალექსანდრე სუხოტინი და სამხედრო დიქტატის გზას დაადგა.

¹ Грамоты и другие исторические документы 18 столетия, относящиеся к Грузии, под редакцией А. Цагарели, т. 1, вып. 1, СПб., 1898. Стр.265-270

² მაჭარაძე ვ., ასპინძის ბრძოლა, თბ., 1975, გვ. 117

³ ცინცაძე ი., ორი საბუთი 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ისტორიისათვის; წიგნში: ენიმკის მოამბე, 5-6; თბ., 1940, გვ. 337-360

⁴ ცინცაძე ი., დასახელებული ნაშრომი, გვ. 348; 355-356

ქართველი მეფეების რჩევის მიუხედავად, 1771 წლის შუა ზაფხულს ფოთისაკენ დაიძრა, მაგრამ კოლხეთის ჭაობმა მეომრები დასცადა და კორპუსი დაავადა. ფოთის კამპანიით გაწვილებული გენერალი 1771 წლის 29 ოქტომბერს ქუთაისიდან უპატაკებდა, რომ დასნეულებულს არ შესწევდა მტრის წინააღმდეგ არანაირი მოქმედების უნარი¹.

1772 წლის 2 ივნისს იმერეთის მეფე ატყობინებდა რუსეთის საიმპერატორო კარს, რომ სუხოტინმა არ დაუჯერა მის განცხადებას და ფოთზე სალაშქროდ ზაფხულის სიციხიან ამინდში გაემართა. სოლომონ პირველის სიტყვით, სუხოტინი დაუკავშირდა დადიანს, რომელიც რუსებს დახმარებას დაჰპირდა ფოთის ციხის აღებისას, მაგრამ საბოლოოდ თურქეთის მხარეზე აღმოჩნდა².

აქვე ხაზს გაუსვამთ, რომ ფოთის კამპანიის მარცხი განპირობებული იყო არა მხოლოდ ზემოაღნიშნული მიზეზებით, არამედ ოდიშის თავადის კახი ჩიჩუას მოქმედებით, რომელმაც დადიანის მსგავსად უღალატა რუსებს და თურქეთის მხარე დაიკავა, რაც ამ უკანასკნელს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ჩვენ მიერ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში მოპოვებულ იქნა მთლიანი საქმე, რომელშიც დაწვრილებითაა წარმოდგენილი რუსეთ-თურქეთის ომის კავკასიის ფრონტის ეს მნიშვნელოვანი მონაკვეთი. საარქივო დოკუმენტის გაცნობისას, ნათელად ჩანს ამ ერთი პატარა ისტორიული ფაქტის მიღმა არსებული ფეოდალური არისტოკრატის დაპირისპირება, რომელთა ნაწილი რუსეთის დამკვიდრების წინააღმდეგ გამოდიოდა, ნაწილი კი ოსმალეთს უჭერდა მხარს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში³.

1771 წლის 20 ოქტომბერს გენერალი სუხოტინი წერდა რუსეთის საიმპერატორო კარს, რომ თავადი ჩიჩუა ორი აზნაურის, მუმულაშისა და გეგენავას მეშვეობით აწვდიდა თურქებს ცნობებს რუსთა კორპუსის განლაგების შესახებ. ჩიჩუას ასევე უარი განუცხადებია ფიცის მიღებაზე რუსეთის საიმპერატორო დიდებულების წინაშე. იმის მაგივრად, რომ მოლაპარაკებოდა თურქებს ციხის დანებების შესახებ, პირიქით, ის ოსმალეთის წარმომადგენლებს აწვდიდა ინფორმაციებს რუსების ჯარის მოძრაობისა და განლაგების თაობაზე. კახი ჩიჩუამ ასევე შეძლო აფხაზების გადაბირებაც, რათა მათ უარი განეცხადებინათ რუსეთის საიმპერატორო კარის მორჩილებაზე. ასევე ეს უკანასკნელი, გაქცეულ რუს ჯარისკაცებს თურქებზე ჰყიდდა⁴.

იმერეთის მეფე სოლომონი სამეგრელოს თავადთა შორის მნიშვნელოვან ფიგურად მიიჩნევდა კახი ჩიჩუას. სოლომონ პირველი წერდა გენერალ სუხოტინს, რომ თუ რუსები თავადისაგან ქრთამს აიღებდნენ და გაუშვებდნენ, მას შეეძლო კვლავ ვერაგულად ემოქმედა⁵.

ჩიჩუას შეწყალებასა და გადმოცემას ითხოვდა სამეგრელოს მთავარი დადიანი გენერალ სუხოტინისდმი გაგზავნილ წერილებში⁶.

იმ პერიოდის თურქეთის მომხრე დასავლეთ საქართველოს ძლიერი პოლიტიკური ფიგურის მიმართ არსებულ დიდ ინტერესს კარგად ხედავდა სუხოტინიც. იმ მიზნით, რომ იმერეთის მეფის ხელისუფლება არ გამძლიერებულიყო, ის ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ოდიშის თავადი სოლომონ პირველის ხელში არ აღმოჩენილიყო.

1772 წლის 30 ივნისს ტყვედ აყვანილი თავადი ჩიჩუა, რუსის ჯართან ერთად თავდაპირველად მოზდოკში იქნა გადაყვანილი, ხოლო შემდეგ და ორი აზნაურით, მუმულაში და გეგენავასთან ერთად ყიზლარის ციხეში ჩასვეს⁷. სოლომონ მეფემ არაერთხელ მიმართა კაპიტან ლვოვის თავადის დაბრუნების თხოვნით, მაგრამ ამაოდ. ლვოვის აზრით, ჩიჩუას დაბრუნების შემთხვევაში იმერეთის მეფე შემოიერთებდა არა მარტო მის მამულებს, არამედ დაასუსტებდა სამეგრელოს მთავარს და ოდიშის სამთავროზეც გაავრცელებდა თავის გავლენას⁸.

1772 წლის 25 აგვისტოს გენერალ სუხოტინი სპეციალური ორდერით აცნობებდა ყიზლარის კომენდანტს პარკერს, რომ დატყვევებული სამეგრელოს თავადი და ორი აზნაური საიმედო ზადრავით გააგზავნეს. მოზდოკის კომენდანტისათვის იყო მიცემული სპეციალური მითითება, ისინი ჰყოლოდათ განსაკუთრებული რეჟიმის ქვეშ, რათა ვერ მოესყიდათ რუსები⁹.

¹ მაჭარაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 117-121

² АВПР, ф. 110, оп. 1, д. 2, л. 4

³ АВПР, ф. 110, оп. 1, д. 2, лл. 1-6

⁴ АВПР, ф. 110, оп. 1, д. 2, лл. 1

⁵ იქვე, ფურც. 1

⁶ იქვე, ფურც. 3

⁷ იქვე, ფურც. 4

⁸ იქვე, ფურც. 4

⁹ АВПР, ф. 110, оп. 1, д. 2, л. 4

პატიმრობის მძიმე პირობებს ვერ გაუძლო ოდიშის თავადმა. 1773 წლის 24 იანვარს ჩიჩუა ყიზლარის ციხეში მძიმე ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა. 1773 წლის 26 მარტის სამხედრო კოლეგიის მიერ საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი გაგზავნილ პრომემორიაში აღნიშნულია, რომ სამეგრელოს აზნაურები მუშულაში და გეგენავა ჯერ კიდევ ციხეში იმყოფებოდნენ¹.

სუხოტინმა სოლომონ მეფეს თავისი უმეცრებით დიდი ზიანი მიაყენა. ჯერ კიდევ ტოტლებენის ფოთში დგომის დროს, გიორგი გურიელის მოლაპატურის საქციელით ისარგებლა სოლომონ მეფემ და გურიაში შეიჭრა. იმერეთის მეფემ გიორგი გურიელი გადაყენებითა და მთავრის ხელისუფლების მამიაზე გადაცემით შეძლო გურიის შემოიპყრო. ამ ფაქტს ტოტლებენი მტრულად შეხვდა. იგი ვერ ურიგდებოდა თურქეთის მომხრე მთავრის დასჯას და უმტკიცებდა რუსეთის მთავრობას, რომ გურიელი და დადიანი რუსეთის მეგობრები არიანო. როგორც შემდგომში გამოჩნდა, ტოტლებენის გავლენით, სუხოტინმა თურქეთის მომხრე გურიელი კვლავ მთავრად აღადგინა. მაგრამ, ამ უკანასკნელმა თავისი სახე მალე გამოამჟღავნა, რაც სუხოტინს შემდგომ ძვირად დაუჯდა². საბოლოოდ ტოტლებენის მსგავსად, სუხოტინმაც ვერ გაართვა თავი რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ დაკისრებულ ვალდებულებას და საქართველო დატოვა. რუსეთი თავის წარმომადგენლად საქართველოში ტოვებდა კაპიტან ლვოვს.

1771 წლის დეკემბრისათვის რუსეთის კორპუსი საქართველოში მეტად სუსტად გამოიყურებოდა. იმავე წლის 14 დეკემბრით დათარიღებულ წერილში გენერალ სუხოტინი აცნობებდა რუსეთის საიმპერატორო კარის საიდუმლო მრჩეველს ნიკიტა პანინს, რომ რუსული კორპუსის მდგომარეობა საქართველოში სუსტი იყო.

საქართველოში რუსეთის ჯარების წარუმატებლობის გამო, რუსეთის საიმპერატორო კარმა, მიზანშეწონილად ცნო, მიეღო სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება და 1772 წლის 25 იანვარს სამხედრო კოლეგიას უბრძანა, რომ საექსპედიციო კორპუსი საქართველოდან გაეწვია, ხოლო ზედმეტი საჭურველი სოლომონ მეფისათვის დაეტოვებინა³. გარდა ამისა, რუსეთის მთავრობა ერეკლესადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ მართალია ქართველები მათ მოწოდებას არსებითად ვერ გამოეხმაურნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოსმალეთის ბრწყინვალე პორტასთან ზავის დადებისას საქართველოს დაცვაზე იზრუნებდნენ. ერეკლეს კი აიძულებდა – თუ რაიმეს დაიპყრობთ, შევეცდები, პორტასთან ზავით სამუდამოდ დაგიმკვიდროთო⁴.

ვერც მეფეების ერთობლივმა მოქმედებამ, ვერც დადიანის ცდამ, სასურველი შედეგი ვერ გამოიღეს. რუსეთმა ჯერ კიდევ 1773 წლის დასაწყისში გადაწყვიტა უარი განეცხადებინა ერეკლეს “სათხოვარ პუნქტებზე”. ნიკიტა პანინი ერეკლეს არწმუნებდა, რომ საჭიროა შეირჩეს უფრო ხელსაყრელი მომენტი საქართველოს რუსეთის მფარველობაში მისაღებად. დასძენდა, რომ რუსეთის სამხედრო კორპუსის ყოფნამ საქართველოში, რუსეთს არა თუ წარმატება მოუტანა ოსმალეთის სახით საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ პირიქით. ამ საქმეს წინ მრავალი დაბრკოლება ელობოდა. ეს იყო როგორც ქართული მიწების მოუწყობლობით გამოწვეული ურთიერთშეთანხმებლობა, ასევე იმ პერიოდის ქართველი ფეოდალური წრის წარმომადგენლების განსხვავებული პოლიტიკური ხედვა. რომლის ნაწილი პრორუსული ორიენტაციით გამოირჩეოდა, ნაწილი კი პროთურქული. ამ ვითარებიდან გამომდინარე, გრაფი ნიკიტა პანინი აღნიშნავდა, რომ ახალი საომარი მოქმედებების დაწყებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო⁵.

რუსეთის სამხედრო ოპერაციები დასავლეთის ფრონტზე უფრო წარმატებულად მიმდინარეობდა. 1770 წელს რუსეთის პირველმა არმიამ რუმინანცევის მეთაურობით მოლდოვაში, ლარგთან და კაგულთან, დაამარცხა თურქები. საბრძოლო ოპერაციები დუნაიზე გადაიტანა და 1771 წელს ვლახეთი დაიკავა. რუსეთის მეორე არმია კი ყირიმი აიღო. 1770 წლის ზაფხულში რუსეთის ფლოტმა, სპირიდონოვისა და ორლოვის მეთაურობით, დაიკავა ხმელთაშუაზღვის კუნძულები და ჩესმის უბეში თურქების ფლოტი დაწვა. ჩრდილოეთ კავკასიაში კი, მედემის კორპუსთან ბრძოლაში თურქებმა ასევე მარცხი განიცადეს.

თურქებს გაუჭირდათ და დროებით ზავს ითხოვდნენ. საქმეში ჩაერია ავსტრია და პრუსია. პრუსიის ელჩმა 1771 წლის ბოლოს აცნობა რუსეთის მთავრობას, რომ 12 მილიონის საბანკო ბილეთები მოჭრა და გადაწყვიტეს, ჩართულიყვნენ ომში თურქების დასახმარებლად. პრუსია ჰპირდებოდა რუსეთს მატერიალურ დახმარებას 15 მილიონი მარკის ოდენობით, მხოლოდ იმ ანგარიშით, რომ გდანსკი პრუსიასათვის დაეთმოთ. ამასთან თურქეთის მეგობრები მოითხოვდნენ რუსეთისაგან, რომ თურქეთის

¹ იქვე, ფურც. 5

² მაჭარაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 121-122

³ იქვე, გვ. 123

⁴ მაჭარაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 126

⁵ Грамоты и другие исторические документы 18 столетия, относящиеся к Грузии, под редакцией А. Цагарели, т. 1, вып. 1, Стр.373-375

ტერიტორიული მთლიანობა დაცული ყოფილიყო. ამას დაერთო ურალში გლეხთა აჯანყებები ემელიან პუგაჩოვის მეთაურობით.

1772 წელს დროებითი ზავი დაიდო თურქეთთან და მოლაპარაკებები დაიწყო ქ. ფოკშანში (რუმინეთი), რომელიც მალე შეწყდა, რადგან თურქეთი არავითარ ტერიტორიულ დათმობაზე არ მიდიოდა.

რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა, დაეთმო თავისი პოზიციები. თავის წარმომადგენლებს წინადადება მისცა მოლდავეთი და ვლახეთი დაეთმოთ, მაგრამ თურქეთი ამას არ დასჯერდა, საერთოდ მოითხოვდა ძველი საზღვრების შენარჩუნებას. რუსეთის მთავრობა ამაზე თანახმა იყო, ოღონდ წარმომადგენლებს ავალეზდა ქართველები განთავისუფლებული ყოფილიყვნენ “ქალწულების” საგადასახადო ხარკისაგან.

1773 წელს განახლდა საომარი ოპერაციები დუნაიზე. 1774 წელს პუგაჩოვი ვოლგაზე გადავიდა. რუსეთს მძიმე მდგომარეობა ჰქონდა. მთავრობამ დიდი რწმუნებით აღჭურვა ფელდმარშალი რუმიანცევი, რომელმაც 1774 წელს ისევ გადალახა დუნაი და კორპუსები დაძრა შუმლისაკენ. 3 აპრილისათვის რუსეთის ძლიერმა დარტყმებმა აიძულეს თურქი მეომრები რომ გაქცეულიყვნენ. 1774 წლის 5 ივლისს თურქებმა კვლავ დროებითი ზავი ითხოვეს. რუმიანცევმა უარი განაცხადა და თავისი შტაბი სოფელ ქუჩუკ-კაინარჯში გადაიტანა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ოსმალეთის დიდმა ვაზირმა დელეგაცია გაგზავნა და მოლაპარაკება დაიწყო.

1774 წლის 10 ივლისს ხელი მოეწერა ქუჩუკ-კაინარჯის ზავს. რომლითაც რუსეთმა მიიღო ქერჩისა და ენიკალეს სიმაგრეები და კინსბურგის სიმაგრე (დნესტრის შესართავთან), ასევე რუსეთის ფლოტმა შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლება მოიპოვა. თურქეთს დაეკისრა 4,5 მილიონი მანეთის კონტრიბუცია¹.

როგორც ცნობილი რუსი ისტორიკოსი კლუჩევსკი აღნიშნავდა, 1774 წლის ზავმა გზა გაუხსნა რუსეთის სავაჭრო გემებს შავ ზღვაზე, ყირიმის დაკავებით კი – დაისვა საკითხი სევასტოპოლის სამხედრო ფლოტის შექმნის შესახებ, რითაც რუსეთი გაუწევდა პროტექტორატს ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებს².

რაც შეეხება საქართველოს საკითხს, ქუჩუკ-კაინარჯის ზავის 23-ე მუხლით: იმერეთი ქალ-ვაჟის ხარკის გადასახადიდან განთავისუფლდა; იმერეთის ციხეების შესახებ ტრაქტატში ნათქვამი იყო შემდეგი: «В части Гузии и Мингрелии находящиеся крепости: Багдадчик, Кутаис и Шегербан, российским оружием завоеванные, будут Россией признаны принадлежащими тем, кому они издревле принадлежали»³.

1774 წლის 5 სექტემბერს საქართველოში გამოაგზავნეს ქუჩუკ-კაინარჯის ზავის 23-ე მუხლი⁴.

რაც შეეხება ფოთის ციხეს, ქუჩუკ-კაინარჯის ზავით მიღწეული შეთანხმებით, ის კვლავ ოსმალეთის გავლენის ქვეშ რჩებოდა. ფოთი მე-19 საუკუნის დასაწყისში არაერთხელ წარმოადგენდა სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების საგანს რუსეთსა და თურქეთს შორს. 1829 წელს ადრიანოპოლის ზავით, ფოთი დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა.

წყაროები და ლიტერატურა:

1. მაჭარაძე ვ., ასპინძის ბრძოლა, თბ., 1975
2. ცინცაძე ი., ორი საბუთი 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ისტორიისათვის; წიგნში: ენიშვილი მ., თბ., 1940, ტ. 5-6;
3. (АВПР), ф. 110, оп. 1, д. 2, л. 1-6
4. Грамоты и другие исторические документы 18 столетия, относящиеся к Грузии, под редакцией А. Цагарели, т. 1, вып. 1, СПб., 1898.
5. ,, - 1774 , ,, 1955
6. ,, , .5, ,, 1958

¹ ,, - 1774 , ,, 1955, . 340

² ,, , .5, ,, 1958 . 61

³ ,, - 1774 , ,, 1955, . 356

⁴ მაჭარაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 129

THE PROBLEM OF THE POTI TOWER IN THE RUSSIAN-TURKEY WAR OF 1768-1774
Zurab Sulaberidze, The University of Georgia, Associate Professor; Poti Museum of Colchian Culture,
Scientific Worker

RESUME

There was special consideration to the Poti Tower at the time of the Russian-Turkey war during 1768-1774. The Military march to Poti in 1771-1772 was elicited fact that not only antagonism between Russia and Turkey over influence of the region but also there was different opinions of the Georgian feudal elite to the relationship with the two world powers during 18th century (i.e. Russia and Turkey). During the treaty of Kucuk Kaynarc of 1774, Poti fell under the influence of the Ottoman Empire. At the beginning of the 19th century there was such antagonism between Russia and Turkey. The treaty of Adrianople in 1829, allowed Poti with the other region of West Georgian to become part of the Russian empire.

RS YET BA LAMINDA AHMET HAMD TANPINAR'IN YAPITLARINDAKI GÜRCÜLER

Iyas ÜSTÜNYER¹

Özet

20. yüzyıl Türk edebiyatçılarından Ahmet Hamdi Tanpınar (1901-1962) edebî ürünlerinde biyografik serpi tirmelere en sık başvurulan yazarların başında gelir. Onun her yapıtında kendisinin ya da am deneyimlerine tanıklık etmek mümkündür.

Söz konusu biyografik serpi tirmeler kimi zaman eserlerindeki ana figürlerin mesleklerinde, kimi zaman söylemlerinde, kimi zaman da eser figürlerinin ya da adı geçen mekanlarda kendini ortaya koyar. Haliyle onun eserlerindeki ana figürlerden bazılarının (Mümtaz, Selim...) ya da adı geçen, söylediği, yapıp ettikleriyle Tanpınar'ın ya da adları, dü ündükleri arasındaki dolaylı ilişki özetlik oldu ü öteden beri bilinmektedir.

Son dönemdeki kimi çalı malar Tanpınar'ın Gürcü asıllı Türk air ve yazarı oldu unu ortaya koymu lardır. Tanpınar'ın bu aidiyeti yapıtlarına ta ıyıp ta ımadı ı, dahası onun eserlerinde yansıtmayı önemsemi i irsiyet düzleminde hangi olay ve olguların Gürcülerle özde le tirildi i bu bildirinin eksenini olu turmaktadır.

Anahtar Kelimeler: Tanpınar'da irsiyet, Tanpınar'ın Gürcü'lü ü, Tanpınar'ın Eserlerindeki Gürcüler.

**GEORGIANS IN AHMET HAMDİ TANPINAR'S WORKS
IN TERMS OF LINEAGE**

Abstract

Ahmet Hamdi Tanpınar (1901-1962) is one of the pioneer writers in the 20th century of Turkish literature who "equipped" his story main figures with his personal biographic strews. It is very ordinary to witness representing of Tanpınar's personal experience in his literary works.

The aspect of the biographic sprinkles can be found in many content and context, it sometimes reveals in main characters' professions, it is sometimes hidden in where the main figure lives and it is sometimes disguised in the plot of Tanpınar's fictional literature. Consequently, it embodies resemblance and correlations between plot, main characters analysis, or figures in stories (i.e. Mumtaz, Selim...etc) theme, and Tanpınar's himself.

Recently published works on the Tanpınar's biography claimed that Tanpınar has Georgian origin. This presentation will focus on whether Tanpınar reflected his Georgian origin in his works and moreover which phenomenon and actions are associated with the Georgians in terms of lineage

Key words: Inheritance in Tanpınar's Works, Tanpınar's Georgianship, Georgians in Tanpınar's Works

¹Prof. Dr., Türk Filolojisi Öğretim Üyesi, Edebiyat ve Beşerî Bilimler Fakültesi, Uluslararası Karadeniz Üniversitesi, Tiflis, GÜRCÜSTAN. ilyas.ustunyer@ibsu.edu.ge

G R

De i ik disiplinlerdeki kullanım alanlarına atfen sözlüklerin;“Anadan, babadan gelme eyler”;“aile ve soydan geçen benzerlik”; “soyçekim”, intikal”, “tereke”, “kalıtsallık” ...vb. kar ılıklar verdi i irsiyet kavramıA. H.Tanpınar’ın roman ve öykülerindeki karakterlerin yapıp ettiklerini açıklamada ba vurdu u temel kavramlardandır.Roman ve öykülerinde “insanın genetik mirasını kader gibi belki de mizacın kayna ı olarak irdeleyen” (Okan, 2012:36) A. H. Tanpınarroman ve öykülerindeki kahramanlarının ba arısı, mutlulu u, mutsuzlu u, edep ve adabını “ didik didik” sorgulayıp bunların irsiyetle ili kileri üzerinde durur.

Yukarıdaki kavramsal çerçeveye somut bir örnek Tanpınar’ın *Huzur* adlı romanındaki bir sahnedir. Romanın ana kahramanlarından Mümtaz ve Nuran, Nuran’ın bir foto rafı üzerinden yürüttükleri bir sohbette Mümtaz dü ünmesini foto raftan ayıramayarak Nuran’a sorar;

- Tuhaf bir resimdi; eski minyatürlere benziyordunuz... elbise hiç de aynı olmamakla beraber, meselâ, Ali îr Nevaf’ye arap kadehi sunan gence... Gülerек ilave etti: O oturu u nereden buldunuz?”
- Dedim ya, ecdat yadigarı... Uzviyetimde var. Onlarla do mu um. (Tanpınar, 2011:128)

Roman ve öykülerinde biyografik serpi tirmeleri önemseyen ve bir çok roman ve öykü kahramanına kendinden (Mümtaz, Selim...) ve yakınlarının hayatlarından (hsan-Yahya Kemal...) (Aydın, 2010: 233-252)“ya anm ılıklar”giydiren Tanpınar’ın aslen Batumlu bir Gürcü olması (çsbsdo, 2012: 314-316)A. H. Tanpınar’ınileriki ya amı, sanat ve estetik dü üncesi üzerinde ne tür etkiler yaptı ıve yapıtlarında bunun yansımalarının olup olmadı ı önemli bir olgudur.

1. Ahmet Hamdi Tanpınar’ın Gürcülü ü ve Bunun Eserlerine “Yansımaları”

Orhan Okay, *Bir Hülya Adamının Romanı* adlı Tanpınar monografisinde, Tanpınar’ın babası Hüseyin Fikri Efendi (1268/1852-1934)’nin hayatına dair de i ik kaynaklara referansla, önemli bilgiler verir. (Okay, 2012:27). Söz konusu kayna a göre, Tanpınar’ın babası Hüseyin Fikri Efendi “Batum mülhakatından Maçahel Nahiyesinde do mu tur. Nüfusunun büyük bir ekseriyeti Gürcü olan Maçahel bugün Artvin İçelerinden Borçka’ya ba lı ve bir Camili adını ta ıyan bir beldedir. Ömer Faruk Akün, “A. H. Tanpınar” adlı çalı masında önceleri Mızrakçio ulları olarak bilenen aile Hüseyin Fikri Efendi’nin dedesinin müftülü ü dolayısıyla daha sonra Müftüzadeler olarak tanındı ını ifade etmektedir. Ar ıvlerdeki görev cetvelinden “ öhreti: Osmanzadeler” olarak kaydedilmi tir. Maçahel medresesinde muallim olan Mehmet Tahir, o lu Hüseyin Fikri’ye altı yıl ders vermi tir. Hüseyin Fikri 1871’de stanbul’a gelerek de i ik medreselerde e itimden geçmi tir. [Hüseyin Fikri Efendi’nin] Dosyasında Arapça ve Türkçe konu tu u ve yazdı ı belirtilmektedir (Okay, 2012: 27-27).

“...*Huzur*’da ba ta Nuran olmak irsiyet yoluyla bir çok meseleyi irdeleyen Tanpınar’ın Batumlu babasından, cetlerinden hiç söz etmemesi tuhaftır. Hemen her an kendisi ile kar ıla maktan, kendini anlatmaktan âdeta hazzeden”, annesi öldü ünde 15, “babası öldü ünde 33 ya ında olan Tanpınar[’ın kafasını], babasının çocukluk, gençlik yılları ve çevresi hakkında bir eyler kurcalamamı mıdır? Ne yazılarında, ne de mektup yahut daha da mahrem olan günlüklerinde babasının do du u Batum’a, Artvin’ kar ı bir tecessüs yoktur. Mızrakçio ulları kimlerdir? Dede kimdi? Uzak, yakın cetler? Bunlardan kendisine intikal etmi genetik özellikler? Hiçbiri!” (Okay, 2012:36-37).

2. Ahmet Hamdi Tanpınar’ın Romanlarında Gürcüler

გურამ შარაძემ 1991 წლის სექტემბერში მოინახულა სტამბულის ქართული სავანე. შთაბეჭდილებები აღწერა „უცხოეთის ცის ქვეშ“ - მესამე ტომში, სადაც საუბრობს კონსტანტინოპოლის ქართულ სავანეზე. ეს იყო ქართველ კათოლიკეთა მონასტერი. მასში მოღვაწეობდნენ ქართველები: პეტრე ხარისჭირაშვილი, მიქელ თარხნიშვილი, მიხეილ თამარაშვილი.... აღსანიშნავია, რომ ამ სავანეში ჯერ კიდევ 1870-იანი წლებიდან იბეჭდებოდა ქართული წიგნები. მათი უმრავლესობა აღწერილია, ნაწილი კი უცნობია ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიისათვის. ბევრი აქ დაცული ქართული ხელნაწერი, მათ შორის სულხან-საბა ორბელიანის „ევროპაში მოგზაურობა“, წარმოადგენს განსაკუთრებული ინტერესის საგანს, რადგან თბილისსა თუ პეტერბურგში არსებული ყველა ნუსხა ნაკლულია, ხოლო სტამბულის ნუსხის სისრულეში ეჭვი ვერავინ შეიტანა. სამწუხაროდ, ეს ნუსხა, რომელიც 1930წლის დასაწყისში ჩამოიტანა აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ, შესწავლის პროცესში დაიკარგა.

XX საუკუნეში ევროპა-აზიისა და ამერიკის კონტინენტებზე ქართული ემიგრაციის შექმნა-ჩამოყალიბება რეალური ფაქტია, რომელსაც ჩვენ დიდი ხნის მანძილზე თვალს ვერ ვუსწორებდით, ანგარიშს არ ვუწევდით, ყოველნაირად ვცდილობდით უარი გვეთქვა სამშობლოს მკერდიდან მოკვეთილ ღირსეულ შვილებზე, იმათ სულიერ მემკვიდრეობაზე, რომელთა „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“ [4, გვ. 235]. ასე ფიქრობდა გურამ შარაძე და ასე წერდა 1991 წელს გამოცემულ წიგნში „უცხოეთის ცის ქვეშ“. მეოცე საუკუნის ქართული ემიგრანტული კულტურის შესახებ ამ სახისა და ამ მოცულობის წიგნი პირველად გამოიცა. წიგნი შემდგომ წლებში გაგრძელდა და ქართული ემიგრაციის ბედ-იღბლის კვლევა, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, შემდგომშიც ძირითადად წარმოდგენილია გურამ შარაძის შრომებში.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, რუსეთის მიერ საქართველოს სამხედრო ოკუპაციის შედეგად, არა მარტო ეროვნული მთავრობა, არამედ ბევრი ბედუკუდმართი ქართველი აღმოჩნდა იძულებით ემიგრაციაში, ამას დაემატა 1924 წლის აგვისტოს ამბოხის შემდეგ დატრიალებული ამბები, მეორე მსოფლიო ომი, რომლის დამთავრების შემდეგ უამრავმა ქართველმა ტყვემ უარი თქვა სამშობლოში დაბრუნებაზე, რადგანაც კარგად იცოდნენ ნოსტალგიით შეპყრობილ, სამშობლოში დაბრუნებულ ქართველთა ბედი-დახვედრა, ან ციხეებში და ბანაკებში მოხვედრა, სადაც ტანჯვა-წამებაში დალიეს სული.

იძულებით ლტოლვილმა ქართველებმა მთელ მსოფლიოში ჰპოვეს თავშესაფარი. დღეს მათ შესახებ ბევრი იწერება, აღსდგა სრულფასოვანი ურთიერთობა ემიგრანტებისა სამშობლოსთან.

ამჯერად მიმოვიხილავთ რამდენიმე სტატიას, რომლებიც „ამერიკელ ქართველებზე“ მოგვითხრობენ. ამ მხრივ უპირატესობა ენიჭება გურამ შარაძის წიგნს „ამერიკელი ქართველები თვალის ერთი გადავლებით“. ტერმინი - „ამერიკელი ქართველები“ ეკუთვნის გურამ შარაძეს, რომელმაც ზუსტად დაადგინა საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გატანილი ჩვენი ეროვნული არქივის ორივე ნაწილის დედნების ზუსტი ადგილსამყოფელი - პარიზი და ბოსტონი, 1997 წლის 2 ოქტომბერს კი სამშობლოს დაუბრუნა, საბოლოოდ გადასცა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც ამ ბაზაზე გაიხსნა ქართული ემიგრაციის მუზეუმი. დაასრულა თუ არა ეს საშვილიშვილო საქმე, გურამ შარაძემ გადაწყვიტა მოენახულებინა „ამერიკელი ქართველები“, შეხვედროდა და ახლოს გაცნობოდა მათ, რომელთა სახელებიც ლეგენდად იყო ქცეული: იქნებოდა ეს თანამედროვე ემიგრაციის პატრიარქი, 95 წლის ალექსანდრე მანველიშვილი, თუ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ლეგენდარული თანამებრძოლი ალექსანდრე სულხანიშვილი, რადიოჟურნალისტი გივი კობახიძე, თუ კიდევ რამდენი.

და, აი, 1990 წელს გურამ შარაძე მიემგზავრება ამერიკის კონტინენტზე. მის ამერიკულ შთაბეჭდილებებს ეძღვნება ამ წიგნში დაბეჭდილი სტატიები. მასში პირველი შალვა საღირაშვილია, ნამდვილი პოლიგლოტი. მამამისი - დავით საღირაშვილი არის ეროვნული მთავრობის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც წილად ხვდა მოლაპარაკება მოსკოვში, რის შემდეგაც დაიღო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და საბჭოთა რუსეთმა, ლენინის მთავრობამ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

როგორც გ. შარაძე მოგვითხრობს, დავით საღირაშვილი ემიგრაციაში საკუთარი ნებით არ წასულა. ის 1922 წელს სხვა 62 პოლიტპატიმართან ერთად გაიწვიეს (დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი ელჩის ვლ. ახმეტელის მცდელობით) გერმანიაში. ამით ისინი გადარჩნენ საშინელ განაჩენს - დახვრეტას ან გაციმბირებას.

ტრაგიკული გამოდგა დავით საღირაშვილის და მისი მეუღლის - ფინელი ქალის ალმა საირანენის ბედი ემიგრაციაში, სადაც დიდ ეკონომიურ სიდუხჭირეს განიცდიდნენ. ალმა საირანენი შიმშილით დაიღუპა, რადგან აღმოჩნდა, რომ ის თურმე თავის წილ ლუკმა-პურს შვილებს უნაწილებდა და შიმშილით კუჭი გაუხმა და „აი, ასეთი დედ-მამის პატრონი შოთა საღირაშვილი 70-იან წლებში თბილისში ძლივს ჩამოვიდა, ძლივს ეღირსა სამშობლოს ნახვას, ის ზოგიერთებისგან დაქირავებულმა ჩვენმა თანამემამულემ სამშობლოს მოღალატის შვილად მონათლა და სამშობლოდან გააძევა“ [1, გვ. 11]. ეს ბედი ელოდა ემიგრანტთა უმრავლესობას, ვინც გაბედავდა და საქართველოში დაბრუნდებოდა.

წიგნში საუბარია ალექსანდრე მანველიშვილზეც. ამ პროცენტების და მისი არქივის გაცნობა გურამ შარაძის დიდი ხნის ოცნება იყო. ალექსანდრე მანველიშვილი - ეროვნული პოლიტიკისა და ბრძოლის საკითხებზე დაწერილი 14 მონოგრაფიის ავტორი, პატრიოტული ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი ბელადი, არაერთი ჟურნალ-გაზეთის დამაარსებელი, ორიგინალური მოაზროვნე და უკომპრომისო მებრძოლ-პატრიოტი - ასე ახასიათებს მას გურამ შარაძე, რომელმაც არაერთი წერილი გამოაქვეყნა ამ საინტერესო პიროვნების შესახებ.

ალ. მანველიშვილი ძველი მესხეთის გამოღვიძებისა და განახლების პატრიოტული მოღვაწეობის გამო შეირისხა ახალი ხელისუფლების მიერ. ის 1929 წელს იძულებით გადახვეწილთა ჯგუფთან ერთად თურქეთში აღმოჩნდა, საიდანაც საყურადღებო ცნობებს გვაწვდის იქ დაცულ ქართულ ფასეულობებზე - იქნება ეს სოლომონ მეფის საფლავი, თუ კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ბიბლიოთეკის შესახებ.

1930 წელს ალ. მანველიშვილი საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც გაეცნო „თეთრი გიორგის“ მოძრაობას და მის ლიდერს ლეო კერესელიძეს.

გურამ შარაძე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ემიგრაციაში მოხვედრილ ქართველ ახალგაზრდობას არ აკმაყოფილებდა სოციალისტების პოლიტიკური მოღვაწეობა, საქართველოში მომხდარ ყველა უბედურებას მათ აზრალებდა.

1930 წლიდან ალექსანდრე მანველიშვილი „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი წამყვანი იდეოლოგი და მეთაური გახდა. მანვე შემოგვინახა „თეთრი გიორგის“ პირვანდელი სახელწოდებით გაფორმებული მოძრაობის - „მომავლის“ წესდება, რომელიც ათი მცნებისაგან შედგება.

1958 წელს ალექსანდრე მანველიშვილმა დატოვა ევროპა და ამერიკაში გადასახლდა. გურამ შარაძე მოკლედ მიმოიხილავს მის შრომებს, გამოქვეყნებულს ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ-გამოცემებში. თვითონაც არ აკლებს ცდას ქართველ მკითხველს შესაძლებლობის ფარგლებში გააცნოს ეს ეროვნული მოღვაწე, ზრუნავს მისი სახელის სამშობლოში დასაბრუნებლად, მისი შრომების გამოცემაზე. ალექსანდრე მანველიშვილთან ამერიკის კონტინენტზე შეხვედრის დროს გაცხადდა, რომ ბატონმა ალექსანდრემ საქართველოში მისი ნაწერების გამოცემა მინდობილობით გურამ შარაძეს დააკისრა.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა გივი კობახიძეს, რომელიც 1942 წელს ომში ტყვედ ჩავარდნის შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. გივი კობახიძემ 1948 წელს გრიგოლ რობაქიძესა და მიხაკო წერეთელთან ერთად დააარსა ჟურნალი „ბედი ქართლისა“ და მასში აქტიურად თანამშრომლობდა. 1949 წელს გივი კობახიძე მეუღლითურთ გადასახლდა ამერიკაში, სადაც არ წყვეტს ურთიერთობას ევროპაში დარჩენილ ქართველ ემიგრანტ-მოღვაწეებთან, შემოინახა მათგან გამოგზავნილი 400 წერილი, რითაც თავისი წვლილი შეიტანა ეპისტოლარული მემკვიდრეობის შენახვა-შენარჩუნების საქმეში.

გურამ შარაძე მიმოიხილავს გივი კობახიძის მრავალფეროვან სამწერლო-ჟურნალისტურ მოღვაწეობას 1943 წლიდან 1989 წლამდე. განსაკუთრებით სულისშემძვრელია მოგონება მიხეილ ჯავახიშვილისადმი გივი კობახიძის დიდ სიყვარულზე და პატივისცემაზე, თუ როგორ გადასცა 1937 წელს მწერლის მკვლელობის ამბავი ერთმა სტუდენტმა.

სტატიის ფორმატი არ გვამღევს საშუალებას განვიხილოთ წიგნში დაბეჭდილი სტატიების დანარჩენი „გმირები“ : გრ. დიასამიძე, გ. ლოლუა, ლ. სააკაძე, გ. ნაკაშიძე, გივი გაბლიანი, ვ. მეგრელი, ლეო ჩიქოვანი, ძმები გალაშვილები, ალ. სულხანიშვილი, ალ ცომაია.

პაატა ნაცვლიშვილმა გამოაქვეყნა თამარ პაპავას მემუარები „ჩემი კრიალოსანი“, სადაც „მემუარების დროითი ფარგლები გასული საუკუნის 10-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე ავტორის გარდაცვალებამდე.“ [2, გვ.193] მემუარებში ათზე მეტ ქვეყანაში იმულებითი გადაადგილება დაფიქსირებული, რომელიც იწყება საქართველოში და მთავრდება სწორედ ამერიკის კონტინენტზე - არგენტინაში და ურუგვაიში. პაატა ნაცვლიშვილის აზრით პაპავების ოჯახი არ იყო ერთი ჩვეულებრივი ოჯახი, ამ ოჯახის „ისტორია ვითარდება საქვეყნო მნიშვნელობის უდიდესი პოლიტიკური მოვლენების ფონზე, ხოლო ზოგიერთ ამ მოვლენაში პაპავები უშუალოდ იყვნენ ჩართული და ბევრი რამ, რაც ჩვენ მხოლოდ ისტორიის წიგნებიდან ვიცით, მათი ცხოვრების ნაწილი იყო“ [2, გვ. 193].

აი, როგორ აღწერს თამარ პაპავა 1949 წელს გემ „კამპანათი“ მგზავრობას არგენტინისკენ მიმავალ გზაზე: „განა შეიძლებოდა ოდესმე წარმომედგინა, რომ ამ ყოფაში ჩავვარდებოდი? მაგრამ აქ ასობით არიან დიდი და პატარა, ქალი და კაცი ჩვენზე ბევრად უარეს მდგომარეობაში.... ამ დაღლეტილ, ჭუჭყიან ხალხში, ამ განაწამებ ლტოლვილთა შორის უნდა აგვატანინოს ღმერთმა ეს გზა.... არავინ იცის როდის დაგვხვდება სანატრელი „ნავთსადგური“. გაჩერდა გემი და დავდგით ფეხი არგენტინის მიწაზე... შორს არის სამშობლოც და ევროპაც. ცხელა, ძალიან ცხელა. სულის თქმა შეხუთულია. ვიწურებით ოფლად. ესეც შენი არგენტინა“ [2, გვ. 215].

ჩნდება კითხვა - რა უნდათ ქართველებს ასე შორს სამშობლოდან? მაგრამ ეს რიტორიკული კითხვაა, რომელზეც პასუხის გაცემა არავის შეუძლია: „რამ ჩამოგვაგდო ამ ცის კიდეც ასე შორს! ხანდახან ვფიქრობ და ვერ გამიგია, რატომ მოვასკდით ამ არგენტინას?! აღარ იყო ჩვენთვის ქვეყანაზე პატარა მიწის ნაკვეთი ევროპაში?

ეხ, ალბათ არ იყო.... ვინ წაიღო?“ [2, გვ. 216].

სულის ამ გმინვაში არის ერთი რამ, რაც აძლებინებს ამ ხალხს სამშობლოდან ასე შორს: „მაგრამ არის ერთი რამ ამ ქვეყანაში შესანიშნავი, ეს არის სრული თავისუფლება“ [2, გვ. 217].

იმის გამო, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გაიზარდა ამერიკის კონტინენტზე ემიგრირებულ ქართველთა რაოდენობა, საჭირო გახდა ქართული პერიოდული ორგანოს გამოცემა. უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართველები მეცხრამეტე საუკუნიდან სახლდებიან, მათი რაოდენობა მცირეა და ეს საკითხი რეალურად არც დასმულა.

ამერიკის კონტინენტზე გამოცემული პირველი ქართული პერიოდული ორგანო ჟურნალი „მამული“ იყო. იგი ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით გამოდიოდა არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში 1951-1953 წლებში (გამოიცა 6 ნომერი).

ქრონოლოგიურად მეორე პერიოდული ორგანო იყო „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ საინფორმაციო ბიულეტენი „ცნობის ფურცელი“ (გამოდიოდა ნიუ-იორკში 1953 წლის თებერვლიდან 1954 წლის ნოემბრამდე). რედაქტორობდა გივი კობახიძე.

სამეცნიერო ჟურნალში „ქართული ემიგრაცია“ ავთანდილ ნიკოლეიშვილი დაწვრილებით მიმოიხილავს იმ პუბლიკაციებს, რომლებიც ამ გამოცემებში ქვეყნდება და დაასკვნის რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სტამბურად ნაბეჭდი ფორმით გამოცემული პერიოდული ორგანოები... მიუხედავად მათი ხანმოკლეობისა, უსათუოდ უნდა იქნან მიჩნეულნი ქართული ემიგრანტული პრესის მეტად მნიშვნელოვან ნიმუშებად.

ამრიგად, ქართველი ემიგრანტები, ბედის უკუღმართობით, აღმოჩნდნენ არა მარტო ევროპაში, არამედ ამერიკის კონტინენტზეც, სადაც არ შეუწყვეტიათ ზრუნვა საქართველოს გათავისუფლებისათვის, რადგან ერთადერთი მიზეზი, რამაც გააძლიერა მათ საყვარელი სამშობლოდან ასე შორს ათეულობით წლის განმავლობაში, ეს იყო „სრული თავისუფლება“, რაც ასე მიუწვდომელი იყო საქართველოში.

ლიტერატურა:

1. შარაძე გურამ, „ამერიკელი ქართველები თვალის ერთი გადავლებით“, თბ., 1992.
2. „ქართული ემიგრაცია“, სამეცნიერო ჟურნალი, თბ., 2013.
3. დაუშვილი რუსუდან, „ქართული ემიგრაცია“, თბ., 2007.
4. შარაძე გურამ, „უცხოეთის ცის ქვეშ“, თბ., 1996.

DIFFICULT WAY OF THE GEORGIAN EMIGRANTS FROM TURKEY TO THE CONTINENT OF AMERICA

Marine Tsertsvadze, Gori State Teaching University, Professor
RESUME

In this work there are discussed several peripetias in the activities of Georgian Immigrants in the American continents, because 20-th century Georgian immigration had always been identified with Paris and Leville for ordinary in Georgia. Although from the beginning of the 20-th century Georgians appeared not only in some countries of Europe, but in the continent of America and Asia. The only reason why they spent dozen of years so far from their motherland was “the complete freedom”, which was so inaccessible in Georgia.

ორჰან ფამუქის რომანები „თოვლი“ და „მე წითელი მქვია“ ქართულ ლიტერატურულ სივრცეში

ნაზი ხელაია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
თენგიზ გუმბერიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი
E-mail: gumberidze.60@mail.ru

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია თურქი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ორჰან ფამუქის შემოქმედებითი გზა. იგი, როგორც მისი სამწერლო დამსახურებების ნუსხა მიგვითითებს, არა მარტო თურქული, მსოფლიო ლიტერატურის არეალსაც სწვდება. სწორედ ამიტოა განპირობებული მისი შემოქმედების ესოდენ დიდი აღიარება და პოპულარობა. მიუხედავად იმისა, რომ ორჰან ფამუქი კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორია და ზოგადად დიდად განათლებული პიროვნება, მისი ძირითადი მოწოდება მაინც მწერლობაა. მან უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული თეორიები და პრინციპები გაითავისა, მისი მხატვრულ-სახეობრივი გამოკვეთაც შეძლო. თანამედროვეობისათვის პოსტმოდერნიზმი ერთ-ერთი წამყვანი თეორიაა, რომლის არსი უახლოვდება მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ღირებულებათა ძირეულ პრობლემებს, სპექტრსა და სინთეზს, რომელსაც მოდერნიზმი ქმნის. ლიტერატურათმცოდნეობაში მას თანამედროვეობის სათქმელის ყველაზე არსებითად და საინტერესოდ გადმოცემა შეუძლია, სწორედ ამიტომაცაა, რომ უკვე კარგახანია მსოფლიოს უდიდესი მწერლები პოსტმოდერნიზმის რელსებზე გადავიდნენ და თავიანთი სათქმელი სწორედ მის წიაღში გააცნობიერეს და თქვეს. ორჰან ფამუქისთვისაც ფრიად შესაბამისი გახდა პოსტმოდერნისტული ლიტერატურული თვალთახედვა. მისი საინტერესო რომანები სწორედ ამ ასპექტითაა შთაგონებული და გახმოვანებული. ამათგან „თოვლი“ და „მე წითელი მქვია“ გავიხსენოთ.

„თოვლი“ თურქეთის უახლეს წარსულს ეხება. ამ რომანის მიმართ აქაურმა მკითხველმა იმ უარყოფითი ნიშნულის გამო გამოხატა უკმაყოფილება, სადაც ავტორი ქართველი ცოლ-ქმრის შესახებ წერს, რომ ქალი არაწესიერ ცხოვრებას ეწევა, ქმარი კიდეც იაფი მუშახელია და ამით სამუშაო ადგილს ართმევს ადგილობრივებს. „იმ ქალს ჭლექი აქვს, მაგრამ მაინც ბოზობს და ქალაქში ჩამოსულ მესაქონლეებსა და ტყავის ვაჭრებთან ცხოვრობსო. კაცი კი, დანარჩენი ქართველების მსგავსად, ნახევარ ფასად მუშაობს და შედეგად მუშების ბაზარზე ორმოც წელიწადში ერთხელ გამოჩენილ სამუშაო ადგილს თურქეთის მოქალაქეებს ცხვირწინ აცლისო“ („თოვლი“, გვ. 219). ეს ცოლ-ქმარი, მწერლის თქმით, „იმდენად დატაკები და წუწურაქები იყვნენ, რომ სასტუმროს ფულსაც არ იხდიდნენ, წყლის სამმართველოს დამლაგებელს თვეში ხუთ ამერიკულ დოლარს უკუჭავდნენ და ამ საქვამებში ცხოვრობდნენ“ (იქვე, გვ. 219–220). რომანის ამ ნახევარგვერდიან ეპიზოდში სრულადაა წარმოჩენილი ქართველთა გაუსაძლისი ყოფა. მწერალს, როგორც ვკითხულობთ, მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ მრავალი ასეთი ქართველია თურქეთში და სამუშაოს ართმევს იქაურებს, რაც აგრერიგად არ მოსწონს რომანის ავტორს. იგი არად დაგიდევთ ქართველთა იმ გასაჭირს, რომელიც პოსტსაბჭოურ ეპოქაში დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში. არც იმაზე ამახვილებს ყურადღებას, თურქეთის ეკონომიკას საქართველომ და სხვა ყოფილმა საბჭოთა ქვეყნებმა რომ დიდი სარგებელი მისცეს. იქცნენ მისი გასაღების ბაზრად,

რასაც ალბათ მწერალი არასოდეს ნანობს, მაგრამ სამუშაო ადგილებს მისტირის 70 მილიონიან თურქეთში, სადაც ზღვაში წვეთივით წარმომადგენია ასეულობით, თუნდაც ათასობით ქართველი. ჩვენი უბედურება და დამცირება სწორედ ნახევარ ფასად, უფრო ხშირად კი ნახევარ ფასზე ბევრად იაფად შრომაა. ქართულ კლასიკურ შემოქმედებაში ჯერ არსად წამიკითხავს, რომელიმე ქართველ მწერალს ჩვენში ოდითგან მცხოვრები ასზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენლებისთვის ქართული პური დაემადლებინოს ან რომელიმე მათი ცუდი თვისება გამოეყოს და გაეჟღერებინოს. ორჰან ფამუქს კი კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ქართველი ქალის დამახასიათებელი თვისება არ გახლავთ ის უზნეობა, რაზეც იგი ამხვილებს ყურადღებას. ქართველი ქალის ღირსებასა და კდემამოსილებაზე ბევრს დაუწერია, მათ შორის ბალზაკსაც, რომელზეც ვერავინ იტყვის, რომ სხვაზე ნაკლები რეალისტია.

რომანის „მე წითელი მქვია“ თემას ორჰან ფამუქი შუა საუკუნეებს უკავშირებს, მაგრამ წარმოსახვის ახალი ფორმით თანამედროვეობას აღემატება. თუნდაც ისეთი მოულოდნელი და იდუმალი შტრიხებით ივსება, მკითხველს მთლიანად „ისრუტავს“ და მიუხედავად რთული სახეებისა და ეპიზოდების თითქმის მისტიკურობამდე მისვლისა, შეუძლებელია იგი არ დაიპყროს და დაიმორჩილოს. მხოლოდ ერთი კი აუცილებელია, - ერთგვარი წინაპირობაა მკითხველის ზოგადი განათლება, მისი ინტელექტი. რომანზე, როგორც პოსტმოდერნისტულ სივრცეში კიდევ ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ნაწარმოებზე, გარკვეული შეხედულება გაგვაჩნია, მაგრამ ამჯერად დაინტერესებული ვართ აისახება თუ არა მასში საქართველო და ზოგადად კავკასიის ხალხები. რამდენადაც რომანი წარმოსახვით ჰიპერრეალობას, თუნდაც ვირტუალურ რეალობას ქმნის, აუცილებლობა არ არის გეოგრაფიული სინამდვილის, თუნდაც ამ წარსულში ჩამირული მეზობელი ხალხების სახეთა განზოგადება. ეს მწერალს თავის ლიტერატურულ დანიშნულებად არც მიაჩნია. მაგრამ მისი სისხლის მეხსიერებაში ხომ დევს არქექტიპული ძირები წარსულისა და მეზობელ ხალხთა სახეებისა. ამიტომაც ზოგჯერ მიზნობრივად, ზოგჯერ უნებლიეთ მაინც გამოჟონავს მათი მხოლოდ და მხოლოდ დასახელება, ზოგჯერ მათი ეთნიკური მახასიათებლების მკრთალი გამონათება. რა თქმა უნდა, ეს საკითხი არსებითი და მნიშვნელოვანი არ არის ამ რომანისათვის, მაგრამ ჩვენ როგორც ქართველებსა და კავკასიის ამ უძველესი ხალხების წარმომადგენლებს, მაინც გვინტერესებს და გვინდა ორჰან ფამუქის ამ აღიარებული რომანის მხატვრულ სპექტრში დასახელებული თემაც წარმოვაჩინოთ. ერთი რამ, რაც მაინც ყველაზე სასიამოვნოა ქართველი მკითხველისათვის, თბილისის სახელდება და მისდამი გარკვეული სიმპათია და ნატვრაა გამოცემული. რომანის ერთი პერსონაჟი მხატვართუხუცესს მოუთხრობს თავის ოდისეის შესახებ. სიყვარულმა და დაუფლებული პროფესიისადმი ერთგულებამ შორეული მოგზაურობები არგუნა მას წილად. ყოველივეს ასე გამოხატავს:

„...აქედან წავედი, დიდხანს დავხეტებოდი აღმოსავლეთის ერთი ქალაქიდან მეორეში. ფაშების კარზე მდივან-წიგნობარი ვიყავი, ერთხანს დევთერდარის მდივანობითაც ვირჩენდი თავს, თავრიზში სერჰათ ფაშა და სხვა ფაშები გავიცანი. მათი მეშვეობით წიგნის გადამწერები, მომხატველები, მოვიძიე და წიგნებს ვამზადებინებდი ბაღდადსა და ალექსანდრიაში, ვანსა და თბილისში ვიყავი, ომებიც ვნახე.

ეჰ, თბილისი, თქვა დიდმა ოსტატმა ისე, რომ თვალი არ მოუშორებია თოვლიანი ეზოდან შემოსული სინათლისათვის, მუშამბაგადაკრული ფანჯრიდან რომ აღწევდა, იქ ახლა თოვს?

„...ვუყვებოდი, რომ არაბეთის უდაბნოში არა მხოლოდ მიწასა და შენობების თაღებზე დებს თოვლს, როგორც აიასოფიას მეჩეთზე, არამედ მოგონებებზეც, ისიც ვუთხარი, რომ თბილისის ქუჩებს ათოვს, სარეცხის მრეცხავი ქალები ყვავილებზე მდერიან, ბავშვები კი თოვლს ბალიშქვემ ინახავენ საზაფხულოდ-მეთქი“ („მე წითელი მქვია“, გვ. 64-65). ამ ამონარიდიდან, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს მწირია რეალობა თბილისის ყოფის ამსახველი, მაინც საინტერესო ასპექტს ვღებულობთ. უპირველესად, მხატვართუხუცესის სულიდან ამომსკდარი - „ეჰ, თბილისი“ ძალიან ბევრს გვეუბნება და ამართლებს პოეტის სტრიქონებს „თბილისი ოცნების, მგოსნების ქალაქი“ და გვარწმუნებს, რომ დიდოსტატს მართლაც ოცნება, წარმოსახვა და ხელოვნების მძაფრი შეგრძნება აკავშირებს ხელოვნებისმოყვარე ქალაქთან.

ხოლო ყარას საბოლოო განმარტება „როცა თბილისის ქუჩებს ათოვს სარეცხის მრეცხავი ქალები ყვავილებზე მდერიან“, სიმღერისა და ოცნების ქალაქის რეალურ სახეს შეგვაგრძნობინებს. რაც შეეხება ბავშვების მიერ საგაზაფხულოდ ბალიშქვემ შენახული თოვლის ლეგენდას, საერთოდ, თვით ბავშვურ ოცნებასა და სინამდვილეს აერთიანებს და თითქოს ერთობ მწირი ცნობებიდან თბილისიც და ზოგადად საქართველოც ხელოვნების მოყვარე, თოვლშიც კი სიმღერის ჰანგით შემთბარ მხარედ წარმოესახება მკითხველს. ვფიქრობთ, ამ აზრის მხატვრულ კონტექსტში ასე მშვენივრად წარმომდგენი ავტორიც არ იქნება გულგრილი ჩვენი დედაქალაქისადმი.

რაც შეეხება აფხაზებს, ისინი ერთგვარად ნაწარმოების მოქმედ პირებადაც წარმოგვიდგებიან. საერთოდ, პოსტმოდერნისტულ რომანებში მთავარი მოქმედი პირები და ერთ ცენტრალურ ხაზზე აგებული მოქმედება არ აისახება. პოსტმოდერნული პერსონაჟების წარმოსახვა ძალიან ფართო და

მრავალფეროვანია, თუმცა ენიშნეს ქალიშვილის, პირმშვენიერი შექურეს მიერ გადმოცემული ამბები მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია რომანისათვის. შექურეს სიყვარულმა ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი - ყარა - ტყე და ველად სახეტილოდ გაიტაცა. თვით შექურე კი აფხაზი მეომრის ცოლი გახდა. აფხაზი მეომარი უკვე გამქრალია დროის უბედობაში, მაგრამ მისი სახე ისევ დომინირებს შექურეს ცხოვრებაში. ეს მეომარი უდაოდ ღირსეული აფხაზური ოჯახის შთამომავალია. მწერალი ასე ახასიათებს „კარი ჰასანის მამამ გამილო. აბაზაა, ჩელებია, კეთილშობილი.

- ვნახოთ, ერთი, ამჯერად რა მოგვიტანეო - მითხრა.
- შენს ზარმაც შვილს ისევ სძინავს?
- რას ჰქვია სძინავს?! - თვალი კარისკენ უჭირავს შენგან ამბავს ელოდება“ (იქვე, გვ. 146).

აქ აფხაზი მეომრის ოჯახზე საუბარი, ოჯახზე, რომლის მამა ასევე დარბაისლური სახითაა მწერლის მიერ გადმოცემული: აბაზა, ჩელები, კეთილშობილი, თუმცა ამ კეთილშობილი აფხაზის ოჯახშია აღზრდილი ლამაზი შექურეს მაზლი, რომელიც ქალს მოსვენებას არ აძლევს. მართალია, მათი სარწმუნოება რძლისა და მაზლის ქორწინებას არ კრძალავს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჰასანის ძალმომრეობას გამართლება არ აქვს, მართალია, თავად, უზომოდ, უზომოდ კი არა და უგონოდაა შეყვარებული ამ მშვენიერ ქალზე, მაგრამ ქალის ნება-სურვილს ანგარიშს არ უწევს. მას ქალის უარის საპირისპიროდ ძალმომრეობაც ძალუმს. მართალია, თავად შექურეც კეთილშობილად მოიხსენიებს აფხაზთა ოჯახის მამამთავარს, თავის მამამთილს, მაგრამ, როგორც ირკვევა, არც ამ კეთილშობილი აფხაზისთვისაა მიუღებელი მაზლისგან რძალზე ძალადობა. შექურე იგონებს: „როცა ოჯახის დედაბოძი, ჩემი ქმარი, დაიკარგა, გაჭირვებაში ჩავცვივდით, ჩემი მამამთილი ძველ საქმიანობას, სარკეების კეთებას დაუბრუნდა. რაც შვილი გაუმდიდრდა, აღარ უკეთებია. მაზლმა, რომელიც საბაჟოში მუშაობდა, უფრო მეტი ფულის შემოტანა დაიწყო, თავი ოჯახის უფროსად მოჰქონდა, ერთ ზამთარს შეემინდათ სახლის ქირას ვერ გადავიხდითო და მონა ქალი ბაზარზე გაყიდეს, მისი საქმეების კეთება მე დამავალეს. სამზარეულოში ვტრიალებდი. სარეცხს ვრეცხავდი, ბაზარში დავდიოდი, ხმა არ ამომიღია, არ მითქვამს, მე ასეთ საქმეებისთვის გაჩენილი არა ვარ მეტი. ბედს დავუმორჩილდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მონა ქალი გაყიდეს, რომელსაც ჩემი მაზლი ღამღამობით ლოგინში იწვევდა ხოლმე. ჰასანმა ჩემი ოთახის კარის შემომტკრევა დააპირა“, მიუხედავად დაპირისპირებისა და უსიამოვნებისა, რაც ამ ოჯახისაგან განიცადა შექურემ, მამამთილის სახე მის მიერ დიდი მოკრძალებითა და პატივისცემით აისახება. ეს მარტო მასზე კი არ მიუთითებს, რომ მამამთილისადმი თავისი კეთილგანწყობა გაგვიზიაროს თურქმა ქალბატონმა, არამედ მასზეც, თუ როგორი ურთიერთგანწყობილება არსებობს თურქებსა და აფხაზებს შორის.

ზოგჯერ ნაწარმოებში ისეთი ნიუანსებიც ყდერს, რომელიც არა მარტო აფხაზებს, მთელი კავკასიის ხალხებს უარყოფით კონტექსტში წარმოგვიდგენს, მაგრამ ესეც არაა შემთხვევითი და მოულოდნელი იმ ვითარების შესატყვისობაში, რაც ლტოლვილი ხალხების წეს-ჩვეულებებთან არის დაკავშირებული - ადამიანები, რომლებიც დევნილობის ან გაუსამღლისი პირობების გამო სამშობლოს, საკუთარ კარმიდამოს მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ, თავისი ერის საუკეთესო მახასიათებლებით ვერ წარსდგებოდნენ სხვათა წინაშე. ბედუკუდმართობითა და დევნილობით გამოწვეული უდიერება, რაც ამ მოხეტიალეთ ახასიათებთ, გარკვეულ გულისწყრომას იწვევს აბორიგენებში და სწორედ ის უკმაყოფილება აისახება იმ მონაკვეთში, რომლისა მიხედვითაც თურმე ისევ მოედენენ სტამბოლს ჩერქეზები, აფხაზები, მეგრელები, ბოსნიელები, ქართველები, სომხები. მათ ისეთ უმსგავსობაში ჩაითრიეს ქვეყანა, საიდანაც უკან დაბრუნება ძნელიაო. ყავახანები ზნედაცემული შფოთისთავებით არის სავსე - იკრიბებიან და დილაამდე ბილწსიტყვაობენ. თრიაქით გაბრუებული დერვიშები ღამეებს როკვაში ათენებენ, მერე ჯერ ერთმანეთს დაერევიან, შემდეგ პატარა ბიჭებს, ეს არის ალაჰის ჭეშმარიტი გზაო, ამბობენ.

მართალია, აქ ჩერქეზები, აფხაზები, მეგრელები და ზოგადად ქართველები უარყოფითი გარემოს შემქმნელად წარმოისახება მწილის გამყიდველის მიერ, მაგრამ საინტერესოა ის ფაქტიც, თუ როდენ ნეგატიურად განიცდის შექმნილ პირობებსა და მდგომარეობას პერსონაჟი.

მართალია, რომანში მოქმედება საუკუნეების მიღმა გადატანილი, არის არსებითი და საკაცობრიო მოვლენები, რომლებიც არასოდეს ბერდებიან, არასოდეს ხუნდებიან და, მით უმეტეს, თითქმის არასოდეს კვდებიან, ორჰან ფამუქის კალამი სწორედ ამ კაცობრიულ ღირებულებებს ეძებს და მეტად საინტერესო ასპექტით წარმოგვიდგენს მათ. საერთოდ, ნაწარმოების ძირეული მამომრავებელი მიმართულება აზიური და ევროპული კულტურის ურთიერთშეპირისპირება და კონფლიქტია, მკვლელობებიც მასთანაა დაკავშირებული, თუმცა ყველა მოქმედი პირის ნაზრების შეჯახება პოსტმოდერნისტული მსოფლმხედველობის მწერალს არც მოეთხოვება და იგი თვით მკითხველმა უნდა იგრძნოს და დაინახოს, ამიტომაცაა, საინტერესო პოსტმოდერნული ხელოვნება, რომ მკითხველს პასიურ სუბიექტად კი არ მოიაზრებენ, ისიც ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟია და თანაც ცოცხალი, აქტიური სახითაა იგი ნაგულისხმევი, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ მწერალთან ერთად თვით მკითხველის მსოფლშეგრძნება და აზროვნებაცაა აუცილებელი.

ფული, ეს სამყაროს მამოძრავებელი ძალა, ნაწარმოებში სულიერივითაა განსახებული და მასთან მიმართებაშიც კი დომინირებს აფხაზებისა და მეგრელების სახელდება - „ქუჩა-ქუჩა, უბან-უბან ხეტიალში მთელი სტამბოლი მოვიარე, ყველას ხელში გავიარე - იუდეველების, აფხაზების, არაბების, მეგრელების. ერთხელ მანასიაში მიმავალი ედირნელი ხიჯას ქისით სტამბოლიდანაც გავედი. გზად ყაჩაღებს გადავეყარეთ“. ფულის არსი და ფუნქცია მეტად მრავალმხრივადაა წარმოდგენილი ამ თავში, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ აფხაზებისა და მეგრელების მასთან ერთად დასახელება გვაინტერესებს და თავად მწერლის მრავალმხრივი წარმოდგენა მეზობელი ხალხებისადმი.

ნაწარმოებში ერთგან თვით ქართველი პატარძალიც კი არის მიხსენიებული. „თუ მართალია, რასაც აბანოში ქართველი პატარძალი ჰყვებოდა და დედაბრები უდასტურებდნენ“. ამ ამონარიდს დიდი აზრობრივი დატვირთვა არ აქვს, უბრალოდ, ქართველი პატარძლის მოხსენიებაც გარკვეულად მიგვანიშნებს, რომ თავად მწერლის ცნობიერებაში ქართველთა სახელდება, მათი ეპიზოდური ფრაგმენტები მეზობელი ხალხისადმი გარკვეული ყურადღებაა, დამადასტურებელი იმისა, რომ მწერალი იცნობს მათ და მის წარმოსახვაში მათი სახეები მეტნაკლებად დომინირებენ.

საერთოდ ამ ნაწარმოების ძირითადი პრობლემა აზიისა და ევროპული კულტურის სინთეზირების პროცესია და პერსონაჟთა წარმოსახვაში ამიტომაცაა განფენილი მოვლენები აზია-ევროპის გეოგრაფიულ სივრცეში. თუმცა მათი მოქმედების არე და დროითი სივრცე მეტად კონკრეტულადაა შემოსაზღვრული და საბოლოო სიტყვა უთქმელი და მკითხველის გადასაწყვეტია. საინტერესოა ეს ფაქტი, რომ მწერალი არა მხოლოდ ლიტერატურული, მხატვრობის ასპექტითაც წარმოგვიდგენს მოვლენათა მსვლელობას და გვარწმუნებს, რომ როგორც შუა საუკუნეების, ისე თანამედროვე მხატვრობისა და ზოგადად ხელოვნების საკითხები მის მიერ მეტად საინტერესოდაა ასახული. ჩვენ მიერ წარმოდგენილი პრობლემა, ორჰან ფამუქი და ქართველი თუ კავკასიელი ხალხები, მეტად ფრანგმენტულადაა ასახული ნაწარმოებში, მაგრამ ჩვენი, როგორც ქართველი მკითხველის, თვალთახედვის არეში მაინც მოხვდა ნაწარმოების სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან ერთად. ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისათვის საფუძველს მოკლებული არ იქნება ნობელის პრემიის ლაურეატი მწერლის იმ ასპექტით წაკითხვა, როგორც ამ შემთხვევაში დავინახეთ.

ლიტერატურა:

1. ნიკოლეიშვილი ავთანდილ, გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“ და ორჰან ფამუქის რომანი „თოვლი“ (მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართებანი) აწსუ „მოამბე“, ტ. I, უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2013.
2. ორჰან ფამუქი, „თოვლი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012.
3. ორჰან ფამუქი, „მე წითელი მქვია“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2010.

NOVELS “SNOW” AND “ MY NAME IS RED “ BY ORHAN PAMUK IN GEORGIAN LITERATURE

Nazi Khelaia, Akaki Tsereteli State University, Professor
Tengiz Gumberidze, Akaki Tsereteli State University, Assistant Professor
RESUME

The works of Turkish writer Orhan Pamuk are highly interesting and diverse. Orhan Pamuk is Turkish prominent novelist, and recipient of the Nobel Prize in Literature. We have our point of view about his novel “ My name is red” as one of the outstanding works of art in post-modern era. But at this time we are interested how Georgian and Caucasus nations are presented in the text. As far as the novel displays hyper reality, creates virtual reality. There is no need for generalization of characters of neighboring nations. The writer doesn’t consider it to be his goal. That is why sometimes intentionally and sometimes by chance ethical characteristics of neighboring nation make appearance in his novel. This matter of fact is not essential for the prominent novel, but it is valid for us. For descendants of ancient Caucasus tribes. That is why we want to point out the subject that is depicted in fictional spectrum. Despite the fact that in some passages characteristics convey negative context, still the most significant is that, the writer has Geographical area of neighboring nations in his imagination and in his works. Their hyper real and may be virtual images.

The author mentions Georgian bride in the novel .The writer says: ” if it is true what the Georgian bride was telling to the old women in the bath ”. This passage doesn’t have any significant meaning in the text but it marks the fact, that the writer is acquainted with neighboring nations and they more or less dominate in his imaginations.

The main problematic issue in the novel is the process of synthesis of Asian and European cultures. That is the main reason why the events mentioned in the text takes place in the geographical areal between Asia and Europe. Though action of the characters and time in the novel has concrete bounds. As though the author hasn’t finished the

story, hasn't written the last word, it is up to reader to decide. It is noteworthy that the author uses not only literature but also painting devices to express ongoing event in the novel and persuades us that contemporary paintings likewise paintings of the middle centuries are interestingly presented in his novel. The matter we analyzed – Orhan Pamuk and Georgian or Caucasus nations are fragmentally shown in the text, but we as Georgian readers paid significant attention and got involved in it. We suppose it should be useful to read Orhan Pamuk, the recipient of the Nobel Prize in Literature in a new aspect that we have discussed.

The problem presented by us – Orhan Pamuk and Caucasus nations in general is fragmentally reflected in the novel. But we as Georgian readers took this fact into consideration alongside with other essential matters that are disclosed in the text. The subject already examined by us gives evidence about tendencies drawing Turkish and Georgian nations together even in the field of literature.

სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებები

თურქეთი - საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი

გიული გიგუაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: giulig1@rambler.ru

საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრეს სტრატეგიას ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარება, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა და ქართველი ხალხის ნების შესაბამისად ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაცია წარმოადგენს. საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტი მმართველობის დემოკრატიული სისტემის შემდგომი განვითარება და განმტკიცებაა, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან. საქართველოს ლიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად. [1]

საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების აუცილებელ წინაპირობას ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში სრულფასოვანი ინტეგრაცია წარმოადგენს. სწორად გააზრებული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას: უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ქართული პროდუქციის ექსპორტს, პრეფერენციული საექსპორტო პირობების შექმნას, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებას, არსებული ბაზრების გაფართოებასა და საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქციაზე, მომსახურებაზე, სამუშაო ძალასა და კაპიტალზე თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის გავრცელებას. მნიშვნელოვანია ასევე ქვეყნის ტურისტული და ინდუსტრიული ზონების პოპულარიზაცია, ინვესტიციების მოზიდვა ისეთ სტრატეგიულ სფეროებში, როგორებიცაა ჰიდროენერგეტიკა, ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა და ა.შ. შეზღუდული ბუნებრივი რესურსებისა და ენერჯის გამოყენებაზე მზარდი მოთხოვნის პირობებში, საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს საერთაშორისო სამართლის პრინციპების და ნორმების პატივისცემის საფუძველზე ურთიერთხელსაყრელი პარტნიორული ურთიერთობების მაქსიმალურად განვითარება წარმოადგენს. ჩვენი ქვეყანა მიისწრაფვის კეთილმეზობლური და ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებისაკენ როგორც უშუალოდ მეზობელ ქვეყნებთან, ისე მთლიანად შავი ზღვის რეგიონში და მთელ მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ამჟამად დიპლომატიური ურთიერთობები გააჩნია 173 ქვეყანასთან. მკვეთრად გაიზარდა ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლობების რაოდენობა, რომელთა რიცხვი დღეისათვის 59-ია. იზრდება საქართველოში უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების და საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვიც. [1]

ჩვენი ქვეყანა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს თურქეთთან, როგორც საქართველოს საიმედო მოკავშირესა და რეგიონულ პარტნიორთან, ურთიერთობას. ორ ქვეყანას შორის არსებული დინამიური

და ნაყოფიერი ურთიერთობები ხელს უწყობს რეგიონულ მშვიდობასა და სტაბილურობას. მნიშვნელოვანია თურქეთის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში. ასევე მნიშვნელოვანია თურქეთთან, როგორც ნატოს წევრ და საქართველოს სამხედრო პარტნიორ ქვეყანასთან, ურთიერთობების განვითარება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში, აქტიური თანამშრომლობა კონტრტერორისტული და ტრანსნაციონალური, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველო-თურქეთს შორის თანამშრომლობა სტრატეგიულ ხასიათს ატარებს და წარმატებით ვითარდება როგორც პოლიტიკურ, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროებში. ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 21 მაისს; სახელმეკრულებო-სამართლებრივი ბაზა მოიცავს 76 მოქმედ ხელშეკრულებას და თანამშრომლობის თითქმის ყველა სფეროს არეგულირებს. აქტიურია ვიზიტების ურთიერთგაცვლა როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ორგანოების დონეზე. ორი ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ მიმოსვლის გამარტივებული რეჟიმით, პირადობის მოწმობების საფუძველზე, რაც ხელს უწყობს მზარდი ტურისტული ნაკადის მოძრაობას. [2] საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით თურქეთი პირველ ადგილზეა. ამ ქვეყნის საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, სარგის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე 2012 წელს ნამდვილი რეკორდი დამყარდა, რადგან მისი მომსახურებით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 60 პროცენტით მეტმა ადამიანმა ისარგებლა. მოცემულ პერიოდში საქართველოდან თურქეთში ერთი მილიონ 170 ათასი კაცი გავიდა, ხოლო თურქეთიდან საქართველოს ერთი მილიონ 160 ათასი ადამიანი ესტუმრა. [3]

თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობისას საქონლის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადისაგან, გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები დაიწყო 2007 წლის იანვარში და გაფორმდა 2007 წლის ნოემბერში. შეთანხმება ძალაში შევიდა 2008 წლის 1 ნოემბერს. შეთანხმების მიხედვით საბაჟო ტარიფები სამრეწველო პროდუქციაზე სრულად გაუქმდა. ორივე ქვეყნის მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარკვეულ სახეობაზე შენარჩუნებულია ტარიფი. თურქეთის მხრიდან ასევე ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ვრცელდება სატარიფო ქვოტა. იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია თურქეთის რესპუბლიკიდან საქონლის იმპორტიც, გარდა თურქეთთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმიდან ამოღებულ ნუსხაში შეტანილი სასაქონლო პოზიციებისა.

თურქეთია ის პირველი ქვეყანა, რომელთანაც დამოუკიდებელმა საქართველომ სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა. 20 წელზე მეტია ისე შევეჩვიეთ თურქულ საქონელს ქართულ ბაზარზე, რომ უამისოდ ჩვენი ყოველდღიური არსებობა წარმოუდგენელია. თურქეთი პირველი ქვეყანაა ევროკავშირიდან, რომელმაც ევრორეგულაციის წესებს გადაუხვია და საქართველოსთან განსაკუთრებული ურთიერთობა დაამყარა. ის საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის ლიდერი ქვეყანაა. ჯერ კიდევ 2008 წელს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო მოცულობამ 1202,8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2011 წლის მონაცემებით, სამი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას (თურქეთი, უკრაინა და აზერბაიჯანი) შორის თურქეთს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 16,2% ეკავა 1500 მლნ. აშშ დოლარით. ექსპორტმა ზემოაღნიშნულ პერიოდში 228 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (10.4%), იმპორტმა - 1272 მლნ. აშშ დოლარი (18,0%). [4]

თურქეთთან ვაჭრობის მოცულობამ 2012 წელს დაახლოებით 1 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. 2012 წლის პირველ ნახევარში თურქეთიდან იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა, თუმცა იმპორტის საერთო მოცულობაში თურქეთის წილის მცირედი კლება შეიმჩნევა. ამ ქვეყნიდან საქართველოში ძირითადად სამშენებლო მასალების იმპორტი ხორციელდება, შემდეგ მოდის ქაღალდის ნაწარმი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და სხვა პროდუქცია. რაც შეეხება ექსპორტს, ისიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება. საქართველოდან თურქეთში ძირითადად შავი ლითონები, ფეროშენადნობები, ავტომობილები და ტრიკოტაჟის ნაწარმი გადის. 2012 წელს ამ ჩამონათვალს ხორბალიც შეემატა.

2013 წელს საქართველოში უმსხვილესი იმპორტიორად წინა წლების მსგავსად კვლავ თურქეთი რჩება მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 17.1 პროცენტით. 2013 წელს მისი წილი იმპორტში მცირედით შემცირდა (0.7 პროცენტული პუნქტი), მიუხედავად ამისა, თურქეთიდან იმპორტის მოცულობა კვლავ მნიშვნელოვნად აღემატება აზერბაიჯანულ იმპორტს, რომელმაც 2013 წელს მთლიანი იმპორტის 8.1 პროცენტი შეადგინა და იმპორტიორ ქვეყნებს შორის მეორე ადგილი დაიკავა.

2014 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68.5% შეადგინა. აქედან თურქეთს (17.2%), აზერბაიჯანს (10.7%), ჩინეთს (7.0%), რუსეთს (6.7%), უკრაინას (6.0%), სომხეთს (5.0%), აშშ-ს (4.8%), გერმანიას (4.6%),

ბულგარეთს (3.6%) და იაპონიას (2.9%) უკავიათ. სამი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნიდან პირველ პოზიციაზე თურქეთია, რომლის სავაჭრო სავაჭრო ბრუნვამ 939.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 36%-ით მეტია. თურქეთმა საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 17% დაიკავა. ექსპორტმა ამ ქვეყანასთან 112.3 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი ექსპორტის 8% შეადგინა, ხოლო იმპორტმა 827.2 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი იმპორტის 20% შეადგინა.

2014 წლის იანვარ-ივნისში ძირითად 10 სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას საქართველოს მთლიან იმპორტში 68.2% უკავია. პირველ პოზიციაზეა თურქეთი 827 მლნ. აშშ დოლარი (20.5)%, მეორე პოზიციაზეა ჩინეთი 350 მლნ. აშშ დოლარი (8.7%), მესამე პოზიციას იკავებს აზერბაიჯანი – 294 მლნ. აშშ დოლარი (7.3)%.

2014 წლის იანვარ-ივნისში ძირითად 10 სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას საქართველოს მთლიან ექსპორტში 77% უკავია. პირველ პოზიციაზეა აზერბაიჯანი 290 მლნ. აშშ დოლარი (20.4%), მეორე პოზიციაზეა სომხეთი 156 მლნ. აშშ დოლარი (11.0%), მესამე პოზიციას იკავებს რუსეთი 134 მლნ. აშშ დოლარი (9.4%). აქ თურქეთი მხოლოდ მეოთხე პოზიციაზეა 112 მლნ. აშშ დოლარით.

საქართველო-თურქეთის სავაჭრო ბრუნვა 2010-2014წ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2010	2011	2012	2013	2014 იანვარ-ივნისი
ექსპორტი სულ:	1677	2189	2375	2908	1419
მ.შ. თურქეთი	217	228	143	183	112
წილი (%)	13,0	10,0	6,0	6,3	8
იმპორტი სულ:	5257	7058	7902	7885	4028
მ.შ. თურქეთი	887	1272	1393	1346	827
წილი (%)	17,0	18,0	17,6	17,1	20,0

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

თურქეთის კერძო სექტორი საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია. ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაიდო თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების მშენებლობაში, ასევე სოფლის მეურნეობის, ტექსტილის წარმოებისა და სამშენებლო სექტორებში. ამ ეტაპზე საქართველოში თურქულ-ქართული ინვესტიციებით დაფუძნებული 500 კომპანია ოპერირებს. თურქული ინვესტიციების წყალობით საქართველოში ტექსტილის დარგი განვითარდა. აჭარაში დაფუძნებული ხუთი ტექსტილის კომპანია, ცნობილ ბრენდებს კერავენ და უკვე მეოთხე წელია ექსპორტზე გააქვთ. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს თურქეთის ბიზნესმენტა და მრეწველთა კონფედერაცია TUSKON-მა, რომელიც თურქეთში 132 ბიზნესსოციაციას, 43 ათას წევრ-კომპანიას აერთიანებს და 120 კომპანიასთან თანამშრომლობს, საქართველოში მილიარდი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. TUSKON-ის ვიცე-პრეზიდენტმა ოსმან რეისმა არაერთხელ განაცხადა, რომ მოხიბლულია საქართველოს ეკონომიკური პოტენციალითა და სტუმართმოყვარეობით და იმედოვნებს, რომ ქვეყანაში განხორციელებული თურქული ინვესტიციის მოცულობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. [5] მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ 2014 წლის ბოლომდე დაგეგმილია საქართველოსა და თურქეთს შორის ორმხრივი ინვესტიციების დაცვის ხელშეკრულების გაფორმება. [6]

სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობას ენერგეტიკის სფეროში, რაც ხელს უწყობს არა მხოლოდ ორი ქვეყნის, არამედ მთლიანად ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას. ორ ქვეყანას ერთმანეთთან აკავშირებს ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებული ისეთი მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პროექტები, როგორცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი, რომლებიც წარმოადგენენ ენერგორესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიულ მარშრუტებს და ხელს უწყობენ ენერჯის მწარმოებელი, სატრანზიტო და მომხმარებელი ქვეყნების ინტერესთა დაბალანსებას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2013 წელს დასრულდა და ფუნქციონირებს ახალციხე-ბორჩქას მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც ახალ შესაძლებლობას ქმნის საქართველოს ერთიან ევროპულ სისტემაში ჩართვის და ელექტროენერჯით ვაჭრობის თვალსაზრისით. [2]

თურქეთი საკმაოდ დიდ ინვესტიციებს დებს საქართველოს ენერჯოსექტორში. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ თურქული ქალიქ ჰოლდინგი (Turkish Calik Holding) და ალაჩი ჯგუფის (Ahlatci Group) მიერ ახალი ელექტროსადგურების მშენებლობა საქართველოში. 2014 წლის ოქტომბერში თურქეთის ამ ორმა კერძო კომპანიამ საქართველოს მთავრობასთან ხელი მოაწერა \$500 მილიონიან შეთანხმებას, რათა აშენდეს ჰიდროელექტროსადგურები. Calik Holding-ის მიერ დაფინანსებული ჰიდროელექტროსადგური აშენდება მდინარე რიონზე, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში, დასავლეთ საქართველოში. მეორე სადგური აშენდება Ahlatci Group-ის მიერ მდინარე დორლაზე, ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. თურქული ინვესტორი კომპანიები პასუხისმგებელი არიან განავითარონ ტექნიკური ეკონომიკის კვლევა და გააკეთონ მოხსენება თუ რა ეფექტი აქვს ჰიდროელექტროსადგურებს გარემოზე. აღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ კი მათ ასევე ექნებათ შესაძლებლობა ააშენონ განსხვავებული ტიპის ჰიდროელექტროსადგურები. Calik Holding-ის ჰიდროელექტროსადგურის საერთო მოცულობა ექნება 223 მგვტ და აწარმოებს 1 მილიარდ კილოვატ საათ ელექტროენერჯიას. Ahlatci Group-ის ჰიდროელექტროსადგურს სიმძლავრე იქნება 30 მგვტ და შეეძლება აწარმოოს 125 მილიონი კილოვატი საათი ელექტროენერჯია. \$50 მილიონიანი მშენებლობა დასრულებული იქნება 2019 წელს. [7] ქვეყნებს შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მექანიზმია საქართველო-აზერბაიჯან-თურქეთის სამმხრივი ფორმატი - „ტრაპიზონის დეკლარაცია“, რომელსაც 2012 წელს ჩაეყარა საფუძველი. აღნიშნული მექანიზმი მოიცავს თანამშრომლობის ფორმატებს პრეზიდენტების დონეზე, პარლამენტების საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებსა და თავდაცვის მინისტრებს შორის. სამმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების კუთხით არსებობს სამმხრივი ბიზნეს-ფორუმების ჩატარების პრაქტიკა. ფუნქციონირებს ერთობლივი სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისია და თურქულ-ქართული ბიზნეს საბჭო.

წარმატებულად გრძელდება ორი ქვეყნის თანამშრომლობა განათლების სფეროში. 2014 წლის 9 სექტემბერს, თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტრომ დაამტკიცა თურქეთის ქართული დიასპორის საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი სასწავლო პროგრამა - „თურქეთის საჯარო და კერძო სკოლებში ქართული ენის სწავლების შესახებ 2014-2015 წლებისთვის“. მრავალფეროვანი აქტიური კულტურული კონტაქტები ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობებს ადეკვატურად ასახავს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომლობის შემდგომი განვითარება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით, რომელიც ორივე ქვეყნის ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

ვფიქრობთ, ქართული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და საქართველო-თურქეთს შორის არსებული მრავალწლიანი მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობის ტრადიცია უზრუნველყოფს მათ შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და გაძლიერებას.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2012-2015
2. http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=298&lang_id=GEO
3. http://for.ge/view.php?for_id=15508&cat=1
4. <http://www.geostat.ge/>
5. <http://news.ge/ge/news/story/18779-saqartvelo-turqetis-miliard-dolariani-sainvestitsio-khidi>
6. <http://www.economy.ge/ge/media/news/saqartvelosa-da-turqets-soris-ormxrivi-investiciebis-dacvis-xelsekruleba-gaformdeba>
7. <http://www.azernews.az/region/71928.html>

TURKEY - GEORGIA'S LARGEST TRADING PARTNER **Giuli Giguashvili, Gori State Teaching University, Professor** **RESUME**

The main purpose of foreign policy is the development of partnerships with neighboring countries. Our country attaches great importance to Turkey as the leading regional partner. Turkey is a reliable ally and strategic partner of our country. Turkey is the first country to have an independent relationship with the trade. He was still the country's largest trading partner and an important investor in our.

პირდაპირი თურქული ინვესტიციები საქართველოში

ლეილა მამულაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (FDI) საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებული ეკონომიკური ხასიათის სხვადასხვა ოპერაციის წარმოებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას უსვამს ხაზს და ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის შიგნით განხორციელებულ მთლიან ინვესტიციაში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირება, მაშინ, როცა არ მცირდება მთლიანი ინვესტიციის ჯამური ოდენობა. აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა აზიური ინვესტიციები, რომლებსაც დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით არ აშინებთ პოსტკონფლიქტურ ქვეყნებში ინვესტიციების ჩადება. უცხოელ ინვესტორებს საქართველოში ძირითადად იაფი მუშახელი, გამართული ინფრასტრუქტურა და ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა იზიდავთ.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში დადმავალი ტენდენცია 2013 წელსაც შენარჩუნდა; 2012 წელს, 2011-თან შედარებით, 20%-იანი კლება აღინიშნა. 2012 წელს მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 31% იმ ახალ ბიზნეს-ინიციატივებში ინვესტირებისკენ წარიმართა, რომლებიც უფრო პროდუქტიულია ეკონომიკური ზრდის და დასაქმების გენერირების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 18%-ით შემცირდა ეკონომიკური კრიზისისა და ეკონომიკური პოლიტიკის ბუნდოვანების გამო. კლება საქართველოს ეკონომიკის სექტორების უმეტესობაში მოხდა. ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა ენერჯეტიკის, სამთო-მომპოვებელ და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სექტორებში, ხოლო ინვესტიციების ყველაზე დიდი ვარდნა სამშენებლო სექტორმა განიცადა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2012 წელს 72 ქვეყნიდან განხორციელდა. უმსხვილეს ინვესტორ ქვეყანათა სიის სათავეში გერმანია, გაერთიანებული სამეფო, თურქეთი, აზერბაიჯანი, ლუქსემბურგი, საუდის არაბეთი, კვიპროსი, ჩინეთი და ნიდერლანდები არიან. ამასთან, მსხვილ ინვესტორთა რეიტინგულ სიაში მეოთხე ადგილი საერთაშორისო ორგანიზაციებს უკავიათ გერმანიის, გაერთიანებული სამეფოსა და თურქეთის შემდეგ.

„საქსტატის“ ინფორმაციით 10 უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა 2012 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მაჩვენებლის 69 პროცენტი შეადგინა.

2012 წლის მდგომარეობით, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მარაგი, ანუ, ეკონომიკაში იმ კაპიტალისა და რეზერვების მთლიანი ღირებულება, რომელიც ეკუთვნის სხვა ქვეყანაში მდებარე საწარმოს თუ ბიზნესს, 10,615 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. 2013 წლის მონაცემებით, ყველაზე მსხვილი ინვესტიცია, განხორციელებული ინვესტიციების 26%-ზე მეტი, ლუქსემბურგიდან შემოვიდა. ნიდერლანდები, აზერბაიჯანი და თურქეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედარებით სტაბილურ წყაროებს წარმოადგენენ; ამ ქვეყნებიდან შემოსულმა ინვესტიციებმა მთლიანი ინვესტიციების 22% (ნიდერლანდები), 13% (აზერბაიჯანი) და 8% (თურქეთი) შეადგინა.


სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2013 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 914 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2012 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი 912 მლნ აშშ დოლარი იყო. როგორც ვხედავთ, 2013 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2 მლნ აშშ დოლარით აღემატება წინა წლის დაზუსტებულ მონაცემებს.

2013 წლის II და III კვარტალებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდა ფიქსირდება როგორც წინა წლის შესაბამის პერიოდთან, ასევე წინა კვარტალთან შედარებით. თუმცა, 2013 წლის I და IV კვარტალებში აღნიშნული მონაცემები მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც წინა წლის შესაბამის პერიოდთან, ასევე წინა კვარტალთან შედარებით.

2013 წლის IV კვარტალში 217 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც წინა წლის ამავე პერიოდის დაზუსტებულ მონაცემებზე 7%-ით ნაკლებია. 2013 წელს ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია III კვარტალში დაფიქსირდა – 239 მლნ აშშ დოლარი, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 20%-ით აღემატებოდა. 2013 წლის II კვარტალის მონაცემები კი 7%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. 2013 წლის

I კვარტალში განხორციელებულმა ინვესტიციებმა 226 მლნ აშშ დოლარი შეადგინეს, რაც 16%-ით ნაკლები იყო წინა წლის ამავე კვარტალთან შედარებით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ქვეყნების მიხედვით 2014 წლის მეორე კვ-ში ასეთია:



თურქეთ-საქართველოს მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთკავშირზე მიუთითებს ისიც, რომ მთლიან იმპორტში უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების იმპორტის წილში, თურქეთის წილი საქართველოში 20 %-ს შეადგენს. მაშინ როდესაც ჩინეთის წილი 9%, აზერბაიჯანის - 7%, უკრაინის - 6% და რუსეთის 6 %-ია.

საქართველოში ელექტროენერჯის ექსპორტი 2007 წლიდან დაიწყო. თურქეთი არის შუამავალი ქვეყანა მეზობლებს შორის, რომ შეიძინონ ელექტროენერჯია სამხრეთ კავკასიიდან. საქართველოს ჰიდროელექტროსადგურები აწარმოებენ იმაზე მეტ ენერჯიას, ვიდრე საჭიროებს საქართველო, ამიტომ ზედმეტად ნაწარმოები ელექტროენერჯია შეიძლება გავიდეს ექსპორტზე თურქეთში.

თურქეთს აქვს მზარდი ელექტროენერჯის მოთხოვნა, ხოლო საქართველოს გააჩნია უხვი დენის წყარო, მათ შორის ჰიდრორესურსები. თურქეთში ელექტროენერჯის მოთხოვნის გაორმაგებას ელოდებიან 2010-დან და 2020 წლამდე. ამდენად, მათ მიაჩნიათ, რომ საქართველო არის საიმედო ექსპორტიორი ინვენსტიციისთვის. ყოველივე ზემოთ აღნიშნულს მოწმობს ის, რომ თურქული ქალიქ ჰოლდინგი (Turkish Calik Holding) და ალაჯი ჯგუფი (Ahlatci Group) აპირებს ახალი ელექტროსადგურების მშენებლობას საქართველოში. თურქეთის ორმა კერძო კომპანიამ საქართველოს მთავრობასთან ხელი მოაწერა \$500 მილიონიან შეთანხმებას, რათა აშენდეს დიდი ჰიდროელექტრო სადგური. თბილისში გამართულ ხელმოწერის ცერემონიაზე თურქეთის ენერჯეტიკის მინისტრმა ტანერ ილდიზმა განაცხადა, რომ საქართველოში ინვესტიციები ელექტროენერჯის წარმოების სფეროში გაგრძელდება: „ასეთი სახის ინვესტიციები დიდი პატივია, როგორც თურქეთისათვის ასევე საქართველოსთვის“. Calik Holding -ის მიერ დაფინანსებული ჰიდროელექტროსადგური აშენდება მდინარე რიონზე, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში, დასავლეთ საქართველოში. მეორე სადგური აშენდება Ahlatci Group-ის მიერ მდინარე დორლაზე, ჩრდილო-დაავლეთ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. მშენებლობა დასრულებული იქნება 2019 წელს.


ასევე თურქული ჰოლდინგი „მეტრო ტიკარი“ ბათუმში 42 მილიონ დოლარიანი ინვესტიციის განხორციელებას იწყებს. ინვესტიციის ფარგლებში ჰოლდინგი საცხოვრებელ აპარტ-ოტელს და სასტუმროს ააშენებს. ინფორმაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ჰოლდინგის ხელმძღვანელის გალიპ ოსტურკის შეხვედრაზე გახდა ცნობილი. მშენებლობაზე ადგილობრივი მუშახელი დასაქმდება, ხოლო პროექტის დასრულების შემდეგ რეგიონში დამატებით ექვსასი სამუშაო ადგილი შეიქმნება. „მეტრო ჰოლდინგის“ ხელმძღვანელი გალიპ ოსტურკი თურქეთის მსხვილი მეცენატების ოცეულში შედის, რომელიც ყველა დიდ ინვესტიციას ქველმოქმედებით იწყებს, სწორედ ამიტომ სოლიდარობის ფონდში 500 ათასი ლარის შეტანა განხორციელდა.

სამცხე-ჯავახეთში ფარავნის ახალი ჰიდროელექტროსადგური გაიხსნა. საქართველოს ეკონომიკაში, თურქეთი ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია. ბოლო დროს არაერთი პროექტი წარმატებით დასრულდა, თურქული ინვესტიციების დიდი წილი საქართველოს ენერჯორესურსზე მოდის. ენერჯოსექტორი არის სფერო, რომლის განვითარებაც ეკონომიკის აღმავლობასთან პირდაპირ

კავშირშია. ინვესტიცია თურქულმა კომპანიამ განახორციელა, რომლის ღირებულებამაც 200 მლნ დოლარი შეადგინა. თურქეთმა 2004 წლიდან 2011 წლის მესამე კვარტლის ჩათვლით, საქართველოში 701 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩადო.


ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდია საქართველოში თურქეთის წილი ინვესტიციებში (იხ. დიაგრამა №1, დიაგრამა №2).

დიაგრამა №1. უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები 2012 წელს. (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2012 წელი <http://geostat.ge/?action=wnews&lang=geo&npid=246>

დიაგრამა №2. უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2012 წელს



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2012 წელი <http://geostat.ge/?action=wnews&lang=geo&npid=246>

საქართველოში უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობისთვის ყველა პირობაა შექმნილი. საქართველოს კანონმდებლობაში უმნიშვნელოვანესია კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, რომლის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებითა და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. იგი ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე, რომელსაც დააბანდებენ და გამოიყენებენ საქართველოს ტერიტორიაზე.

ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, რომელიც არის სახელმწიფოს წარმომადგენელი ინვესტორებთან ურთიერთობაში. თურქეთის სახელმწიფოს მხრიდან საქართველოსადმი ინტერესი საკმაოდ დიდია. ცნობილია, რომ თურქეთის სახელმწიფო, სამომავლოდაც, საქართველოში ინვესტიციების მოცულობის გაზრდას გეგმავს, თურქული სამშენებლო კომპანიები კი, სხვადასხვა ტენდერებში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ. საქართველო მეზობელ ქვეყანასთან თანამშრომლობისათვის მზადყოფნას გამოთქვამს.

საქართველოში თურქეთის საელჩო ქართველი და თურქი ბიზნესმენების ერთმანეთთან დაახლოებას უწყობს ხელს. მნიშვნელოვანია თურქეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების არსებობა, რომელიც თავის მხრივ სხვა ურთიერთობებსაც არეგულირებს. თურქეთს ყოველთვის უნდა, რომ თურქმა ბიზნესმენმა ინვესტიცია თურქეთში ჩადოს, მაგრამ არის ისეთი ქვეყნები, სადაც თურქეთი ისურვებდა თურქული ინვესტიციის განხორციელებას. ამ ქვეყნებიდან ერთ-ერთი პირველი საქართველოა. როგორც თურქეთის ოფიციალური პირები აღნიშნავენ თურქეთისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოს განვითარება და ყოველთვის უნდა, რომ განვითარებული საქართველო ჰყავდეს მეზობლად.

თურქეთი იქნება ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, ვისთანაც საქართველო გააფორმებს ორმხრივი ინვესტიციების დაცვის ხელშეკრულებას. წლის ბოლომდე მოხდება აღნიშნული პროცესის დაჩქარება. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს ორმხრივი ინვესტიციების ზრდას.

ინტერნეტ-რესურსები:

<http://topnews.mediamall.ge/?id=78065>

www.economy.ge/.../saqartvelosa-da-turqets-soris-ormxrivi-investiciebis-...

http://www.geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo

http://eprc.ge/admin/editor/uploads/files/Stagnation_Report_GEO_WEB.pdf

caynex.ge

<http://commersant.ge/>

http://gfsis.org/media/download/EJSEF/Tamar_Dadiani.pdf

http://primetimenews.ge/?page=9&news_id=34512&c=2

<http://www.ireporter.ge/>

<http://forbes.ge/>

DIRECT TURKISH INVESTMENTS IN GEORGIA **Leila Mamulashvili, Gori State Teaching University, Professor** **RESUME**

Foreign direct investment (FDI) is the category of international investment activities; foreign direct investment is important, as it emphasizes the country's political and economic stability and stimulates economic development. In Georgia there are all the conditions for promoting foreign investments. It is known that the Turkey, in the future, plans to increase the volume of investments in Georgia. In 2013, Georgia's largest investments, more than 26%, came from Luxembourg. Netherlands, Azerbaijan and Turkey's foreign direct investments are relatively steady sources; Turkey's total investments amounted to 8% of total investments. Turkey will be one of the first countries to sign a bilateral investment protection agreement with Georgia. All of the abovementioned will promote the growth of mutual investments.

GEORGIA-TURKEY COOPERATION AS AN EXAMPLE OF THE FRIENDSHIP RELATIONS IN THE BLACK SEA REGION

Nika Chitadze, International Black Sea University, Associate Professor, Ph.D.

Introduction

Since the period, when Georgia regained its state sovereignty as a result of the declaration about restoration of the National Independence on April 9, 1991 and the collapse of the Soviet Union in December of 1991, Georgia managed to introduce itself in the international arena independently, establish diplomatic, trade, economic and other relations with countries around the world.

In the beginning of nineties of the last Century, economy of Georgia suffered a great loss because of civil war and internal conflicts, which resulted whole domestic product's decline by 44,9% in 1992.¹ In addition, the high-ranked government officials did not have the relevant experience to govern independent Georgia. Naturally all of these factors reflected negatively on Georgia's social - economic development and on representing itself in the international arena suitably.

To overcome crisis, Georgia needed the assistance from the leading states in the Black Sea Region, Western countries and from various financial institutions. In this regard it is necessary to point out, that Turkey was one of the first state, which recognized the independence of Georgia in December of 1991 and established diplomatic relations in May 21 of 1992². So, within the nineties of the last century, Georgia was trying to strengthen the cooperation with the different states and especially with neighbours. All this coincided with the activity of the West and Turkey primarily in post-Soviet space, especially in the South Caucasus and the Caspian Sea region which was related to the fact that, on 20 September, 1994, the Azerbaijani government has signed the Contract of the Century with West's leading oil companies, which included the Caspian Sea region's oil and gas resources, assimilation and transport them towards the West³. In this regard, the role of Georgian territory as a transit country was given great importance. Naturally, from the second half of nineties there are certain activities from the Turkey and West, which were connected with pipeline construction in Georgia and to the economy of Georgia the capital investments have been made.

Relations with the Turkey have been especially strengthened after the "Rose Revolution" period, when two countries agreed on the establishment non-visa regime and Turkish leading companies have implemented serious investments in the development of infrastructure of the strategic objects (for example: Tbilisi and Batumi Airports) on the territory of Georgia. During the last 7-8 years period, Turkey has been the first foreign-trade partner of Georgia⁴.

The war in August 2008 changed the political situation in Georgia dramatically. Taking into account, that 20% of the territory of Georgia is occupied by Russia and main purpose of official Moscow is weakening the Georgian statehood, official Tbilisi needs the support and strengthening relations with the closest partners. One of such reliable partner of course is Turkey.

The Role and Place of Turkey in the modern World

Turkey is a democratic, secular, unitary, constitutional republic, with an ancient cultural heritage. Turkey has become increasingly integrated with the West through membership in organizations such as the Council of Europe, NATO, OECD, OSCE and the G-20 major economies. Turkey began full membership negotiations with the European Union in 2005, having been an associate member of the European Economic Community since 1963 and having reached a customs union agreement in 1995⁵. Turkey has also fostered close cultural, political, economic and industrial relations with the Middle East, the Turkic states of Central Asia and the African countries through membership in organizations such as the organization of the Islamic Conference and the Economic Cooperation Organization.

The end of the cold war has had a profound effect on Turkey's regional agenda and standing. Long a pivotal member of NATO, it was presented with an opportunity for regional leadership, based on geographic position, multiple historic ties, and strategic heft. While its special relationship with the United States is a matter of public record, an expanded American, as well as NATO, role in the South Caucasus Region would risk complicating Turkey's own role there.

The south Caucasus is of particular geopolitical interest for three reasons. First, the region is a gateway to Central Asia. Second, it provides direct access to the markets of the West for the Caspian oil and Gas. Here Iran's anti-western policies and US "containment" of Iran have made the region even more significant. Third, Azerbaijan and Georgia are of

¹ საქართველოს ეკონომიკის ონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები. Policy and Management Consulting Group. 2010.

² http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=298&lang_id=GEO

³ S.Bagirov. Azerbaijan's Strategic Choice in the Caspian Region. Article from the Book "The Security of the Caspian Sea Region" Edited by Gennady Chufirin. Oxford University Press. 2001. P. 181.

⁴ http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/Trade_Turnover_2014_6.pdf

⁵ ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". მეორე გამოცემა. თბილისი, 2011. ISBN 978-9941-17-328-8. გვ. 379

the utmost strategic importance to Turkey. Their independence and territorial integrity are regarded as indispensable for the security and stability not only of the South Caucasus but also for Central Asia.

At the same time, Turkey faces even more formidable external constraints and policy dilemmas in Georgia and South Caucasus Region. First, Russia's political objectives and military presence in the occupied regions of Georgia and deployment of military bases in Armenia often clash with Turkey's interests in the Region. Russia is Turkey's major economic partner and its most energy supplier. Russian-Turkish trade is worth more than 35 billion dollars (2013) and includes natural gas (imports from Russia account for close to 70 percent of Turkish gas consumption), construction and tourism¹. The Blue Stream gas pipeline, built according to a 1997 agreement between Turkey and Russia, was in direct competition with the East-West energy corridor from the Caspian to the Mediterranean². But other factors are likely to affect Turkey's policy with regard to western involvement in South Caucasus Region. These include, but are not limited to, tensions between in bilateral U.S.-Turkish relations over Iraq war and after its aftermath; Turkish concerns about the impact of development in Iraq on Turkey's own Kurdish population; and Ankara's reluctance to take a back seat to the United States in Regional activities that directly affect Turkey's national interests.

While Turkey is bound to play an important role in any U.S. or NATO policy in the Black Sea Region, it is not content to serve merely as a conduit of US and NATO policies in the far south-eastern corner of Europe, or as the bridge between the Euro-Atlantic community, the South Caucasus, and, beyond.

It should be mentioned, that Ankara will try to have balanced policy toward Georgia and Russia. It was pointed out the interests of cooperation between Moscow and Ankara, but at the same time Turkey has important interest toward cooperation with Georgia. Particularly, it is interrelated with the energy projects-Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipeline and Baku-Tbilisi-Erzurum gas pipeline, also the involvement of both states in the consideration of Baku-Tbilisi-Akhalkalaki-Kars railway project. It is expected to connect two countries railway system through this project. It is expected to finish the construction of this pipeline in 2012.

Furthermore, Turkey is number first foreign-trade partner of Georgia. On the share of Turkey comes about 14-15% of the foreign-trade operations of Georgia³.

It is necessary to point out, that territory of Georgia gives the possibility to Turkey to establish contacts with Azerbaijan, the closest partner of Ankara.

Main priorities of the Georgia- Turkey relations

The founder of Turkish Republic, Mustafa Kemal Atatürk said: "Turkey needs powerful neighbour in the east and such neighbour can become Georgia."⁴ But this idea was not implemented in that period, because of occupation and annexation of a young Democratic Republic of Georgian by Soviet Russia.

Immediately following the dissolution of the Soviet Union in 1991, Turkey recognized the independence of Georgia on 16 December 1991, and as it was mentioned above, on 21 May 1992, the Protocol on the Establishment of Diplomatic Relations between the two countries was signed. Along with the Embassies in Ankara and Tbilisi, Turkey has a Consulate General in Batumi and Georgia in Istanbul and Trabzon.

There are no problems of political content in Turkish-Georgian relations, which develop along the principles of equality and mutual non-interference in each other's domestic affairs. Visa exemption for touristic travels of each other's citizens up to 90 days; joint use of the Batumi Airport; work being carried out for the "single-counter" operation of the Sarp Border/Customs Gate, the main gate through which almost 90 percent of the road transport between the two countries passes through; and the Free Trade Agreement already in force are the indicators of the current level of good-neighbourly relations.

Turkish-Georgian cooperation is successfully carried out not only at the bilateral level, but also through regional cooperation projects such as the Baku-Tbilisi-Ceyhan Crude Oil Pipeline, Baku-Tbilisi-Erzurum Natural Gas Pipeline and Baku-Tbilisi-Kars Railway, the last one is expected to be completed in 2015.

In response to the Abkhaz and South Ossetia separatism started in the 1990s, Turkey has been pursuing a policy in support of the preservation of Georgia's territorial integrity and finding a peaceful solution to these conflicts within the internationally recognized borders of Georgia. On the other hand, the autonomous status of Adjara Autonomous Republic was defined by 1921 Moscow and Kars Agreements⁵.

A consequence of the geographical proximity between Turkey and Georgia is the closeness among the peoples. Muslim Meskhetians constitute yet another cultural bridge between the two countries. Turkey attaches great importance to the return to Georgia of the Muslim Meskhetians, deported from their homelands in Georgia to Central Asia during Soviet period in 1944, and supports the efforts being carried out by Georgia to this end.

The relations between Georgia and Turkey have developed so much in all fields, especially concerning political, military and economic affairs; it is setting an example of the bilateral relations.

¹ http://www.todayszaman.com/business_turkey-seeks-100-billion-trade-volume-with-russia-by-2020_332172.html

² B.Rumer and Jeffrey Simon. Toward a Euro-Atlantic Strategy for the Black Sea Region. NDU. 2004. P. 9

³ <http://www.nationsencyclopedia.com/Europe/Georgia-FOREIGN-TRADE.html>

⁴ ნიკა ჩიტაძე. სადისერტაციო ნაშრომი: "კასპიის სანავთობო პროექტები და საქართველოს სატრანზიტო როლი. პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები". გვ. 75

⁵ <http://forum.ge/?showtopic=34210054&st=45&>

The two countries, which have taken joint steps in political matters until now, are voicing their intention to do the same for regional security and peace at every opportunity. Georgia, which saw Turkey playing a positive role during very hard times, defines itself as a trusted and peace-loving strategic partner, while Turkey wants to see Georgia as a strong, stable force for regional peace. In other words, a strong Georgia in the unstable Caucasus is seen as a security for peace by Turkey.

Georgia, which occupies a strategic location on Turkey's land route towards the Caucasus and Central Asia, sees Turkey's success and European integration as an example for itself and consequently values its relations with it tremendously.

Turkish officials constantly emphasizing the fact that protection of Georgia's sovereignty and territorial integrity and the resolution of all its problems in this context as a priority for Turkish foreign policy, shows Georgia's friendly outlook towards Turkey is mutual. Turkey's mature policy of viewing the Abkhazia crisis as a domestic issue of Georgia only further strengthened the Georgian government's beliefs. The policy of Ankara followed prevented local separatists using Turkey as a factor and prevented Russian involvement.

Turkey, which is a strategic NATO member and who wants to play a strategic role in stabilizing the Caucasus, is currently providing educational, equipment and financial assistance to the Georgian military in its efforts to harmonize with NATO standards. The Marneuli Airport in southern Georgia, which was reconstructed in accordance with NATO standards by the Turkish military, just shows how much importance Turkey attaches to Georgia.

The modernization process at Marneuli Airport was completed in 2004 and was handed over to the Georgian Defense Ministry at a ceremony on Dec. 25, 2004. Turkey spent around \$3 million to modernize the airport, which was constructed by the Soviet Union in 1940, but left in a decrepit state ever since. The airport became one of the most important military facilities in the country and the only one that has a lighting system allowing night flying¹.

The total aid given by Turkey to the Georgian Air Force amounts to \$7.5 million². Turkey also helped Georgia extinguish a fire in the Borjomi region. Turkey's educational assistance to Georgia gained an added dimension with the start of the 2004-2005 educational years in the Georgian Joint War Academy.

Relations between the two countries are not limited to the military sphere. The commercial exchanges between the two countries, especially after 2003, and the Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipeline and Baku-Tbilisi-Erzurum natural gas pipeline shows that the strategic partnership will become much more important in the future. The pipeline projects that will carry Azerbaijani oil and gas to Turkey are very important for Georgia's independence and security. The regional peace and stability in this context serve the interests of both Georgia and Turkey.

Both countries desire to broaden economic cooperation and the joint initiatives undertaken have started to produce results. The bilateral relations, which started out well, with Turkey being one of the first countries to recognize Georgia, have reached unprecedented levels, and is setting an example for all other countries.

Conclusion

In conclusion, it should be mentioned, that cooperation between two states has great perspectives for the future. The successful implementation of the joint projects, resulted to the construction of Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipeline and Baku-Tbilisi-Erzurum Gas pipeline, also railway Baku-Tbilisi-Akhalkalaki-Kars, strong support of Turkey to promote further integration of Georgia to the Euro-Atlantic Structures, gradual increasing the volume of the trade, cultural and education programs etc. create convenient base for the further cooperation in the different fields, which from itself will strengthen the friendship relationships between two nations.

REFERENCES:

საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები. Policy and Management Consulting Group. 2010.

S.Bagirov. Azerbaijan's Strategic Choice in the Caspian Region. Article from the Book "The Security of the Caspian Sea Region" Edited by Gennady Chufrin. Oxford University Press. 2001. P. 181.

Ministry of Foreign Affairs of Georgia. http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=298&lang_id=GEO

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზი. 2014.

http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/Trade_Turnover_2014_6.pdf

ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". მეორე გამოცემა. თბილისი, 2011. ISBN 978-9941-17-328-8. გვ. 379

Turkey Districts". Retrieved 9 August 2014

Yi it, Ali. "Geçmi ten Günümüze Türkiye'yi Bölgelere Ayıran Çalı malar ve Yapılması Gerekenler".

<http://www.justice.gov.tr/>. Ankara Üniversitesi Türkiye Co rafyası Ara tırma ve Uygulama Merkezi. Retrieved 14 August 2014

Türkiye'nin yüzde 85'i 'anadilim Türkçe' diyor". Milliyet.com.tr. Retrieved 4 November 2012

¹ Georgia-Turkey relations set an example. <http://www.hurriyetdailynews.com/default.aspx?pageid=438&n=georgia-turkey-relations-set-an-example-2005-01-20>

² The same source

Turkish Statistical Institute (2010). "Population statistics in 2009". Turkish Statistical Institute. Retrieved 28 January 2010
http://www.todayszaman.com/business_turkey-seeks-100-billion-trade-volume-with-russia-by-2020_332172.html
B.Rumer and Jeffrey Simon. Toward a Euro-Atlantic Strategy for the Black Sea Region. NDU. 2004. P. 9
<http://forum.ge/?showtopic=34210054&st=45&>
Georgia-Turkey relations set an example. 2005.
<http://www.hurriyetdailynews.com/default.aspx?pageid=438&n=georgia-turkey-relations-set-an-example-2005-01-20>

ABSTRACT

In the research paper it is analyzed the main political and socio-economic processes in Georgia and the Black Sea Region, how they reflected on the Georgia-Turkey relations. In the article, the important attention is paid to the main dates, which influenced on the development of the cooperation between two countries, particularly, signature of the main interstate agreements etc. Furthermore, it is presented the information related to the the Role and Place of Turkey in the modern World, its relationship with the western democratic states and with Russia. Furthermore, political social, security, economic and military aspects of cooperation between Georgia and Turkey are deeply reviewed.

Keywords:

Georgia, Turkey, cooperation, Black Sea Region.

ფოტოგალერეა კონფერენციიდან
Photogallery from the conference





